დარწმუნებული ვართ აჭარაში გამართული საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია ევროსაბ- ჟოსთან თანამშრომლობის პრაქტიკული გამოხატულებაცაა, ამასთან იგი საქართველოსა და თანამეგობრობის ქვეყნების კეთილმოყოფელი ურთიერთობის, ამ ურთიერთობის აუცილებლობისა და შემდგომი განმტკიცების ნათელი დადასტურებაცაა.

როგორც დღის წესრიგიდან ჩანს კონფერენცია მეცნიერული და პრაქტიკული თემატიკის მიხედვით ფართო სპექტრით არის წარმოდგენილი. მოხარული ვართ, რომ კონფერენციის მუშა-ობაში მონაწილეობენ და მოხსენებებით გამოდიან სამეცნიერო დარგის საერთაშორისო მასშტაბით აღიარებული მეცნიერები.

კიდევ ერთხელ მოგესალმებით და მადლობას გიხდით ამ ღირსსახსოვარი ღონისძიების ჩატარებისათვის. მადლობას ვუხდით ამ მნიშვნელოვანი ღონისძიების ორგანიზატორებს კონფე- რენციის მაღალორგანიზებულად მომზადებისათვის.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ენის,
ლიტერატურისა და ხელოვნების განყოფილების აკადემიკოს-მდივანი,
აკადემიკოსი,  ელიზბარ ჯაველიძე

ლინგვისტიკის ახალი კორიზონტები

ფრაზეოლოგიური ეკვივალენტების ტიპები

ინგა კიკვიძე

ელ-ფოსტა: inga.kikvidze@atsu.edu.ge

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის
სლავური ფილოლოგიის დეპარტამენტის პროფესორი

აბსტრაქტი:

თანამედროვე ლინგვისტიკაში ფრაზეოლოგიური ეკვივალენტების მრავალი კლასიფიკაცია არსებობს, რომლებიც სხვადასხვა მიზნით, განსხვავებულ კრიტერიუმებსა და პრინციპებზე დაყრდნობით იქმნება. ძირითადი პრობლემა, რომელიც თავს იჩენს ფრაზეოლოგიური ეკვივალენტების ტიპების დიფერენციაციისას, ეხება ნაწილობრივი, არაზუსტი ეკვივალენტის ცნების დაზუსტებას, სრული ეკვივალენტებისა და უეკვივალენტო ფრაზეოლოგიური ერთეულებისგან მათ გამიჯვნას. მნიშვნელოვანია არასრული ეკვივალენტების კლასიფიკაციაც, რადგან ფრაზეოლოგიზმების სწორედ ეს ჯგუფია ყველაზე მრავალრიცხოვანი და არაერთგვაროვანი. ნაშრომში წარმოდგენილია ფრაზეოლოგიური ეკვივალენტების ტიპების განსაზღვრის მცდელობა.

საკვანძო სიტყვები:

ფრაზეოლოგიური ერთეულები, ეკვივალენტობა, ეკვივალენტების ტიპები.

ფრაზეოლოგიური ერთეულების კვლევისთვის - როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული, თარგმანმცოდნეობითი და დიდაქტიკური თვალსაზრისით - მნიშვნელოვანია მათი ეკვივალენტობის ცნების დაზუსტება და ეკვივალენტების ტიპების გამოვლენა. თანამედროვე ლინგვისტიკაში ფრაზეოლოგიური ეკვივალენტების მრავალი კლასიფიკაცია არსებობს, რომლებიც სხვადასხვა მიზნით იქმნება და განსხვავებულ კრიტერიუმებსა და პრინციპებს ეყრდნობა. კერძოდ, არსებობს მთარგმნელობითი, ფეაზიბილური, ფრაზეოგრაფიული კლასიფიკაციები, აგრეთვე კლასიფიკაციები, რომლებიც უშუალოდ შეპირისპირებითი კვლევის მიზნებისთვისაა შექმნილი.

მიუხედავად მნიშვნელოვანი კვლევებისა და შექმნილი კლასიფიკაციების სიმრავლისა, დღემდე აქტუალურად რჩება ფრაზეოლოგიური ეკვივალენტების ტიპების დიფერენციაციის, ნაწილობრივი, არაზუსტი ეკვივალენტის ცნების დაზუსტების, სრული ეკვივალენტებისა და უეკვივალენტო ფრაზეოლოგიური ერთეულებისგან მათი გამიჯვნის პრობლემა.

სხვადასხვა ენების ფრაზეოლოგიური ეკვივალენტების იდენტურობის ხარისხი შეიძლება განსხვავებულად იქნას გამოვლენილი. ძირითადად გავრცელებულია შემდეგი კლასიფიკაცია: სრული ეკვივალენტურობა, ნაწილობრივი ეკვივალენტურობა და ეკვივალენტურობის არარსებობა. ეკვივალენტობის აღნიშნული ტიპების გარდა, გამოჰყოფენ აგრეთვე ე.წ. ფრაზეოლოგიურ ანალოგებს [ბარანოვი 2016: 205].

თუმცა თვით ფრაზეოლოგიური ეკვივალენტის ცნების განსაზღვრება არაერთგვაროვანია. განზოგადებულად თუ გავანალიზებთ მკვლევართა განსხვავებულ შეხედულებებს ამ ტერმინისა და, შესაბამისად, სრული და ნაწილობრივი ეკვივალენტების განსაზღვრისადმი, გამოიკვეთება ორი ძირითადი მიდგომა: ვიწრო, მკაცრი მიდგომა და შედარებით ფართო

შეხედულება საკვლევ ფენომენზე. ეკვივალენტისადმი მკაცრი მიდგომა გულისხმობს სხვადასხვა ენის ფრაზეოლოგიური ერთეულების მსგავსი სტრუქტურის, სახეობრივი საფუძვლის, შინაფორმისა და გრამტიკული ფორმის არსებობას. ასეთი მიდგომის დროს, ცხადია, სრული ეკვივალენტების რაოდენობა მინიმალურია და ფრაზეოლოგიზმების მიმართების ყველა სხვა ვარიანტი ნაწილობრივ ეკვივალენტობად ითვლება. კერძოდ, ნაწილობრივ ეკვივალენტებად მოიაზრება ფრაზეოლოგიური ერთეულები, რომლებსაც გააჩნიათ მსგავსი სემანტიკა და შინაფორმა, მაგრამ განსხვავდებიან ერთმანეთისგან მინიმუმ ერთ-ერთი მახასიათებლით, როგორცაა: განსხვავებული (ძირითადად შემთხვევაში, სინონიმური) კომპონენტი, განსხვავებული სტრუქტურა, კომპონენტთა განსხვავებული რაოდენობა, ფორმათა განსხვავებული შეწყობა, რაც შესაძარებელი ენების სისტემისა და გრამტიკული წყობის განსხვავებულობითაა განპირობებული.

უფრო გავრცელებულია ეკვივალენტების განსაზღვრებისადმი ისეთი მიდგომა, რომელიც არ ითვალისწინებს მათი გრამტიკული ფორმის იდენტურობის აუცილებლობას. მაგალითად, ე.მ. სოლოდუხო ფრაზეოლოგიურ ეკვივალენტებს განსაზღვრავს, როგორც ფრაზეოლოგიზმებს, რომელთაც გააჩნიათ საერთო სემანტიკურ-სტილისტური ინვარიანტი, და რომლებისთვისაც დამახასიათებელია ან მატერიალური თანხვედრა, ან ლექსიკური შემადგენლობის პარალელიზმი (შესაძლოა, ნაწილობრივი განსხვავებითაც), ან მსგავსი ლოგიკურ-სახეობრივი სტრუქტურა, ხოლო იდენტური გრამტიკული გაფორმება არ არის აუცილებელი [სოლოდუხო 1984]. ს.ს. კუზმინი გამოჰყოფს ე.წ. მონოეკვივალენტებს, ანუ ფრაზეოლოგიურ ერთეულებს, რომელთა ხატოვნება და მნიშვნელობა ერთმანეთს შეესაბამება, მსგავსია. მათ საილუსტრაციოდ ავტორს მოჰყავს მაგალითი: ინგლ. *be as cunning as a fox* - რუს. *хитрый как лиса* [კუზმინი 2006].

ეკვივალენტობის ამგვარი ფართო გაგების შემთხვევაში სრულ ეკვივალენტებად ჩაითვლება ფრაზეოლოგიური ერთეულები, რომლებსაც ორ ენაში გააჩნიათ ერთნაირი დენოტატური და კონოტაციური მნიშვნელობა და მეტაფორიზაციის ერთნაირი საფუძველი; გარდა ამისა, აქვთ მსგავსი პრაგმატული დატვირთვა და იდენტური მიმართება კულტურულ კონცეპტთან. მაგალითად, სრულ ეკვივალენტებად შეიძლება ჩაითვალოს შემდეგი ქართული და რუსული ფრაზეოლოგიზმები: *კბილებამდე შეიარაღებული - вооружен до зубов, თავზე ნაცრის დაყრა - посыпать голову пеплом, ალფა და ომეგა - альфа и омега; ბევრმა წყალმა ჩაიარა - много вод утекло, ღმერთმა იცის - бог знает, ქვას ქვაზე არ დატოვებს - камня на камне не оставит, მძიმე არტილერია - тяжелая артиллерия* და სხვ.

ამგვარი ეკვივალენტური ფრაზეოლოგიზმების აღსანიშნად გამოიყენება ტერმინი ინტერნაციონალიზმი. მათი კვლევის ერთ-ერთ პრობლემურ საკითხს წარმოადგენს ენათა მიერ უცხო ერთეულის კალკირებით მიღებული ფრაზეოლოგიზმების გამოჯვანა სხვადასხვა ენაში ანალოგიური ფრაზეოლოგიზაციის გზით საკუთარი ეკვივალენტური ერთეულების წარმოქმნისგან. როგორც ნ. საყვარელიძე აღნიშნავს, „ენათა განვითარების დღევანდელ ეტაპზე ძალზე ჭირს ფრაზეოლოგიზმთა სადაურობის გარკვევა, ანუ იმის დადგენა, თუ შინაგანი ფორმით ეკვივალენტური ფრაზეოლოგიზმებიდან რომელია თარგმნითი ვარიანტი და რა შემთხვევაში გვაქვს უბრალოდ დამთხვევა“ [საყვარელიძე 2001: 165].

იმ შემთხვევაში, თუკი ერთი ენის ფრაზეოლოგიზმი ასახავს გარკვეულ სოციალურ-კულტურულ რეალობას, რომელსაც არ მოეძებნება ანალოგია მეორე, შესაპირისპირებელი ენის რეალობაში, იგი განისაზღვრება, როგორც უეკვივალენტო ერთეული. ასეთი ფრაზეოლოგიური ერთეულების მაგალითებია: *ჭურში ჯდობა, სიტყვის ბანზე აგდება; надеяться на авось*,

იგზა კიკვიძე

Филькина грамота, шарашкина контора და სხვ. ასეთი უეკვივალენტო ფრაზეოლოგიური ერთეულები განსაკუთრებულ პრობლემას წარმოადგენენ თარგმნისას, რადგან ვერცერთი სტრატეგიის არჩევა ვერ უზრუნველყოფს მათი მნიშვნელობის, ფრაზეოლოგიზაციის საფუძველისა და შინაფორმის სრულ შენარჩუნებას. თარგმნისას იკარგება ან მათი სტრუქტურულ-გრამატიკული ორგანიზება, ფრაზეოლოგიზაციის საბაზისო ხატოვანი სახე, ან სტილისტური და ეროვნულ-ეთნიკური კომპონენტები. ასეთი ფრაზეოლოგიზმების თარგმნისას მთავარ ამოცანას მათი ფუნქციური დანიშნულების, მნიშვნელობის გადმოცემა წარმოადგენს.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია არასრული ეკვივალენტების კლასიფიკაცია, რადგან ფრაზეოლოგიზმების სწორედ ეს ჯგუფია ყველაზე მრავალრიცხოვანი და არაერთგვაროვანი. არასრული ეკვივალენტების ჯგუფი აერთიანებს ფრაზეოლოგიურ ერთეულებს, რომლებისთვისაც სხვადასხვა ტიპის განსხვავებებია დამახასიათებელი. ნაწილობრივი ეკვივალენტების ამ დიდ და მრავალფეროვან ჯგუფში შესაძლებელია გამოვყოთ ფრაზეოლოგიზმების შემდეგი მიმართებები:

1) ნაწილობრივი ფრაზეოლოგიური ეკვივალენტები მსგავსი ფრაზეოლოგიზაციით - ანალოგიური ხატოვანი სახით. ასეთ ეკვივალენტებს ერთნაირი სემანტიკური მნიშვნელობა და სტილისტური შეფერილობა აქვთ; მათ საფუძვლად უდევს ერთი და იგივე ხატოვანი სახე, მაგრამ მისი გამოხატვა შესაპირისპირებელ ენებში განსხვავებულად ხდება. ასეთი ფრაზეოლოგიური ერთეულები, როგორც წესი, განსხვავდებიან გრამატიკული სტრუქტურით, კომპონენტთა რაოდენობით. მაგალითად: *არახუნებს მოშლილი წისქვილის ქვასავით - тарактит как испорченная мельница, ჩიტმა ამბავი მომიტანა - птичка на хвосте принесла;*

2) მსგავსი სტრუქტურულ-სემანტიკური მოდელის მქონე ფრაზეოლოგიური ერთეულები, რომელთაც განსხვავებული ფრაზეოლოგიზაციის ბაზა, განსხვავებული ხატოვანი სახე აქვთ. ასეთ ერთეულებში კომპონენტები, რომლებიც მათ ხატოვან სახეს ქმნიან, არ ემთხვევა ერთმანეთს, თუმცა ისინი ერთმანეთთან ლოგიკურ და ხშირად თემატურ მიმართებაშიც არიან: *ჭკუასთან მწყრალადაა - с головой не дружит, ჭკუის კოლოფი - ума палата, წყალში გადაყრა - пустить на ветер;*

3) სემანტიკურად ეკვივალენტური ფრაზეოლოგიური ერთეულები, რომლებიც, განსხვავებული ხატოვანი სახეებისა და სტრუქტურის მიუხედავად, სხვადასხვა ენის სემანტიკურად ეკვივალენტურ ერთეულებს წარმოადგენენ და ფუნქციურად შეესაბამებიან ერთმანეთს. ასეთი ნაწილობრივი ეკვივალენტებია: *ასი თოკიდან გამომძვრალი - собаку съест, როცა ვირი ხეზე ავა - когда рак на гору свистнет.*

სხვადასხვა ენათა ფრაზეოლოგიური ერთეულების ეკვივალენტობის ტიპების დადგენა არაერთ სირთულესთანაა დაკავშირებული, თუმცა ასეთი კლასიფიკაცია და გამოყოფილი ჯგუფების ღრმა, მრავალმხრივი შესწავლა ხელს უწყობს ფრაზეოლოგიური ერთეულების მახასიათებლების, მათი ნომინაციური შესაძლებლობების მსგავსება-განსხვავებების ანალიზს საკვლევ ენებში.

*NEW HORIZONS OF LINGUISTICS***TYPES OF PHRASEOLOGICAL EQUIVALENTS****INGA KIKVIDZE***e-mail: inga.kikvidze@atsu.edu.ge**Akaki Tsereteli State University**Professor of the Department of Slavic Philology***ABSTRACT:**

There are a number of classifications of phraseological equivalents in modern linguistics based on different aims, diverse criteria and principles. The main difficulty that arises while differentiating the types of phraseological equivalents is connected with defining partial, incomplete equivalence and distinguishing such items from full equivalents and non-equivalent phraseological units. Classification of incomplete equivalents is also important as this is the most numerous and diverse group of phraseologisms. The paper presents an attempt to define the types of phraseological equivalents.

KEYWORDS:

phraseological units, equivalence, types of equivalents.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბარანოვი 2016 - Баранов А.Н. (2016). Основы фразеологии: учеб. пособие / А.Н. Баранов, Д.О. Добровольский. М.: Флинта: Наука.
2. კუზმინი 2006 - Кузьмин С.С. (2006). Идиоматический перевод с русского на английский (Теория и практика): учебник / С.С. Кузьмин. – 3-е изд., испр. М.: Флинта: Наука.
3. მოკიენკო 2005 - Мокиенко В. М. (2005). Загадки русской фразеологии. Санкт-Петербург.
4. სოლოდუხო 1984 - Солодухо Э. М. (1984). Проблемы интернациональной фразеологии. Санкт-Петербург.
5. ბერიძე 2018 - ბერიძე ხ. (2018). თარგმანმცოდნეობა. ბათუმი.
6. საყვარელიძე 2001 - საყვარელიძე ნ. (2001). თარგმანის თეორიის საკითხები. თბილისი.
7. ფანჯიკიძე 1988 - ფანჯიკიძე დ. (1988). თარგმანის თეორია და პრაქტიკა. თბილისი: განათლება.

ლინგვისტიკის ახალი კორიზონტები

FLEx-ის უპირატესობანი ლინგვოკულტუროლოგიური კვლევებისთვის

მზია ხახუტაიშვილი

ელ.ფოსტა: mzia.khakhutaishvili@bsu.edu.ge

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ნანა ცეცხლაძე

ელ.ფოსტა: nana.tsetskhladze@bsu.edu.ge

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

აბსტრაქტი:

ციფრულ ეპოქაში რესურსების დიაოზის და მათი გაცვლის, მონაცემთა დიდი ბაზების შექმნის მოთხოვნებიდან გამომდინარე შეიცვალა რესურსების მოპოვების თუ დამუშავების მეთოდები და პრინციპები. მათი დაარქივება და მოვლა საფუძვლად ედება ინტერ-, მულტი- და ტრანსდისციპლინურ კვლევებს.

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და ფრანკფურტის გოეთეს სახელობის უნივერსიტეტის ერთობლივი სამეცნიერო პროექტის - „ლინგვო-კულტუროლოგიური დიგიტალური არქივის“ (LinCuDiGi №DI 2016-4) ფარგლებში შექმნილი აჭარის ლინგვოკულტუროლოგიური დიგიტალური არქივი უნიკალურ მასალებს შეიცავს ინტერდისციპლინური კვლევების ჩასატარებლად, რაც საკვლევი რეგიონის განსაკუთრებულობით აიხსნება აიხსნება და იმითაც, რომ მასალები დამუშავდა თანამედროვე პროგრამული პაკეტების: Elan-ისა და FLEx-ის მეშვეობით. ეს არამარტო ენის, არამედ კულტურის დოკუმენტირებაცაა, ამ პაკეტების უპირატესობა ისაა, რომ ვიდეო- და ტექსტური რესურსები ერთ ფაილში არის მოქცეული, ტრანსკრიბირებული ტექსტი სინქრონიზებულია ვიდეოგამოსახულებასა და აუდიოსიგნალთან. მოქნილი და მრავალფუნქციური ენობრივ მონაცემთა მართვის პროგრამული პაკეტი FLEx-ი დახვეწილი ინსტრუმენტია თანამედროვე მეთოდოლოგიით ლინგვოკულტუროლოგიური კვლევების ჩასატარებლად.

ზეპირსიტყვიერების ნიმუშები, ყოფითი და სამეურნეო ცხოვრების დეტალები, კულტურულსა და ისტორიულ მეხსიერებაში შენახული ფაქტები, რელიგიური რიტუალები და წეს-ჩვეულებები, ეთნოლოგიური მასალები, რომლებიც ბუნებრივ სიტუაციაშია ჩაწერილი, უაღრესად ფასეულია. თუ ლინგვისტი მხოლოდ ენობრივი ფორმებით ინტერესდება, კულტუროლოგს, ეთნოლოგს, ეთნოგრაფს ეს მოვლენა თუ პროცესი სხვადასხვა კუთხით აინტერესებს.

ჟანრობრივად და შინაარსობრივად მრავალფეროვანი მასალა შეიცავს მომიჯნავე დარგებისთვის ფასეულ ინფორმაციას.

დადასტურდა ისეთი სიტყვებიც, რომლებიც უკავშირდება მოშლილ სოციალურ ინსტიტუტს, ან სოფლის მეურნეობის რომელიმე ძველ დარგს და ა.შ.

მასალებში დაცულია ტრადიციები, ცნობები ხალხური მედიცინის შესახებ, კულინარიული რეცეპტები, სამეურნეო ყოფის თავისებურებანი, წეს-ჩვეულებები, რელიგიური რწმენა-წარმოდგენები, ბრძნილობები, ცრურწმენები და პარანორმა-ლური მოვლენები, სახალხო დღესასწაულები და რიტუალები, კულტურული და ისტორიული მეხსიერების ამსახველი ნიმუშები.

ენობრივ ფაქტებში ვლინდება ეროვნულობისა და რელიგიურობის ამსახველი ტერმინების აღრევა და იდენტობის დამახინჯება.

ქრისტიანობას თავისი მნიშვნელობა ამ რეგიონში არ დაუკარგავს თუმცა ხალხი გაუაზრებლად ასრულებდა ამ ტრადიციებს. ზოგი ქრისტიანულ წესებსაც ასრულებდა და მუსლიმანურსაც, ზოგი საერთოდ განუდგა რწმენას. მასალაში ბევრია ქრისტიანული წარმომავლობის ტოპონიმი.

არქივი პერსპექტიულია დახვეწის, გაფართოების, მასალების გამრავალ-ფეროვნების და მათი გადამოწმებადობის უნიკალური შესაძლებლობებით.

საკვანძო სიტყვები:

დიגיტალიზაცია, დიგიტალური არქივი, FLEx-ი, ლინგვოკულტუროლოგიური კვლევები.

ციფრულ ეპოქაში მეტად აქტუალურია კომპიუტერული ტექნოლოგიების აქტიური ჩართვა ბუნებრივი ენების ლინგვისტური დამუშავების პროცესში. ვებტექნოლოგიების განვითარებამ და მეცნიერული კომუნიკაციის ახალი ფორმების ევოლუციამ გამოკვეთა დიგიტალიზაციის პერსპექტიულობა ტექნოლოგიური თუ მეთოდოლოგიური თვალსაზრისით. რესურსების ღიაობის OR (Open-Resource), რესურსების გაცვლის RE (Resource Exchange), „მსოფლიო ბიბლიოთეკის“ და მონაცემთა დიდი ბაზების (Big Data) შექმნის მოთხოვნებიდან გამომდინარე შეიცვალა პარადიგმა, მასალების მოპოვების პრინციპებიც და დამუშავების მეთოდებიც. ტრადიციული მეთოდების ნაცვლად დაიწყო რესურსების ციფრული ინსტრუმენტებით დამუშავება, დაარქივება და მოვლა.

კვლევის სპექტრის გაფართოებისა და მეცნიერული ცოდნის პრაქტიკაზე ორიენტირების მოთხოვნებიდან გამომდინარე აუცილებელი გახდა რამდენიმე დარგის სპეციალისტების მჭიდრო თანამშრომლობა ე.წ. მოდერირებული დიალოგის ფორმატში და, რაც მთავარია, ინტერ-, მულტი- და ტრანსდისციპლინურ კვლევებზე ორიენტირება. შესაძლებელი გახდა კვლევის მონიტორინგი- მისი ეფიციენტურობის დადგენაც [1,13].

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და ფრანკფურტის გოეთეს სახელობის უნივერსიტეტის ერთობლივ სამეცნიერო პროექტ „ლინგვოკულ-ტუროლოგიური დიგიტალური არქივის“ (LinCuDiGi №DI 2016-4), (შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი 2016-2019 წწ.) ფარგლებში შეიქმნა აჭარის ლინგვოკულტუროლოგიური დიგიტალური არქივი, რომელსაც შემდგომ მოვიხსენიებთ, როგორც **ბალდარ-ს** (ამის შესახებ დაწვრილებით იხ. [2, 52].

აჭარა უნიკალური რეგიონია კულტურათა, სარწმუნოებრივი და ეროვნული მრავალფეროვნებით, ტოლერანტობით და ტრადიციების დაცვით.

წინამდებარე სტატიის მიზანია ლინგვოკულტუროლოგიური კვლევებისთვის თანამედროვე პროგრამული პაკეტების: **Elan-ისა და FLEx-ის** უპირატესობათა, უნიკალურ შესაძლებლობათა ჩვენება; დოკუმენტისტიკის პრინციპების გამოყენების, დოკუმენტირების თანამედროვე სტანდარტის დანერგვის აუცილებლობის დასაბუთება, რადგან მხოლოდ ამგვარად დამუშავებული მონაცემები შეიძლება საფუძვლად დაედოს ინტერდისციპლინურ, კერძოდ, ლინგვოკულ-ტუროლოგიურ კვლევებს.

ახალი მეთოდოლოგიური და ტექნოლოგიური საშუალებებით დამუშავებული მასალის, დიგიტალიზებული რესურსების უპირატესობებია ის, რომ ისინი სწრაფად მოიპოვება, ხელმისაწვდომია, მრავალჯერადად და მრავალფუნქციურად გამოიყენება [3].

ნაშრომში პასუხი გაეცემა შემდეგ საკვლევ კითხვებს: როგორია ჟანრობრივად და შინაარსობრივად ლინგვოკულტუროლოგიურად საინტერესო მასალა? რომელი რესურსები არის ლინგვოკულტუროლოგიის თვალსაზრისით ფასეული? რა არის ამ პაკეტებით დამუშავებული რესურსების უპირატესობა? რა ტიპის რესურსები მიიღება ამ პროგრამული პაკეტებით? რამდენად არის შესაძლებელი არქივის დახვეწა და გაფართოება?

შპს სანსტაიპილი, ნანა ცეცხლაძე

როგორც ვიცით, კაცობრიობის სულიერი მემკვიდრეობის დოკუმენტირება გულისხმობს 1. კულტურული მემკვიდრეობის შენახვას და გადაცემას ამ ენის მატარებელი სოციუმის მომდევნო თაობებისათვის; 2. ყოვლისმომცველი და სრულფასოვანი მასალის შეკრებას ემპირიული კვლევებისათვის; 3. მოპოვებული მასალების ინტერდისციპლინური კვლევებისათვის გამოყენების შესაძლებლობის შექმნას; 4. საფრთხეში მყოფი ენის გადარჩენის ხელშეწყობას [4, 8].

აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით გამოვიდა დოკუმენტაციის ფუძემდებელთა ნაშრომები [5; 6; 7; 8], რომ დოკუმენტირება აუცილებელია, თუ ენა ნაკლებადაა შესწავლილი, ან მას გადაშენების საფრთხე ემუქრება.

ღირსსაგნობია, რომ დოკუმენტაციის მეთოდებით შესაძლებელია არამარ-ტო ენის, არამედ კულტურის დოკუმენტირებაც. კვლევის ობიექტია ენა, როგორც ნიშანთა სისტემა (ლინგვისტური ასპექტი), ენა, როგორც ლინგვოკულტურო-ლოგიური კონცეპტების ნაკრები (ლინგვოკულტუროლოგიური ასპექტი) და ენა, როგორც მის ბუნებრივ მოცემულობაში – კონკრეტულ დროში, კონკრეტულ სივრცესა და კონკრეტულ სოციალურ გარემოში ფუნქციონირებადი მექანიზმი [4, 4].

ცნობილია, რომ ენაში უკუფენილი ხალხის ისტორიის და კულტურის საკითხის მეცნიერული შესწავლა XX საუკუნის შუა წლებიდან გახდა პრიორიტეტული. ამით დაინტერესდნენ ფილოსოფოსები, სოციოლოგები, ფსიქოლოგები და ენათმეცნიერები.

არნოლდ ჩიქობავა წერდა: „ენის მეცნიერულ შესწავლას არასოდეს არ ჰქონია და არც ახლა აქვს უფრო მნიშვნელოვანი მიზანი, ვიდრე ენის შესწავლა, ერთი მხრივ ენობრივი კოლექტივის ცხოვრებასთან (ენა ტომის, ხალხის, ერის არსებითი ნიშანია), ხოლო, მეორე მხრივ, აზროვნებასთან კავშირში, ე.ი. კულტურის ისტორიასთან, აზროვნების ისტორიასთან კავშირში“ [9, 6].

ენათმეცნიერი ბესარიონ ჯორბენაძე მიუთითებდა, რომ „ენა ერის კულტურის პროდუქტიცაა და მისი შემდგომი საფუძველიც“ [10, 5].

კულტურა ენის უმაღლესი ფორმა და კონცეპტია სისტემა. „ენის მეხსიერება ყველა მეხსიერებაზე უფრო ტევადია, ის თავისთავად მოიცავს კულტურის მეხსიერებასაც, მაშინ როდესაც, კულტურის მეხსიერება მხოლოდ „კულტურულის“ ხსოვნას ინახავს [11, 8].

პროექტის ფარგლებში თეორიული ბაზისის გაცნობისა და ჩარჩო-სტანდარტის შემუშავების შემდეგ ინოვაციური მეთოდებით შეგროვდა ზეპირსიტყვიერი მასალები, ყოფითი და სამეურნეო ცხოვრების დეტალები, კულტურულსა და ისტორიულ მეხსიერებაში შენახული ფაქტები, რელიგიური რიტუალები და წეს-ჩვეულებები, ეთნოლოგიური რესურსები. შემოდასახელებული მიზნებიდან გამომდინარე, მოპოვებული მასალები გაციფრულდა, აღირიცხა (რეგისტრაცია) და დაარქივდა შემდგომი მოვლის (დაცვის) გარანტიით. ენობრივი მონაცემები დამუშავდა საგანგებო პროგრამული პაკეტებით (FLEX-ი (Fieldworks Language Explorer) და Elan-ი.


როგორც აღინიშნა, FLEX-ი გამოიყენება ELAN-თან ერთად. ამ უკანასკნელის უპირატესობა ძირითადად ისაა, რომ ვიდეო- და ტექსტური რესურსები ერთ ფაილში არის მოქცეული, ამასთან, ტრანსკრიბირებული ტექსტი სინქრონიზებულია ვიდეო-გამოსახულებასა და აუდიოსიგნალთან.

მოპოვებული მასალა მრავალი კუთხით არის საინტერესო: ლინგვისტიკა, დიალექტოლოგია, ლექსიკოლოგია, ფოლკლორისტიკა, ისტორია, ეთნოლოგია, ეთნოგრაფია, ეთნოლინგვისტიკა, სოციოლინგვისტიკა, ფსიქოლინგვისტიკა, რელიგიათმცოდნეობა, კონფლიქტოლოგია, მუსიკათმცოდნეობა, ლინგვოკულტუროლოგია და ა.შ. ჩამონათვალი მიგვითითებს მათი მულტიდისციპლინურად კვლევის პერსპექტივაზე.

მოკლედ, ჟანრობრივად და შინაარსობრივად მრავალფეროვანი (სოციალური, კულტურული, პოლიტიკური, ეკონომიკური, სულიერი, რელიგიური და ა.შ.) მასალა ინტერდისციპლინური კვლევების პროდუქტს წარმოადგენს. შესაბამისად, გარდა ლინგვისტური კვლევებისა, იგი საშუალებას იძლევა განვახორციელოთ ლინგვოკულტუროლოგიური კვლევები, რადგან პროექტის ფარგლებში შეკრებილ რესურსებში „ასახულია ადგილობრივი ტრადიციები, კერძების მომზადება, ეთნოლოგიური და სხვა მომიჯნავე დარგებისთვის ფასეული ინფორმაცია ვიდეოგამოსახულების თანხლებით“ [12, 34-35].

აღნიშნული მასალების ლინგვოკულტუროლოგიურ მნიშვნელობაზე მიგვითითებს პროექტის სათაურიც.

როგორც აღინიშნა, პროექტის პარგლებში მოპოვებული მასალები ენობრივ მონაცემთა მართვის მეტად მოქნილი და დახვეწილი პროგრამული პაკეტის FLEx-ის საშუალებით დამუშავდა. **Analyze**-ის ველში იმპორტირებული ტექსტის ცალკეული სიტყვის მორფოლოგიური ანალიზი და მათი სათანადო კვალიფიკაციაა შესაძლებელი მოქმედი პარსერის (Parser- გრამატიკული ანალიზატორი) მეშვეობით. ELAN-იდან FLEx-ში ფაილის ექსპორტირების შემდეგ მონაცემთა ინტეგრირებისათვის ანოტირებული და ინტერლინიალიზებული სიტყვები ლექსიკონში (Lexicon) აისახება. ცალკეული სიტყვის შესახებ გროვდება ინფორმაცია: ანთროპოლოგიური კატეგორია, ჟანრი (მონოლოგი, ბიჰევიორული ტექსტი, ნარატივი, ასევე წყაროები, მკვლევრები, ლოკალიზაცია, მთქმელები და ა.შ.). ლექსიკონი ასევე შეიცავს სიტყვათა სიას გრამატიკული ინდექსებითა და განმარტებებით, ამგვარად შესაძლებელი ხდება ენობრივი მასალების სინქრონიული და დიაქრონიული ანალიზი.



List-ის ველი

FLEx-ში **Text chart**-ი ტექსტის დისკურსის ანალიზის ინსტრუმენტია, ხოლო **List**-ი მრავალფუნქციურია: აკადემიური დომენები, ანთროპოლოგიური კატეგორიები, განათლების დონე, ჟანრები, დიალექტოლოგიური ინფორმაცია, სემანტიკური დომენები (სოციალური ქცევა, ენა და აზროვნება, ყოველდღიური ყოფა, საქმიანობა, ფიზიკური აქტივობა), რომელთაც თავიანთი

მზია სასუტაიშვილი, ნანა ცეცხლაძე

ქვედომენები აქვს. ამრიგად, ნათელია, რომ FLEx-ი, როგორც ენობრივ მონაცემთა მართვის თანამედროვე პროგრამული პაკეტი, საკმაოდ მოქნილი, მრავალფუნქციურია თანამედროვე ლინგვოკულტუროლოგიური კვლევების თვალსაზრისით.

შეგროვებულ მასალებში დადასტურდა ისეთი სიტყვებიც, რომლებიც ენისა და კულტურის ნაწილია, უკავშირდება რომელიმე სოციალურ ინსტიტუტს (**ლენჩიბერი**), **სოფლის მეურნეობის ცალკეულ დარგს: მემინდვრეობას (ბრელო), მემცენარეობას (გოგვა/ გოგა), ყოფას, ხუროთ-მოდვრებას (სარნა, ავაზანი)**. ზოგი მათგანის სემანტიკა გადაწეულია, რასაც საფუძვლად ედება სოციალური ინსტიტუტის მოშლა, ან ყოფა-ცხოვრების წესის შეცვლა; ზოგი დაკარგვის პირასაა (სარნა, ავაზანი) [13, 227].

მაგალითად, **ლენჩიბერი** (სპარს. Lençiberi) გლეხს, მიწის მუშას ნიშნავდა შავშეთში, კლარჯეთში, მაჭახელშიც. ეს ტერმინი გვიანი შუასაუკუნეებიდანაა გაჩენილი აჭარაში. ლენჩიბერობის ინსტიტუტი არსებობდა სამხრეთი კავკასიის მუსლიმანურ სახანოებსა და ჰერეთშიც. დაბალი სოციალური ფენების ადამიანები, უპატრონო, უსახლკარო, ობლად დარჩენილი ბავშვები, სხვა კუთხიდან მოსული ადამიანები ტვირთს ეზიდებოდნენ, მიწათმოქმედებას მისდევდნენ, მათ მარცვლეული მოჰყავდათ. **ქართველი ხალხის ეთნოლოგიური ლექსიკონის** მიხედვით, ეს სახელი აჭარაში მეიჯარე გლეხსაც უნდა რქმეოდა [14, 315]. ეს სიტყვა არ გვხვდება ქვემო აჭარულში. დიგიტალური არქივის მასალების ზემო აჭარულში კი მისი მნიშვნელობა დღეს შეიცვალა და ლენჩიბერი „მუშა“ კაცის, ისე კარგად მცხოვრები, შეძლებული მეურნის მნიშვნელობით იხმარება:

-პაწაჲ გეექანო, გამეექანო უნდა! (ნოდარ ფუტყარაძე, 72 წლის) – **ლენჩიბერი, ლენჩიბერი, ლენჩიბერი' ნა იყო** (შუშანა ფუტყარაძე, 82 წლის, შუახევი).


მოკლედ, „სპარსული სიტყვა **ლენჩიბერი** თავდაპირველად ნიშნავდა უუფლებო ადამიანს, მონას, უპატრონოდ დარჩენილს, რომელიც მიწათმოქმედებით ირჩენდა თავს; ამ სოციალური ინსტიტუტის მოშლის შემდგომ მან შეიძინა მეიჯარე გლეხის მნიშვნელობა: ზემო აჭარულში ტერმინმა კონოტაცია შეიცვალა და მან გამრჯე კაცის, კარგი მეურნის სემანტიკა შეიძინა“ [13, 227].

როგორც აღვნიშნეთ, მასალების თანამედროვე სტანდარტებით დამუშავების უპირატესობა ისიცაა, რომ დაინტერესებულ პირს შეუძლია ვიდეომასალის ნახვაც. მაგალითად, სულხან-საბა ორბელიანის „ლექსიკონი ქართულის“ მიხედვით, **გოგი** თითის გარეგანი ნაწევარია [15]. ასე ჰქვია მცენარის **მუხლსაც** [16,119]. აჭარულ დიალექტში სიმინდის **გოგზე შედგომა** იგივე **მუხლზე შედგომაა**. „სიმინდის მცენარე მუხლებით იზრდება. თითოეული მუხლი **გოგია**. პირველ მუხლზე რომ გაიზრდება, იტყვიან, **სიმინდი გოგზე შედგაო** [17, 15].

აჭარულში **გოგვა** იგივე **გოგა/ გოგი** თითის დანაყოფსაც ნიშნავს, მცენარის მუხლსაც, სახლის სახურავის მთავარ ბოძსაც (ასეა გურულშიც) და აღნიშნავს სიმოკლესაც.

ო. კახაძე პურეულის ლექსიკაში ამ მნიშვნელობით ასახელებს **მუხლს** [18, 71-72]. პურის **მუხლში ყოფნა/ მუხლში შემართვა** ყვავილობას ნიშნავს.

„ლინგვოკულტუროლოგიური დიგიტალური არქივის“ მასალების მიხედვით, **გოგი** დარგობრივ ლექსიკას მიეკუთვნება. შესაბამისი ვიდეომასალა დაინტერესებულ პირს ეხმარება, კონკრეტული საგანი, ფაქტი, ან მოვლენა საკუთარი თვალთნახვით ნახოს. მაგ. ქვემოთ მოცემულია მცნობა:



ერთი სიტყვით, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის მასალები, რომლებიც ბუნებრივ სიტუაციაშია ჩაწერილი, მაგალითად, რომელიმე კერძის მომზადებას, ან თუნდაც მცნობას მხოლოდ სიტყვიერად კი არ გვიხსნის, არამედ რესპონდენტი მოქმედებისას გვესაუბრება. მისი მეტყველება ამ დროს ყველაზე ბუნებრივია და უშუალო. ბუნებრივ სიტუაციაში ჩაწერილი ტექსტები უმნიშვნელოვანესი წყაროა ინტერდისციპლინური კვლევებისთვის. თუ ლინგვისტი მხოლოდ ენობრივი ფორმებით ინტერესდება, კულტუროლოგს, ეთნოლოგს, ეთნოგრაფს ეს პროცესი მრავალი კუთხით აინტერესებს.

ბალდარის თემატურად და ჟანრობრივად მდიდარსა და მრავალფეროვან მასალებში დაცულია **ტრადიციები** (ორცოლიანობა, დაქვრივებული ქალის ძალით გათხოვების), **ცნობები ხალხური მედიცინის შესახებ, კულინარიული რეცეპტები** (ნაცრის კვერი, კეცის მჭადი, სინორი, ყაისეფე, ნაღებიანი მჭადი, ნაღების ბორანო, ხავიწი, ბორეგი, ყირყიტონობორეგი, გვერეგი, ყურუთი, ქაქია, ბეთმეზი, ჩირბული, ლეჩერი, ჩორათანი, დოფინინაი, დაწნული ყველი, ფხლის მჟავე, რძიანი ფხალი, ტყემლიანი ფხალი, ფხალლობიო და ა.შ.), **აჭარელთა სამეურნეო ყოფის თავისებურებანი** (აბრეშუმის ჭიის, ბოსტნეული კულტურების, თამბაქოს მოყვანა), **წესჩვეულებები** (ახალგათხოვილი ქალისთვის ოცდამეორე დღეზე ტკბილეულობის მიტანა მშობლების მიერ, საქორწინო, დაკრძალვის, მენავეობის, სტუმარ-მასპინძლობის წესები), ასახულია **რელიგიური რწმენა-წარმოდგენები, ბრძნილობები** (კვირკობა, ქაშატობა, ჩურუგა), ცრურწმენები და პარანორმალური მოვლენები (ხორთლადი, ყარაყურა), **სახალხო დღესასწაულები** (შვამთობა) და **რიტუალები** (ლაზარობა, ფერხობა, ბედობა), შემონახულია ფაქტები **კულტურული და ისტორიული მეხსიერებიდან** (მუჰაჯირობა, ორად გაყოფილი სოფელი) და ა.შ.

შ. ფუტკარაძის მიერ შუახევის რაიონში ჩაწერილ მასალებში გვხვდება რძის ნაწარმის მომზადების წესები.

-მაშინა იყო, დიდი მაშინები, ცხრაღირიანი მაშინები გვექონდა ნაყიდი, ხოდა, იმას ოდნავ მოვატობდით რძეს, თუ ახალმოწველილი იყო, გათხოვა აღარ ჭირდებოდა...ოდნავ მოვატობდით რძეს, გავწურავდით იმას და კაიმალი ცალკე გამოდიოდა, რძე ცალკე გამოდიოდა, მერე ის გამოსული რძისგან აჭარულ რძეს ვაკეთებდით, ყველს ვაკეთებდით, აჭარულ ყველს და ყაიმალისგან კარაქს ვხდი დით...

მზია სასუტაიშვილი, ნანა ცეცხლაძე

-*ე.ი. ორი საქმე კეთდებოდა (შ. ფუტკარაძე).*

-*ორი საქმე კეთდებოდა, თვითონ მაშინ ამუშავებდა და უნდა გცოდნოდა ყველის ამოღება, თუ კარგი ყველის ამოღება არ გეცოდინებოდა, გორიხაი ყველი ამოვიდოდა, აჭარული ყველი, იმასაც კარგი ხელი უნდოდა, რომ კარგი გამოვიდეს... კარაქსაც ძალიან ბევრი რეცხვა უნდა, რომ კარაქი არ გაგიმწარდეს, ხანჯერ უმწარდებათ კარაქი, ეს იმის ბრალია, რომ ბევრხან არ რეცხავენ და შით გაყვება... წურულს ეძახიან...იმის... რძის განაყოფი გაყვება იმას და მერე მწარდება და ის ნაწველი და კარაქი არ ვარგა საერთოთ. იმას კარგათ რომ გარეცხავ, დიდხანს რეცხავ, ძალიან დიდხანს და სუფთა წყალს გაუშვებს, კამკამა წყალს, მაშინ ის არის ყველაზე კარგი... (შექერ ფუტკარაძე, 91 წლის).*

რძის ნაწარმით კეთდებოდა ბორანო, კეთდებოდა ნალბი ბორანო, ყაიმაღს გაადნობდი, ყველს ჩაყრიდი და იმას ნალბი ბორანი ერქვა... კეთდებოდა ხავიწი, ხავიწს გაადნობდი და ფქვილს ამულუკიდებდი ცოტა მარილით...და ხავიწი კეთდებოდა, ძალიან გემრიელი საჭმელი იყო...ხავიწი...(შექერ ფუტკარაძე, 91 წლის).

-*დოფიფინამ რაფერია იცი, დიდ ტაფ... ტაფაზე რომ იაღს რომ დაწვავ და შიგნით რომ ...წყალში გახსნი იმას...დოს, გუურევ, ეს რომ დულს, ფიფინებს (ნოდარ ფუტკარაძე, 72 წლის).*

-*ხავიწ როგორ ვაკეთებთ და დავწვავთ ნალბს, ჩავაყრით ფქვილს, იმას მუაშუშვებთ წყლით და კეთდება ხავიწი. გვერეგი- ნალბში მოზილავ ჭადის ფქვილ...გამოაუცხოვ და (შექერ ფუტკარაძე, 91 წლის).*

-*ბორეგი როგორ კეთდება და... მოვზილავთ ცომს, ოღონდ მაგარი ცომი უნდა იყოს, რომ არ მოიშვას, აა... ცომს, ფენებს გავიყვანთ...აა... მოვაყრით ნიგოზს, დავა-ხვევთ იუხის ჯოხზე და ვეძახით ყირყიტონობორეგს.*

მოვხარშავთ ფხალს, დავჭრით წვრილათ მოხარშულ ფხალს, მოვრეგავთ, კარგათ, მერე ნიგოზს და რძეს ვურთავთ, მერე - ნიორს და ქინძს. არის ძალიან კარგი მისართმევი, ოღონდ ქინძ და ნიორს, ცოტა მწარე პიმპილი და მარილიც უნდა.

მეტად საინტერესოა ლაზური კერძები: **ხამსიატალანი, ქაფშიატალანი, ხამსიას დოღმა.**

ხამსის ისე დოღმა ვიცით. ხამსს დაყრიდა დედაჩემი. აქაც ისე იყო და დედაჩემიც წვრილი ხამსი რომ იქნებოდა, უხაროდა. იმას ხახვს იგინს შეაჭრიდა. თავი ხახვი წვანე წითელი იმას ცოტას ფქვილს უხამდა, იმას ურევდა, ურევდა, აბრუნებდა, დაზილავდა, ბიშები ხომ იცი, ბიშებივით ასე შეწვავდა. იმას დადებდა, შკერის ფოთოლს დადებდა, იმას ზეიდან დაადებდა კიდევ. ასე დაახვავებდა ზამთარში. ოცლიტრიან იმას შეწვავდა და ზამთარში მერე თფილი ჭადი და ეს ცივი ხამსა (მულქიე დუმბაძე-ბაქრაძე, 86 წლის).

ქაფშიას დოღმა: *ბრინჯს მოვხრაკავდით ხახვში, მწვანე პრასა, მაკიდო ძალიან უხდება მოვხარშავდით, კაი ზეთში გავაკეთებდით, მოვხარშავდით და მერე ქვეშ ხამსას დავაყრიდით, ზეიდან იმას, ჩორნი პერიცა ნა ურთო ბრინჯს, ჰო ბრინჯს. მერე იმას ხამსას, ზოგი იმას შუაზე აკეთებდა, ზოგი არ აკეთებდა. ხელმეორეთ რომ იმას საჭმელს იმაზე დაყრი, იმას ხამსას მოაყრი ჩორნი პერიცას მოაყრი, შედებდი დუხოვკაში და შეწვავდი. ამას ქვია ქაფშიას დოღმა (მულქიე დუმბაძე-ბაქრაძე, 86 წლის).*

ქაფშიატალანი: *ქაფშიატალანის რაფერ ვაკეთებდი. ქაფშიას, ჭარხალი, ხახვი, პრასაც, მაკიდოც, პამიდორიც ყველაფერი დაჭარი, ზოგი სტაფილოსაც შობა, მარა მაი მაი ზედმეტი ბარგია. მერე დამარილული ხამსა ახლა, დამარილავ მის დროს მარილში და შენახული გაქ, თევზს რომ ინახავენ ისე, ჰო მარინადი ბანკაში. მერე იმას ამევიღებთ, გამოართმევთ მის ფხას,*

შუურევთ, ამოვზილავთ ჭადის ფქვილის ერთად და შევწვავთ (მულქიე დუმბაძე-ბაქრაძე, 86 წლის).

აჭარელი გლეხი ყოველთვის იბრძნიდა დღეს, მთვარის ფაზებს აკვირდებოდა, აკრძალულ დღეებში (კვირკობას, ქაშატობას) არ იმუშავებდა:

-სამშაბათს დავეთესავთ, ყოველთვის სამშაბათს დავეთესავთ, მთვარე აღმაზე და მოვუვლით...მაისის თვეში დასათესს დავეთესავთ, დასარგავს დავრგავთ (შექერ ფუტკარაძე, 91 წლის).

ხნულის გავლება როდის იწყება, ყველა დღეს შეიძლება? (შუმანა ფუტკარაძე)

- კი, ყველა დღეს შეიძლება (შ.ფ.)

- მაისის თვეში რაც გინდა იმ დღეს...(შუმანა ფუტკარაძე)

- სესხები მემრე (შექერ ფუტკარაძე, 91 წლის)

- აჰა, ახლა ძველად თუ გაგიგონია ასეთი რამე, კვირკობაი... (შუმანა ფუტკარაძე)

- კი, როგორ არა, კვირკობაი...(შექერ ფუტკარაძე, 91 წლის)

- რას ნიშნავს კვირკობაი?(შუმანა ფუტკარაძე, 82 წლის)

- კვირკობაჲ რას ნიშნავს და მატლი გაჭრის მოსავალს (შექერ ფუტკარაძე, 91 წლის)

- როდის? რა შემთხვევაში? (შუმანა ფუტკარაძე)

- რა შემთხვევაში და ახლა ძველით ჩურჩუგას პირველი და ახალით, ასე ივლისის პირველი კვირა

- აპრილში ქაშატობა არი...-უცბაჲ მოვა წვიმა, ქარიშხალი და დაღვარავს(შექერ ფუტკარაძე, 91 წლის)

- რომ არ მოვიდეს, რა არი საჭირო, ან როდის მოვა?(შუმანა ფუტკარაძე)

- პირველ შაბათ, აპრილის პირველ კვირას არნა გაიარო თოხით და.... მიწაზე (შ.ფ.)

- მიწაზე, ყანაში -თუ გაიარ, დაღვარავს (შ.ფ.)

- რას იტყვიან, რატომო, რატომო?(შ. ფუტკარაძე)

- რატომ დ არა ვიცი... წესია ძველებიდან წამოსული (შექერ ფუტკარაძე, 91 წლის)

- ძველებიდან მასე მოდის, აჰა (შ.ფ.)

- მატლი როდის გაჭრის ნერგებს?(შუმანა ფუტკარაძე)

- მატლი როდის გაჭრის ნერგებს და ივნისის თვეში (შექერ ფუტკარაძე, 91 წლის).

საინტერესოა რესპონდენტის მონათხრობი ლაზარიას (ლაზარობის), ანუ ამინდის გამოსაწვევი რიტუალის, ხალხური წეს-ჩვეულების შესახებ:

ყურად რომ იქნებოდა, დაგუშვავთ, ერთი თვე რომ არ გაწვიმდებოდა, მოვიკრიფებოდით სოფლის ახალგაზრდობა, გოგო-ბიჭები და ლაზარიას ვთამაშობ-დით, ლაზარიას ვთამაშობდით, წავიდოდით, მთელ ოჯახებში მოვივლიდით, ზოგს ზოგი კარაქს ჩავვიგდებდა კალათში, ზოგი - კვერცხს, ზოგი - რამეს და მოვკრეფდით ასე და მერე დავჯდებოდით, გავაკეთებდით დიდ სუფრას და მთელი სოფლის ახალგაზრდობა ვჭამდით და სვამდით და მერე ვნახავდით, რომ მართლა გაწვიმდებოდა! ამ ლაზარიას რაღაც თავისი ლექსი ქონდა თუ წაკითხვა და იმას...ვეყვებოდით და ყველა ახალგაზდა ვიძახიდით გუნდურათ. და მერე ეს... მართლა, მართლა წვიმდებოდა ეს, ცრურწმენა იყო თუ მართალი იყო, მართლა წვიმდებოდა... ან კიდე, თუ ბევრხან იწვიმდა, წვიმდა და ბევრი ავიდრები იყო და არ გადაიდრებოდა, იმას კიდე სხვანაირი მისი მოთქმა ლექსი ქონდა, რომ გვეთქვა და გამოდრილიყო (შექერ ფუტკარაძე, 91 წლის).

ახალი წლის დღეს მეკვლე ფერხავდა და თან ყოჩს შეიყვანდა ოჯახში.

მზია სასუტაიშვილი, ნანა ცეცხლაძე

ძველით ახალი წელი განსაკუთრებით აღინიშნებოდა მაშინ, ფერხობა იყო, ფერხობა, ბედობას ვეძახდით, თუ ვინმე ახალგაზრდა მამაკაცი შემოვიდოდა, ეს სასიხარულო იყო ოჯახში, ან კიდევ ყოჩი ვისაც...ყავდა, ოჯახში ყოჩი უნდა შეგეყვანა პირველად, რომ ხვავიანი წელიწადი იქნებო. მეკვლეს ფეხს დას... დას...დაცდიდენ ძალიან, ეს ძალიან დაიმახსოვრებდენ და იყო ძალიან მნიშვნელოვანი მთელი წლის განმავლობაში როგორი წელიწადი გექნებოდა, შემოსავლიანი, დავუშვავთ, ტკივი-ლიანი თუ სიხარულიანი წელიწადი, ამას ყველაფერს აღნიშნავდენ მეკვლეს, ფეხს აბრალებდენ ყველაფერს, მეკვლემ მიფერხა და იმის ფეხი არ დამირჩა კარგიო.

ჩვენს მასალებში დაცულია უწინდელი ყოფის სხვა თავისებურებანიც:

ქალები იტყოდენ, რომე... ტუტა ვადუღეთო ჭო, რატომ ათენეთ, ბევრი ქალები იტყოდენ და...

-ტუტა ვადუღეთ ანავ, ტუტა, ტუტა

-ტუტა, საპონი არ იყო, ნაცარს ადუღებდენ,

ერთ რაცხა ქონს ურ... საქონლის ქონს ურევდენ...დათვის ქონს (შუახევი).

ენობრივ ფაქტებში ვლინდება სარწმუნოებრივი და ეროვნული იდენტობის არსებული მდგომარეობა. საინტერესოა იმის კვლევა, თუ საზოგადოების განვითარების რთულ გზაზე როგორ ყალიბდებოდა შესაბამისი ენობრივი აზროვნება; რა მდგომარეობაშია ის დღეს, როგორ აისახება არსებული პროცესები ენაში: ეთნიკური და სარწმუნოებრივი ცნებები და ტერმინები აღრეულია. „თურქეთის ქართველები საკუთარ ვინაობას ეთნონიმ „ქართველით“ გადმოსცემენ.“ აჭარაში მცხოვრებნი ქართველს ქრისტიანს უწოდებენ, საქართველო მათთვის ჰქვია საქრისტიანოს. დანარჩენ საქართველოშიც აღრეულია სარწმუნოების და ეროვნულობის ტერმინები, თურქებს ეძახდნენ გადასახლებულ ქართველებს რუსებიც. მოკლედ, „ეთნიკური ტერმინები: ქართველი, თურქი, თათარი, საქართველო გამოიყენება რელიგიური იდენტობის გამოსახატავად“ [19, 561].

მართალია, ქრისტიანობას თავისი მნიშვნელობა ამ რეგიონში არ დაუკარგია, ქრისტიანული რწმენა მოსახლეობაში მინავლებული სახით მაინც არსებობდა, ხალხი ინსტინქტურად, მექანიკურად ასრულებდა ამ ტრადიციებს, მათი მნიშვნელობა აღარ ესმოდა. ერთ-ერთი რესპონდენტი წერს:

„როდესაც ქრისტიანები თავის შვილებს უგორებენ კვერცხებსო, ჩვენებსო ეხალისებათო და ამიტომ, ამიტომ ვაკეთებ ამასო. და ისე, ისიც მჭადს რომ დააკრავდა, აუცილებლად ჯვარს დაახატავდა ზედ და ვეტყოდი, რომ რატომ ქენი აგი მეთქი და კარგად ტყდებო.

აი, ჭადს რო დააკრავდა ბებიაჩემი და ხელი მოიტანეო. ვაი, ცხელია- მეთქი. არა მოიტანეო და ასე გააკეთებდა ე! ჯვარი. ეს რაა ბებია, რა მეთქი და! შენ გეუბნები ასე ქენიო.

-რატომ გაკეთებინებდათ ასე? (ნ.ც.)

-ასე ყოფილა. მე დედაჩემს რომ ვუთხარი, დედაჩემმა თქვა ბებიაჩემიც ასე აკეთებდაო, ბებიას რომ ვკითხო, იმანაც თქვა ჩემი ბებიაც ასე აკეთებდაო, ე. ი. ქრისტიანები ვყოფილვართ ხომ? (ნურიე ნარაკიძე-ხარჩენკო, 82 წლის).

წინააღმდეგობრივი ეპოქის შესახებ მეტად საინტერესოდ საუბრობს ქობულეთელი რესპონდენტი მზია წულუკიძე. ის კომუნისტის ოჯახში დაიბადა, სახლში ჰყავდა ბებია. ის იყო ხუთი ვახტის მლოცავ-მკითხავი ქალი, რომელსაც ბოლომდე გააზრებული არ ჰქონდა, ქრისტიანი იყო თუ მუსლიმანი. როდესაც მოვიდოდა აღდგომა, კვერცხს აუცილებლად შეღებავდა და ასე იტყოდა. რომ მე პატარა ბავშვები მყავს გარდაცვლილი და როდესაცო ქრისტიანები თავის შვილებს უგორებენ კვერცხებსო, ჩვენებსო ეხალისებათო და ამიტომ,

ამიტომ ვაკეთებ ამასო. ...მჭადს რომ დააკრავდა, აუცილებლად ჯვარს დაახატავდა ზედ და ვეტყვოდი, რომ რატომ ქენი აგი მეთქი და კარგად ტყდებო. მე მაინც ვფიქრობ, რომ ეს მასში ჩადებული იყო მისი წინაპრებიდან. მისი ძალიან ბევრი ლოცვა ასე იწყებოდა: -სახელითა, მამისათა ძისათა. წმინდისათა, თუმცა რომ გეთქვა, რომ ეს ქრისტიანულიაო, არაო ეს ლოცვაო, დაგიმტკიცებდა (მზია წულუკიძე, 63 წლის).

- მას გააზრებული არ ჰქონდა, რომ ეს იყო შერეული ქრისტიანული და სჯერავდა, რომ ეს არის მუსლიმანური. არადა ეს იყო ბევრი რამ ქრისტიანული მის დროში. წითელას დროს, მაგალითად ბატონებს ეძახდა აუცილებლად ბებიაჩემი ფულს შემოავლებდა ბავშვებს, შემოავლებდა თუ იყო აუცილებელი შემთხვევა ის ეკლესიის დახმარებასაც არ გამოორიცხავდა. პატივისცემა ჰქონდა ნანგრევის მიმართაც, იტყოდა, რომ ეს ნასაყდრალია და აქ ცუდად არ მოიქცეთ, აქ ცუდი რამ არ გააკეთოთ.

- დედამთილს რელიგიური დღესასწაულები არასოდეს გაუშვია აუღნიშნავი. ყურბან ბაი-რამზე სთხოვდა მეუღლეს, რომ ყურბანი ეყიდა და აუცილებლად გაეკეთებია მსხვერპლშეწირვა და ხალვასაც აუცილებლად დაწვავდა მიცვალებულთა სულების მოსახსენიებლად. ხალვა, ეს იცოდა აუცილებლად.

ქრისტიანობა და მუსლიმანობა ჩემ დედამთილსაც თავისდაუნებურად ჰქონდა შერეული. თვალის ლოცვას, ავი ყბის იწყებდა ჩვეულებრივ სახელითა მამისათა ძისათა სულისა წმინდისათა. აუცილებლად გააკეთებდა წითელი ვაშლის ჯვარს, რომ მე ამასო თვალის აცილების ძალიან დიდი ძალა აქვსო. ამ ჯვარს ახლა სახლზეც საჩენ ადგილზე გააკეთებდა და იტყოდა ეს სათვალეაო, ანუ თვალიდან დაიცავს ოჯახსო. საქონელი როდესაც ყავდა, აუცილებლად საქონელსაც შეაბამდა რქებზე და მოითხოვდა, რომ ჩვენაც ახლა გვეტარებია ეს ჯვარი. ოღონდ გეთქვა ახლა, რომ ეს არის ქრისტიანულიო სასტიკ წინააღმდეგობას გაგიჩვენა: არაო, ეს არის თვალისო და თვალის მარიდებელიო (მზია წულუკიძე, 63 წლის).

არანაკლებ მტკივნეულია ის, რომ ნაწილი არცერთ სარწმუნოებას არ ემსახურება:

არც მილოცია, არც მიმარხია, არც მიკურთხია, არაფერი არ გიმიკეთებია. არც ახლა რამე, ჩადიან ქალები ეკლესიაში და რამე არ მაინტერესებს, არც ის მაინტერესებს და არც ის, არაფერი არ მაინტერესებს. სა დევკარგები არ ვიცი იმ ქვეყანას (ლ.თ.).

მეტად საინტერესოა ტოპონიმები, რომლებიც ქრისტიანული სარწმუნოების მოწმე არის: შუახევის რაიონის სოფ. უჩამბაში ადგილს ჰქვია ნაციმცემელი (ნათლისმცემელი), ღომის მთაზე ტრიალ მინდორს ჯვარი ეწოდება...

ამრიგად, ენისა და კულტურის დოკუმენტირებისთვის, ლინგვოკულტურო-ლოგიური კვლევებისთვის თანამედროვე პროგრამული პაკეტების: **FLEx-ისა და Elan-ის** გამოყენება მეტად მნიშვნელოვანია, რადგან მხოლოდ დოკულინგვისტიკის პრინციპების, დოკუმენტირების თანამედროვე სტანდარტის დანერგვით არის შესაძლებელი, რომ ენობრივი მონაცემები იქცეს ინტერდისციპლინურ რესურსებად. დიგიტალიზებული, ღია რესურსები სწრაფად მოპოვებადი, ხელმისაწვდომი, მრავალჯერადი და მრავალფუნქციური გამოყენებისაა. **ბალდარ-ის** ჟანრობრივად და შინაარსობრივად მდიდარი მასალები ღირებულია ლინგვოკულტურო-ლოგიის თვალსაზრისით. არქივი პერსპექტიულია დახვეწის, გაფართოების, მასალების გამრავალფეროვნების და მათი გადამოწმებადობის უნიკალური შესაძლებლობებით.

NEW HORIZONS OF LINGUISTICS

ADVANTAGES OF FLEX FOR LINGUOCULTURAL STUDIES

MZIA KHAKHUTAISHVILI

e-mail: mzia.khakhutaishvili@bsu.edu.ge

Batumi Shota Rustaveli State University

NANA TSETSKHLADZE

e-mail: nana.tsetskhladze@bsu.edu.ge

Batumi Shota Rustaveli State University

ABSTRACT:

It is analyzed in the article the issue that the methods and principles of resource extraction and processing have changed in the digital age. The linguocultural Digital Archive of Adjara, created within the framework of the joint scientific project "Linguocultural Digital Archive" (LinCuDiGi №DI 2016-4) of BSU and Goethe University of Frankfurt, contains unique materials for conducting Linguistic cultural studies, because the researched region is exceptional. For documenting language and culture, the use of modern software packages: Flex and Elan for Linguistic and Cultural studies is very important, because only by introducing the principles of DocuLinguistics, the modern standard of documentation, it is possible to turn Linguistic Data into interdisciplinary resources.

The advantage of FLEx and Elan is that the transcribed text is synchronized with the video image and audio signal. An interested person can see video material depicting a specific fact or event.

Various materials contain valuable information for linguocultural science: traditions, folk medicine, culinary recipes, religious beliefs, superstitions, paranormal events, folk holidays and rituals, samples of cultural and historical memory.

Digitized, open resources are quickly obtainable, accessible, reusable and multi-purpose. BaLDAR's genre-rich and content-rich materials are valuable from the point of view of linguistic and cultural studies. The archive is promising with unique opportunities for refinement, expansion, variety of materials and their verifiability.

KEYWORDS:

Digitization, digital archive, FLEx, linguistic and cultural studies.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. თანდაშვილი მ., ყამარაული, შესავალი დიგიტალურ ჰუმანიტარიაში, გამომცემლობა „ივერიონი“, თბილისი, 2021, 262 გვ.
2. Tandashvili M., Khalvashi R., Beridze Kh., Khakhutaishvili M., Tsetskhladze N., Batumi Linguacultural Digital Archive, International Journal of multilingual Education 2017-10 2017 (p52-68) <http://www.multilinguaeducation.org/en/article/37>
3. თანდაშვილი მ., ენის დიგიტალური დოკუმენტირება (შესავალი დოკულინ-გვისტიკაში), ბსუს გამომცემლობა, ბათუმი, 2016;
4. თანდაშვილი მ., ხალვაში რ., კახიანი გრ., ხახუტაიშვილი მ., პაპიაშვილი რ., ცეცხლაძე ნ., ენისა და კულტურის ელექტრონული დოკუმენტირების თანამედროვე ინსტრუმენტები, მეგზური, გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი. 2020 (72 გვ.) <https://bitly.ws/3fqNg>

5. Gippert J., Himmelmann N. P., & Mosel U. (Eds.). *Essentials of language documentation*. Berlin, Germany: Mouton de Gruyter. 2006
6. Dobrin L., Austin P., & Nathan, D. Dying to be counted: The commodification of endangered languages in documentary linguistics. *Language Documentation and Description*, 6. 2009, p. 37-52
7. Lehmann C. Data in linguistics. *Linguistic Review*, 21(3/4), 275–310. 2004.
www.folialinguistica.com/interlinearmorphemicglossing
8. Woodbury, A. C. Language documentation. In P. K. Austin & J. Sallabank (Eds.), *The Cambridge handbook of endangered languages* Cambridge, U.K. Cambridge University Press. 2011. (pp. 159-186).
9. ჩიქობავა არნ., ენათმეცნიერება, როგორც ინტეგრალური მეცნიერება ენის შესახებ//თანამედროვე ზოგადი და მათემატიკური ენათმეცნიერების საკითხები, II, თბილისი, 1967;
10. ჯორბენაძე ბ., ენა და კულტურა, გამომცემლობა „ქართული ენა“, თბილისი, 1997
11. ოშიაძე ს., ქართული დისკურსის ლინგვოკულტურულ შემადგენელთა სტრუქტურა, სემანტიკა და ფუნქციონირება, სადისერტაციო ნაშრომი, თბილისი, 2006;
12. Tandaschwili M., Khalvashi R., Kakhiani Gr., Khakhutashvili M., Tsetskhladze N., Modern Program Packages (FLEx and Elan) of the Language Data Management and the Prospects of Their Usage, *International Journal of Multilingual Education*. # 16, 2020 www.multilingualeducation.org
13. ხახუტაიშვილი მ., ცეცხლაძე ნ., რამდენიმე იშვიათი ლექსიკური ერთეული (გოგა, ბრელო, საჩახი, ლენჩბერი, სარნა) ლინგვოკულტუროლოგიური დიგიტალური არქივის მასალების მიხედვით, XL რესპუბლიკური დიალექტოლოგიური სამეცნიერო სესიის მასალები, თბილისი, 2020, გვ.218-227;
14. ქართველი ხალხის ეთნოლოგიური ლექსიკონი, ბსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, ქართველოლოგიის კვლევის ცენტრი, ბათუმი, 2019;
15. ორბელიანი სულხან-საბა, ლექსიკონი ქართული (ე. მეტრეველი, ც. ქურციკიძე, რედ.), გამომცემლობა „მერანი“, თბილისი, 1991;
16. ნოლაიდელი ნ., ლექსიკური ძიებანი, აჭარული დიალექტის ლექსიკური მასალების მიხედვით, გამომცემლობა „ბათუმის უნივერსიტეტი“ ბათუმი, 2013;
17. ნოლაიდელი ნ., სიტყვა სიტყვის მაკინარია, აჭარული დიალექტის დარგობრივი ლექსიკა IX. გამომცემლობა „ბათუმის უნივერსიტეტი“ ბათუმი, 2007;
18. კახაძე ო., პურელის ლექსიკა ქართულში, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 1987, 117 გვ.;
19. ხახუტაიშვილი მ., ცეცხლაძე ნ., სარწმუნოებრივი იდენტობის ლინგვოკულ-ტუროლოგიური ასპექტები, ჟურნალი „ენა და კულტურა“ V. გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2019 გვ.552-561.

ლინგვისტიკის ახალი კორიზონტები

რელიგიონიშემის უმცველი ფრაზეოლოგიური ერთეულების სტრუქტურულ-გრამატიკული ანალიზი (რუსული და ქართული ენების მასალაზე)

სოფიო მჟავია

ელ-ფოსტა: sophio.mzhavia@atsu.edu.ge

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ფილოლოგიის დოქტორი

აბსტრაქტი:

ნაშრომში ფრაზეოლოგიური ერთეულები განხილულია მათი სტრუქტურულ-გრამატიკული თვალსაზრისით. გაანალიზებულია რუსულ და ქართულ ენებში შემავალი პრედიკატული და არაპრედიკატული სატყვათშეთანხმებები, მათი ჯგუფები და ფრაზეოლოგიური ერთეულების ტიპები.

საკვანძო სიტყვები:

ფრაზეოლოგიური ერთეულები, პრედიკატული, არაპრედიკატული, სიტყვათშეთანხმება

რელიგიონიშემის უმცველი ფრაზეოლოგიური ერთეულები რუსულ და ქართულ ენებში სტრუქტურულ-გრამატიკული თვალსაზრისით მრავალფეროვანია. ისინი პრედიკატული და არაპრედიკატული სიტყვათშეთანხმებების მოდელბითაა აგებული.

პრედიკატულ სიტყვათშეთანხმებათა მოდელით ფრაზეოლოგიზმების შედარებით მცირერიცხოვანი ჯგუფია წარმოებული. ასეთი ფრაზეოლოგიური ერთეულებია, მაგალითად:

- *бог его знает, душа ушла в пятки, сам бог послал, аллах знает, одному аллаху известно, бес меня [тебя, его, ее, нас, вас, их] дёрнул, бог миловал, бог на душу положит (кому);*
- *ანგელოზმა ჩამოიარა, ალაჰმა უწყის, ეშმაკი შეაჯდა, ეშმაკს არ სძინავს, ეშმაკს თვალი (სახე) არ უჩანს, აირია მონასტერი, სული კბილით მიჭირავს (უჭირავს), სული ხორცში აღარ ეტევა, სულმა წამძლია (წაგძლია, წასძლია), უფალმა მიიღო, ერთმა ღმერთმა იცის, რატომ ღმერთი არ გაიცინებს?!, ღმერთი გამიწყრა, ღმერთი გიწყენს, ღმერთმა ქნას, ღმერთმა ნუ ქნას, ღმერთმა რაღა ჩვენზე მოიცალა?, ღმერთმა უწყის, ღმერთს მართალი უყვარს და სხვ.*

პრედიკატულ სიტყვათშეთანხმებათა მოდელით წარმოებული ფრაზეოლოგიზმების ჯგუფში ერთიანდება აგრეთვე ფრაზეოლოგიური ერთეულები, რომლებიც უპირო წინადადებების მოდელითაა აგებული:

- *всем чертям тошно; как будет угодно Богу; ясно, как Божий день;*
- *ღმერთსაც კი გაეცინება.*

ამ ჯგუფს უნდა მივაკუთვნოთ აგრეთვე ერთეულები, რომლებიც შეიცავენ მიმართვას:

- *слава те Господи, Господи помилуй, Боже мой, не приведи [не дай] бог [господь];*
- *ღმერთო, შენ იცი ახლა; ღმერთო, შენ ხედავ.*

არაპრედიკატული მყარი შესიტყვებები საკმაოდ მრავალრიცხოვანი და, თავისი შემადგენლობის მიხედვით, არაერთგვაროვანი გჯუფია. მათში შემავალი კომპონენტები სხვადასხვა

მეტყველების ნაწილებითაა წარმოდგენილი. კერძოდ, ამ თვალსაზრისით, შეიძლება გამოვყოთ ფრაზეოლოგიური ერთეულების შემდეგი ტიპები:

1) ფრაზეოლოგიური ერთეულები, რომლებიც აგებულია მოდელით „ზედსართავი სახელი + არსებითი სახელი“. ამ ტიპის ფრაზეოლოგიზმებს მიეკუთვნება:

- *ад крошечный, божья коровка, божий свет, хлеб насущный, царствие небесное, Фома неверный, святая простота;*
- *ურწმუნო თომა, წმიდა მოციქული, სადეკანოზო წვერი, სალოცავი ხატი, ღვთისსული ადამიანი, ღვთისნიერი ადამიანი.*

ეს ჯგუფი ორივე ენაში საკმაოდ მრავალრიცხოვანია, თუმცა რუსულში ასეთი მოდელის ფრაზეოლოგიზმები მეტია, დაახლოებით 30%, ხოლო ქართულში მათი რაოდენობა ნაკლებია - 20%-მდე. ეს ვითარება, როგორც ფრაზეოლოგიური ერთეულების ანალიზი აჩვენებს, ძირითადად, ერთი ტიპის განსხვავებითაა გამოწვეული, კერძოდ, იმით, რომ ქართულ ენაში, ობიექტისა და მისი კუთვნილებითი ატრიბუტიული მნიშვნელობის გამოხატვის თვალსაზრისით, უფრო პროდუქტიულია მოდელი: „არსებითი სახელი ნათ. ბრ. + არსებითი სახელი სახ. ბრ.“ (მაგალითად, *ღვთის ნისანი, ღვთის კაცი, ღვთის მონა, ღვთის გლახა, ღვთის წყრომა, ღვთის რისხვა* და ა.შ.). რუსულ ენაში ანალოგიური მნიშვნელობის გადმოსაცემად ინტენსიურად გამოიყენება მოდელი: „ზედსართავი სახელი + არსებითი სახელი. შევადაროთ: *раб божий - ღვთის მონა, божий суд - ღვთის რისხვა* და სხვ. ამ ჯგუფის ზოგიერთი ერთეული მხოლოდ მხოლოდობით რიცხვში გამოიყენება: *ад крошечный, божий свет, хлеб насущный, царствие небесное; ღვთის წყრომა, ღვთის რისხვა* და სხვ.

2) ფრაზეოლოგიური ერთეულები, რომლებიც აგებულია მოდელით „ზმნა + არსებითი სახელი“. ამ ტიპის ფრაზეოლოგიზმები, პირიქით, ქართულ ენაში მეტია, ვიდრე რუსულში; ქართულში ისინი დაახლოებით 35 %-ს, რუსულში კი - 20%- ს შეადგენენ. მაგალითად:

- *молить бога, греха таить, болеть душой, беречь душу, войти в душу, воспринять духом, поставить крест, кривить душой;*
- *ანგელოზის შემოსვლა, ანგელოზების დაფრთხობა, აღდგომის გათენება, პირჯვრის გადაწერინება, სატანის განგდება, სახარების წაკითხვა, სახარების დაბერტყვა, სულის ამოსვლა, სულის ამღვრევა, სულის შთაბერვა* და სხვ.

ამ ჯგუფში ერთიანდება აგრეთვე ფრაზეოლოგიური ერთეულები, რომლებიც ზმნისა და არსებითი სახელის გარდა, შეიცავენ წინდებულს, ანუ აგებული არიან მოდელით: „ზმნა + არსებითი სახელის წინდებულისანი ფორმა“ (რუსულ ენაში):

- *ангел во плоти, заглядывать в душу, вводить в грех, подвести под монастырь, полагаться на бога, собираться с духом, хватать за душу, дышать на ладан* და ა.შ.

ქართულ ენაში გვხვდება მსგავსი მოდელით წარმოებული ფრაზეოლოგიური ერთეულები: „ზმნა + არსებითი სახელის თანდებულისანი ფორმა“, მაგალითად:

- *სულში ჩაძვრენა, სულზე მიგდება, სულზე მისრება, სულამდი ჩამაღწია, სანთლით ეძებს, სანთელს გააქრობს.*

ქართულში გვხვდება აგრეთვე ფრაზეოლოგიზმები, რომლებიც წარმოებულია მოდელით „ზმნა + არსებითი სახელი + არსებითი სახელი“, რომლებიც შეიცავენ მაერთებელ კავშირს და: *სულისა და გულის დაკეტვა, სულისა და ხორცის გაყრა, სულისა და გულის გადაშლა, ჯვარსა და ხატზე დაფიცება* და სხვ.

სოფიო მკაცრია

ამ ჯგუფის ზოგიერთ ფრაზეოლოგიურ ერთეულში შემავალი არსებითი სახელს ახლავს დამოკიდებული სიტყვები, რომელთა არსებობა / არსებობა ფრაზეოლოგიზმის შემადგენლობაში ხშირად ვარიანტულია. მაგალითად:

- *всплывать на свет божий, выступать на свет божий, отдавать богу душу, смотреть со своей колокольни, звонить во все колокола, вытянуть (всю) душу, вымотать (всю) душу, загубить (свою) душу поставить большой, жирный крест, портить (всю) обедню;*
- *სულის საქმეზე დადგომა, ქრისტეს წვალების აღებინება, ღვთის უბეში ყოფნა, ჯოჯოხეთის ცეცხლის დანთება და სხვ.*

ორივე ენაში გვხვდება აგრეთვე ფრაზეოლოგიური ერთეულები, რომლებიც შეიცავენ ზმნის დამოკიდებულ სიტყვებს, მაგალითად:

- *осенять себя крестом, брать грех на совесть, разводить вавилоны языком, принимать грех на душу, без мыла в душу лезть, закрывать душу на замок;*
- *განგდება (გულიდან) სატანისა, ეშმაკის შეჯდომა (გვერდებში), გულში ეშმაკის შემეება, ეშმაკის გზას გამოკიდება, სათლითაც ვერსად იპოვნის, მიაბარა სული უფალს, სულამდე ხელის ჩამოწვენა...*

3) ფრაზეოლოგიური ერთეულები, რომლებიც აგებულია მოდელით „არსებითი სახელი სახელობით ბრუნვაში + არსებითი სახელის ნათესაობითი ბრუნვის ფორმა“, რომლებიც ქართულ ენაში გაცილებით მეტი გვხვდება, მაგალითად:

- *აბრამის ბატკანი, აბრამის ტაბლა, ადამის ქამი, ადამის შვილი, ადგომის კვერცხი, ევას თესლი, ევას ჩამომავლობა, ეშმაკის ფეხი, იუდას კერძი, საოთხის გასაღები, ქრისტეს ადამიანი, ღვთის გლაზა, ღვთის კალთა და ა.შ.*

რუსულ ფრაზეოლოგიზმებში ანალოგიური მნიშვნელობა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, უმეტეს შემთხვევაში გამოიხატება მოდელით „ზედსართავი სახელი + არსებითი სახელი“. ამ გრამატიკული სტრუქტურის მქონე ფრაზეოლოგიზმებია, მაგალითად: присутствие духа, расположение духа.

რუსულ ენაში ფიქსირდება ფრაზეოლოგიური ერთეულების მცირერიცხოვანი ჯგუფი, რომლებიც აგებულია მოდელით „არსებითი სახელი სახელობით ბრუნვაში + არსებითი სახელის (ან ნაცვალსახელის) თანდებულის ფორმა“. მაგალითად: *ангел во плоти, чёрт с рогами.*

განხილული გრამატიკული სტრუქტურის მქონე ფრაზეოლოგიზმების გარდა, გვხვდება ერთეულები, რომლებიც წარმოებულია არაპროდუქტიული მოდელებით:

- „არსებითი სახელი + მიმღობა“: *богом обиженный, богом убитый, падший ангел; мфარველი ანგელოზი.* ასეთი სტრუქტურა შეიძლება შეიცავდეს დამატებით არსებით სახელს, მაგალითად: *ქრისტეს სისხლის მსმელი, ქრისტეს პირიდან გადავარდნილი, ღვთის პირისგან შეჩვენებული, ციდან ჩამოსული ანგელოზი;*
- „ერთი ან მეტი არსებითი სახელი + ერთი ან მეტი ნაცვალსახელი“: *бог мой; შენი სულისა, მე და ჩემმა ღმერთმა, ჩემი წილი ღმერთი და სხვ.*

რუსულ ენაში:

- „რიცხვითი სახელი + არსებითი სახელი“ (один бог, один чёрт);
- „წინდებული + ზედსართავი სახელი + არსებითი სახელი“ (к чёртовой бабушке, в божеский вид);
- „არსებითი სახელი + აბსოლუტივი (благодаря бога);

ქართულ ენაში:

- „არსებითი სახელი სახელობით ბრუნვაში + არსებითი სახელი სახელობით ბრუნვაში“:
ღმერთი, რჯული!

რელიგიონიზმის შემცველი ფრაზეოლოგიური ერთეულების სტრუქტურის ანალიზმა აჩვენა, რომ ყველაზე პროდუქტიული ამ ერთეულებისთვის ორივე ენაში არის მოდელები „ზმნა + არსებითი სახელი“, „არსებითი სახელი + ზედსართავი სახელი“, თუმცა ამ უკანასკნელით წარმოებული ფრაზეოლოგიზმები რუსულში გაცილებით მეტია, ვიდრე ქართულში. ქართულ ენაში აგრეთვე დიდი სიხშირით გვხვდება მოდელი „არსებითი სახელი ნათ. ბრ. + არსებითი სახელი სახ. ბრ.“.

ფრაზეოლოგიური ერთეულების დაახლოებით 10-12% წარმოებულია პრედიკატიული სიტყვათშეთანხმებების მოდელით. რელიგიონიზმის შემცველი ფრაზეოლოგიზმების ნაწილის თავისებურებას წარმოადგენს მათ სტრუქტურაში მიმართვის არსებობა.

NEW HORIZONS OF LINGUISTICS

STRUCTURAL-GRAMMATICAL ANALYSIS OF PHRASEOLOGICAL UNITS CONTAINING RELIGIOUS NAMES (ON THE MATERIAL OF RUSSIAN AND GEORGIAN LANGUAGES)

SOPHIO MZHAVIA

e-mail: sophio.mzhavia@atsu.edu.ge

Akaki Tsereteli State University, Doctor of Philology

ABSTRACT

In the article, phraseological units are discussed from their structural-grammatical point of view. Predicate and non-predicate word agreements included in Russian and Georgian languages, their groups and types of phraseological units are analyzed.

KEYWORDS:

Phraseological units, predicate, non-predicate, word agreement

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ქუკოვი 1986: Жуков В.П. Русская фразеология. – М.: Высшая школа, 1986. – 309 с.
2. კუნინი 2005: Кунин А.В. Курс фразеологии современного английского языка: Уч. пос. для ин-тов и фак. иностр. яз.– 3-е изд., стереотип. – Дубна: Феникс+, 2005. – 488 с.
3. ლობჯანიძე 2012: ლობჯანიძე ი. იდიომების სტრუქტურა და სემანტიკა ქართულში (შედარებით-შეპირისპირებითი ანალიზი: ინგლისური, ახალი ბერძნული და რუსული ენების მასალის საფუძველზე). დის. ფილ. დოქტ. სამ. ხარისხის მოსაპოვებლად. -თბილისი. 2012.
4. თელია 1996: Телия В.Н. Русская фразеология. Семантический, прагматический и лингвокультурологический аспекты. – М.: Школа «Языки русской культуры», 1996. – 288 с.

ლიბევისტიკის ხალხი კონიუნტები

ПОЛИСЕМИЧНОСТЬ ВОПРОСА В ПРАГМАТИЧЕСКИХ СИТУАЦИЯХ

АСМАТ АРДЗЕНАДЗЕ

e-mail: asmatardzenadze@bsu.edu.ge

Батумский Государственный Университет им. Шота Руставели

АННОТАЦИЯ:

В статье исследуется вопрос в русле структурного подхода, что продемонстрировало интересную закономерность. Несмотря на разнообразие типов вопросительности в прямых речевых актах, когда вопросительная форма соотносится с вопросительными иллокутивными целями, широкое распространение в дискурсе приобрело именно использование вопросительных конструкций в косвенных речевых актах с целью выражения невопросительных иллокутивных целей.

Подобная тактика речевого поведения ориентируется на конкретные условия прагматической ситуации, обычно объясняется желанием адресанта не ставить своего собеседника в неловкое положение прямо выраженной просьбой, запретом и пр. Способы подобного оформления высказываний шлифовались на протяжении длительного периода развития языка, не удивительно, что в речевом этикете так много просьб, выраженных в вопросительной форме, не говоря уже о контактоустанавливающих репликах.

КЛЮЧЕВЫЕ СЛОВА:

вопросительность, прямые и косвенные речевые акты, иллокутивная сила вопроса, прагматическая ситуация, полисемичность вопросительных высказываний.

Универсальность вопросительности как понятийной категории подтверждается тем, что она свойственна большинству языков мира, причем понятийные категории различных типов и сфер обнаруживают многообразные пересечения и взаимосвязи, как в синтагматике, так и в парадигматике.

В разработке учения о понятийных категориях в языкознании важную роль сыграли труды О.Есперсена, который и ввел термин «понятийная категория» в 1924 году. Сложная природа исследуемого феномена привела к тому, что понятийные категории в разных исследованиях называли также философскими или логическими категориями (в рациональных грамматиках XVII – XIX веков), психологическими (в работах XIX – начала XX веков, например, у Г.Пауля), онтологическими, когнитивными, концептуальными, семантическими, мыслительными, речемыслительными (Кацнельсон) [7, с. 385].

Относясь к уровню мыслительного содержания, понятийные категории вырабатывают в каждом конкретном языке определенные языковые средства выражения. В концепции А.В.Бондарко они подразделяются на универсальный фундаментальный базис и систему понятийных категорий конкретного языка, что же касается уровня языкового выражения, то он обусловлен системой конкретного языка [2, с. 24].

Классификация понятийных категорий проводится на разных основаниях, но прежде всего различаются системный и структурный аспекты их изучения. При системном подходе они рассматриваются в парадигматическом аспекте, то есть с точки зрения их роли в формировании

определенных понятийных полей и семантических оппозиций. При структурном подходе к классификации понятийных категорий они рассматриваются в синтагматическом аспекте, то есть с точки зрения их роли в формировании семантической структуры высказывания и текста. Мыслительное содержание, охватываемое понятийной категорией, многослойно; оно включает, по мнению С.Д.Кацнельсона, как минимум два слоя информации – внешнеситуационный (называемый также денотативным, референтным, когнитивным) и прагматический (называемый также субъективным, модальным, иллокутивным, коммуникативным). Внешнеситуационное содержание охватывает отражаемый факт, событие с его предметными отношениями и устроено как пропозиция, имеющая предикатно-аргументную структуру. Прагматическое же содержание отражает соотношенность отражаемого факта с данным речевым актом и его компонентами – участниками коммуникации, временем и местом протекания речевого акта [5, с. 52].

Мы исследовали вопрос в русле структурного подхода, что продемонстрировало интересную закономерность. Несмотря на разнообразие типов вопросительности в прямых речевых актах, когда вопросительная форма соотносится с вопросительными иллокутивными целями, широкое распространение в дискурсе приобрело именно использование вопросительных конструкций в косвенных речевых актах с целью выражения невопросительных иллокутивных целей. Подобная тактика речевого поведения ориентируется на конкретные условия прагматической ситуации, обычно объясняется желанием адресанта не ставить своего собеседника в неловкое положение прямо выраженной просьбой, запретом и пр. Способы подобного оформления высказываний шлифовались на протяжении длительного периода развития языка, не удивительно, что в речевой этикете так много просьб, выраженных в вопросительной форме, не говоря уже о контактоустанавливающих репликах.

Большинство понятийных категорий характеризуется «полевой структурой», что позволяет очень наглядно представить себе ядро (центральную часть) вопросительности как понятийной категории: специфику вопросительности составляет сема, провоцирующая собеседника адресанта на выдачу информации, она тесно взаимосвязана с фатической, то есть контактоустанавливающей семой, и с семой ожидания информации. В грузинском и русском дискурсах ядро вопросительности составляют вопросительные предложения в прямых речевых актах, когда форма (означающее) совпадает с содержанием (означаемым). Именно в предложениях типа **Кто сегодня дежурит?** (произнесенном в очереди в детском отделении поликлиники) проявляются все выше перечисленные семы: провоцирование говорящим адресата на выдачу требуемой информации, контактоустанавливающая сема (на вопрос, обращенный не к конкретному лицу, а ко всей очереди, откликнется только человек, желающий вступить в контакт), ожидание информации, ибо от этого зависит, будет говорящий ждать своей очереди, или же он не хочет консультироваться у дежурящего в тот день педиатра.

Периферия представляет собой отклонения от ядерных моделей. Если центр – это типовые для данной категории формы, то периферия включает промежуточные формы и значения между анализируемой категорией и другими, соседними с нею категориями. Но, отмечает В.Г.Гак, в процессе развития языка одни элементы могут переходить из центра на периферию и наоборот [3, с. 143].

В дискурсе, в процессе функционирования наблюдается асимметрия между центром и периферией. По мнению С.Карцевского, асимметрия в языке (от греч. *Asymmetria* – несоразмерность, беспорядочность) – отступление от упорядоченности, регулярности,

единообразия в строении и функционировании языковых единиц, отражающее одну из основных особенностей строения и функционирования естественного языка [4, с.78].

Асимметрия проявляется в двух феноменах: в различении центра (ядра) и периферии и в расхождении между означаемым и означающим. По мнению В.Г.Гака, различение ядра и периферии является языковой универсалией, которая в категориально-семантическом аспекте проявляется в том, что в центре представлены типовые для данной категории формы и значения, периферия же - это промежуточные формы и значения между данной категорией и другими [3, с.142].

Асимметрия в соотношении означаемого и означающего проявляется в сфере системы, структуры и функционирования. Асимметрия системы заключается в неравномерном развитии ее сопоставимых звеньев. Асимметрия структуры проявляется в нарушении взаимодозначного соотношения между означаемым и означающим. В парадигматическом плане это приводит к образованию полисемии, синонимии, омонимии, синкретизма. Синкретизм - очень распространенный вид структурной асимметрии, но факторы, обуславливающие и сопровождающие акт речи снимают асимметрию и не создают трудности при общении. В синтагматическом аспекте планы выражения и содержания членятся непараллельно: с одной стороны, возникают аналитические образования, когда ряд означающих соотносится с одним означаемым, с другой стороны - несколько означаемых совмещаются в одном означающем.

Весьма интересной разновидностью асимметрии является асимметрия в семиотическом аспекте, когда отсутствует означающее (нулевая единица, эллипсис). Данная разновидность семиотической асимметрии, естественно, редка, но есть случаи, когда при полном отсутствии вербальных средств человек выражает вопрос и даже получает ответ. Известен случай, когда после окончания работы над своим романом «Отверженные» Гюго так нервничал, что послал своему редактору рукопись романа, сопроводив ее письмом, состоящим из одного лишь вопросительного знака, как бы спрашивая:

Ну что, как вы оцените сей роман?

Несмотря на отсутствие вербально выраженной информации, общение состоялось. Редактор, обладающий чувством юмора, ответил на невысказанный вопрос великого писателя письмом, в котором было три восклицательных знака, что означала:

Прекрасно, замечательно! [8, с. 37]

Естественно, подобный пример коммуникации - большая редкость, но в дискурсе часто встречаются ситуации, когда молчание заменяет реплику в диалогическом единстве, обычно, это ответные реплики, но есть случаи употребления и так называемых **нулевых вопросов**, когда вопрос вытекает из прагматической ситуации, поэтому адресат не дожидаясь его озвучивания, уже отвечает на него. В определенных ситуациях полноценной «заменой» вопросительного высказывания является удивленно поднятая вверх бровь, или же выразительный взгляд. Недаром в существует выражение **Спросить глазами**. Подобные нулевые реплики встречаются и в художественной литературе.

Так в стихотворениях Владимира Высоцкого часто эллиптируются целые реплики диалогических единств, что свидетельствует об информативной ценности молчания (нулевая реплика в дискурсе, когда дискурс ожидается и его отсутствие имеет определенное значение, так называемое «значимое отсутствие») [6, с. 49].

В стихотворении «Я все вопросы освещу сполна» поэт не просто прибегает к эллипсису, который весьма характерен для его сжатых, лаконичных высказываний, он опускает

вопросительные реплики диалогического единства, которые часто повторялись в разных аудиториях:

Я все вопросы освещу сполна -
 Дам любопытству удовлетворенье!
 Да, у меня француженка жена,
 Но русского она происхождения.
 Нет, у меня сейчас любовниц нет... [9].

<https://www.culture.ru/poems/19861/ya-vse-voprosy-osveshu-spolna>

Большинство вопросов дано имплицитно, они подразумеваются, но столь очевидны, что легко восстанавливаются по ответным репликам. Даже тогда, когда по форме стихотворение представляет собой монолог (например, “Я не люблю...”), этот монолог является весьма эмоциональным ответом поэта на невысказанный (или прозвучавший в другой аудитории, в другое время) вопрос слушателей. И поэту очень важно знать ответ своих “корреспондентов”, своих “единомышленников”, даже если он вербально не выражен, а проявляется в особой доверительной атмосфере [1, с.16].

Помимо системной и структурной асимметрии в дискурсе встречается асимметрия функциональная, которая проявляется в возможности выразить в речи одно и то же содержание разными формами или использовать одну и ту же единицу языка для выражения различного содержания [3, с.143].

Анализ вышеприведенных вопросительных высказываний продемонстрировал их полисемичность в различных прагматических ситуациях.

NEW HORIZONS OF LINGUISTICS

POLYSEMY OF READING IN PRAGMATIC SITUATIONS

ASMAT ARDZENADZE

e-mail: asmat.ardzenadze@bsu.edu.ge

Batumi State University named after. Shota Rustaveli

ABSTRACT:

We explored reading in a pragmatic aspect, which led us to some interesting conclusions. Despite the diversity of the expression of questions in direct speech acts, where the question form corresponds to the illocutionary purpose of the question, the use of question constructions in indirect speech acts, where non-question illocutionary purposes are often expressed, is widespread in the discourse.

Such tactics of speech behavior are directed towards a specific pragmatic situation, which is usually explained by the addressee's desire not to put the interlocutor in an awkward position with a categorical request, prohibition, etc. Such expressions were formed during a long period of language development.

KEYWORDS:

interrogativeness, direct and indirect speech acts, illocutionary force of a question, pragmatic situation, polysemy of interrogative statements.

Использованная литература:

1. Арошидзе М.В. Актуализаторы текстовой информации в стихотворениях Высоцкого. Славистика в Грузии. №3. 2002.
2. Бондарко А.В. Функциональная грамматика. Ленинград. 1984.
3. Гак В.Г. Об использовании идеи симметрии в языкознании. В кн.: Лексическая и грамматическая семантика романских языков. Калинин. 1980.
4. Карцевский С. Об асимметричном дуализме лингвистического знака. В кн.: Звегинцев В.А. История языкознания XIX – XX веков в очерках и извлечениях. Москва. 1965.
5. Кацнельсон С.Д. Историко-грамматические исследования. Ленинград. 1949.
6. Кибрик А.Е., Бергельсон М.Б. Прагматический принцип приоритета и его отражение в грамматике языка. Известия Академии наук СССР. ЛиЯ, том 40, №4. Москва. 1981.
7. Лингвистический энциклопедический словарь. М., 1990.
8. Одинцов В.В. Стилистика текста. Москва. 1980.
9. <https://www.culture.ru/poems/19861/ya-vse-voprosy-osveshu-spolna>

ლინგვისტიკის ახალი კორიზონტები

ენობრივი სიტუაციის და კანონმდებლობის ურთიერთმიმართების ზოგიერთი საკითხი საქართველოში

თემურ ავალიანი

ელ-ფოსტა: temuravaliani@bsu.edu.ge

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
ასოცირებული პროფესორი ენათმეცნიერების მიმართულებით

აბსტრაქტი:

ქვეყნის ენობრივი პოლიტიკა, როგორც წესი, მაქსიმალურად უნდა ეყრდნობოდეს რეალურ ენობრივ სიტუაციას, რათა რაც შეიძლება სამართლიანად დაარეგულიროს ის. ენობრივი საკითხების დარეგულირება უნდა ხორციელდებოდეს მთლიანი მოსახლეობის (მრავალენოვანი, მრავალენოვანი) ინტერესებიდან გამომდინარე, წინააღმდეგ შემთხვევაში ის არ მიიღებს ამ რეფორმას და ხელისუფლების ყველა მცდელობა ფუჭად ჩაითვლება. შესაბამისად, ენობრივი პოლიტიკის ობიექტურობასა და სამართლიანობაზე საუბრისას დაუშვებელია გვერდის ავლა იმაზე, თუ რამდენად ობიექტურად ასახავს ქვეყნის კანონმდებლობა რეალურ ენობრივ სიტუაციას. აღნიშნულიდან გამომდინარე, მოცემულ ნაშრომში ქართული ენობრივი პოლიტიკა განხილულია არა სახელმწიფო ენის ფუნქციონირების პოზიციიდან, არამედ სწორედ იმ კუთხით, თუ რამდენად ობიექტურად ასახავს ქართული კანონმდებლობა ქვეყნის რეალურ ენობრივ სიტუაციას და რამდენად ითვალისწინებს მას.

საკვანძო სიტყვები:

ენობრივი სიტუაცია, ენობრივი პოლიტიკა, სახელმწიფო ენა, უცხოური ენა, უმცირესობის ენა.

ენობრივი პოლიტიკის ანალიზისას უმეტეს შემთხვევაში ამოდიან სახელმწიფო ენის ინტერესებიდან, რის გამოც ხშირად ყურადღების მიღმა რჩება რეალურ მრავალენოვან და მრავალფეროვან ენობრივ სიტუაციაში სხვა ენათა სტატუსთან თუ ფუნქციონირებასთან დაკავშირებული საკითხები. ამავე დროს, უაღრესად მნიშვნელოვანია ისიც, თუ ქვეყნის ფარგლებში სახელმწიფო ენის გარდა სოციალური ცხოვრების რომელ სფეროებში გამოიყენება სხვა ენები, როგორია მათი ურთიერთმიმართება სტატუსისა და ფუნქციური გადანაწილების თვალსაზრისით, რომელია სხვადასხვა ეთნიკურ ჯგუფებს შორის ურთიერთობის ძირითადი (თუმცა არაოფიციალური) საშუალება, რომელი ენები იხმარება რელიგიური, საოჯახო თუ ყოფითი ურთიერთობის ენების ფუნქციით და ა.შ. (გაბუნია და სხვა, 2010: 3-4).

დემოკრატიული საზოგადოების ერთ-ერთი მთავარი მარკერი არის არა მხოლოდ ის, რომ „მისი სახელმწიფო ენა არის დაფასებული, რომ ხდება სახელმწიფო ენის სტანდარტიზაცია, რომ ხდება მისი ნორმალიზება, რომ სახელმწიფო ხელს უწყობს ნორმირებული ენის გავრცელებას მთელი ქვეყნის ტერიტორიაზე, რომ იგი არის სწავლების ენა, მეცნიერების ენა, კულტურის ენა და ა.შ., არამედ ისიც, თუ რა მდგომარეობაშია ეროვნული უმცირესობების ენები, ხომ არ არის რაიმე ტიპის ენობრივი კონფლიქტები, წარმოქმნილი სწორედ ენობრივი იერარქიის ფარგლებში“ (ბოლქვაძე, 2022) და ა.შ.

თემაურ აკალიანი

აღნიშნულიდან გამომდინარე, წინამდებარე ნაშრომში მიზნად დავისახეთ ქართულ ენობრივი პოლიტიკისთვის შეგვეხედა არა მხოლოდ სახელმწიფო ენის ინტერესებიდან, არამედ სწორედ ქართული კანონმდებლობის ქვეყნის რეალურ ენობრივ სიტუაციასთან შესაბამისობის კუთხითაც. მარტივად რომ ვთქვათ, მთავარი კითხვა, რაც დავსვით მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში, ასეთია: რამდენად ობიექტურად ახერხებს ქართული ენობრივი პოლიტიკა სახელმწიფო ენის ინტერესების დაცვის მაქსიმალურად შეთავსებას ქვეყნის რეალურ ენობრივ სიტუაციასთან ისე, რომ არცერთი მათგანის ინტერესები არ იქნეს შელახული. მაშასადამე, გარკვეულწილად ეს არის ანალიზი იმისა, თუ რამდენად არის შესაბამისობაში ეს პოლიტიკა „ეროვნულ უმცირესობათა დაცვის შესახებ“ სტრასბურგის 1995 წლის ჩარჩო კონვენციასთან, რომელსაც საქართველო შეერთებულია 2006 წლიდან. საუბარია კონვენციის მე-5, მე-9, მე-10, მე-11, მე-12, მე-13 და მე-14 მუხლებზე, რომელთა მიხედვითაც, პირებს, რომლებიც ქვეყანაში მიეკუთვნებიან ეროვნულ უმცირესობას, აქვთ შემდეგი უფლებები:

- ჰქონდეთ პირობები მოცემული ეროვნული უმცირესობის თვითმყოფადობის ძირითადი ელემენტების, კერძოდ, რელიგიის, ენის, ტრადიციებისა და კულტურული მემკვიდრეობის დასაცავად;
- გააჩნდეთ მოსაზრებები და მიიღონ/გასცენ ინფორმაცია და იდეები უმცირესობის ენაზე სახელმწიფო ხელისუფლების ჩარევის გარეშე;
- თავისუფლად და ყოველგვარი ჩარევის გარეშე გამოიყენონ უმცირესობის ენა კერძოდ და საჯაროდ, ზეპირად და წერისას;
- გამოიყენონ უმცირესობის ენა ადმინისტრაციულ ორგანოებთან ურთიერთობებში;
- იყვნენ დაუყოვნებლივ ინფორმირებული მათთვის გასაგებ ენაზე მათი დაპატიმრების მიზეზებისა და მათ წინააღმდეგ არსებული ყველა ბრალდების ხასიათისა და მიზეზის შესახებ და დაიცვან თავი ამ ენაზე, აუცილებლობის შემთხვევაში, თარჯიმნის უფასო დახმარებით;
- გამოიყენონ მათი გვარისა (პატრონიმი) და პიროვნული სახელები უმცირესობის ენაზე მათი ოფიციალურად აღიარებით;
- გამოიყენონ მათი უმცირესობის ენობრივი ნიშნები, წარწერები და სხვა პირადი ხასიათის ინფორმაცია, რომელიც შესამჩნევი იქნება საზოგადოებისათვის;
- მათი ტრადიციულად კომპაქტური დასახლების ადგილებში ადგილობრივი სახელების, ქუჩის სახელების და საზოგადოებისათვის განკუთვნილი სხვა ტოპოგრაფიული მითითებები გამოიყენონ უმცირესობის ენაზე;
- ისწავლონ უმცირესობის ენაზე.
- ტრადიციული კომპაქტური დასახლების ადგილებში მოითხოვონ არსებული განათლების სისტემის ფარგლებში უმცირესობის ენაზე სწავლის ან ამ ენაზე ინსტრუქტაჟის მიღების ადეკვატურ შესაძლებლობათა შემღებებისდაგვარად უზრუნველყოფა (ოფიციალური ენის სწავლის ან ამ ენაზე სწავლებისათვის ზიანის მიუყენებლად);

სანამ საკითხის განხილვას შევუდგებოდეთ, თავიდანვე უნდა შევთანხმდეთ, რა გვესმის ტერმინში „ენობრივი სიტუაცია“, რადგან არსებობს მისი სხვადასხვაგვარი გაგება. ერთი მხრივ, „ენობრივი სიტუაცია არის ზოგადი საზოგადოებრივი მდგომარეობა, რომელშიც უხდება ენას გარკვეულ ქვეყანაში, გარკვეულ ტერიტორიაზე და გარკვეულ დროში ფუნქციონირება მოცემულ პოლიტიკურ, სოციალურ, ეკონომიკურ და განსაკუთრებით კულტურულ ფონზე“

(Scharnhorst, 1995: 19). მეორე მხრივ, „ენობრივი სიტუაცია გულისხმობს **ეროვნული ენის სხვადასხვა ფორმით ფუნქციონირებას** მოცემულ ნაციონალურ საზოგადოებაში (Барнет, 1988: 188), დაბოლოს, არის კიდევ მიდგომა, რომლის მიხედვითაც ენობრივი სიტუაცია მოიცავს ერთსაც და მეორესაც, ანუ ეს არის **„ერთი ენის არსებობის ფორმების** (ასევე სტილების) ერთობლიობა ან **ენების** ერთობლიობა მათ ტერიტორიულ, სოციალურ და ფუნქციურ ურთიერთქმედებაში გარკვეული გეოგრაფიული რეგიონების ან ადმინისტრაციული და პოლიტიკური ერთეულების საზღვრებში. (Ярцева, 1990: 616. თარგმანი ჩემია, თ.ა.).

ჩვენ არ ვეხებით ქართული ენის არსებობის ფორმების (დიალექტების) და სტილების ფუნქციონირების საკითხებს და ამოვდივართ ენობრივი სიტუაციის ჩ. ფერგიუსონისეულ გაგებისგან, რომლის მიხედვითაც „ეს ტერმინი მოიცავს ისეთ მონაცემებს, როგორებიცაა: **რამდენი ენაა და რომელი მათგანი** გამოიყენება მოცემულ არეალში, რამდენი ადამიანი გამოიყენებს თითოეულს და რა ვითარებაში ამ მიმართულებით, რა განწყობა და დამოკიდებულება აქვთ აღნიშნული საზოგადოების წევრებს ამ ენების მიმართ. (Ferguson, 1971: 177).

რა სიტუაციაა საქართველოში ამ თვალსაზრისით დღეისთვის? ყველაზე ბოლო მონაცემები, რამაც შეიძლება გარკვეული წარმოდგენა შეგვიქმნას ქვეყნის ენობრივ სიტუაციაზე, შეიძლება მოვიძიოთ 2014 წლის მოსახლეობის აღწერის მასალებში, რომელთა მიხედვით ქვეყანაში მცხოვრებ ეროვნებათა პროცენტული განაწილება ასეთია: ქართველი - 86,8%; აზერბაიჯანელი - 6,3%; სომეხი - 4,5%; რუსი - 0,7%; ოსი - 0,4%; იეზიდის - 0,3%; უკრაინელი - 0,2%; ქისტი - 0,2%; ბერძენი - 0,1%; ასირიელი - 0,1%, სხვა ეროვნებები - 0,4% (იხ.: კენჭიაშვილი, 2020: 3). როგორც ვხედავთ, ეს არის მონაცემები მოსახლეობის ეთნიკური თანაფარდობის შესახებ, თუმცა ისინი გვიქმნიან მიახლოებით წარმოდგენას ენობრივი სიტუაციის შესახებაც, რომლის თაობაზეც დამატებით შეიძლება ითქვას, რომ დღეისათვის საქართველოში მთლიანობაში **42 ენაა აღწერილი**. დამოუკიდებელი საქართველოს ფარგლებში შემცირდა ყველა მათგანზე მეტყველი კოლექტივების მოცულობები, თუმცა ბალანსი არ შემცირებულა. მათ შორის ყველაზე მრავალრიცხოვანი სომხურენოვანი და აზერბაიჯანულენოვანი კოლექტივებია, შემდეგ მოდის **ებრაულ და ბერძნულენოვანი** კოლექტივები, რომელთა შემადგენლობებიც მინიმუმამდე დავიდა. **რუსულენოვანი** კოლექტივების წილი ამჟამად არის დაახლოებით 1%. ყველა სხვა დანარჩენ ენათა რაოდენობა **ერთად ქმნის დაახლოებით 1%-ს**. (ბოლქვაძე, 2022). ენობრივი პოლიტიკის თვალსაზრისით აქ აღსანიშნავია უმთავრესად ის, რომ ენათა ურთიერთმიმართება, როგორც წესი, იერარქიულია, რომელშიც ყველა მათგანს არ აქვს და სავსებით ბუნებრივია, ვერც ექნება თანაბარი სტატუსი, დატვირთვა და ფუნქციები. **ქართული** (მასთან ერთად აფხაზეთში - **აფხაზური**) სახელმწიფო ენაა, რომლის გარდაც საბჭოთა პერიოდში ოფიციალური სტატუსი ჰქონდა აგრეთვე **ოსურ ენას**. ის იყო ოსეთის ავტონომიური ოლქის ენა, რაც მას ამდენად გარკვეულ უპირატესობას კერძოდ, სახელმწიფო ორგანოები მუშაობდნენ ამ ენაზე ქართულთან ერთად, სახელმწიფო დადგენილებები, ბრძანებულებები ითარგმნებოდა და გამოიცემოდა ოსურ ენაზეც. ზოგადად, სამართლიანობა მოითხოვს ითქვას, რომ საბჭოთა საქართველოს კანონმდებლობით ყველა ენას ჰქონდა თავისუფალი განვითარების საშუალება და ამ მხრივ არცერთ ენას არანაირი შეზღუდვა არ ჰქონდა (ყოველ შემთხვევაში, 1978 წლის ცნობილ მოვლენებამდე). მაგალითად აზერბაიჯანული და სომხური იყო მედიის ენა, გამოდიოდა სახელმწიფოსგან დაფინანსებული სახელმწიფო გაზეთები რუსულად, ოსურად, აზერბაიჯანულად, სომხურად. გარდა ამისა ეს იყო სწავლების ენები: სკოლები მუშაობდა ამ ენებზე და ა. შ. (ბოლქვაძე, 2022). ჩვენ მივიღეთ ეს საბჭოთა მემკვიდრეობა. მანამდე კი იყო

თეზური აკალიანი

ცარისტული რუსეთის იმპერიის, ხოლო შემდგომ ეტაპზე - დამოუკიდებელი საქართველოს ხანმოკლე მაგრამ უმნიშვნელოვანესი ეტაპი, რომლის დემოკრატიული ბუნებაც ნათლად გამოვლინდა ქვეყნის დამოუკიდებლობის გამოცხადების პირველსავე დღეს, 1918 წლის 26 მაისს მიღებულ სადამფუძნებლო დოკუმენტში. ეს არის „საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი“, რომლის მე-5 და მე-6 მუხლებში ვკითხულობთ, რომ „საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა თავის საზღვრებში თანასწორად უზრუნველყოფს ყველა მოქალაქის სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებებს, განურჩევლად ეროვნებისა, სარწმუნოებისა, სოციალური მდგომარეობისა და სქესისა განვითარების თავისუფალ ასპარეზს გაუხსნის მის ტერიტორიაზე მოსახლე ყველა ერს.“ (აქტი, 1918: მუხლები: მე-5, მე-6). როგორც ვხედავთ, აქ არის ფრაზა „განურჩევლად ეროვნებისა“, თუმცა მასთან ერთად არ არის ფრაზა „განურჩევლად ენისა“, რაც სავსებით გასაგები და ლოგიკურია: მრავალენოვანობასთან და მრავალენოვნებასთან დაკავშირებული პრობლემატიკა ახლოს დგას ერთმანეთთან, თუმცა იდენტური არ არის. ფრაზა „განურჩევლად ენისა“, არის მაგალითად, 1978 წლის კონსტიტუციაში, თუმცა განსხვავებულ კონტექსტში: აქ საუბარია „სოციალური და ქონებრივი მდგომარეობის, წარმოშობის, რასობრივი და ეროვნული კუთვნილების, სქესის, განათლების, ენის, რელიგიისადმი დამოკიდებულების, საქმიანობის სახეობისა და ხასიათის, საცხოვრებელი ადგილისა და გარემოებების მიუხედავად“ კანონის წინაშე (და ერთმანეთის მიმართ - თ.ა.) თანასწორობაზე (კონსტიტუცია 1978, მუხლი 32).

საქართველობის კონსტიტუციებიდან ენის შესახებ პირველი ჩანაწერი ჩნდება 1921 წლის კონსტიტუციაში: „საქართველოს სახელმწიფოებრივი ენა არის ქართული ენა“ (კონსტიტუცია 2021, მუხლი 3). ენობრივ საკითხებთან დაკავშირებით განსაკუთრებითაა აღსანიშნავი აღნიშნული კონსტიტუციის მე-14 თავი - „ეროვნულ უმცირესობათა უფლებანი“, რომლის ცხრა მუხლიდან 5 ეხება უმცირესობათა ენებს. აქ ვხვდებით თითქმის ყველა იმ კრიტერიუმს, რომლებიც 70 წლის შემდეგ აისახა ეროვნულ უმცირესობათა უფლებების დაცვის საყოველთაო დეკლარაციაში. ესენია:

- 129-ე მუხლი, რომლის მიხედვით, „არ შეიძლება შეიზღუდოს საქართველოს რესპუბლიკის რომელიმე ეროვნული უმცირესობის ... დედა-ენით სწავლა-აღზრდა და ეროვნულ-კულტურულ საქმეთა შინაური მართვა-გამგეობა. ყველას აქვს უფლება სწეროს, ჰბეჭდოს და ილაპარაკოს დედა ენაზე“.
- 130-ე მუხლი, რომლის მიხედვით, „ეროვნული უმცირესობისაგან შემდგარი ადგილობრივი თვითმმართველობის ერთეულებს (თემი, ერობა, ქალაქი) უფლება აქვთ დააარსონ ეროვნული კავშირი თავისი კულტურულ-საგანმანათლებლო საქმეების უკეთ მოსაწყობად... ეროვნულ კავშირში შესვლა ხდება სალაპარაკო ენის მიხედვით“.
- მნიშვნელოვანია აგრეთვე 135-ე მუხლი, რომლის მიხედვითაც „ეროვნული უმცირესობის სკოლაში სწავლება სწარმოებს ბავშვის სალაპარაკო ენაზე“.
- 136-ე მუხლი გაცილებით შორს მიდის: „ადგილობრივი მმართველობის ფარგლებში, სადაც ერთი რომელიმე ეროვნული უმცირესობა აღემატება ყველა მოქალაქეთა 20%-ს, ეროვნული უმცირესობის მოთხოვნით მსჯელობა და საქმის წარმოება, სახელმწიფო და საზოგადოებრივ დაწესებულებებში შემოღებულ უნდა იქნეს სახელმწიფო ენასთან ერთად მის დედა-ენაზედაც“.
- 137-ე მუხლი, რომლის მიხედვით, „არაქართველ დეპუტატს, რომელმაც სახელმწიფო ენა საკმაოდ არ იცის, შეუძლია პარლამენტში სიტყვა წარმოსთქვას დედა-ენით, რომლის სწორ თარგმანს წინასწარ წარუდგენს პრეზიდენტი“.

როგორც ვხედავთ, 1921 წლის კონსტიტუცია ძალიან დიდ ყურადღებას უთმობს რეალური ენობრივი სიტუაციის მაქსიმალურად გათვალისწინებას, ამავე დროს, არ აკონკრეტებს ქვეყანაში მოქმედ ენებს, არ აღწერს არსებულ ენობრივ სიტუაციას (მათ შორის ქართველურ ენობრივ სამყაროს), ქართულის გარდა არ ასახელებს არცერთ კონკრეტულ ენას, თუმცა ნათლად და გასაგებად საუბრობს ქვეყანაში მოქმედი ყველა ენის ნორმალური ფუნქციონირებისთვის აუცილებელი პირობების შექმნის შესახებ.

ამ მიდგომას მეტ-ნაკლებად იმეორებს 1922 წლის საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კონსტიტუციაც, რომლის მე-7 მუხლის მიხედვით „შეუწყნარებელია **ეროვნულ უმცირესობათა** (და არა ენობრივ უმცირესობათა - თ.ა.) შევიწროება, ანუ მათი სწორუფლებიანობის შეზღუდვა დანარჩენ მოქალაქეებთან შედარებით“. ამავე დროს, მე-6 მუხლის მიხედვით: „საქართველოს ს.ს. რესპუბლიკის **სახელმწიფო ენად** ითვლება **ქართული ენა**. შენიშვნა: **ეროვნულ უმცირესობათ** ენიჭებათ თავისუფალი განვითარებისა და **სამშობლო ენის** ხმარების უფლება როგორც საკუთარ ეროვნულ-კულტურულს, ისე საერთო სახელმწიფო დაწესებულებებში“ (კონსტიტუცია, 1922: მუხლი 6). „1924 წელს მიღებული დეკრეტით **სახელმწიფო ენის გარდა** პრიორიტეტი მიენიჭა ეროვნული უმცირესობების ენებს: **რუსულს, სომხურს და თურქულს** (ასე ეწოდებოდა 1936 წლამდე აზერბაიჯანულ ენას)“ (ჭაავა, 2015: 377). საბოლოო ჯამში 1921-1926 წლებში ოფიციალური სტატუსის მქონე ენებად დასახელებულიას **ქართული** (სახელმწიფო ენად), **აფხაზური, რუსული, სომხური და თურქული** (ეროვნული უმცირესობების ენებად) (ჭაავა, 2015: იქვე).

შემდეგი იყო 1927 წლის კონსტიტუცია, რომელშიც ჩამოთვლილია საქართველოს სსრ-ში შემავალი ავტონომიები: აჭარისტანის ასსრ, სამხრეთ ოსეთის აო და აფხაზეთის ასსრ (კონსტიტუცია, 1927: მუხლი 8), თუმცა არ არის დასახელებული ტერმინები: „**აფხაზური ენა**“, „**ოსური ენა**“. არაფერია ნათქვამი ენების შესახებ ამ მუხლის არც იმ ნაწილში, სადაც საუბარია საქართველოს სსრ მოქალაქეთა თანასწორობაზე მათი **რასისა და ეროვნების** დამოუკიდებლად (კონსტიტუცია, 1927: მუხლი 8). წინა კონსტიტუციის მსგავსად, აქაც „**საქართველოს სსრ სახელმწიფო ენა არის ქართული ენა**“. ამავე დროს: „საქართველოს სსრ ტერიტორიაზე მოსახლე ეროვნულ უმცირესობათ მინიჭებული აქვთ თავისუფალი განვითარებისა და **მშობლიურ ენის** ხმარების უფლება“ (კონსტიტუცია, 1927: მუხლი 10). ამ პერიოდის ენობრივი სიტუაციის შესახებ გარკვეულ წარმოდგენას არაპირდაპირ იძლევა მოსახლეობის 1926 წლის აღწერა, რომლის მიხედვითაც საქართველოს მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობა ასეთი იყო: სულ - 2 666 500 სული, მათ შორის: ქართველები - 1 788 200 (67%); სომხები - 307 000 (11,5%); აზერბაიჯანელები - 137 900 (5,1%); ოსები - 133 300 (5%); რუსები - 96 100 (3,6%); აფხაზები - 56 800 (2,1%); ბერძნები - 54 100 (2%); უკრაინელები - 14 400 (0,54%); ებრაელები - 9 300 (0,34%); ქურთები - 8 000 (0,3%); ლეკები - 3 400 (0,12%); ეზიდები - 2 800 (0,1%); ასურელები - 900 (0,03%).

სახელმწიფო და ეროვნული უმცირესობების ენების მიმართ მსგავსი მიდგომა გრძელდება საქართველოს სსრ **1937 წლის კონსტიტუციაშიც**, რომლის მიხედვითაც საქართველოს სსრ **სახელმწიფო ენა არის ქართული**. საქართველოს სსრ ტერიტორიაზე მოსახლე ნაციონალური უმცირესობებისთვის კი უზრუნველყოფილია უფლება თავისუფალი განვითარებისა და **დედა ენის ხმარებისა** როგორც თავის სახელმწიფო, ისე კულტურულ დაწესებულებებში (კონსტიტუცია, 1937: მუხლი 156). ამავე კონსტიტუციის მიხედვით **სამართალწარმოება** საქართველოს სსრ ტერიტორიაზე ხორციელდება **ქართულ ენაზე ან ავტონომიური რესპუბლიკის ან ავტონომიური ოლქის ენაზე**. იმ პირთათვის, რომლებმაც ეს ენები არ იციან,

თავური აკალიანი

უზრუნველყოფილია საქმის მასალების გაცნობა **მთარგმნელის** საშუალებით და აგრეთვე სასამართლოში **დედაენაზე** გამოსვლის უფლება (კონსტიტუცია, 1937: მუხლი 124). ჩნდება ჩანაწერი ქვეყნის მმართველობის სისტემაში ენის/ენების გამოყენების შესახებაც: კანონები და საქ. სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებები და განმარტებანი, აგრეთვე სახკომსაბჭოს დადგენილებანი და განკარგულებანი ქვეყნდება **ქართულ ენაზე**, ხოლო ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქისათვის - **ქართულ ენაზე** და ავტონომიური **რესპუბლიკის ან ავტონომიური ოლქის ენაზე** კანონები და ავტონომიური რესპუბლიკების უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებანი და განმარტებანი ქვეყნდება **ავტონომიური რესპუბლიკის ან ავტონომიური ოლქის ენაზე და ქართულ ენაზე** (კონსტიტუცია, 1937: მუხლი 157). რაც შეეხება მე-12 თავს: „მოქალაქეთა ძირითადი უფლებანი და მოვალეობანი“ - მისი 16 მუხლიდან ენობრივი სიტუაციისა თუ პოლიტიკის საკითხებს **არცერთი მათგანი არ ეხება**.

საქართველოს ბოლო საბჭოთა - 1978 წლის კონსტიტუციაში ენობრივი პოლიტიკის თვალსაზრისით ყველაზე მნიშვნელოვანია 75-ე მუხლი, რომელშიც ცნობილი მოვლენების შემდეგ **საქართველოს სსრ სახელმწიფო ენის სტატუსი შეინარჩუნა ქართულმა ენამ**, თუმცა ამავე მუხლში გაჩნდა ცალკე ჩანაწერი **რუსული ენის** შესახებ, რაც მანამდე არცერთ კონსტიტუციაში არ იყო: „საქართველოს სსრ სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანოებში, კულტურის განათლების და სხვა დაწესებულებებში უზრუნველყოფილია **თავისუფალი ხმარება რუსული** და სხვა ენებისა, რომლებითაც მოსახლეობა სარგებლობს“. აქვე ვხვდებით სავსებით გაუგებარ ჩანაწერს: „**რაიმე პრივილეგია ან შეზღუდვა ამა თუ იმ ენის ხმარებაში არ დაიშვება**“. ასეთი ფორმულირება არაპირდაპირ, თუმცა აშკარად აცლის საფუძველს ქართულს, როგორც სახელმწიფო ენის სტატუსს. რუსული ენა შემოდის 110-ე მუხლშიც, რომლის მიხედვითაც „საქართველოს სსრ კანონები, უმაღლესი საბჭოს დადგენილებები და სხვა აქტები ქვეყნდება **ქართულ და რუსულ ენებზე**, აგრეთვე ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქისთვის - **ავტონომიური რესპუბლიკისა და ავტონომიური ოლქის ენაზე**. აშკარაა, რომ რუსულს ენიჭება ეთნოსთაშორისი ურთიერთობის საშუალების ფუნქცია.

ეროვნული უმცირესობების ენებს სათანადო ყურადღებას უთმობს **დღეს მოქმედი კონსტიტუციაც**, რომლის მიხედვითაც „აკრძალულია დისკრიმინაცია რასის, კანის ფერის, სქესის, წარმოშობის, ეთნიკური კუთვნილების, **ენის**, რელიგიის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულებების, სოციალური კუთვნილების, ქონებრივი ან წოდებრივი მდგომარეობის, საცხოვრებელი ადგილის ან სხვა ნიშნის მიხედვით... საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, საქართველოს მოქალაქეებს, განურჩევლად მათი ეთნიკური, რელიგიური თუ **ენობრივი კუთვნილებისა**, უფლება აქვთ ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე შეინარჩუნონ და განავითარონ თავიანთი კულტურა, **ისარგებლონ დედაენით** პირად ცხოვრებაში ან საჯაროდ. (კონსტიტუცია, 1995: მუხლი 11).

კონსტიტუციური რეგულაციის დონეზეა აყვანილი **სამართალწარმოების ენაც**: „სამართალწარმოება ხორციელდება სახელმწიფო ენაზე, პირს, რომელმაც სახელმწიფო ენა არ იცის, მიეჩინება თარჯიმანი“ (კონსტიტუცია, 1995: მუხლი 62).

ყველა დანარჩენი საკითხი რეგულირდება სხვადასხვა კანონითა და სამართლებრივი აქტით. მათ შორის ძირითადია „**კანონი სახელმწიფო ენის შესახებ**“, რომელიც პრეამბულაშივე ნათლად და მკაფიოდ აყალიბებს როგორც სახელმწიფო ენის, ისე უმცირესობათა ენების დაცვისა და ფუნქციონირების სამართლებრივ გარანტიებს: „**ქართული ენა** საქართველოს ისტორიულ-

კულტურული მემკვიდრეობა და მისი სახელმწიფოებრიობის აუცილებელი პირობაა. იგი საქართველოს ყველა მოქალაქის საერთო-სახელმწიფოებრივი კუთვნილებაა. **საქართველოს სახელმწიფო თავის ყველა ფუნქციას ამ ენაზე ასრულებს**, იცავს მას და განსაზღვრავს მისი, როგორც სახელმწიფო ენის, ფუნქციონირებისა და განვითარების პოლიტიკას. საქართველოს სახელმწიფო, **ამავე დროს**, იცავს და განამტკიცებს ქვეყანაში **ენათა და კულტურათა თანაარსებობისა** და ჰარმონიული განვითარების საუკუნეთა განმავლობაში ჩამოყალიბებულ ტრადიციას. მას დაუშვებლად მიაჩნია **ნებისმიერი ენის** მიმართ უპატივცემულობის გამოხატვა, საქართველოს მოქალაქის ენობრივი უფლებების შელახვა და აღკვეთს სახელმწიფო ენობრივი პოლიტიკის კონსტიტუციური პრინციპების საწინააღმდეგო ქმედებას“. კანონი განსაზღვრავს სამი სახის ენებს: ა) **სახელმწიფო ენა** – ენა (ენები), რომელსაც (რომლებსაც) ეს სტატუსი საქართველოს კონსტიტუციით აქვს (აქვთ) მინიჭებული და რომელიც (რომლებიც), ისტორიული ტრადიციის შესაბამისად, სახელმწიფო ხელისუფლების განხორციელების და საქართველოს მოქალაქეების, სხვა ფიზიკური და იურიდიული პირების ურთიერთობის ძირითადი საშუალებაა; ბ) **არასახელმწიფო ენა** – სახელმწიფო ენის გარდა, ნებისმიერი ენა, რომლითაც საქართველოს მოქალაქეები და საქართველოში მცხოვრები სხვა პირები პირად ცხოვრებაში თუ საჯაროდ სარგებლობენ; გ) **ეროვნული უმცირესობის ენა** – არასახელმწიფო ენა, რომელსაც, ტრადიციულად, იყენებენ საქართველოს გარკვეულ ტერიტორიაზე კომპაქტურად მცხოვრები საქართველოს მოქალაქეები“ (კანონი, 2015: მუხლი 3). ამ ენების გარდა არის ჩანაწერი ქვეყნის ენობრივი სიტუაციის უმნიშვნელოვანესი კომპონენტის - ქართველურენობრივი სამყაროს შესახებაც: „სახელმწიფო მუდმივად ზრუნავს ქართველურ ენათა და კილოთა შენარჩუნებასა და შესწავლაზე, როგორც სახელმწიფო ენის სიცოცხლისუნარიანობის უმნიშვნელოვანეს პირობაზე“ (კანონი, 2015: მუხლი 4).

არასახელმწიფო და/ან უმცირესობათა ენების უფლებების სფეროში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემაა **განათლების ენა**, მითუმეტეს, რომ ამ საკითხის მარეგულირებელ საქართველოს ყველა კანონში განათლების ენად ცალსახად არის დაფიქსირებული სახელმწიფო ენა (ქართული, აფხაზეთში - ქართული და აფხაზური). **ამავე დროს**, დღეს მოქმედი კანონმდებლობა ქმნის **არასახელმწიფო ენებზე განათლების მიღების** სამართლებრივ საფუძვლებსაც. კერძოდ, შესაბამის კანონებში ამ საკითხს არეგულირებს სპეციალური მუხლი „**სწავლების ენა**“, რომლის მიხედვითაც:

- „სახელმწიფო უზრუნველყოფს ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების, ზოგადი, პროფესიული და უმაღლესი განათლების **სახელმწიფო ენაზე** მიღებას. განათლების **არასახელმწიფო და ეროვნული უმცირესობის ენებზე** მიღების საკითხი რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით“ (კანონი, 2015: მუხლი 7).
- დაწესებულება უფლებამოსილია **ენობრივი უმცირესობების** წარმომადგენელ ბავშვებს ენობრივი საჭიროებების გათვალისწინებით შესთავაზოს ამ კანონით განსაზღვრული სახელმწიფო საგანმანათლებლო სტანდარტის შესაბამისი პროგრამები და რესურსები როგორც **სახელმწიფო**, ისე **მათ მშობლიურ ენაზე ...** ბავშვებს მიაწოდოს სააღმზრდელო და საგანმანათლებლო მომსახურება **მათ მშობლიურ ან/და არასახელმწიფო ენაზე** და გამოიყენოს ამ კანონით განსაზღვრული სახელმწიფო საგანმანათლებლო სტანდარტების შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამები და რესურსები“ (კანონი, 2016: მუხლი 5).
- „საქართველოს მოქალაქეებს, რომლებისთვისაც **ქართული ენა მშობლიური არ არის**, უფლება აქვთ მიიღონ სრული ზოგადი განათლება **მათ მშობლიურ ენაზე**, ეროვნული

თეორიული აკადემიური

სასწავლო გეგმის შესაბამისად, კანონმდებლობით დადგენილი წესით. ამ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში სავალდებულოა სახელმწიფო ენის სწავლება“ (კანონი, 2005: მუხლი 4).

- საგანმანათლებლო დაწესებულებაში... **სხვა ენაზე** სწავლება დაშვებულია, თუ ეს განსაზღვრულია საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებით ან ამ ენაზე სწავლების საკითხი შეთანხმებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან“ (კანონი, 2018: მუხლი 5).
- „უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ... **სხვა ენაზე სწავლება**, გარდა ინდივიდუალური სასწავლო კურსებისა, დაშვებულია, თუ ეს გათვალისწინებულია საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებით ან შეთანხმებულია სამინისტროსთან“ (კანონი, 2004: მუხლი 4).

ნიშანდობლივია აგრეთვე **ენისა და მოქალაქეობის** ურთიერთმიმართების საკითხი, კერძოდ, კანონმდებლობა საქართველოს მოქალაქეობის მიღების ერთ-ერთ მთავარ მოთხოვნად სავსებით ლოგიკურად აყენებს **სახელმწიფო ენის** ცოდნას (კანონი, 2014: მუხლები 8, 12), ამავე დროს, ხაზგასმულია ისიც, რომ „საქართველოს მოქალაქეები **კანონის წინაშე თანასწორი არიან** განურჩევლად რასისა, კანის ფერისა, **ენისა**, სქესისა, რელიგიისა, პოლიტიკური და სხვა შეხედულებებისა, ეროვნული, ეთნიკური და სოციალური კუთვნილებისა, წარმოშობისა, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობისა, საცხოვრებელი ადგილისა და ნებისმიერი სხვა ნიშნისა“ (კანონი, 2014: მუხლი 4).

დღეს მოქმედი კანონმდებლობით ეროვნულ უმცირესობათა უფლებები მაქსიმალურადაა გათვალისწინებული **ადგილობრივი თვითმმართველობისა და საარჩევნო სფეროებშიც**, კერძოდ, სახელმწიფო ენის შესახებ კანონის მიხედვით, „იმ მუნიციპალიტეტში, სადაც ეროვნული უმცირესობის წარმომადგენლები კომპაქტურად ცხოვრობენ, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები უფლებამოსილი არიან, დაადგინონ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით **გათვალისწინებულისაგან განსხვავებული წესი**, რომელიც გულისხმობს, საჭიროების შემთხვევაში, ეროვნული უმცირესობისათვის მიკუთვნებული პირის მიერ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოში ამ **ეროვნული უმცირესობის ენაზე წარდგენილი განცხადების, საჩივრის, მასზე გაცემული პასუხის თარგმნას**. ამასთანავე, ოფიციალური ძალა მხოლოდ შესაბამისი ტექსტის დედანს აქვს“ (კანონი, 2015: მუხლი 11).

რაც შეეხება **საარჩევნო სფეროს**, ეროვნული უმცირესობების ინტერესებს იცავს შესაბამისი კანონმდებლობის რამდენიმე მუხლი:

- „ცესკოს ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსებისათვის. საარჩევნო უბნების იმ ამომრჩეველთა საარჩევნო სიები, რომლებიც ეთნიკურ უმცირესობებს მიეკუთვნებიან, ცესკოს ოფიციალურ ვებგვერდზე საარჩევნო პერიოდში **მათთვის გასაგებ ენაზედაც** უნდა განთავსდეს (კოდექსი, 2011: მუხლი 14).
- საარჩევნო ბიულეტენი იბეჭდება ... ქართულ ენაზე, აფხაზეთში – აგრეთვე აფხაზეთურ ენაზე, ხოლო საჭიროების შემთხვევაში – **ადგილობრივი მოსახლეობისათვის გასაგებ სხვა ენაზედაც** (კოდექსი, 2011: მუხლი 63)..
- შემაჯამებელი ოქმი იბეჭდება ქართულ ენაზე, აფხაზეთში – აფხაზეთურ ენაზე, ხოლო იმ საარჩევნო ოლქებისთვის, რომლებისთვისაც საარჩევნო ბიულეტენი იბეჭდება **ადგილობრივი მოსახლეობისათვის გასაგებ სხვა ენაზედაც**, შემაჯამებელი ოქმი შეიძლება დაიბეჭდოს შესაბამის ენაზედაც. (კოდექსი, 2011: მუხლი 70)

ამრიგად, სრული პასუხისმგებლობით შეიძლება ითქვას, რომ მოყოლებული საქართველოს პირველი რესპუბლიკიდან დღემდე (მათ შორის საბჭოთა პერიოდშიც), ქვეყანაში მცხოვრებ ეროვნულ უმცირესობათა ენობრივი უფლებები ყოველთვის იყო და არის სათანადოდ დაცული კონსტიტუციისა და სხვა საკანონმდებლო აქტების საფუძველზე. მთელი ამ ხნის მანძილზე ქვეყნის კანონმდებლობა ყოველთვის მაქსიმალურად ასახავდა და დღესაც ასახავს რეალურ ენობრივ სიტუაციას და ასევე მაქსიმალურად არის შესაბამისობაში „ეროვნულ უმცირესობათა დაცვის შესახებ“ სტრასბურგის 1995 წლის ჩარჩო კონვენციის მოთხოვნებთან.

NEW HORIZONS OF LINGUISTICS

SOME CONSIDERATIONS ABOUT THE RELATIONSHIP BETWEEN LEGISLATION AND LINGUISTIC RELATIONS IN GEORGIA

TEMUR AVALIANI

e-mail: temuravaliani@edu.ge

Batumi Shota Rustaveli State Univeristy

ABSTRACT:

Language policy of a country should, as a rule, be based as much as possible on the actual language situation in order to regulate it as fairly as possible. The regulation of language issues should be carried out in the interests of the entire population, otherwise it will not accept this reform and all the efforts of the government will be considered wasted. Therefore, when talking about the objectivity and justice of the language policy, it is not allowed to ignore how objectively the legislation of the country reflects the real language situation. Based on the above, in this work the Georgian language policy is discussed not from the standpoint of the functioning of the state language, but from the point of view of how objectively the Georgian legislation reflects the real language situation of the country and how much it takes into account it.

KEYWORDS:

language situation, language policy, state language, foreign language, minority language.

ლიტერატურა:

1. აქტი, 2018 - საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი. თბილისი. 1918.
2. ბოლქვაძე, 2022 - ბოლქვაძე თინათინ. სახელმწიფო ენობრივი პოლიტიკა. 2022.
3. გაბუნია და სხვა, 2010 - გაბუნია კახა, ეზუგბაია ლალი, ქირია ჭაბუკი. ენობრივი სიტუაცია თანამედროვე საქართველოში (ქართველური ენები). თბილისი. 2010.
4. ლომთაძე, 2017 - ლომთაძე თამარ. ენობრივი პოლიტიკა - დეფინიციები და ტიპები. //იბერიულ კავკასიური ენათმეცნიერება. XLV. თბილისი.2017.
5. მარკოზია, 2017 - მარკოზია ნინო. ენობრივი სიტუაცია თანამედროვე საქართველოში. 2017. https://www.youtube.com/watch?v=M5C4rbzck2Q&ab_channel=TVreligia
6. კანონი, 2004 - საქართველოს კანონი უმაღლესი განათლების შესახებ, 2004. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/32830?publication=102>
7. კანონი, 2005 - საქართველოს კანონი ზოგადი განათლების შესახებ. 2005. <https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/29248?publication=98>

თეზურ აკალიანი

8. კანონი, 2014 - საქართველოს კანონი საქართველოს მოქალაქეობის შესახებ.
<https://matsne.gov.ge/ka/document/view/2342552?publication=7>
9. კანონი, 2015 - საქართველოს ორგანული კანონი სახელმწიფო ენის შესახებ. 2015.
<https://matsne.gov.ge/ka/document/view/2931198?publication=5>
10. კანონი, 2016 - საქართველოს კანონი ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ. 2016. <https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/3310237?publication=13>
11. კანონი, 2018 - საქართველოს კანონი პროფესიული განათლების შესახებ. 2018.
<https://matsne.gov.ge/ka/document/view/4334842?publication=6>
12. კენჭიაშვილი, 2020 - კენჭიაშვილი ნათია. ენობრივი სიტუაცია საქართველოში აზერბაიჯანულ და სომხურ ეთნიკურ უმცირესობათა მაგალითზე./ ფილოლოგიური კვლევები. 2020. <https://shorturl.at/6YQTs>
13. კოდექსი, 2011 - საქართველოს საარჩევნო კოდექსი, 2011.
<https://matsne.gov.ge/ka/document/view/1557168?publication=80>
14. კონსტიტუცია, 1922 - საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კონსტიტუცია. ტფილისი. 1922.
https://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/319224/1/Saqartvelos_Socialistur_Sabchota_Respublikis_Konstitucia_1922.pdf
15. ჭავჭავაძე, 2015 - ჭავჭავაძე სოფიკო, აფხაზეთის მოსახლეობის ეროვნული და ენობრივი განაწილება 1922-1926 წლების აღწერების მიხედვით.//ქუთაისის სამეცნიერო ბიბლიოთეკის წელიწადი. VII. 2015
16. ჭავჭავაძე, 2019 - სოფიკო ჭავჭავაძე. საქართველოს ენობრივი სიტუაცია საარქივო მასალების მიხედვით (XX საუკუნის 20-იანი წლები). თბილისი 2019.
17. უმცირესობათა ენები საქართველოში (კულტურული სიმდიდრის გამოვლინება)
https://www.coe.int/t/dg4/education/minlang/aboutcharter/Minority%20languages%20in%20Georgia_GE.pdf
18. ჩარჩო კონვენცია ეროვნულ უმცირესობათა დაცვის შესახებ.
<https://matsne.gov.ge/ka/document/view/1244853?publication=0>
19. Барнет, 1988 - В. Барнет, *Дифференциация национального языка и социальная коммуникация*. Новое в зарубежной лингвистике, XX. М., 1988, 188.
20. Ferguson, 1971 - Ch. A. Ferguson, *Language Structure and Language Use*, Stanford, 1971, 157.
21. Jürgen Scharnhorst (Hg.) *Sprachsituation und Sprachkultur im internationalen Vergleich*, Frankfurt/M., Berlin, Bern, New York, Paris, Wien, 1995, 19.
22. Ярцева, 1990 - ЛИНГВИСТИЧЕСКИЙ ЭНЦИКЛОПЕДИЧЕСКИЙ СЛОВАРЬ под редакцией В. Н. Ярцевой. МОСКВА. „СОВЕТСКАЯ ЭНЦИКЛОПЕДИЯ“. 1990

ლინგვისტიკის ახალი კორიზონტები

ფსიქოლინგვისტიკური კვლევების საფუძველზე შემხინილი უცხო ენათა სწავლების უნივერსალური მეთოდოლოგია

მელა მატრეველი

ელ-ფოსტა: medeametreveli@mail.ru

ი. გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი

აბსტრაქტი:

პროექტის არსი მდგომარეობს იმაში, რომ ნამდვილად არსებობს ის გზები და საშუალებები რომელთა დახმარებითაც შესაძლებელია გარდაქმნები სიღრმისეული სტრუქტურების დონეზე.

პროექტის ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ ვიპოვოთ ეს გზები და საშუალებები.

პროექტის მიზანია ავაგოთ სრულიად ახალი უნივერსალური მეთოდოლოგია რუსული ენის სწავლებაში, ექსპერიმენტული კვლევების შედეგების გაანალიზების საფუძველზე.

პროექტის მნიშვნელობა მდგომარეობს იმაში, რომ ახალი მეთოდოლოგია საშუალებას მოგვცემს ვასწავლოთ ენა უმოკლეს ვადებში, ასევე გაუმჯობესდეს მანქანური თარგმნის მექანიზმი. ცალკე უნდა აღინიშნოს პროექტის მნიშვნელობა იმ თვალსაზრისით, რომ ახალი მეთოდოლოგია იქნება უნიკალური, იმიტომ, რომ ის უნივერსალური იქნება ყველა ენისათვის, რადგან ითვალისწინებს სიღრმისეული სტრუქტურების დონეზე არსებული გარდაქმნების გათვალისწინებით სწავლებას. ჩვენ კი ვიცით, რომ გარდაქმნები სიღრმისეული სტრუქტურების დონეზე უნივერსალურია ყველა ენისათვის.

საქმიანობა რომელიც, ახლა ხორციელდება ჩვენს მიერ, მოიცავს კვლევებს (ექსპერიმენტებს) განაზრახვის შესწავლისათვის. წინადადების როგორც სიღრმისეული ისე ზედაპირული სტრუქტურების დონეზე ადრე ჩატარებულმა ექსპერიმენტულმა გამოკვლევებმა დაგვარწმუნა, რომ სწორედ განაზრახვა ის გასაღები, რომლის საშუალებითაც შესაძლებელია მშობლიური ენის სიღრმისეული სტრუქტურებიდან უცხო ენის სიღრმისეულ სტრუქტურებზე გადასვლა და შემდეგ ტრანსფორმაციების საშუალებით ზედაპირული სტრუქტურების შექმნა. ჩვენ მიგვაჩნია, რომ განაზრახვის სემანტიკურ რეპრეზენტაციასა და სიღრმისეულ სტრუქტურას შორის ნამდვილი ურთიერთდამოკიდებულება ჯერ მიკვლეული არ არის. უკვე დაწყებული გვაქვს კვლევა ამ მიმართულებით.

საკვანძო სიტყვები:

უნივერსალური, მეთოდოლოგია, ფსიქოლინგვისტიკა, ტრანსფორმაციები, რეპრეზენტაცია

სიახლე, რომელიც ჩვენს მეთოდოლოგას განასხვავებს ყველა სხვა მეთოდოლოგიას არის ის, რომ ჩვენი მეთოდოლოგია გამოყენება მოხდება როგორც ზედაპირული სტრუქტურების, ასევე სიღრმისეული სტრუქტურების დონეზე სწავლებისათვის. უკვე დამტკიცებულია, რომ ურთიერთობები სიღრმისეულ სტრუქტურებში უნივერსალურია ყველა ენისათვის. ეს შესაძლებელს ხდის გადავიყვანოთ მშობლიური ენის წინადადება ზედაპირულიდან სიღრმისეულ სტრუქტურაში, შემდეგ ავტომატურად, ენობრივი უნივერსალიების დახმარებით გადავიტანოთ სიღრმისეული სემანტიკური დამოკიდებულებები უცხო ენის ექვივალენტურ სიღრმისეულ სტრუქტურაში და ბოლოს წარმოვქმნათ შესაბამისი ზედაპირული სტრუქტურა უცხო ენაზე. ასეთნაირად შესაძლებელი გახდება ავაცილოთ სტუდენტს ის სიმნელები, რომლებსაც იწვევს ზედაპირული

მეორე მუხარამი

სტრუქტურების განსხვავება მშობლიურ და უცხო ენებში. რათქმაუნდა, აქ აუცილებლად უნდა იყოს გათვალისწინებული თანაფარდობის უშუალო პერცეპტიული წესები, ანუ სინტაქსური, სემანტიკური და ფონოლოგიური „გასაღებების“ ერთობლიობა და სემანტიკური რეპრეზენტაცია

ჩვენი კვლევის ამოცანაა ვიპოვოთ ის გზები და საშუალებები, რომელთა დახმარებითაც შესაძლებელი გახდება მშობლიური ენის სიღრმისეული სტრუქტურულიდან უცხო ენის სიღრმისეულ სტრუქტურაში გადასვლა, ანუ ენობრივი უნივერსალიების დახმარებით სიღრმისეული სემანტიკური ურთიერთობების გადატანა მშობლიური ენის სიღრმისეული სტრუქტურულიდან უცხო ენის სიღრმისეულ სტრუქტურაში.

თანამედროვე ფსიქოლინგვისტურ მეცნიერებაში ეს გზები და საშუალებები მთლიანად ნაკონი არ არის, ანუ ეს პრობლემა მთლიანად ბოლომდე გადაჭრილი არ არის. ეს პრობლემა რომ გადაიჭრას, შესაძლებელი გახდება უცხო ენის შესწავლა გაცილებით უფრო სწრაფად, ვიდრე დღევანდელი მეთოდების დახმარებით, ასევე შესაძლებელი გახდება მექანიკური თარგმნის სრულყოფაც, რომელიც დღეს ადამიანის ჩარევის გარეშე ვერ ხორციელდება. ეს პრობლემაც მეტად აქტუალურია.

ამ ამოცანის გადასაჭრელად ჩვენ დაგეგმილი გვაქვს შრომატევადი და რთული ექსპერიმენტალური კვლევების ციკლი, რომლის ანალიზის შედეგები საფუძვლად დაედება ჩვენს ახალ მეთოდებს.

უნდა ავღნიშნოთ, რომ საქართველოში ამ პრობლემებზე ბევრი მეცნიერი არ მუშაობს, ამიტომ ჩვენ გვიხვდება გამოვიყენოთ უცხოელ მეცნიერთა გამოცდილება. ასეთები არიან ჰომსკი (Chomsky N. Deep structure, surface structure, and semantic interpretation. in: Steinberg D.D. Jakobovits L.A. (Eds) Semantics: An interdisciplinary Reader in philosophy, Linguistics and psychology. Cambridge, 1971.), სლობინი (Slobin D.I) (ED) The ontogenesis of grammar. #4. 1972.), გრინი (Green J.M. the semantic function of negatives and passives_”Brit.Jurn Psychol, 1970 (a) 61.17.-22.), სლამა კაზაკი (Slama-Cazacu T. Psycholinguistics, P, 1972. (Леонтьев А П психолингвистика, Л 1967.), (Инге В Гипотеза глубины-”Новое в лингвистике, вып. IV, стр. 126-139). ჩვენთვის ასევე ნაცნობია ტ.გ. ბივერის, ალ ბლუმენტალის, რ. ბრაუნის. ჯ.ბ კეროლის ჰ.ჰ კლარკის ს.მ. ერვინ-ტრიპის. მ.გარეტის, პ.ნ. ჯონსონ ლეარდის. ვ.რ. მილერის კ.ე. ოსგუდის. ე.ა ტერნერის. პ.ს. უოსონის და სხვათა ნაშრომებიც.

რაც შეეხება რუსული ენის სწავლების თანამედროვე მეთოდებს საქართველოში, 1997 წელს გამოიცა კ.შ. მაჭარაშვილის Методическое руководство (ამ დამხმარე სახელმძღვანელოს ერთ ერთი რეცენზენტი მე გახლავართ). აღსანიშნავია ასევე ლ. ნიორადის ექსპერიმენტული მეთოდის და მისი სახელმძღვანელოები. აღსანიშნავია ასევე გ.გ. მიქაელიანის ბ.გ. ლომაიას მ.გ. მეტრეველის ვ.შ. ედიშერაშვილის ბოლდაკოვას, ლორთქიფანიძის, ნემსაზის, რევიას. სამეცნიერო ნაშრომები და სახელმძღვანელოები. გამოიცა ასევე ჩემი წიგნი `იაკობ გოგებაშვილი-რუსული ენის სწავლების მეთოდის ფუძემდებელი საქართველოში 1998 წელს. ამ წიგნით ავტორი შეფასებას აძლევს რუსული ენის ტრადიციული მეთოდის განვითარებას და მიღწევებს საქართველოში, ასევე განიხილავს იმ მეთოდურ მიმდინარეობებს რუსული ენის სწავლებაში, რომელიც საქართველოში არსებობდა 19 საუკუნიდან დღემდე. სწორედ საკითხის ასე ღრმად შესწავლის შემდეგ გაბედა ამ პროექტის ავტორმა ახალ მეთოდის მუშაობის დაწყება.

რაც შეეხება რუსული ენის, როგორც უცხო ენის სწავლების მეთოდებს საზღვარგარეთ, აღსანიშნავია ისეთი მეცნიერების ნაშრომები როგორცაა ი.ფ. ნადიოჟინა, ვ.მ. ნეჩაევა

რომელთაც გამოსცეს რუსული ენის სახელმძღვანელო ნაციონალური ჯგუფებისათვის ასევე ე.ვ. ერშოვა, ვისი რედაქციითან გამოიცა რუსული ენის პრაქტიკული კურსი. გასათვალისწინებელია რუსული ენის, (როგორც მშობლიურის) სწავლების მეთოდის ყველაზე გამოჩენილი მოღვაწეების მოსაზრებებიც. ესენი არიან ტ.ვ ნაპოლნოვა (რომელიც მუშაობს უახლეს მეთოდებზე მაგ. პრობლემური სწავლების მეთოდზე). ა.ვ. ტეკუჩოვი, (რომელიც შესანიშნავი სახელმძღვანელოების ავტორია), მ.მ. რაზომოვსკაია (რომელსაც განსაკუთრებული წვლილი მიუძღვის ორთოგრაფიის მეთოდის მიხედვით), ტ.ა. ლადიჟენსკაია (რომელიც მეტყველების განვითარების მეთოდის მიხედვით), მ.ტ ბარანოვი (რომელიც მუშაობს ლექსიკის მეთოდის მიხედვით), ა.ფ. ლომიზოვი (მუშაობს პუნქტუაციის მეთოდის მიხედვით) და ა.შ.

ჩვენი პროექტის საწყისი სამუშაოები უკვე შესრულებული გვაქვს ასევე გაცნობიერებული გვაქვს პროექტის არსი, მიზნები, ამოცანები და მნიშვნელობა.

პროექტის არსი მდგომარეობს იმაში, რომ ნამდვილად არსებობს ის გზები და საშუალებები რომელთა დახმარებითაც შესაძლებელია გარდაქმნები სიღრმისეული სტრუქტურების დონეზე.

პროექტის ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ ვიპოვოთ ეს გზები და საშუალებები.

პროექტის მიზანია ავადოთ სრულიად ახალი უნივერსალური მეთოდის რუსული ენის სწავლებაში, ექსპერიმენტული კვლევების შედეგების გაანალიზების საფუძველზე.

პროექტის მნიშვნელობა მდგომარეობს იმაში, რომ ახალი მეთოდის საშუალებას მოგვცემს ვასწავლოთ ენა უმოკლეს ვადებში, ასევე გაუმჯობესდეს მანქანური თარგმნის მექანიზმი. ცალკე უნდა აღინიშნოს პროექტის მნიშვნელობა იმ თვალსაზრისით, რომ ახალი მეთოდის იქნება უნიკალური, იმიტომ, რომ ის უნივერსალური იქნება ყველა ენისათვის, რადგან ითვალისწინებს სიღრმისეული სტრუქტურების დონეზე არსებული გარდაქმნების გათვალისწინებით სწავლებას. ჩვენ კი ვიცით, რომ გარდაქმნები სიღრმისეული სტრუქტურების დონეზე უნივერსალურია ყველა ენისათვის.

საქმიანობა რომელიც, ახლა ხორციელდება ჩვენს მიერ, მოიცავს კვლევებს (ექსპერიმენტებს) განაზრახვის შესწავლისათვის. წინადადების როგორც სიღრმისეული ისე ზედაპირული სტრუქტურების დონეზე ადრე ჩატარებულმა ექსპერიმენტულმა გამოკვლევებმა დაგვარწმუნა, რომ სწორედ განაზრახვა ის გასაღები, რომლის საშუალებითაც შესაძლებელია მშობლიური ენის სიღრმისეული სტრუქტურებიდან უცხო ენის სიღრმისეულ სტრუქტურებზე გადასვლა და შემდეგ ტრანსფორმაციების საშუალებით ზედაპირული სტრუქტურების შექმნა. ჩვენ მიგვაჩნია, რომ განაზრახვის სემანტიკურ რეპრეზენტაციასა და სიღრმისეულ სტრუქტურას შორის ნამდვილი ურთიერთდამოკიდებულება ჯერ მიკვლეული არ არის. უკვე დაწყებული გვაქვს კვლევა ამ მიმართულებით. პირველ რიგში უნდა გამოვიკვლიოთ, რატომ სტიმულირდება სემანტიკური განაზრახვი კონკრეტული კონტექსტით. შემდეგ თავისთავად ისმება კითხვა, როგორ და რანაირად არჩევს მოსაზრებ სინტაქსური სტრუქტურის სწორ კომბინაციას და თან ითვალისწინებს დამოკიდებულებებს სიღრმისეულ სტრუქტურაში, რომლებიც დაკავშირებულია განაზრახვით და ასევე ითვალისწინებს ზედაპირულ ფორმას, რომელიც შეესატყვისება მოცემულ კონტექსტს. ამ მიმართულებით კვლევებს აწარმოებდნენ ოსგუდი, ბივერი, მაგრამ მათი შედეგები პრობლემის დასმის დონეზე დარჩა.

ჯერჯერობით ჩვენი გამოკვლევები მიგვანიშნებენ იმაზე, რომ “განაზრახვის” სემანტიკური რეპრეზენტაციის დონე ცალკე არ გამოიყოფა, ის სიღრმისეული სტრუქტურის დონეზე უნდა მოვიზიაროთ, და რომ ოპერაციები ორი ენის (მშობლიურის და უცხოს) სიღრმისეულ

მეორე მუხლი

სტრუქტურებს შორის დაკავშირებულია არა მხოლოდ ტრანსფორმაციებთან, არამედ თანაფარდობის უშუალო პერცეპტიულ წესებთან, რომლებიც დაფუძნებულია ურთიერთ-მოქმედი სინტაქსური, სემანტიკური და ფონოლოგიური „გასაღებების“ ერთობლიობაზე.

პროექტის განხორციელების ამოცანებია:

1. დავამთავროთ უკვე დაწყებული პირველი ეტაპის კვლევები, მოვახდინოთ ექსპერიმენტების შედეგების ანალიზი და გამოვიტანოთ შესაბამისი დასკვნები. კერძოდ, პირველ ეტაპზე: რა ადგილი უკავია „განაზრახის“ სემანტიკურ რეპრეზენტაციას ორი ენის სიღრმისეულ სტრუქტურებს შორის არსებულ ურთიერთობებში.

2. სიღრმისეული სტრუქტურების უნივერსალურობის შემდგომი კვლევა, რომელსაც დიდ მნიშვნელობას ვანიჭებთ, რადგან, როგორც ჩანს, სიღრმისეული სტრუქტურის ანალიზი იმ ფორმაში, რომელიც დღეს ჩვენთვის ცნობილია, უძლიურია გადალახოს ენათაშორისი განსხვავება სემანტიკური „განაზრახის“ საშუალებით. ექსპერიმენტებით უნდა განისაზღვროს ის უნივერსალიები, რომლებიც რუსული ენის შესწავლის დროს მოქმედებენ ქართულ და რუსულ სიღრმისეულ სტრუქტურებში

3. იმ ტრანსფორმაციების კვლევა, რომლებსაც უნდა დაეუფლოს ქართველი სტუდენტი, რუსული ენის სიღრმისეული სტრუქტურიდან ზედაპირულზე გადასვლისათვის. ესაა ის ოპერაციები, რომლებიც გარდაქმნის წინადადების ერთ სტრუქტურას მეორე სტრუქტურად. მაგ. ჩანაცვლება, გადაადგილება, გადასმა და ა. შ. ეს ოპერაციები არის ლინგვისტური უნივერსალიები, რომლებიც ახასიათებს ყველა ენას. ამისათვის საჭიროა ექსპერიმენტული სამუშაოს ჩატარება და მისი ანალიზი.

4. იმ პროცესების კვლევა, რომლის საშუალებითაც ზედაპირული სტრუქტურები ხმოვან გამონათქვამად იქცევა, ანუ როცა ქართველი სტუდენტი რუსული ენის ზედაპირულ სტრუქტურას გაახმოვანებს, ანუ წარმოთქვამს რუსულ წინადადებას. ეს კვლევაც ითვალისწინებს ექსპერიმენტებს რომლებიც დაადგენს ძირითადად რა სახის სიმწელებები შეგვხვდება.

5. ფსიქოლინგვისტური კვლევა კონტრასტიული ანალიზით რუსული ენის სწავლების დროს აღმოჩენილი შეცდომების კორპუსი და მათი იერარხია. ასეთ კვლევებს ჩვენ უკვე ათი წელია ვაწარმოებთ. ამ კვლევას აქვს პრაქტიკული მიმართულება და მისი მიზანია უცხო ენის შესწავლის პროცესის სრულყოფა-გაუმჯობესება. რატომაუნდა, ის არ შემოიფარგლება სტუდენტის სამეტყველო მექანიზმებში ურთიერთმოქმედი ორი ენობრივი სისტემის (რუსულის და ქართულის) უბრალო შედარებით. თითოეული ენობრივი სისტემის სპეციფიკის გარდა, ამ კვლევის დროს ყურადღება მახვილდება სუბიექტურ ფაქტორებზეც. მაგალითად, რანაირად და რა სიჩქარით აგროვებს ესა თუ ის ინდივიდი ინფორმაციას, სისტემატიზაციას უკეთებს მას, როგორ იყენებს ამისათვის მშობლიურ და უცხო ენას, რომელ ფსიქოლოგიურ ტიპს მიეკუთვნება ეს ინდივიდი, როგორია მისი მოტივაცია, ანამნეზი. კვლევის დროს ყურადღება ექცევა სწავლების მეთოდების შერჩევას, მასწავლებლის დახასიათებას, გარემოს, ადაც სწავლება მიმდინარეობს. ერთი სიტყვით, გამოსაკვლევაა ზოგადფსიქოლოგიური ფაქტორები, რომლებიც სწავლების პროცესს თან სდევს.

ეს კვლევაც ფსიქოლინგვისტური ანალიზის მეთოდით უნდა ჩატარდეს. ეს ძალიან შრომატევადი საქმეა და მოიცავს სასწავლო პროცესის სხვადასხვა ასპექტებს. ამ კვლევის საფუძველში დევს შეცდომების გაანალიზების ტექნიკა. აუცილებლად გასათვალისწინებელია სტუდენტის მშობლიური ენის სპეციფიკური თავისებურებები. შეცდომების ანალიზზე ყურადღების გამახვილება იმითაცაა მნიშვნელოვანი, რომ ის თითქოს პარამეტრია, რომელიც

ასახავს ორი ენის ურთიერთქმედებას სწავლების პროცესში. როდესაც ჩვენ ვიკვლევდით და ვიკვლევთ უცხო ენის შესწავლის პროცესს, მისი წინსვლის ტემპებს, შევნიშნეთ, რომ შეცდომები ერთ-ერთი უტყუარი ფაქტორია, რომელიც გვეხმარება მოვახდინოთ სწავლების პროგნოზირება. დაწვრილებით ამ კვლევის განხილვა ძალიან შორს წაგვიყვანს, ვიტყვიტ მხოლოდ, რომ კვლევა ტარდება სამი ტიპის მონაცემების საფუძველზე. ესენია: ენობრივი ფაქტების კორპუსი, არანორმატიული ენობრივი ფაქტების კორპუსი. ანუ შეცდომები და შეცდომების იერარხიული სისტემა. ტესტებში მოწმდება როგორც მეტყველების წარმოქმნა, ისე ალქმა უცხო ენის სწავლების სხვადასხვა ეტაპებზე. რიგ სიმნელებთანაა დაკავშირებული შეცდომების კლასიფიკაცია და სისტემატიზაცია.

ექსპერიმენტების შედეგები მნიშვნელოვანი იქნება იმით, რომ გამოავლენს სწორედ იმ სუსტ ადგილებს, რომლებიც ქართველი სტუდენტისთვისაა დამახასიათებელი. ექსპერიმენტი მნიშვნელოვანი იქნება იმითაც, რომ გამოავლენს ზოგიერთ ენობრივ უნივერსალიებს უცხო ენის შესწავლის დროს. ეს უნივერსალიები ჩვენ ძალიან დაგვჭირდება ახალი მეთოდის შექმნისთვის და გამოყენებითი ლინგვისტიკის პრობლემების გადასაჭრელად. კვლევის შედეგებმა უნდა დაგვიმტკიცოს, რომ შეცდომების მიზეზი შეიძლება იყოს ორი ენის ურთიერთქმედება, რა თქმა უნდა, მშობლიური ენის გადაჭარბებული გავლენით, ან თვითონ უცხო ენა, ან ის, თუ რა სახით ინახება ინფორმაცია უცხო ენაზე სტუდენტის მეტყველებით მექანიზმებში და ა. შ.

6. კვლევები ფსიქოლინგვისტური აქტიურობის მოდელის დასადგენად. ასეთი მოდელის შესაქმნელად საჭიროა დადგინდეს, რა ურთიერთკავშირი არსებობს სხვადასხვა ტიპის წინადადებებსა და მათი გამოყენების სიტუაციებს შორის სწავლების პროცესში. მოდელი, რომელიც ჩვენ გვინდა შევქმნათ გამოგვადგება ახალ მეთოდისაზე მუშაობის დროს, იმიტომ, რომ ამ მოდელში გათვალისწინებულია როგორც ენობრივი ნიჭიერება, ისე ამ ნიჭის რეალიზება სტუდენტთა სწავლების დროს, კომუნიკაციის რეალურ სიტუაციაში. ზოგიერთი გამოკვლევა ამ საკითხზე უკვე ჩატარებული გვაქვს და მეტად საინტერესო შედეგები მივიღეთ მეხსიერებისა და კონტექსტის მნიშვნელობაზე წინადადების გადამუშავების დროს. ჩვენ შევეცადეთ ექსპერიმენტის სახით გამოგვეჩვენა რა ფაქტორები თამაშობენ მნიშვნელოვან როლს წინადადების ალქმაში და გამეორებაში უცხო ენის სწავლების პროცესში. ექსპერიმენტის შედეგებმა ცხადყო, რომ წინადადების მნიშვნელობას განსაზღვრავს მისი სიღრმისეული სტრუქტურა და არა ზედაპირული სტრუქტურის ელემენტები.

7. მეხსიერების ღრმა ფენებში ხდება სიღრმისეული სტრუქტურის გამოყოფა და საათანადო სემანტიკური ინტერპრეტაცია, მოკლევადიანი მეხსიერება კი იძლევა მხოლოდ იმის საშუალებას, რომ რაოდენობრივად გადამუშავოს წინადადების ზედაპირული სტრუქტურა.

8. გამოკვლეული იქნას რა ფაქტორებზეა დამოკიდებული ქართველი სტუდენტის მიერ რუსული წინადადების გაგების, ანუ ალქმის სიჩქარე. აქ განიხილება სინტაქსური სირთულე, სემანტიკური და პრაგმატული ფაქტორები, კონტექსტი, პასიური, აქტიური, დადებითი, უარყოფითი და ა.შ. წინადადებები. ამ საკითხებზე ჩატარებული გვაქვს კვლევები, რომელთა შედეგები გვაძლევს საშუალებას დავასკვნათ, რომ წინადადება არ არის მხოლოდ სინტაქსური ერთიანობა. ეს სინტაქსური, სემანტიკური და პრაგმატული მთლიანობაა, რომელიც ასრულებს შემეცნებით, აფექტურ და სოციალურ ფუნქციებს. ამ საკითხებს კიდევ სჭირდება უფრო ღრმა და საფუძვლიანი გამოკვლევა.

მეორე მხარე

9. ჩატარდეს კვლევა წინადადების დამახსოვრებისა და სინტაქსური ინფორმაციის შენახვის შესახებ მეხსიერებაში. ეს ექსპერიმენტული სამუშაო მიზნად ისახავს იმის გამორკვევას, უშუალო მეხსიერების რა მოცულობა სჭირდება სხვადასხვა სირთულის წინადადებების დახსოვრებას უცხო ენაზე. გვინტერესებს მოკლე ვადიანი მეხსიერების როლი ამ პროცესში, ასევე რა როლს თამაშობენ წინადადების სინტაქსური სტრუქტურა და მნიშვნელობა, ასევე დამატებითი ინფორმაცია სინტაქსური სტრუქტურის შესახებ.

როგორც დასაწყისში ავლინებთ, მთელი ჩვენი კვლევითი სამუშაო ან ექსპერიმენტები და მათი გაანალიზება ემსახურება ერთ მიზანს: როგორმე ვიპოვოთ გზები და საშუალები, რომელთა დახმარებითაც სტუდენტი შესძლებს დაეუფლოს ურთიერთობებს უცხო ენის სიღრმისეული სტრუქტურების დონეზე.

ზოგიერთი მეცნიერი დღეს საკითხს ასე სვამს: შეიცავს კი სიღრმისეული სტრუქტურა აუცილებელ ინფორმაციას სემანტიკური მსგავსებისა და განსხვავების განსაზღვრისათვის? იქნებ ჯობდა მესამე დონის, ანუ სემანტიკური რეპრეზენტაციის დონის შემოღება? ამ კითხვებზე პასუხი დღეს ბოლომდე არ არის გაცემული. ჯერჯერობით ცნობილი სიღრმისეული ანალიზის ფორმები ვერ გვაძლევს საფუძველს გამოვსახოთ `სემანტიკური ჩანაფიქრის, განაზრახვის გამოხატვის საშუალებები, რომელიც გადალახავს ენათა შორის განსხვავების ბარიერს. ჩვენ უნდა შევძლოთ კვლევის შედეგების საფუძველზე იმის ახსნა, თუ რატომ სტიმულირდება „სემანტიკური განაზრახვი, ჩანაფიქრი“ კონკრეტული კონტექსტით, ანდა როგორ ირჩევს მოსაუბრე კონკრეტული სიტყვებისა და სინტაქსური სტრუქტურის სწორ კომბინაციას, და თან ამისათვის როგორ ითვალისწინებს იმ დამოკიდებულებებს სიღრმისეულ სტრუქტურაში, რომლებიც დაკავშირებულია სემანტიკურ განაზრახვასთან, ანდა როგორ არჩევს მოსაუბრე მოცემული კონტექსტისთვის შესაბამის ზედაპირულ ფორმას. ჩვენ გვინდა დავადგინოთ როგორ ურთიერთ მოქმედებენ ენობრივი ფაქტორები (ანუ როგორია მოსაუბრის ცოდნა თავისი ენის შესახებ და უცხო ენის შესახებ, რომელიც არ არის აუცილებლად შეგნებული) კოგნიტიურ და პერცეპტიულ შესაძლებლობებთან, მოტივაციურ მდგომარეობასთან და კონტექსტუალურ სიტუაციასთან. ამით დამთავრდება კვლევითი მუშაობა, გაკეთდება ანალიზი და დასკვნები.

ამის შემდეგ დაიწყება ახალი მეთოდიკის შედგენა უკვე მიღებული მონაცემების საფუძველზე. რაც შეეხება ახალი მეთოდიკის სტრუქტურას, ის ჩვენ მიახლოებით წარმოდგენილი გვაქვს და შეგვიძლია აღვწეროთ. როგორც ზემოთ ავლინებთ, ჩვენი მეთოდიკის განმასხვავებელი ნიშანი იქნება ის, რომ ამ მეთოდიკის გამოყენება მოხდება როგორც ზედაპირული სტრუქტურების, ასევე სიღრმისეული სტრუქტურების დონეზე და რადგან ურთიერთობები სიღრმისეულ სტრუქტურებში უნივერსალურია, ამით ჩვენი მეთოდიკა უნიკალურ თვისებებს იძენს. ეს უნიკალურობა მდგომარეობს იმაში, რომ ამ მეთოდიკის ძირითადი პრინციპების გამოყენება შესაძლებელი იქნება ნებისმიერი უცხო ენის სწავლების დროს.

ჩვენ მეთოდიკისათვის დამახასიათებელი იქნება დიდი ყურადღების გამახვილება ენობრივი ალღოს გამომუშავებაზე. როგორც ზედაპირული, ისე სიღრმისეული სტრუქტურების დონეზე სწავლების შესაძლებლობის დამტკიცების მიზნით უკვე ჩატარებულმა ექსპერიმენტული გამოკვლევების ნაწილმა დაგვარწმუნა, რომ სწორედ ენობრივი ალღოა ერთ-ერთი ის გზა და საშუალება, რომლის დახმარებითაც შესაძლებელია მშობლიური ენის სიღრმისეული სტრუქტურებიდან უცხო ენის სიღრმისეულ სტრუქტურებზე გადასვლა და შემდეგ ტრანსფორმაციების საშუალებით ზედაპირული სტრუქტურების შექმნა.

ჩვენ მიგვაჩნია, რომ ენობრივი ალღოს გამომუშავება შესაძლებელი გახდება ჩვენს მიერ შექმნილი მეთოდების (მარტივი წინადადებებით სწავლების მეთოდი, შედარებითი ანალიზის მეთოდი) დახმარებით რუსულ ენოვან გარემოსთან მაქსიმალურად მიახლოებულ პირობებში, რომელშიც სტუდენტი მიუახლოვდება მეტყველების რეალურ პროცესს. ამისათვის უნდა შეიქმნას სწავლების ერთიანი, რაციონალური სისტემა, რომელიც უშეცდომოდ და ზუსტად იქნება გათვლილი, რომელშიც ცალკეული ხერხები და ცალკეული მეთოდები მჭიდროდ იქნება დაკავშირებული ერთმანეთთან და ამავე დროს განაპირობებენ და განსაზღვრავენ ერთმანეთს.

ახალი მეთოდიკის კიდევ ერთი განმასხვავებელი ნიშანი იქნება შედარებითი ანალიზის მეთოდი, რომელიც ექსპერიმენტული მეთოდის შედეგადაა ჩვენს მიერ შედგენილი და დამუშავებული, თუმცა თავის სრულყოფილ სახეს ის მიიღებს ახალ მეთოდიკაზე მუშაობის დასრულების შემდეგ. შედარებითი ანალიზის მეთოდს საფუძვლად დაედო წინადადების სიღრმისეული და ზედაპირული სტრუქტურების კვლევის შედეგების გაანალიზების შემდეგ ჩამოყალიბებული მეთოდური შეხედულებები. ეს არ იქნება მხოლოდ სწავლების მეთოდი. ეს იქნება კვლევითი სწავლების მეთოდი, იმიტომ, რომ უფრო კვლევის მეთოდიკას ითვალისწინებს. ეს იქნება რამდენიმე ობიექტური რეალობის შედარების შედეგების ანალიზური კვლევის მეთოდი. აქედან გამომდინარე, შედარებითი ანალიზის მეთოდი თავისი არსით უფრო ღრმაა, ვიდრე ჩვეულებრივი მეთოდი, იმიტომ რომ ითვლისწინებს მეტყველება-აზროვნებითი პროცესების დინამიკას თავის ფუნქციონერებაში, ამ მეთოდის გამოყენება მოხდება რამდენიმე ენის მონაცემების საფუძველზე ერთდაიგივე თემის კვლევითი სწავლების პროცესში განხორციელებული ანალიზის დროს, ენობრივი სტრუქტურების ზედაპირულ და სიღრმისეულ დონეებზე.

ასევე საინტერესოა ჩვენს მიერ დამუშავებული მარტივი წინადადებებით სწავლების მეთოდი, რომელიც ასევე შევა ახალ მეთოდიკაში. ეს მეთოდი აუცილებლად მიიჩნევა უცხო ენის სწავლების საწყის ეტაპზე მხოლოდ მარტივი წინადადებების გამოყენებას. ეს მეთოდიც შეიქმნა ექსპერიმენტების შედეგების გაანალიზების შემდეგ. აღმოჩნდა რომ მარტივი წინადადებები თავისი აგებულებით უფრო ახლოს დგანან წინადადების სიღრმისეულ სტრუქტურასთან და თუ ასეთი წინადადებებით დავიწყეთ უცხო ენის სწავლებას, ხელს შევუწყობთ უცხო ენაზე სიღრმისეული სტრუქტურების სწრაფად ჩამოყალიბებას, რაც უკვე შემდგომ გამოდგება რთული წინადადებების შესწავლის საფუძვლად

თანამედროვე მეთოდიკაში სრულიად ახალი იქნება ჩვენს მიერ შექმნილი სიტუაციურ პრობლემური მეთოდი, მასალის დინამიურ წყვეტილი მიწოდების მეთოდი და მოსალოდნელი შედეგის მეთოდი.

ახალი მეთოდიკის კიდევ ერთი დამახასიათებელი ნიშანი იქნება უცხო ენის სწავლების პროცესის დაყოფა ცალკეულ მომენტებად. ჩვენ მიგვაჩნია, რომ ასეთი დაყოფა შესაძლებელს გახდის სიძნელეების იზოლირებას და ლოკალიზაციას. ჩვენ ვთვლით, რომ ენის მეცნიერულ ლინგვისტური შესწავლაც კი არ შეიძლება განხორციელდეს ენობრივი ფუნქციონირების ერთი რომელიმე მხარის თუნდაც დროებითი გამოყოფის გარეშე. მითუმეტეს, აუცილებელია ენობრივი პროცესის დაყოფა მეთოდური მიზნით ენის პრაქტიკულად სწავლების დროს. ამრიგად, ჩვენ მიგვაჩნია, რომ რუსული ენის სწავლების დროს საჭიროა გამოვყოთ ფონეტიკა, ლექსიკა, გრამატიკა, ორთოგრაფია, როგორც ენის განსაკუთრებული ელემენტები, რომელიც შეგვიძლია გამოვაცალკევოთ ანდა გავაერთიანოთ სასწავლო პროცესის დროს სწავლების მიზნის ან სწავლების კონკრეტული მეთოდის გათვალისწინებით. მაგრამ ჩვენს აზროვნებაში მუდმივად

მედიკალიზაცია

უნდა არსებობდეს წარმოდგენა ენაზე, როგორც ერთ დიდ მთლიანობაზე. არ შეიძლება გრამატიკა შეიქმნას ტექსტისგან დამოუკიდებლად, არ შეიძლება გამოვიმუშაოთ გამოთქმის ჩვევა განცალკევებულ უაზრო ბგერებზე და მარცვლებზე, არ შეიძლება მივცეთ სასწავლად იზოლირებულ სიტყვათა რიგები, რომლებიც ერთმანეთთან არაფრით არიან დაკავშირებული. ამისათვის საჭიროა გამოთქმებზე მუშაობის დროს ბგერა დავამუშავოთ არა იზოლირებულად, არამედ ერთ მთლიან სიტყვაში ან ფრაზაში გააზრებით. სტუდენტმა დასაწყისისთვის გრამატიკული მოვლენა უნდა აითვისოს უშუალოდ ტექსტიდან, შემდეგ ეს მოვლენა აისახება წერაში, ბოლოს კი აღნიშნულ გრამატიკულ მოვლენაზე სტუდენტი შეასრულებს სავარჯიშოთა სისტემას, რომელიც ერთიანობის პრინციპზე იქნება აგებული. უცხო სიტყვის აღქმა ათვისება უნდა მოხდეს ცოცხალ მეტყველებაში, ანუ უწყვეტ კონტექსტში, ხოლო უფრო მოგვიანებით ის შეიძლება განვიხილოთ როგორც ცალკეული ერთეული. ამრიგად, ახალი მეთოდიკა ითვალისწინებს სამუშაო პროცესის ჩატარებას უწყვეტ მასალაზე დაყრდნობით. მასალა საწყის ეტაპზე აუცილებლად უნდა იყოს შედგენილი მარტივი წინადადებისგან და შეესაბამებოდეს სტუდენტთა ცოდნის დონეს და მათი ფსიქოლოგიური აღქმის თავისებურებას.

ვვარაუდობთ, რომ ახალი მეთოდიკის მიხედვით რუსული ენის სწავლების პროცესი უნდა წარმართოს ორი მიმართულებით: ერთის მხრივ, ეს არის ენობრივი ცოდნის სამი სახეობა, რომელთა მიხედვითაც ჩვენ ვაძლევთ სტუდენტს, ცოდნის განსაზღვრულ სისტემას: გამოთქმა, ლექსიკა, გრამატიკა. მეორე მხრივ, ეს არის ენობრივი ჩვევების სამი სახეობა: ზეპირი მეტყველება, კითხვა და წერა.

ჩვენ ვვარაუდობთ, რომ ახალი მეთოდიკა დაყრდნობა შემდეგ პრინციპებს:

- სწავლების პროცესი უნდა წარმართოს როგორც ზედაპირული, ისე სიღრმისეული სტრუქტურების დონეზე.
- სწავლების პროცესი უნდა წარმართოს ენობრივი მთლიანობისგან ენობრივი ელემენტებისაკენ, ანუ წინადადებიდან სიტყვისკენ, სიტყვისგან ბგერისკენ.
- უნდა მოხდეს გადასვლა მარტივიდან რთულზე, ცნობილიდან უცნობზე.
- სწავლების დროს უნდა გამოვიდეთ თანამედროვე რუსული ენის რეალური ფაქტებიდან.
- სწავლება უნდა წარმართოს ენობრივი ფაქტების სემანტიკიდან მათი ფორმებისაკენ
- სწავლებას უნდა ჰქონდეს მიმართულება ზეპირი მეტყველებიდან წერიტისკენ, საუბრიდან ტექსტის კითხვისკენ და მისი წერიტი გაფორმებისკენ.
- მშობლიური ენა გამოყენებული უნდა იყოს როგორც ახსნის დამხმარე საშუალება, როგორც გადათარგმნის გარეშე მიცემული მასალის შეგნებული გაგების გაკონტროლების მთავარი საშუალება, როგორც შედარების ობიექტი სიღრმისეულ და ზედაპირულ დონეებზე, როგორც მეცადინეობის სპეციალური სახეობა მთელი მასალის სწავლების განმავლობაში (რუსულიდან მშობლიურ ენაზე და პირიქუ თარგმნა).

ჰომსკის თეორიაზე დაყრდნობით ჩვენ ვფიქრობთ, რომ მანქანური თარგმნის პროცესი უნდა წარმოებდეს სიღრმისეული სტრუქტურების დონეზე. იმიტომ, რომ სიღრმისეული სტრუქტურა შეიცავს ინფორმაციას, რომელიც აუცილებელია სემანტიკური ინტერპრეტაციისათვის. (ეს მოიცავს როგორც სიტყვების შესაძლო მნიშვნელობებს, ასევე სიღრმისეულ ურთიერთობებს ლოგიკურ სუბიექტსა და ობიექტს შორის.) და კიდევ იმიტომ, რომ ურთიერთობები სიღრმისეულ სტრუქტურებში უნივერსალურია ყველა ენისათვის. თარგმანი უნდა განხორციელდეს შედეგი პრინციპით: წინადადება პირველ ენაზე გადავიყვანოთ თავის სიღრმისეულ სტრუქტურაში, შემდეგ ავტომატურად ენობრივი უნივერსალების დახმარებით გადავიტანოთ ეს

დამოკიდებულებები ექვივალენტურ სიღრმისეულ სტრუქტურაში მეორე ენაზე; და ბოლოს მოხდეს შესაბამისი ზედაპირული სტრუქტურის წარმოქმნა. დღემდე ვერავინ მოახერხა ამ პრინციპით მანქანური თარგმნის პრინციპის შექმნა. დღეს არსებული მანქანური თარგმნის პროგრამები მოითხოვენ ადამიანის უშუალო მონაწილეობას თარგმნის პროცესში. ჩანს, რომ სიღრმისეული სტრუქტურების ანალიზი იმ ფორმით, რომელიც დღეისათვის ცნობილია, უძლურია გადალახოს ენათ შორისი განსხვავებები „სემანტიკური განაზრახის“ სხვადასხვა საშუალებებით გამოხატვის დროს.

ექსპერიმენტების დახმარებით ჩვენ ვაპირებთ გამოვარკვიოთ:

შესაძლებელია თუ არა გავაფართოვოთ სიღრმისეული სტრუქტურა იმდენად, რომ მან მოიცვას სემანტიკური ფაქტორები და ამავე დროს არ დაკარგოს თავისი ლინგვისტური სპეციფიკა, არის თუ არა ზედაპირული სტრუქტურა დაკავშირებული მნიშვნელობის ზოგიერთ ასპექტთან, არის თუ არა სემანტიკური რეპრეზენტაცია ანალიზის დამოუკიდებელი დონე, რატომ სტიმულირდება სემანტიკური განაზრახი კონკრეტული კონტექსტით. გამოვიკვლიოთ წინადადების წარმოქმნის დღემდე უცნობი სტადიები და დავადგინოთ: რა პრინციპით ხდება სემანტიკური განაზრახის რამდენიმე ფორმიდან ერთ-ერთის არჩევა.

ამ კვლევების შედეგები დაგვეხმარება ვიპოვოთ სიღრმისეული სტრუქტურების დონეზე ის პრინციპი და საშუალებები, რომელთა დახმარებითაც შესაძლებელი გახდება სრულყოფილი მანქანური თარგმნის განხორციელება.

NEW HORIZONS OF LINGUISTICS

A UNIVERSAL METHODOLOGY FOR TEACHING FOREIGN LANGUAGES, CREATED ON THE BASIS OF PSYCHOLINGUISTIC RESEARCH

MEDEA METREVELI

e-mail: medeametreveli@mail.ru

I. Gogebashvili Telavi State University

ABSTRACT:

We have already done the primary works of this project; also we have realized the main idea, aims, tasks and importance of the project.

The subject matter of the project is the ways and means by using of which the turning will be able in deep structure levels, really exist and the task of project is to find these ways and means.

The aim of the project is to create completely new methodology of Russian language teaching, by analyzing the experimental researches.

The importance of the project is that new methodology will enable us to teach the language in little amount of time, also to improve the mechanism of machinery translation. One more important thing is that new methodology will be unique, because it will be universal for every language, as it foresees teaching by turnings in deep structure levels.

The job which is being done by us now, includes researches (experiments) on studying „thinking”.

მეორე მუხრეველი

The experiments having done before on deep as well as surface structure levels of a sentence ensured us that the „thinking” is the key, by using of which it is possible to move from deep structure of the native language to the same structure of the foreign language and then by transformations create surface structures.

We consider that the real relationship between semantic representation and deep structure has not been inquest yet. We have already begun researches on that direction. First of all we should research why the semantic „thinking” is stimulated by concrete context. After it the question arises how the speaker choose the right syntactical combinations and at the same time he/she foresees relations in deep structure, connected with „thinking” as well as surface form, which coincides to the given context. The researches on that direction had been done by Osgud and Beevr, but the results remained only claiming the problem. Our researches points that „the semantically representation level of thinking” is not separated alone, it remains in deep structure levels and the operations between two (native and foreign) languages are connected not only with the translation, but also with immediate perception members of correlation, which are based on the unity of interaction syntactic, semantic and phonologic „keys”.

KEYWORDS:

universal, methodology, psycholinguistics, transformations, representation

ლიტერატურა:

1. Chomsky N. Deep structure, surface structure, and semantic interpretation. in: steinberg D.D. jakobovists L.A. (Eds) Semantics: An interdisciplinary Reader in philosophy, Linguistics and psichology. Cambridge, 1971.),
2. Green J.M. the semantic function of negatives and passives_` Brit.Jurn Psuchol, 1970 (a) 61.17.-22.),
3. Slobin D.I (ED) The ontogenesis of grammar. #4. 1972.),
4. Slama-Cazacu T. Psycholinguistics, P, 1972.
5. Ингве В Гипотеза глубины-”Новое в лингвистике”, вып. IV, стр. 126-139
6. Леонтъев А П сихолингвистика, Л 1967.

ლინგვისტიკის ახალი კორიზონტები

გენდერის ენა ლიტერატურულ ტექსტებში

მარინა ღვამია

ელ-ფოსტა: mari8507@mail.ru

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

აბსტრაქტი:

სტატიის ავტორი ამხვეილებს ყურადღებას იმ განსხვავებებზე, თუ როგორ იყენებენ მამაკაცები და ქალები ენას ლიტერატურულ ტექსტებში. გენდერული განსხვავებები ძალიან მნიშვნელოვნად იჩენს თავს, მაგრამ ნაკლებად შესწავლილია ქართულ მასალაზე. განსაკუთრებულად ავტორს აინტერესებს კითხვის ფორმების გამოკვლევა. ვრცელი თეორიების მიუხედავად, ფაქტობრივი ემპირიული გამოკვლევები ჯერ კიდევ ვერ ასახავს გენდერული განსხვავებების თანმიმდევრულ სურათს.

საკვანძო სიტყვები:

ენა და მეტყველება, გენდერული განსხვავებები, მამაკაცების ენა, ქალების ენა.

გენდერი მრავალფეროვანი ფენომენია, მაგრამ თანამედროვე მეცნიერულმა პარადიგმამ განაპირობა მისი გადმოტანა ბიოლოგიიდან ერის სოციალური ცხოვრებისა და კულტურის სფეროში. მისი სოციოკულტურული არსი გამოიხატება მამაკაცისა და ქალისთვის დამახასიათებელ განსხვავებულ ენობრივ ერთეულებსა და სამეტყველო ქმედებებში. ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანია გენდერული ფაქტორით განპირობებული სამეტყველო ქცევისა და ენობრივი სხვაობების პრობლემის განხილვა ლიტერატურულ ტექსტებში.

დებორა ტანენი აღნიშნავს, რომ ქალები და მამაკაცები ენას სხვადასხვა მიზნით იყენებენ. ქალი იყენებს ენას, როგორც პიროვნებათშორის ურთიერთობების მნიშვნელოვან ნაწილს. მამაკაცები, პირიქით, იწყებენ საუბარს, რომ აჩვენონ, თუ როგორ აკონტროლებენ სიტუაციას (Tannen, 2005).

- მხატვრული ლიტერატურა ეროვნულ-კულტურული ინფორმაციის მთავარი წყაროა და გამოხატავს ერის მენტალიტეტს, ლიტერატურული პერსონაჟების სამეტყველო პრიორიტეტები აღნიშნული ეპოქის გენდერულ სტერეოტიპებს ავლენს;
- ქალური მეტყველებისათვის ტიპურია განსაკუთრებული მისალმებისა და მიმართვის ფორმები, ქარაგმებით საუბარი, ემოციური ლექსიკა, ჰიპერბოლა. მათ დახასიათებაში ზედსართავები ჭარბობს. მამაკაცების ლექსიკური ერთეულების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი არსებით სახელებია, მათი მეტყველება უფრო მშრალია.

არის თუ არა ქალი კონსერვატიული ენობრივი ნორმების შეცვლისადმი? ო. ესპერსენი იხრება ქალური მეტყველების დიდი ნორმატიულობისკენ, იქიდან გამომდინარე, რომ ქალი ყოველთვის დიდ როლს თამაშობს მოზარდი თაობის აღზრდაში, რის გამოც იგი ცდილობს, ისაუბროს ლიტერატურული ენის ნორმების შესაბამისად. ქალები აქცენტს აკეთებენ უფრო პრესტიჟული სამეტყველო ფორმების გამოყენებაზე. ქალური ბილინგვიზმის შემთხვევაში კი, როგორც წესი, ისინი უპირატესობას ანიჭებენ იმ ენას, რომელიც მომავალში უზრუნველყოფს მათი შვილების წარმატებას.

მარინა ლევაჰი

ევროპულ ენებში, ესპერსენის აზრით, განსხვავებები ქალთა და მამაკაცთა ვერბალურ ენებს შორის გვხვდება ძირითადად ლექსიკის დონეზე. იგი გამოწვეულია ერთი მხრივ, ტაბუს კონცეპტით (მაგ., სექსიზმების გამოყენება), მეორე მხრივ, სოციალურ რანგთა წყობით: კაცებს აქვთ მაღალი სოციალური პრესტიჟი და შესაბამისად, ენობრივი პრივილეგია (Jespersen, 1925:237).

ტექსტებში შერჩეული მაგალითები მამაკაც და ქალ მოსაუბრეს ერთმანეთისგან განასხვავებს ლექსიკურად და გრამატიკულად, მაგრამ წინადადების ფორმირებასა და პერსონაჟთა მეტყველებაზე მნიშვნელოვან გავლენას მინც კონტექსტი, პრესუპოზიცია და ქვეტექსტი ახდენს. ამ სამი კომპონენტის გავლენა ქალი და მამაკაცი პერსონაჟების მეტყველებაზე განსხვავებული ეპოქის ავტორებთან შევისწავლეთ ორი ინგლისურენოვანი ავტორის ჰ. ფილდინგის (Fielding H, 1996) და ჯ. ოსტინის (Austin J, 1813) ნაწარმოებების მიხედვით მათი პერსონაჟების დიალოგებში გამოყენებულ ლექსიკურ-სემანტიკურ საშუალებებზე დაკვირვებით. ორივე ავტორი (ოსტინი და ფილდინგი) აქტიურად იყენებს ქალისა და კაცის მეტყველებისთვის დამახასიათებელ ენობრივ საშუალებებს, რაც გამოიხატება ქალისა და მამაკაცის მეტყველებაში განსხვავებული ლექსიკის, სინტაქსური კონსტრუქციების გამოყენებაში. მე-19 ს. გენდერული სამყაროს სურათია - ქალი მიიჩნევა მგრძობიარე, ემოციურ არსებად, მაშინ როცა მამაკაცები პირველ ადგილზე დგანან და ქალები მათზე დამოკიდებული არიან; მე-20 საუკუნის ტექსტების ანალიზმა ცხადყო, რომ გენდერული თავისებურებანი - დინამიურია, მაგრამ მინც სამყაროს ენობრივი სურათი მეტ წილად არა ანთროპო, არამედ ანდროცენტრულია.

ქალთა პროზა არის სოციალურ-კულტურული მოვლენა, რომელიც გამოჩნდა საზოგადოების სივრცეში ქალთა განვითარების საფუძველზე, ეს კი აისახა ასევე ლიტერატურულ ტექსტებში, სადაც აღწერდნენ სამყაროს და პრაქტიკულად ქალების თვალთ დანახულ ქალთა სოციალურ გამოცდილებას.

განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ლექსიკა ფემინისტური და მასკულინური ელფერით, რომელიც დამახასიათებელია ქალებისა და მამაკაცების, ასევე მათი ქცევისა და მდგომარეობის აღწერისას საზოგადოებაში.

ამდენად, მამაკაცური და ქალური მეტყველებისთვის დამახასიათებელ თავისებურებებზე დაფუძნებული კვლევების გასაანალიზებლად განვიხილოთ შემდეგი მაგალითები:

1. მეტყველების ფემინისტური თვისებები:

1) ... „უნდა გეთქვა: თქვე იდიოტებო, იმიტომ არ ვთხოვდები, რომ მე თავისუფალი მარტოხელა ვარ, თქვე თვითკმაცოფილო, ნადრევად დაბერებულო, გონებაშეზღუდულო ჩლუნგებო“, „და კიდევ იმიტომ, რომ ცხოვრების მრავალი გზა არსებობს - ყოველ მეოთხე საოჯახო მეურნეობას მარტოხელა ადამიანი უძღვება, თითქმის ყველა სამეფო ოჯახის წევრი მარტოხელაა. გამოკვლევები ადასტურებს, რომ ჩვენს ქვეყანაში ახალგაზრდა მამაკაცების დიდი უმრავლესობა საერთოდ არ გამოდგება ოჯახის შესაქმნელად“ (ფილდინგი, 2008:25).

მოცემული პასაჟი არის ნათელი მაგალითი ქალთა მეტყველებისა, რომელიც დამახასიათებელია ფემინისტური მეტყველებისთვის. პირველ რიგში, წინადადებებში უხვადაა პუნქტუაციის ნიშნები, რომლებიც დამახასიათებელია ქალური მეტყველებისთვის. მეორე, ჩვენ ვხედავთ ინდუქციური კონსტრუქციებისა და სიტყვების გამოყენების მაღალ სიხშირეს. ასევე შეგვიძლია დავაკვირდეთ პარალელური კონსტრუქციების გამოყენებას.

2) - „მუსიკაზე? მაშინ, გთხოვ ხმამაღლა ისაუბრე. მუსიკა ძალიან მიყვარს. ამიტომ მეც უნდა გავიგონო. ინგლისში ალბათ ცოტაა ადამიანი, ვისაც ჩემსავით უყვარს მუსიკა ან ჩემსავით

გემოვნებიანია ამ საკითხში. რომ მესწავლა, ალბათ ახლა დიდი მუსიკოსი ვიქნებოდი“ (ოსტინი, 2014:122).

3) „თქვენ ალბათ იმაზე ფიქრობთ, რა სისულელეა ასეთი საღამოები. მეც გეთანხმებით. ნაწყენიც კი ვარ! რა მოწყენილობაა და რა უგემოვნობა, თანაც ამდენი ხმაური ხალხისა, რომელიც არაფერს წარმოადგენს და მაინც კი რამხელა წარმოდგენა აქვთ თავიანთ თავზე! ერთი თქვენებური კრიტიკა მომასმენინა მათ მიმართ!“ (ოსტინი, 2014:25).

ეს მოსაზრება გვიჩვენებს ქალური მეტყველებისთვის დამახასიათებელ ისეთ თვისებებს, როგორცაა: მეტყველების მაღალი დონე, თანამოსაუბრისთვის მიმართვა და შთაბეჭდილების მოხდენა. ქალები იყენებენ გრძელ, კომპლექსურ და არასტანდარტულ წინადადებებს, კაცები კი – მარტივ, შედარებით მოკლე და სტერეოტიპულ წინადადებებს. ქალების სიტყვათა მარაგი უფრო მდიდარი და დიფერენცირებულია. პრაგმატიკისა და კოგნიციის დონეზე ქალების ეფექტურობა საუბრის დროს არაპირდაპირია, კაცების – პირდაპირი.

2. მეტყველების მასკულიური თვისებები:

1) „სულ ტყუილად ვებრძოდი ჩემს თავს. მაინც არაფერი გამომდის. გრძნობას ვერაფერი მოვუხერხე. ნება მომეცით გითხრათ, რომ ძალიან მიყვარხართ“ (ოსტინი, 2014:132).

2) „მე არ უარყოფ, რომ ჩემი მეგობარი და თქვენი და ერთმანეთს დავაშორე. ვამაყობ კიდევ ამით. ბინგლისადმი უფრო კეთილი აღმოვჩნდი, ვიდრე საკუთარი თავის მიმართ“ (ოსტინი, 2014:133).

3) „თქვენ რაც გიფიქრიათ, მის ბინგლი, სრულიად შემცდარხართ. ჩემი გონება სხვა, უფრო სასიამოვნო ფიქრებმა დაიკავეს. მე იმ ქალის მშვენიერ თვალებზე ვფიქრობდი, კაცს რომ დიდ სიამოვნებას ჰგვრის მათი შეხედვა“. (ოსტინი, 2014:26).

მოცემულ შემთხვევაში მთავარი გმირის მეტყველებაში ჩვენ ვხედავთ მოკლე წინადადებებს, რაც დამახასიათებელია მამაკაცური მეტყველებისთვის. ზემოთ მოყვანილი მაგალითიდან ჩანს, რომ გმირის მეტყველება განსხვავდება ლექსიკური ერთეულების თვალსაზრისით, რომელიც დამახასიათებელია მამაკაცური მეტყველებისთვის.

ამდენად, თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ გენდერული კვლევა ერთ-ერთი ცენტრალური საკითხია თანამედროვე ლინგვისტურ, სოციოლოგიურ და კულტურულ კვლევებში, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ გენდერის ენის კვლევა მხატვრულ ტექსტებში უფრო მნიშვნელოვანი ხდება. ასევე ერთმანეთისგან გავმიჯნოთ შემდეგი ცნებები: გენდერი - რომელიც უპირველეს ყოვლისა წარმოადგენს სოციოკულტურულ ცნებას, გრამატიკული სქესი, რომელიც წარმოადგენს ექსკლუზიურად ლინგვისტურ გაგებას და სქესი, რომელიც წარმოადგენს ადამიანის ფიზიოლოგიურ და ანატომიურ მახასიათებელს.

აქედან შეიძლება დავასკვნათ, რომ უნდა გავაფართოოთ გენდერის შემდეგი გაგება, რომელიც პირველ რიგში წარმოადგენს რა სოციოკულტურულ მნიშვნელობას, გვევლინება ლინგვისტური ასპექტით და იგი წარმოადგენს მდებდრობითი და მამრობითი სქესის ხასიათს ენაში. ქალისა და მამაკაცის ენის შესწავლა ლინგვისტიკაში და გენდერული განსხვავებების გამოვლენა ქალისა და მამაკაცის მეტყველებაში მნიშვნელოვანია. ნაკლებად შესწავლილი გენდერული მეტყველება ქართულ მხატვრულ ლიტერატურაში გენდერული სპეციფიკის შესანარჩუნებლად განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს.

*NEW HORIZONS OF LINGUISTICS***GENDER LANGUAGE IN LITERARY TEXTS****MARINA DEVADZE***e-mail: mari8507@mail.ru**Batumi Shota Rustaveli State University***ABSTRACT:**

The article focuses on the differences in the ways that men and women use language in literary texts. The question has long been of interest in the study of linguistics. Despite extensive theorizing, actual empirical investigations have yet to converge on a coherent picture of gender differences in language. A significant reason is the lack of agreement over the best way to analyze language in this way.

KEYWORDS:

language and speech, gender differences, men's language, women's language.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ენციკლოპედია ქართული ენა, თბილისი, 2008;
2. კიკვიძე, ზ., ენა, გენდერი, საზოგადოება, თბილისი, 2010;
3. ოშიაძე, ს. გენდერის ცნება ფსიქოლოგიასა და ლინგვისტიკაში, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, 2010;
4. ოსტინი, ჯ. ინგლისური რომანი „სიამაყე და ცრურწმენა“, თბილისი, 2014;
5. ფილდინგი, ჰ. „ბრიჯიტ ჯონსის დღიური, 2008, https://4love.ge/books/elen_fildingi-brijit-_jonsis-dgiuri.pdf ;
6. ყიფიანი, ი. ქალი – ლინგვოკულტუროლოგიური კონცეპტი, ქუთაისი, 2011;
7. წერეთელი, მ. გენდერული ცნობიერების ფორმირებისა და მოქმედების ფსიქოლოგიური მექანიზმი, ავტორეფერატი, თბილისი, 2005;
8. Jespersen, O. Language: Its Nature, Development and Origin, New York; 1925;
9. Jespersen, O. The Woman, The Feminist Critique of Language, Ed. by D. Cameron, London, 1998;
10. Tannen, D. Women and men in conversation, Washington, 2005;
11. Ageev, V. C. Психологические и социальные функции полоролевых стереотипов. Вопросы Психологии. 1987, <http://psyfactor.org/lib/stereotype7.htm>;
12. Горошко, Е. И. Особенности мужского и женского стиля письма, Гендерный фактор в языке и коммуникации, Москва, 1999;
13. Кирилина, А. В. Лингвистические аспекты, Москва, 1999;
14. Кирилина, А. В. Гендерные аспекты массовой коммуникации, Москва, 2000;
15. Кирилина, А. В., Гендерные стереотипы, речевое общение и „деловая“, лексика /Имидж женщины-лидера, Иваново, 1998.

ლინგვისტიკის ახალი კორიზონტები

კონცეპტების კულტურულ-მენტალური ნივანთვისებების მსგავსება და განსხვავება მონათესავე და არამონათესავე ენებში

ანასტასია დუმბაჰი

ელ-ფოსტა: anastasiya_dum@mail.ru

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ფილოლოგიის დოქტორი

აბსტრაქტი:

თანამედროვე მეცნიერულმა ანთროპოცენტრულმა პარადიგმამ ჩამოაყალიბა ენის კონცეფციის ახალი შეხედულება: ამ კონცეფციის ლინგვისტური შესწავლის მნიშვნელოვანი ასპექტია ეთნოსის ენისა და კულტურის ურთიერთმიმართების გათვალისწინება. კულტურული მახასიათებლები ენებში ვლინდება მნიშვნელოვან ძირითად წარმონაქმნებში - ცნებებში. მათი შესწავლა და ინფორმირებულობა მნიშვნელოვანია ენობრივ ერთეულებსა და ზოგადად ენობრივ სისტემებს შორის მსგავსების ან განსხვავებების სწორად გაგებისთვის და კონკრეტულად სწორი თარგმანისთვის. მჭიდროდ დაკავშირებული ენების (უკრაინული და რუსული) ცნებების ანალიზი და მათი ფუნქციონირება პოლისისტემურ ენებში (უკრაინული და ქართული) დიდ ინტერესს იწვევს არა მხოლოდ შედარებითი თვალსაზრისით, არამედ ლინგვისტური და კულტურული თვალსაზრისითაც. ამ ენების მახასიათებლები.

ასეთი შედარება გვიჩვენებს, თუ როგორ ქმნიან ხალხთა ცხოვრების მსგავსი კულტურული თავისებურებები ენობრივი ერთეულების მნიშვნელობის მსგავს მახასიათებლებს. მიუხედავად იმისა, რომ ეთნიკური ჯგუფის ცხოვრების სხვადასხვა მახასიათებელია, უნიკალური კულტურული რეალობა აყალიბებს ინდივიდუალურ მახასიათებლებს თითოეულ ენაზე, მათ შორის მჭიდროდ დაკავშირებულ მახასიათებლებზე. ამგვარი განსხვავებების შესწავლა მნიშვნელოვანია თითოეული ენის კონცეპტუალური სისტემის თავისებურებების სწორად გააზრებისთვის, რომლის გავლენითაც ყალიბდება სამყაროს უნიკალური ენობრივი სურათი.

კვლევა განხორციელდა უკრაინულ, რუსულ და ქართულ ენებზე ცნებების „თავისუფლება/-თავისუფლების“ ანალიზის მაგალითის გამოყენებით. კვლევამ გამოავლინა მნიშვნელოვანი განსხვავებები უკრაინულ და რუსულ ენებში, რაც დაკავშირებულია უკრაინული და რუსი ხალხების კულტურების განსხვავებასთან. ამავდროულად, ქართულ და უკრაინულ ენებში ცნებების ანალიზმა ბევრი საინტერესო მსგავსება და პარალელი გამოავლინა, რაც ასევე გამართლებულია მსგავსი კულტურული მახასიათებლებით.

საკვანძო სიტყვები:

ენა, კულტურა, ეთნოსი, ლინგვისტური კულტურა, კონცეფცია, თავისუფლება, ნება.

В рамках лингвокультурологических исследований активно изучаются процессы взаимосвязи, взаимообогащения и взаимного влияния двух форм выражения человеческого мышления и сознания – языка и культуры. Вектор исследований современной лингвистической антропоцентрической парадигмы направлен на изучение языка, как общественного явления, которое существует, изменяется, развивается в определенном социуме. В свою очередь любой

народ существует в оболочке собственной культуры, которая проявляется как на невербальном, так и на вербальном уровне.

Особо ярко влияние культурных норм, традиций и обычаев, устоев жизни, взглядов на мир социума проявляется в языке в многоуровневых, многогранных понятиях – концептах. Концепт – это репрезентант взаимосвязи языка и культуры, который материализуется в виде определенного вербального понятия с обширным объёмом значений. Изучение содержательной стороны концепта возможно только при комплексном взгляде: языковой и культурной оценке. Это значит, что каждую языковую единицу, описывающую значение концепта, стоит представлять не только в виде вербального элемента. Каждая языковая единица требует описания значения с точки зрения на то место, которое она занимает в культуре социума.

В концепте воплощаются ментальные черты нации, а значит, он является единицей как индивидуального, так и коллективного мышления (Карасик, Стернин 2007: 9). В семантических значениях концептов воплощаются черты ментальности и особенности национального характера народа, традиции, нормы, обычаи, правила поведения, исторический опыт и культурная память.

В связи с этим для науки интересным является сравнительно-сопоставительное исследование концептов в разных языках и разных лингвокультурах. Подобные исследования касаются как неродственных языков, между которыми всегда будет множество отличительных черт, но и родственных языков, при сравнении которых может обнаружиться также много интересных отличительных особенностей. Близкое родство языков, которое проявляется в схожих грамматических, морфологических, синтаксических особенностях, не всегда сопровождается близостью значений языковых единиц на концептуальном уровне.

В процессе сравнительно-сопоставительного анализа концептов в близкородственных восточнославянских языках – украинском и русском – было обнаружено множество различных черт, которые касаются не только значений отдельных концептов, а отражают разницу в концептуальных системах этих языков. В ракурсе соответствующей разницы стоит смотреть на семантическое значений также других языковых единиц в украинском и русском языках.

Украинский и русский – это языки одной группы восточнославянских языков, которые имеют общего предка – праславянский язык, с которого выделился восточнославянский (в некоторых источниках именуется, как древнерусский). Но, начиная с XI века, эти языки начали отдельное развитие, хотя и с постоянным частичным или значительным взаимодействием. Если в украинском и русском языках в разные эпохи могли проходить схожие процессы, то стоит отметить, что культуры двух народов развивались под влиянием разных исторических событий, отличительных политических решений и социальных процессов. В связи с этим в украинской и русской культурах существует неповторимое разнообразие и множество отличий. Эти отличия неизбежно отражаются в языке, в частности в семантических признаках концептов, как культурных репрезентантов в языке.

Интересными оказались выводы сравнительно-сопоставительного исследования концептов «воля, «свобода» в украинском и русском языках. Категория воли особенно ценная для украинского народа. Подобное положение этого концепта обусловлено важными историческими факторами, которые повлияли на формирование ментальности украинской нации. На протяжении многих веков в тот или иной отрезок времени украинский народ боролся и продолжает борьбу за

свою волю (свободу) и независимость: за независимость территорий, границ, экономическую и политическую независимость и свободу во всех сферах жизни.

Вербальный концепт в украинском языке представлен комплексом словарных и контекстуальных значений. Основными вербализаторами являются лексемы «*воля*» и «*свобода*», которые в современной науке часто отождествляют с символами человека XXI века (Василенко, Семенишин 2016: 113).

В украинском концепте «*воля*» соединяется как личностный аспект, так и национальный. При этом большая роль национального аспекта влияет на формирование восприятия воли индивидуально каждым украинцем.

Анализируя паремиологический фонд, украинские пословицы, поговорки, мы пришли к выводам о том, что среди главных (в науке по-другому их называют ядерные) признаков концепта «*воля*» стоит выделить: *воля – сила, желание, морально-волевые качества*. Например, «*Сам у неволі, а мрії на волі*», «*Або волю здобути, або дома не бути*», «*Воля дає силу слабим*». «*Життя не має ціни, а воля дорожча за життя*». «*За народ і волю віддамо життя і долю*». Украинские паремии широко раскрывают семантику концепта «*воля*», но совершенно не передают значение концепта «*свобода*», так как на уровне паремий эта лексема употребляется редко.

Анализ лексикографического материала привёл нас к выводам о том, что словарные значения распределяют семантику между концептами следующим образом: *воля передає внутреннее состояние как отдельной личности, так и народа, которую нельзя отнять, но которая ограничивается и притесняется. Свобода же связується с отсутствием ограничений в сфере общественно-политической жизни, перебування не под арестом*.

Идея свободы и воли у Тараса Григорьевича Шевченко является одной из центральных проблем в творчестве поэта. Как указывает исследователь Шкрабалюк А.А. в своей диссертации, идея свободы в творчестве Шевченко выражена в концепте «*воля*», который очень богат содержательно и по своему наполнению не имеет аналогов не только в украинской, а и в мировой литературе (Шкрабалюк: 2010:8 – 10).

Анализируя концепт «*воля*», который очень широко раскрыт в творчестве Тараса Шевченко, можно сказать, что гениальный поэт в своих великих произведениях достаточно ярко передал все семантические оттенки и коннотативные значения, которые несёт в себе этот концепт. Ядерные значения – *желание, сила, ценность* – также дополнены немало важными дополнительными значениями, которые восполняют понимание разных смыслов многогранного концепта. Среди подобных стоит выделить *воля, как судьба, рабство; воля – святая, данная Богом; воля – ценнее жизни и бессмертная, как душа; воля, как живое существо; воля – казачество, освободительная борьба* и многие другие.

Историческое прошлое, а также существующие тяжёлые социально-политические реалии, которые наполняют концепт «*воля*» особой ценностью, до сих пор являются ключевыми влинейлингвистическими факторами, формирующими значение концепта. Ценность потерь в борьбе за волю, козаческая борьба, борьба за независимость и «*волю народ*» – важные семантические признаки данного концепта в украинском языке, которые еще долгое время будут наполнять его значения особой коннотацией.

Концепт «*свобода*» в XX веке приобрел совершенно новые оттенки значения, которые были связаны с приобретением человеком статуса гражданина. Стоит отметить, что в конце XX – в

начале XXI века семантическая наполненность концепта «свобода» в украинском языке обогатилась существенно новым значением: глобальное понимание свободы стало сужаться на более узком понимании – свободе личности, свободы гражданина.

В русском языке объём семантических значений концептов «воля», «свобода» распределен совершенно по-другому. Согласно выводам А.С. Солохиной, А.П. Евгеньевой, которые исследовали семантику концепта «свобода», среди ядерных значений этого концепта стоит выделить: *возможность делать, что хочешь в определенных рамках, налагаемых обществом; отсутствие ограничений и возможность проявлять свою волю на основе законов природы*. Само слово «свобода» является более употребительным на языковом уровне, а слово «воля» всё больше приобретает *архаистический характер*, то есть становится устаревшим в современном русском языке. Слово «воля» в украинском языке напротив является часто употребляемым, а сам концепт – важный репрезентант языковой картины мира украинского народа.

Как видим в сравнительно-сопоставительном плане семантическая наполненность, коннотативные значения концептов «воля», «свобода» в русском и украинском языке значительно отличаются. В некоторых аспектах (например, современное значение концепта «воля») в этой паре языков видим не только разницу, а совершенно противоположное смысловое наполнение концепта. Соответственные различия свидетельствуют о разнице в языковой и концептуальной картине украинской и русской лингвокультур.

Таким образом наличие одинакового словесного выражения языковых единиц (рус. воля – укр.воля; рус.свобода – укр.свобода) совершенно не говорит о том, что значение этих единиц, как концептов будет одинаковым. На этом примере мы увидели очень существенные отличия между двумя родственными языками – украинским и русским, что свидетельствуют о важности проведения подобных исследований концептов в сравнительно-сопоставительном плане.

Русский концепт «воля» существенно отличается от украинского концепта в части отсутствия значения борьбы за волю, священности и необходимости, представления о воле, как о состоянии ценнее жизни и условия судьбы. Подобные значения были сформированы под воздействием собственно украинских реалий общественно-политической жизни, многолетнего угнетения, подконтрольности со стороны разных государств и чужих правительств. Русскому народу подобные реалии незнакомы в связи с наличием собственной власти и государства, личного пространства и независимости государства.

Кроме того, важной отличительной коннотацией концептов является негативное отношение к воле в русской языковой картине мира, которое широко раскрыто в народном творчестве и не присуще для украинского концепта. Также значение «широкого бескрайнего простора» является важной коннотацией русского концепта, что также не характерно для украинского концепта «воля».

Таким образом, было обнаружено множество важных различий в семантических значениях одних и тех же концептов в родственных языках. Как указывалось выше, определенные многие схожести в грамматической, синтаксической системе не определяют схожесть в семантике языковых единиц. Лексемы «свобода» и «воля», которые в русском и украинском языках имеют практически одинаковую фонетическую структуру – состоят практически из одинаковых букв и звуков. При этом имеют очень много существенных отличий в семантических значениях. В таком

случае при переводе с украинского языка на русский очень часто лексема «свобода» (рус.) будет переводиться, как «воля» (укр.), а не как «свобода» (укр.).

გავრცელებულ ენებთან შედარებით, როგორცაა მაგალითად, ქართული. შეგვიძლია მოვიყვანოთ უმარტივესი მაგალითი. მოცემული სტატიისათვის ჩავატარეთ მცირე “ექსპერიმენტი”: Google Translate-ში ინგლისურიდან ქართულად ვთარგმნეთ ტერმინი „neural machine translation“ და მივიღეთ შემდეგნაირი თარგმანი: „ნერვული მანქანის თარგმანი“, რაც არასწორია, სწორი თარგმანია “ნეირონული მანქანური თარგმანი”. მოცემული ტერმინი ვთარგმნეთ ასევე რუსულად იგივე სისტემის გამოყენებით და მივიღეთ სწორი თარგმანი: “нейронный машинный перевод”. ეს მარტივი მაგალითი ნათლად ადასტურებს, რომ დაბალ რესურსიანი ენები აშკარად ჩამორებიან მაღალ რესურსიან ენებს თარგმანის ხარისხით.

გვსურს ასევე მოვიყვანოთ სხვა მაგალითებიც, რაც ადასტურებს იმ ფაქტს, რომ ტექნოლოგიური თარგმანი, მიუხედავად დიდი უპირატესობისა, ძალიან მნიშვნელოვანი გამოწვევაა თანამედროვე თარგმნის სფეროში.

2017 წელს Google Translate-ი ყურადღების ცენტრში მოექცა, როდესაც მან არასწორად თარგმნა რუსული ფრაზა „не вешать нос“ (სიტყვასიტყვით „ნუ ჩამოკიდებ ცხვირს“) „არ ჩამოიხრჩო თავი“, ნაცვლად იდიომატური მნიშვნელობისა „ნუ გაიცრუებ იმედს“. ეს მაგალითი კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს იმას, თუ რა სირთულეებს აწყდება მანქანური მოდელი იდიომატური გამონათქვამებისა და კონტექსტის თარგმნისას.

ასევე უნდა აღინიშნოს კომუნიკაცია სამედიცინო სფეროში. პატილი და დევისი თავიანთ კვლევაში (Patil, Davies, 2014) აღნიშნავენ, რომ სამედიცინო სფეროში Google Translate-ის გამოყენებისას ხშირად ხდება უმნიშვნელოვანესი ინფორმაციის, რაც პაციენტის სიცოცხლეს და ჯანმრთელობას ეხება, არასწორად თარგმნა. მათ მოყავთ შემდეგი მაგალითი ესპანური ენიდან: ესპანური ფრაზა "estoy embarazada" (ფეხმძიმედ ვარ) ითარგმნა როგორც “უხერხულად ვარ”, რაც კიდევ ერთხელ აყენებს ექვის ქვეშ მანქანური თარგმანის სანდოობას მნიშვნელოვან კონტექსტში.

მომავალი განვითარება და გაუმჯობესება.

რამდენადაც სულ უფრო მეტად ვითარდება კვლევები და მიღწევები ნეირონული მანქანური თარგმანის სფეროში, მოსალოდნელია თარგმანის ხარისხის, ეფექტურობისა და ადაპტაციის გაუმჯობესება. პოტენციური გაუმჯობესება შეიძლება მოხდეს ისეთი პროცესებით, როგორცაა: კონტექსტური ცნობიერების გაუმჯობესება - AI-ში არსებულმა მიღწევებმა, როგორცაა კონტექსტური ჩაშენებები (მაგ. BERT, GPT-3), შეიძლება გააუმჯობესოს თარგმანის სისტემების კონტექსტუალური გაგება. მომავალი კვლევა ფოკუსირებული უნდა იყოს ამ მოდელების ინტეგრირებაზე, რათა გაიზარდოს თარგმანის სიზუსტე და გამართულობა.

ადამიანისა და AI თანამშრომლობის გამოყენება - გამოცდილ მთარგმნელებს შეუძლიათ შეავსონ ის კულტურული და კონტექსტური ხარვეზი, რაც მანქანურ თარგმანს გააჩნია, ხოლო ხელოვნური ინტელექტი უპრობლემოდ გაართმევს თავს განმეორებად და მარტივ ამოცანებს. ხელოვნური ინტელექტის შესაძლებლობებისა და პროფესიონალი მთარგმნელების კომპეტენციების სინთეზი შეამცირებს დღეს არსებულ სირთულეებსა და შეზღუდვებს და საგრძნობლად გააუმჯობესებს თარგმანის ხარისხს.

დაბალი რესურსების მქონე ენების მონაცემთა ბაზების გაზრდა - საჭიროა დაბალი რესურსების მქონე ენების მონაცემთა ბაზების გაზრდა. პროექტები, როგორცაა Masakhane, რომელიც ფოკუსირებულია აფრიკულ ენებზე, გადამწყვეტია ამ ხარვეზის აღმოსაფხვრელად. ლინგვისტურ საზოგადოებებსა და მკვლევარებს შორის ერთობლივმა ძალისხმევამ შეიძლება გააუმჯობესოს ნაკლებად გავრცელებული ენებისთვის თარგმანის ხარისხი.

ეთიკური მოსაზრებები და მიკერძოების შემცირება. მანქანური მოდელების ტრენინგის მონაცემებში მიკერძოების გამოსწორება აუცილებელია სამართლიანი და ზუსტი თარგმანის უზრუნველსაყოფად. მკვლევარებმა პრიორიტეტი უნდა მიანიჭონ მონაცემთა მრავალფეროვანი და წარმომადგენლობითი ნაკრების შექმნას, რათა შემცირდეს მიკერძოება, რამაც შეიძლება გამოიწვიოს არასწორი თარგმანი და კულტურული არასენსიტიურობა.

დასკვნა

მიუხედავად იმისა, რომ მანქანური და ხელოვნური ინტელექტის თარგმანის ტექნოლოგიებმა საკმაოდ დიდ წარმატებას მიაღწიეს, ისინი კვლავაც წარმოდგენენ მნიშვნელოვან გამოწვევებს თანამედროვე თარგმანის სფეროში. ამ გამოწვევების მოგვარება მოითხოვს მუდმივ კვლევასა და ინოვაციებს, განსაკუთრებით კონტექსტური გაგების გაუმჯობესებაში, იდიომატური გამონათქვამების დამუშავებაში, კულტურული სენსიტიურობის უზრუნველყოფასა და დაბალი რესურსის მქონე ენების მხარდაჭერაში. ადამიანისა და ხელოვნური ინტელექტის თანამშრომლობის გამოყენებით და ეთიკურ მოსაზრებებზე ფოკუსირებით, თარგმანის სფეროს შეუძლია გადაინცვლოს უფრო ზუსტი და ინკლუზიური გადაწყვეტილებებისკენ, რაც გააძლიერებს გლობალურ კომუნიკაციას და გაგებას.

TRANSLATION AND INTERCULTURAL COMMUNICATION

MODERN CHALLENGES IN TRANSLATION: NEURAL MACHINE TRANSLATION

ANASTASIA MAKHARADZE

e-mail: anastasia.mkhr43@gmail.com

Fleming College, Toronto, Ph.D

ABSTRACT:

The modern world is characterized by the rapid development of innovative technologies, which contribute to progress in various fields of science and industry. In this regard, translation is no exception. It has undergone significant transformations with the development of computer technologies and artificial intelligence. There is no doubt that modern technologies have simplified the translation process and made it more accessible in time, but at the same time, translation activity has faced certain challenges. In this article, we discuss the use of technology in translation, which is one of the most important challenges in the field of modern translation today.

KEYWORDS:

translation, challenges, machine translation, neural machine translation, artificial intelligence, professional translator.

ლიტერატურა:

1. Conneau, A., Khandelwal, K., Goyal, N., Chaudhary, V., Wenzek, G., Guzmán, F., ... & Stoyanov, V. (2020). Unsupervised Cross-lingual Representation Learning at Scale. arXiv preprint arXiv:1911.02116.
2. Koehn, P., & Knowles, R. (2017). Six Challenges for Neural Machine Translation. Proceedings of the First Workshop on Neural Machine Translation.
3. Luong, M. T., Pham, H., & Manning, C. D. (2015). Effective Approaches to Attention-based Neural Machine Translation. arXiv preprint arXiv:1508.04025.
4. Patil, S., & Davies, P. (2014). Use of Google Translate in medical communication: evaluation of accuracy. BMJ.
5. Rayne Aguilar, "The Comprehensive Guide to Translation Technology" [2024], <https://www.weglot.com/guides/translation-technology>.
6. "The challenges and opportunities of neural machine translation", <https://talkao.com/blog/the-challenges-and-opportunities-of-neural-machine-translation/>
7. "Machine Translation Challenges", Technical Writing, 7/7/202, <https://clickhelp.com/clickhelp-technical-writing-blog/machine-translation-challenges/>.

თარგმანი და კულტურათმცოდნეობის კომუნიკაცია

ინტერდისციპლინარული კვლევები და ქართული რეალობა: ანთროპოლინგვისტიკა

მარინე აროშიძე

ელ-ფოსტა: marina.aroshidze@bsu.edu.ge

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
პროფესორი სლავისტიკის მიმართულეებით.

მანუჩარ ლორია

ელ-ფოსტა: mloria@bsu.edu.ge

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
ასოცირებული პროფესორი რეგიონმცოდნეობის მიმართულეებით.

აბსტრაქტი:

სტატიაში განვიხილავთ ეთნიკური კულტურების მახასიათებლებს და მათი ენობრივ მარკერებს, რისიც შესწავლა ინტერდისციპლინარულ კვლევას მოითხოვს. თანამედროვე რეალობაში სახეზეა გლობალიზაციის მზარდი გავლენა ეთნიკური ჯგუფების ტრადიციული კულტურის ელემენტებზე. ეროვნული ტრადიციების (ხალხური ხელოსნობა, ცეკვები, მუსიკა, კინემატოგრაფია, მოდა, ეროვნული სამზარეულო და ა.შ.) პოპულარიზაცია გახდა კულტურული დიპლომატიის მნიშვნელოვანი კომპონენტი, რომელიც მიმართულია კონკრეტული ქვეყნის პოზიტიური საგარეო პოლიტიკური იმიჯის ჩამოყალიბებაზე. ქართული კულტურა არის უძველესი ტრადიციებისა და თანამედროვე მიღწევების უნიკალური შერწყმა, ერთგვარი კულტურული ხიდი დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის, რეგიონული კულტურების განსაკუთრებული შეხამება, რომელიც ანთროპოლინგვისტიკის ერთ ერთ საინტერესო საკითხს წარმოადგენს, ამავდროულად, მნიშვნელოვან მთარგმნელობით პრობლემას, ვინაიდან ეთნიკულტურული რეალიები ეგრეთ წოდებულ „უთარგმნელ“ ლექსიკას მიეკუთვნება და მათ ტრანსკოდირება სხვა კულტურის წარმომადგენლებისთვის საკმაოდ რთულია.

საკვანძო სიტყვები:

ეთნოკულტურული და ლოკალური რეალიები, ენობრივი მარკერები, კულტურული დიპლომატია, მთარგმნელობითი სტრატეგიები, ვიზუალური ანთროპოლოგია.

შესავალი

ეთნიკური კულტურების თავისებურებები და მათი ენობრივი განსახიერების უნიკალურობა იპყრობს მეცნიერთა ფართო სპექტრის ჩართვას ინტერდისციპლინარულ კვლევებში. თანამედროვე გლობალიზაციისა და ტექნოლოგიების სწრაფი განვითარების პირობებში კიდევ უფრო მნიშვნელოვანი გახდა ეთნიკური კულტურების შესწავლა და შენარჩუნება.

საქართველო უძველესი და ორიგინალური კულტურის ქვეყანაა. ქართული სუფრა, რომელიც ტარდება სადღეგრძელოს თაოსნობით, არის ნამდვილი კულტურული ფენომენი, რომელშიც შედის: მეღვინეობის საიდუმლო, სადღეგრძელოების ტრადიციული იერარქია, თამადის განუმეორებელი კულტურა, ეროვნული სამზარეულოს უგემრიელესი კერძები, ქართული ცეკვა და სიმღერა. ქართული სუფრა - ახალგაზრდების ცხოვრების ნამდვილი სკოლაა. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ საქართველო წარმოდგენილია რამდენიმე ისტორიულად ჩამოყალიბებულ

მარინე აროშიძე, მანუჩარ ლორია

რეგიონით: გურია, სამეგრელო, კახეთი, ქართლი, აფხაზეთი, რაჭა, სვანეთი, მცხეთა-მთიანეთი, თბილისი, სამცხე-ჯავახეთი, იმერეთი, ლეჩხუმი, აჭარა. თითოეულ ამ რეგიონში, სხვადასხვა გეოგრაფიული პირობების, დამკვიდრებული ტრადიციების, კულტურული და ისტორიული მახასიათებლების გამო, ერთი და იგივე ეთნოკულტურულ რეალიას მისი კუთხური ელფერი დაყვება. ქართველთა ეთნიკური კულტურის გაცნობა გულისხმობს ამ ლოკალური ეთნო-კულტურული რეალიების შესწავლასა და შენარჩუნებას.

აჭარა საქართველოს ერთ-ერთი უნიკალური კუთხეა, სადაც ტრადიციულმა ქართულმა კულტურამ ოსმალეთის იმპერიის შემადგენლობაში სამას წლიანი ყოფნის შედეგად განიცადა სერიოზული გავლენა. ამ სპეციფიკის შესასწავლად და ტურისტების მოზიდვის მიზნით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტურიზმის დაიწყო აჭარის ეთნოგრაფიული ტურიზმის კუთხით აჭარის ეთნოგრაფიული ყოფის შესწავლა და მდიდარი ეთნოგრაფიული მასალების ანალიზი.

2022 წელს სამ ენაზე იყო გამოცემული აჭარული კერძების ალბომი - „კულინარიული მოგზაურობა აჭარაში“ (ტექსტის ავტორები ეთნოლოგები თამილა ლომთათიძე, მანუჩარ ლორია, ლექსიკოლოგი ნანული ნოღაიდელი. ინგლისურ ენაზე წიგნი თარგმნა თამილა ჩურკვეიძემ, რუსულ ენაზე - მარინე აროშიძემ). წარმოდგენილი მასალის ვიზუალიზაციის მიზნით თითოეულ კერძს ახლავს შესაბამისი ფოტოსურათი (ფოტოგრაფი ირაკლი ძნელაძე).

2023 წელს გაგრძელდა აჭარაში შემონახული ხალხური ტრადიციებისა და რიტუალების შესწავლა (ტექსტის ავტორები ეთნოლოგები თამილა ლომთათიძე, მანუჩარ ლორია, ლექსიკოლოგი ნანული ნოღაიდელი. ინგლისურ ენაზე წიგნი თარგმნა თამილა ჩურკვეიძემ, რუსულ ენაზე - მარინე აროშიძემ). ალბომში ნახატები შესრულებულია ეთნომხატვარი ჯემალ მიქელაძის მიერ (ხალხური ტრადიციები და რიტუალები, 2023).

2024 წელს ზემოდ ხსენებული მეცნიერთა ჯგუფმა შეისწავლა აჭარის ხალხური მრეწველობა და გადაცემულია დასაბეჭდად მესამე ალბომი „ხალხური რეწვა აჭარაში“ (ბათუმი, 2024). ეთნოლოგებისა და მთარგმნელების ერთობლივმა ძალისხმევამ შედეგად შეიქმნა ქართულ-ინგლისურ-რუსული „აჭარის ეთნოკულტურული რეალობების ლექსიკონი“, რომელიც ყველა გამოცემას ახლავს (ყველა დასახელებული პროექტი განხორციელდა აჭარის ტურისტული პროდუქტების სააგენტოს მიერ).

ეთნოლინგვისტური კვლევა ანთროპოცენტრულ პარადიგმაში

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სფეროში თანამედროვე ანთროპოცენტრული პარადიგმის ინტერდისციპლინარული ბუნება აღარ საჭიროებს დამატებით არგუმენტაციას, რადგან ადამიანის ცხოვრების ყველა სფეროში გაგების სურვილმა მე-20 საუკუნის მეორე ნახევარში განაპირობა ისეთი მონათესავე დისციპლინების ჩამოყალიბება, როგორცაა ეთნოლინგვისტიკა, ლინგვოკულტუროლოგია, ფსიქოლინგვისტიკა, სოციოლინგვისტიკა, ლინგვისტური ფილოსოფია, ლინგოსემიოტიკა და სხვ. ეთნიკური კულტურისა და ბუნებრივი ენის სიმბიოზი უამრავი გამოწვევა დააყენა თანამედროვე მეცნიერებების წინაშე: მოცემული ეთნიკური ჯგუფის კულტურული მეხსიერება, კულტურათა ურთიერთქმედების პრობლემა მოცემული ეთნიკური ჯგუფის ჩამოყალიბების პროცესში, ეთნოკულტურა, როგორც ახალგაზრდობის სასწავლო პროცესის გაუმჯობესების საშუალება, ეროვნული კულტურა და იდენტობის პრობლემა, რიტუალური ქცევის თავისებურებები და მისი ვერბალური განსახიერება, ქცევის ვერბალური და არავერბალური სტერეოტიპები, ეთნოკულტურული სიმბოლიზმი, ინდივიდის პრაგმატული ადაპტაცია უცხო კულტურულ გარემოში, ფონური ინფორმაციის გამიფვრის

სემიოტიკური მექანიზმი და ა.შ. ყველაფერი ზემოდ თქმული მეტყველებს ინტერდისციპლინარული ეთნოლინგვისტური კვლევების აქტუალობაზე.

თითოეული ხალხის მატერიალურ და სულიერ კულტურას აქვს საკუთარი სიტყვიერი განსახიერება - სამყაროს ენობრივი სურათი წარმოადგენს ხალხის კულტურულ გამოცდილებას შესაბამის ენობრივ ერთეულებში, რომლებიც ასახავს მოცემული ეთნიკური ჯგუფის ტერიტორიის გეოგრაფიულ მახასიათებლებს, მნიშვნელოვან ისტორიულ მოვლენებს, პოლიტიკური სტრუქტურას, არსებული რელიგიური კონფესიებს, ფასეულობების სისტემას, ცხოვრების თავისებურებებს, საუკუნეების განმავლობაში ჩამოყალიბებულ ხალხურ ტრადიციებს. მხოლოდ ეროვნული ენის ცოდნა საშუალებას აძლევს ადამიანს შეუერთდეს კულტურულ კოლექტიურ მეხსიერებას, დაეუფლოს სიმბოლურ კულტურულ კოდს, რომელიც საშუალებას აძლევს ადამიანს ისაუბროს ეროვნულ იდენტობაზე. საერთო წარსულის კოლექტიური მეხსიერება საზოგადოების იდენტიფიკაციის საფუძველია.

თანამედროვე ეთნოლოგიური კვლევა შეუძლებელია ლინგვისტური ანალიზის გარეშე, რადგან სწორედ ეროვნული ენაა ხალხის მენტალიტეტის გააზრების გასაღები. დაკვირვების მეთოდის მეშვეობით, რესპონდენტებთან საუბრის შედეგად, სარქივო საბუთების დამუშავების შემდეგ იყო მოგროვებული შესაბამისი მონაცემები, რომლის შედარებითი ანალიზი შესაძლებელი გახდა შეფასდეს სხვადასხვა ეთნიკური კულტურის რეალიების თარგმნის ადეკვატურობის ხარისხი.

ვიზუალური ანთროპოლოგიის როლი ეთნოკულტურულ კვლევებში

ვიზუალური საშუალებების გამოყენებას კონკრეტული ეთნიკური ჯგუფის კულტურული მახასიათებლების დასაფიქსირებლად დიდი ისტორია აქვს, განსაკუთრებით ესკიზების, ნახარების გამოყენებას. მე-19 საუკუნის 80-იან წლებიდან ეთნოგრაფიული კვლევის ეფექტურ იარაღად ფოტოები ითვლება. მე-20 საუკუნის ბოლოს, როგორც სარა პინკი აღნიშნავს, მარგარეტ მიდმა შემოიტანა ტერმინი „ვიზუალური ანთროპოლოგია“ და მისი თეორიული გააზრება მოცემულია საინტერესოდ კარლ ჰეიდერის ნაშრომში „ეთნოგრაფიული კინო“ (1976), რომელშიც ვიზუალური ანთროპოლოგია აღიარებულია სოციალური ანთროპოლოგიის მნიშვნელოვან მიმართულებად, რომელიც წარმოადგენს კულტურული და ისტორიული რეალობის აუდიო-ვიზუალურ შემეცნებას, რომელიც მიზნად ისახავს აუდიოვიზუალური ინფორმაციის მოპოვებას საზოგადოების ნაკლებად ცნობილი ასპექტების შესახებ კულტურების დიალოგის განსახორციელებლად.

და ისევ მივმართავთ მჭიდრო ურთიერთკავშირს ეთნოგრაფიულ და ენობრივ მემკვიდრეობას შორის, რადგან ვიზუალიზაციის ყველა არავერბალური საშუალება მოითხოვს ვერბალურ კომენტარს (ნახატი, ფოტოგრაფია, მუზეუმის გამოფენები), რომ აღარაფერი ვთქვათ მედია კლიპებსა და ეთნოგრაფიულ ფილმებზე, რომლებიც კრეოლიზებულ ტექსტს წარმოადგენს.

საქართველოში ეთნოგრაფიული ელემენტები გამოყენებულია პირველ ქართულ დოკუმენტურ ფილმში „აკაკი წერეთლის მოგზაურობა რაჩა-ლეჩხუმში“ (1912). თვით აკაკის მოთხოვნით, პირველმა ქართველმა კინოოპერატორმა ვასილ ამაშუკელმა ფირზე ასახა ცეკვა ფერხული, რომელსაც რაჭველი გლეხები ქართველი მგოსნის საპატივცემულოდ ასრულებდნენ. თავისი იდეური მიზანდასახულობით, მხატვრულ-პროფესიული დონითა და მეტრაჟითაც (1200 მ. რაც იმ დროისათვის იშვიათი მოვლენა იყო), ფილმი მაშინდელი მსოფლიოს დოკუმენტური კინოს ერთ-ერთი უნიკალური ძეგლია (გოგაძე 1954: 18).

ბარინე აროშიძე, მანუჩარ ლორია

რაც შეეხება საქართველოში პირველ სამეცნიერო-საკვლევ ექსპედიციას კინოტექნიკის გამოყენებით, იგი 1960 წ. მოეწყო საქართველოს მთიანეთში. მასში მონაწილეობდნენ საქართველოს იმჟამინდელი ეროვნული მუზეუმის რელიგიის ისტორიის, საქართველოს ისტორიის, ასევე არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის ეთნოგრაფიის განყოფილებათა თანამშრომლები (გოცირიძე, მახარაძე 2006: 14).

ბოლო 30-40 წლის განმავლობაში საინფორმაციო ტექნოლოგიების განვითარებამ ანთროპოლოგიური ფილმების შექმნის პროცესს აქცია მთელ წარმოებად და აღიარა, რომ ფილმი არის მეცნიერული ტექსტის პრინციპულად ახალი სახე, რომელიც არ შეედრება კულტურის წერილობით აღწერასთან და არ არის მისი ილუსტრაცია. შესაბამისად, ვიზუალური ანთროპოლოგია გამოკვლევის მეთოდიდან თანდათანობით იქცა დამოუკიდებელ დისციპლინად თავისი სტრატეგიებითა და პრობლემებით. სხვადასხვა ქვეყნის უმაღლეს სასწავლებლებში (ბსუ, თსუ, ისა) ამ მიმართულებით როგორც საგანმანათლებლო ისე სამეცნიერო კუთხით მიმდინარეობს აქტიური საქმიანობა) და სამეცნიერო დაწესებულებებში იქმნება შესაბამისი მიმართულების ცენტრები, ტარდება ანთროპოლოგიური, ეთნოგრაფიული ფილმების ფესტივალები და კონფერენციები.

ვიზუალური მედიის გამოყენება უზარმაზარ როლს ასრულებს მულტიკულტურულ გარემოში, როდესაც სხვადასხვა ერის წარმომადგენლები ეცნობიან მათთვის ახალ ეთნიკურ კულტურას. როგორც ქართველი ეთნოლოგი მანუჩარ ლორია აღნიშნავს, სწორედ მატერიალური საგნების, ფოტო დოკუმენტების და უცნობი რეალობის კომენტარების ერთობლიობა საშუალებას აძლევს ადამიანს შეაღწიოს უცნობი კულტურის სპეციფიკაში (ლორია 2021: 348-361).

ამიტომ არ არის გასაკვირი, რომ ვიზუალური ანთროპოლოგია მჭიდრო კავშირშია ეთნოლინგვისტიკასთან, ვინაიდან კულტურის მოძველებულ რეალიების სახელწოდებებს აზუსტებს, მთარგმნელებს კი ეს მონაცემები აძლევს ეგრეთ წოდებული „უთარგმნელი ლექსიკის“ (ამ შემთხვევაში ეთნოკულტურული რეალიების) სწორად აღქმისა და ტრანსკოდირების საშუალებას.

ეთნოკულტურული რეალიების ფუნქციონირება პოლიკულტურულ სივრცეში

ქართულ ენაზე ტურისტული ბროშურების შექმნამ და მათმა ინგლისურ და რუსულ ენებზე თარგმნამ საშუალება მოგვცა ჩაგვეტარებინა ინტერდისციპლინარული კვლევა ეთნოკულტურული რეალიების აღქმისა და მათი პოლიკულტურულ სივრცეში ფუნქციონირების შესახებ. ინტერდისციპლინარულმა კვლევამ მოითხოვა ეთნოლოგიებისა და ლინგვისტიკის თანამშრომლობა, ვინაიდან უამრავი ხალხური ტრადიცია, წეს-ჩვეულება, ეროვნული სამზარეულოს კერძები, ხალხური მრეწველობა დღეს დღეობით მივიწყებას მიეცა და მათი აღმნიშვნელი ეთნოკულტურული რეალია არქაიზმს ან ისტორიზმს წარმოადგენს.

ტერმინი „რეალია“ ფართოდ გამოიყენება ჰუმანიტარულ მეცნიერებებში. ეთნოლოგიებისთვის ის პირველ რიგში მატერიალური კულტურის საგანს აღნიშნავს. ლინგვისტიკის გადასახედიდან ეს არის ლექსიკის ფენა, რომელიც სამყაროს განსაკუთრებულ ენობრივ სურათს ქმნის და, ხშირ შემთხვევაში, არ გააჩნია ეკვივალენტი სხვა ენებში. ამიტომ მთარგმნელებისთვის რეალიები წარმოადგენენ ეგრეთ წოდებულ „უთარგმნელ“ ლექსიკას.

რეალიები ადამიანის ცხოვრების ყველა სფეროს ახასიათებენ: ეროვნული წეს-ჩვეულება, რიტუალები, საყოფაცხოვრებო ნივთები, ტანსაცმელი, ხალხური შემოქმედება (ცეკვების, სიმღერების დასახელება), ისტორიული ფაქტები, ქვეყნის პოლიტიკური წყობა, საზოგადოების სოციალური ფენები, თანამდებობები და სხვ. თითოეულ ერს თავისთვის დამახასიათებელი რეალიები გააჩნია, სხვა საზოგადოების მიერ მათი აღქმა რთულია. რეალიების უმრავლესობა

ლაკუნებს წარმოადგენს, რომლებსაც არ გააჩნია ეკვივალენტი სხვა ენასა და კულტურაში. ეთნოკულტურული რეალიზაციის აღქმას ის გარემოებაც ართულებს, რომ

თითოეული ერი სხვა ერისთვის დამახასიათებელ კულტურულ ელემენტებს თავის კულტურულ პარადიგმაში განიხილავს.

კულტურული რეალიზაციის დიდი ნაწილი კონკრეტული ეთნიკური ჯგუფის წარსულს გამოხატავს, ისინი გადაეცემა თაობიდან თაობას და ამ ხალხის განუმეორებელ ეთნიკურ კულტურას გამოხატავენ. რა თქმა უნდა, ცივილიზაციის განვითარების ყველა ახალ ეტაპზე ხდება რეალიზაციის არქაიზაციის პროცესი, მაგრამ თანამედროვე გლობალურ სამყაროში კაცობრიობამ გაიაზრა ეთნიკური თავისებურების შენარჩუნების აუცილებლობა და ზემოდ ხსენებული ეთნოლინგვისტური ინტერდისციპლინარული კვლევები - ამის კიდევ ერთი დასტურია.

რეალიზაცია, როგორც კულტურული კონოტაციის მატარებელი ლექსიკური ერთეულის, აღქმა ორმაგ სირთულეს წარმოადგენს: სხვა კულტურის წარმომადგენლებისთვის როგორც უჩვეულო მოვლენა/საგანი, და იმავე კულტურის ახალი თაობის წარმომადგენლებისთვის, რომლებიც თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილ სამყაროში ცხოვრობენ და მხოლოდ მათ ბებიებს და ბაბუებს შეუძლიათ ნაწილობრივ გაარკვიონ ამ თუ იმ რეალიზაციის მნიშვნელობაში.

ეთნოკულტურული რეალიზაციის აღქმა მოითხოვს არა მხოლოდ ენათმორის, არამედ შიდაენობრივ თარგმანსაც. რომან იაკობსონის განმარტებით თარგმანი განსხვავდება წყარო და სამიზნე ტექსტების შექმნისას გამოყენებულ სემიოტიკურ ნიშანთა სისტემებით, როდესაც ხორციელდება ერთი ნიშანთა სისტემის მეორე ნიშანთა სისტემით ჩანაცვლება. ცნობილი ამერიკელი ლინგვისტი წერდა: „ჩვენ განვასხვავებთ ვერბალურ ნიშანთა ინტერპრეტაციის სამ ხერხს: ის შეიძლება გადაითარგმნოს ერთი ენის სხვა ნიშნით, სხვა ენაზე ან სხვა სიმბოლოთი“ (Jacobson, 1959 :233).

მაშასადამე, ამ პრინციპზე აგებული თარგმნის სამი ნაირსახეობა გამოიყოფა:

1) ინტრალინგვისტური (ანუ შიდაენობრივი); 2) ინტერლინგვისტური (ანუ ენათმორისი); და 3) ინტერსემიოტიკური.

შიდაენობრივი თარგმანის აუცილებლობას, ანუ ვერბალური ნიშნების ინტერპრეტაციას იმავე ენის სხვა ნიშნების საშუალებით, განაპირობებს ბევრი ფაქტორი, მათ შორის ორი უმთავრესი: კუთხური დიალექტების არსებობა და ლოკალური ხალხური ტრადიციების დავიწყება თანამედროვე ცხოვრების პირობებში.

როგორც ემპირიული მასალის ანალიზმა გვაჩვენა, ეთნოკულტურული რეალიზაციები მოითხოვს სამივე თარგმნის ნაირსახეობას. ვინაიდან ჩვენ ვცხოვრობთ გლობალურ პოლიკულტურულ სამყაროში, ენათმორისი თარგმანის (ანუ ვერბალური ნიშნების ინტერპრეტაცია სხვა ენობრივი სისტემის ნიშანთა საშუალებით) აუცილებლობა ეჭვს არ ბადებს. თანამედროვე ტექნოლოგიებს განვითარებამ გაუადვილა მთარგმნელებს კულტურული რეალიზაციის ილუსტრირება ვიზუალური ხერხების გამოყენებით, რაც გულისხმობს ვერბალური ნიშნების ინტერპრეტაციას არავერბალური ნიშნების საშუალებით.

ხშირ შემთხვევაში სემიოტიკური და ენათმორისი თარგმანი ურთიერთკავშირშია, ვინაიდან მოცემული ინფორმაციის ნაწილი ენის შეცვლის შედეგად ვერბალური ხასიათის რჩება, ნაწილი კი გადმოიცემა ნახატის, ფოტოსურათის, დეკორაციის და სხვ. საშუალებით.

ვინაიდან ზემოდ ჩვენ უკვე ვისაუბრეთ ვიზუალური ხერხების მნიშვნელობაზე ეროვნული ტრადიციების შენარჩუნების საკითხში, გადავალთ მაგალითებზე ჩვენი კვლევის ობიექტიდან გამომდინარე.

მარინე აროშიძე, მანუჩარ ლორია

ეთნოკულტურული რეალიების მთარგმნელობითი სტრატეგიები ვიზუალური ხერხების შეხამებით

ქართული კულტურული ტრადიციები და რიტუალები თემატურად შეიძლება რამდენიმე ჯგუფად გავყოთ: საქორწინო რიტუალები, საოჯახო წეს-ჩვეულებები, სამეურნეო საქმიანობასთან დაკავშირებული ტრადიციები, საყოფაცხოვრებო რიტუალები, ხალხური მრეწველობა, თამაშები და გართობები. ქართულ კულტურაში დიდი ყურადღება ენიჭებოდა უფროსი თაობის გამოცდილებას, მათ დარიგებებს, ამიტომ რიტუალების მნიშვნელოვან ჯგუფს წარმოადგენს ბრძნული რჩევები და აკრძალვები.

შიდაენობრივი თარგმნის ეფექტურ სტრატეგიას სინონიმური ჩანაცვლება წარმოადგენს. ლოკალური აჭარული რეალიების გარკვეული ნაწილი ქართული ტერმინის პარალელურად თურქული ენის მეშვეობით გავრცელებული ლექსემაც გააჩნია, რომელიც უფრო აღქმადია, ვიდრე ძველი ქართული დასახელება. მაგალითად, მკვლევარი-ეთნოლოგები აღნიშნავენ, რომ „აჭარის ეთნოგრაფიულ ყოფაში, საქართველოს სხვა კუთხეების მსგავსად, ფეხმოკიდებულია გარკვეულ დღეებში მიწის სამუშაოთა აკრძალვის ჩვეულება. ეს ტრადიცია მოსავლის დასაცავად იყო განკუთვნილი და “ნაკრძალი დღეების” ანუ “აღკვეთილი დღეების” სახელითაა ცნობილი. ასეთი ნაკრძალი დღეები, რომლებიც, ძირითადად, ამინდს უკავშირდებოდა, აჭარაში იყო **კვირკობა/ჩურუგაი** და **ელიობა/ზახურა**“ (ხალხური ტრადიციები და რიტუალები აჭარაში“, 20023:54).

კვირკობა/ჩურუგაი 1-3 ივლისს (ძველი სტილით 14-16 ივლისს) ტარდებოდა. რიტუალს სახელი სწორედ ამ თვის სახელწოდების მიხედვით დაერქვა: ივლისი ძველქართულად კვირკობაა, ხოლო თურქულად - ჩურუგა. ამ დღეებში სასურველი ამინდის შესანარჩუნებლად და ავდრის თავიდან ასაცილებლად სამუშაო იარაღს სახნავ მიწაზე არ გაატარებდნენ.

ზოგ შემთხვევაში მთელ საქართველოში გავრცელებული სიტყვა აჭარაში ფუნქციონირებს განსხვავებული მნიშვნელობით, მაგალითად: არაბულიდან შემოსული სიტყვა **თაჯი** საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკის მონაცემების მიხედვით სამეფო გვირგვინს ნიშნავს (<http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=14&t=91265>, წვდომის თარიღი - 12.06.24), ხოლო აჭარაში გამოიყენება როგორც პატარძლისთვის მისატანი ნიშანი (ხალხური ტრადიციები და რიტუალები აჭარაში“, 20023:159).

ზოგიერთ მუსულმანურ ადათ-წესებთან დაკავშირებულ რეალიას მხოლოდ თურქული შესატყვისი აქვს: **აღდი** (საქორწინო წერილობითი პირობა), **აღდი ოხვენუ** (ნიშნობის ცერემონიალი), ასეთ შემთხვევაში ყველაზე ხშირად გამოიყენება ტრანსკრიპცია/ტრანსლიტერაცია ახსნა-განმარტებასთან ერთად.

ლოკალური რეალიების დიდ ნაწილს მსგავსი ლაკუნები წარმოადგენს, განსაკუთრებით აჭარული სამზარეულოს სპეციფიკური კერძები: *სინორი*, *იახნი*, *ყაისაფა*, *ისრიმი*, *ბორანო*, *მალახტო*, *ტადანეი* და *სხვ.* ყველა ამ კერძს ახსნა-განმარტება ესაჭიროება.

ლოკალური რეალია არ მოითხოვს განმარტებას იმ შემთხვევაში, როდესაც აჭარული დიალექტური სიტყვა ქართული სალიტერატურო სიტყვის ფონეტიკურ ვარიანტს წარმოადგენს, ასეთია:

საწობელაი (საწებელის ნაცვლად), **მომუშვილი** ყველი, **მაყაი** (მაყარის ნაცვლად).

ენათშორისი თარგმნისას ეთნოკულტურული რეალიები გადმოაქვთ ტრანსკრიპცია/ტრანსლიტერაციის მეშვეობით და აყოლებენ სხვადასხვა ფორმით მიწოდებულ ახსნა-განმარტებას: ან უშუალოდ ტექსტში, ან წიგნის ბოლოს მოცემულ ლექსიკონში. ეთნოკულტურული რეალიის ახსნა ხანდახან დიდი მოცულობის ფონურ ინფორმაციასთან არის დაკავშირებული, ამიტომ

ბათუმელი ეთნოლოგების მიერ შედგენილი ეთნოკულტურული რეალების განმარტებითი ლექსიკონი დიდ დახმარებას გაუწევს საქართველოს სხვა რეგიონებისა და უცხო კულტურის წარმომადგენლებს, ვისაც აინტერესებს აჭარული ხალხური ტრადიციები და რიტუალები. ხაზი გვინდა გაუსვათ იმ გარემოებას, რომ სალექსიკონო მასალა ორმხრივია - ვერბალური ახსნის გარდა ყველა რეალია ილუსტრირებულია შესაბამისი ნახატით. ეთნოლოგი და მხატვარი ჯემალ მიქელაძე ზუსტად გადმოსცემს მის მიერ შექმნილ ნახატებში ყველა რეალის თავისებურებას.

დასკვნა

კაცობრიობის ცივილიზაციური განვითარების თანამედროვე ეტაპმა და გლობალური მულტიკულტურული საზოგადოების შექმნამ მიგვიყვანა იმის გაგებამდე, რომ გავაცნობიეროთ სხვადასხვა ხალხის ეთნიკური კულტურის შესწავლისა და შენარჩუნების აუცილებლობა.

სამყაროს ქართული ენობრივი და კულტურული სურათი მრავალფეროვანია. აჭარის რეგიონის ლოკალური სპეციფიკა (მნიშვნელოვანი გეოპოლიტიკური პოზიცია, უძველესი კულტურის თავისებურებები, რელიგიური აღმსარებლობის შერევა, ეროვნული სამხარეულო, თურქული ენის გავლენა და ა.შ.) აისახება ეთნოკულტურულ რეალებში და გამოხატავს ცხოვრების მნიშვნელოვან წეს-ჩვეულებებს, მენტალიტეტს.

თარგმანის სტრატეგიების შესწავლამ აჩვენა წარმატებული სტრატეგიები (ტრანსკრიფცია/ტრანსლიტერაცია რეალის ახსნა-განმარტებასთან ერთად, სინონიმური ჩანაცვლება და ა.შ.) და არაეფექტური, რაც იწვევს დამახინჯებას, მნიშვნელობის შევიწროებას და ეროვნული კოლორიტის დაკარგვას.

სულიერი კულტურის შესწავლა ხელს უწყობს ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნებას კულტურათა საერთო გლობალიზაციის კონტექსტში.

TRANSLATION AND INTERCULTURAL COMMUNICATION

INTERDISCIPLINARY STUDIES AND GEORGIAN REALITY: ANTHROPOLOGICAL LINGUISTICS

MARINE AROSHIDZE

e-mail: marina.aroshidze@bsu.edu.ge

Batumi Shota Rustaveli State University, Professor in Slavic Studies

MANUCHAR LORIA

e-mail: mloria@bsu.edu.ge

Batumi Shota Rustaveli State University, Associate Professor in Regional Studies

AABSTRACT:

The article discusses the characteristics of ethnic cultures and their linguistic markers, the study of which requires interdisciplinary research. In modern reality, there is a growing influence of globalization on the elements of traditional culture of ethnic groups. Promotion of national traditions (folk crafts, dances, music, cinematography, fashion, national cuisine, etc.) has become an important

მარინე აროშიძე, მანუჩარ ლორია

component of cultural diplomacy aimed at forming a positive foreign political image of a particular country. Georgian culture is a unique combination of ancient traditions and modern achievements, a kind of cultural bridge between the West and the East, a special combination of regional cultures, which represents an interesting aspect of anthropolinguistics; at the same time, it poses a translation problem, since ethnocultural realities belong to the so-called "untranslatable" vocabulary and their transcoding is quite difficult for representatives of other cultures.

KEYWORDS:

ethnocultural and local realities, linguistic markers, cultural diplomacy, translation strategies, visual anthropology.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Арошидзе М., Лория М., Этнолингвистические проблемы перевода. Linguistic Problems. Blagoevgrad, Bulgaria. Vol. 3/2023.
2. Карл Хайдер. Этнографическое кино. — Москва: Российская Академия Наук, 2000. — 199 с.
3. ხალხური ტრადიციები და რიტუალები აჭარაში. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი. ბათუმი, 2023.
4. Folk traditions and Rituals in Ajara. Department of Tourism and Resorts of AR of Ajara (NNLE) Tourism Product Development Agency, Batumi, 2023.

თარგმანი და კულტურათშორისი კომუნიკაცია

სამეცნიერო-ტექნიკური ტექსტების თარგმანის თავისებურება

ზეინაბ ახვლედიანი

ელ-ფოსტა: zeinab.akhvlediani.1977@gmail.com

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

აბსტრაქტი:

ჩვენი ეპოქა მეცნიერულ-ტექნოლოგიურ მიღწევათა გარდატეხის ეპოქად თამამად შეიძლება დასახელდეს. დღეს პრობლემას უკვე აღარ წარმოადგენს საერთაშორისო სტატისტიკურ ბაზებსა და კვლევათა შედეგებზე ხელმისაწვდომობა. საერთო საინფორმაციო სივრცეში ჩართულობის უზრუნველყოფის ერთ-ერთ გზას თარგმანი წარმოადგენს. თარგმანის ადეკვატურობას შეუძლია ახალ-გაზრდა მკვლევარს გზა გაუხსნას მსოფლიო მეცნიერული მიღწევების გაზიარებასა და არსებული კვლევების საფუძველზე სწორი ორიენტირის პოვნაში.

თანამედროვე მეცნიერულ-ტექნოლოგიურმა მიღწევებმა ახალი საქმიანობების წარმოშობა განაპირობა, რამაც, რასაკვირველია თავის მხრივ ახალი ტერმინოლოგიებისა და ლექსიკური ერთეულების წარმოშობა უზრუნველყო. უნდა აღინიშნოს, თანამედროვე სამყაროში საქმიანობის ყველა სფერო ერთმანეთთან მჭიდრო კავშირშია, რაც მთარგმნელს მეცნიერულ-ტექნიკურ სფეროში არსებული ტერმინოლოგიური ბაზის მაქსიმალურად ფლობის საჭიროების წინაშე აყენებს. უნივერსალური მთარგმნელის პოვნა, რომელიც თანამედროვე სამეცნიერო-ტექნიკური სფეროს ყველა დარგს იცნობს და შესაბამისად ტერმინებშიც სრულიად გარკვეულია, შეუძლებელია.

მეცნიერულ-ტექნიკურ სფეროში ადეკვატური თარგმანის განსახორციელებლად, მთარგმნელის ერთადერთ დამხმარე ძალას სრულყოფილი ტერმინოლოგიური ბაზის მქონე ენციკლოპედიური ლექსიკონი წარმოადგენს.

მსგავსი ლექსიკონები აუცილებლად უნდა ხასიათდებოდეს არსებული დარგების ამომწურავი ტერმინების ფართე განმარტებებითა და გამოყენებითი მზა მაგალითების სიუხვით. ასეთი ლექსიკონები, საფუძვლიანად შეუმსუბუქებს შრომას მთარგმნელს და ამავედროულად ტერმინების სწორად გამოყენების საფუძველზე, ადეკვატური თარგმანის განხორციელებას უზრუნველყოფს.

საკვანძო სიტყვები:

სამეცნიერო-ტექნიკური დისკურსი, ტერმინები, ადეკვატური თარგმანი.

ჩვენი ეპოქა ტექნოლოგიურ-მეცნიერულ მიღწევათა გარდატეხის ეპოქად თამამად შეიძლება დასახელდეს. დღეს, როცა მეცნიერება და ტექნოლოგია ერთმანეთის განუყოფელ ნაწილად იქცა, როცა კაცობრიობის სოციალური კეთილდღეობის გაუმჯობესება პირდაპირკავშირშია მეცნიერულ-ტექნოლოგიური ინოვაციების პრიორიტეტულობასა და ახალ-ახალი კონცეფციების ჩამოყალიბებაში, დამეთანხმებით თუ რამდენად მნიშვნელოვანია ერთაშორისი კომუნიკაცია, მსოფლიო მეცნიერულ-ტექნოლოგიურ მიღწევათა ხელმისაწვდომობა და შედეგად სიახლეებისადმი ერთაშორის დამოკიდებულებათა გაზიარება.

დღევანდელი მსოფლიო მეცნიერულ-ტექნოლოგიური განვითარება ინფორმაციულობის უზრუნველყოფით ხასიათდება. პრობლემას უკვე აღარ წარმოადგენს მეცნიერულ-ტექნიკური პროფილის გამოცემებზე, ამა თუ იმ სფეროში არსებულ საერთაშორისო სტატისტიკურ ბაზებსა და კვლევათა შედეგებზე ხელმისაწვდომობა. ამ გლობალურ მიღწევებსა და საერთო საინფორმაციო სივრცეში ჩართულობის უზრუნველყოფის ერთ-ერთ გზას თარგმანი წარმოადგენს.

ზეინა ახვლედიანი

თარგმანის ადეკვატურობას შეუძლია ახალგაზრდა მკვლევარს გზა გაუხსნას მსოფლიო მეცნიერული მიღწევების გაზიარებასა და არსებული კვლევების საფუძველზე სწორი ორიენტირის პოვნაში.

სამეცნიერო ტექსტი მხატვრულისაგან განსხვავებით მაქსიმალურ სიზუსტეს მოითხოვს. თუკი თარგმნისას მხატვრული ტექსტის ეფექტურობის შენარჩუნება ორ ენას შორის შუამავალი მთარგმნელის ოსტატური ლავირების შედეგადაა შესაძლებელი, მეცნიერული თარგმანის ეფექტურობა მხოლოდ ტექსტის მაქსიმალური ინვარიანტულობას შენარჩუნებას ითვალისწინებს. იმის გათვალისწინებით, რომ სამეცნიერო ტექსტების თარგმანი არ საჭიროებს შემოქმედებითობას, ანუ, ემოციურ-ადეკვატური ტრანსფორმაციების განხორციელებასა და ერთაშორისი კულტურული გაუგებრობების დეკოდირებას, თამამად შეიძლება ვიმსჯელოთ მანქანური თარგმანის განხორციელების შესაძლებლობებზე.

თეორიულად, მანქანურმა თარგმანმა, რომლის ბაზაც დღევანდელი ტექნოლოგიური შესაძლებლობებით თავისუფლად შეიძლება მოიცავდეს ამა თუ იმ დარგის სრულ ტერმინოლოგიურ მონაცემებს, თავისუფლად უნდა შეძლოს მშრალი ინფორმაციის ზედმიწევნით ზუსტად და ემოციების გარეშე მიმღებ ენაზე გადატანა. თუმცა, მთარგმნელობითმა გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ თუკი მანქანური თარგმნისას შესაძლებელია რაღაც დონეზე შერჩეული იქნეს ლექსიკური ერთეულის ეკვივალენტი, სამაგიეროდ სხვა სახის რიგ სირთულეებს შეიძლება წავაწყდეთ: 1. გრამატიკული არაეკვივალენტობა, რაც მოიცავს სინტაქსური და მორფოლოგიური ცვლილებების არაადეკვატურ ასახვას: სიტყვათა ფორმაცვალების, წესთწყობის, სიტყვათა ბმულობის, შინაარსობრივი სიზუსტის გათვალისწინებით დადებითი წინადადების უარყოფითად ასახვის აუცილობლობის გაუთვალისწინებლობას და სხვა რიგ გრამატიკულ სირთულეებს; 2. ქვეტექსტის იმპლიციზმის ინტერპრეტაციის შეუძლებლობა. ეს ფაქტორები კი, დამეთანხმება ყველა მთარგმნელი, მანქანური თარგმანის ადეკვატურობის ხელისშემშლელ ფაქტორად გვევლინება.

თარგმანის ადეკვატურად განხორციელების აუცილებელ პირობად ისევ და ისევ მთარგმნელის უნარები გვევლინება, რომელიც თარგმანში სემანტიკურ-გრამატიკული და პრაგმატული ეკვივალენტობის განხორციელების საქმეში მთარგმნელის კომპეტენტურობას ითვალისწინებს.

თუკი მხატვრული თარგმანის ადეკვატურობა, ლექსიკური ერთეულის სემანტიკური მნიშვნელობის ცოდნის პარალელურად, ენის კულტურული ფონისადმი მთარგმნელისეული კონცეპტუალური მიდგომით უნდა ხასიათდებოდეს, მეცნიერულ-ტექნიკური თარგმანის განხორციელება ენობრივი სტრუქტურის ცოდნის გარდა მთარგმნელს ტერმინოლოგიური ბაზის მაქსიმალურად ფლობის საჭიროების წინაშე აყენებს.

დღეს მეცნიერებისა და ტექნოლოგიების სწრაფმა განვითარებამ მრავალი ახალი საქმიანობის სფერო წარმოშვა, რაც ახალი ლექსიკისა და ტერმინოლოგიის გაჩენის საფუძველად იქცა. ამ ფაქტმა კი, ბოლო წლებში, მეცნიერულ-ტექნიკური სფეროს მთარგმნელების საკმაოდ ინტენსიური სახით დარგობრივი სპეციალიზაცია და ვიწრო პროფილით მუშაობა განაპირობა. ამის დასტურია უნივერსიტეტების უცხო ენებისა და მთარგმნელობითი სპეციალობების მქონე ფაკულტეტებში ამ საკითხისადმი აქტუალური მიდგომაც (Ramizoğlu, 2023, 3).

დარგის სპეციალისტისთვის სფეროში არსებულ ტერმინებთან შეჭიდება სირთულეს აღარ უნდა წარმოადგენდეს, თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ თანამედროვე სამყაროში საქმიანობის ყველა სფერო ერთმანეთთან მჭიდრო კავშირშია, ამიტომ, მხოლოდ უცხო ენისა და ვიწრო

დარგობრივი ტერმინოლოგიის შესწავლაც ბოლომდე ვერ უზრუნველყოფს ადეკვატური თარგმანის განხორციელებას.

ვიწრო პროფილის მქონე მთარგმნელიც ყოველთვის მზად უნდა იყოს თარგმნოს მასალა უცნობი სფეროდან. ვინაიდან მეცნიერებისა და ტექნოლოგიების ყველა დარგი მჭიდროდ არის დაკავშირებული ერთმანეთთან, საავტომობილო ინდუსტრიის შესახებ ტექსტის თარგმნისას, შეუძლებელია არ ვიცოდეთ ელექტრონიკის ან ქიმიის განვითარების უახლესი მოვლენები (Смекаев, 2006, 7). ასეთ სიტუაციებში თავად მთარგმნელმა არასოდეს არ უნდა შექმნას ტერმინი ნულიდან. ენაში საჭირო სამეცნიერო და ტექნიკური ტერმინოლოგიის შექმნა-აღწერით სამუშაოს ასრულებენ საქმიანობის გარკვეული სფეროს ექსპერტები ან ლინგვისტიკაში სპეციალიზებული სამეცნიერო წრეები.

გლობალიზაციას განიცდის არა მხოლოდ საზოგადოება, არამედ მეცნიერება და პროფესი-ებიც, რაც რასაკვირველია ახალი ტერმინების წარმოჩენას უზრუნველყოფს. აქვე უნდა აღნიშ-ნოს, რომ ტერმინოლოგია ბუნებით ნებისმიერი ენის ყველაზე მოქნილი და ცვალებადი ფენაა, ამიტომ ახალი ტერმინები სწრაფად იპოვიან გზას და დამკვიდრდებიან ენაში. სამეცნიერო-ტექნიკურ განვითარებასთან ერთად ვითარდება ენის ტერმინოლოგიური ფენაც. ეს პროცესი ასევე ხელს უწყობს სამეცნიერო და ტექნიკური თარგმანის განვითარებას (Ramizoglu, 2023, 4).

როგორც უკვე აღვნიშნეთ, მთარგმნელი, რომელიც თარგმნის ამ სფეროებთან დაკავშირებულ მასალებს, უნდა იცნობდეს შესაბამის ლექსიკას და ტერმინოლოგიას. მთარგმნელობით სფეროში მოღვაწეები დამეთანხმებიან, რომ უნივერსალური მთარგმნელის პოვნა, რომელიც ფლობს სამეცნიერო-ტექნიკური სფეროს სრულ ტერმინოლოგიას, შეუძლებელია.

აქედან გამომდინარე, მეცნიერულ-ტექნიკურ სფეროში ადეკვატური თარგმანის განსახორ-ციელებლად, მთარგმნელისთვის ყველაზე დიდი სამსახურის გაწევა, სამეცნიერო-ტექნიკური სფეროს განვითარების პარალელურად, კომპეტენტური პირების მხრიდან აღნიშნული სფეროს ტერმინების აღწერა-დაფიქსირების საფუძველზე, სრულყოფილი ტერმინოლოგიური ბაზის მქონე ენციკლოპედიურ ლექსიკონს შეუძლია.

ჩემი ინტერესის სფეროს მსოფლიო ლექსიკოგრაფიული მიღწევების ფონზე, ქართულ-თურქული ლექსიკოგრაფიული მდგომარეობა წარმოადგენს.

მაშინ როცა, თურქეთთან პარტნიორული თანამშრომლობის საკითხი ორმხრივი ურთიერ-თობების გაღრმავებასა და ეკონომიკური კავშირების გაზრდას ემსახურება, დამეთანხმებით, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია თურქულ-ქართული ეკონომიკისა და ბიზნესის განმარტებითი ლექსიკონები, განსაკუთრებით კი ენციკლოპედიური სახის ეკონომიკური ლექსიკონები, რომლებიც ყველა სფეროში არსებული ტერმინოლოგიის უდიდეს ბაზას მოიცავენ.

მთარგმნელობითი მოღვაწეობის განვითარება ქართული საზოგადოების მეცნიერულ მიღწე-ვათა ფართე ასპარეზზე გასვლასა და შედეგად მეცნიერთა განვითარება-მოხილობის ხელშეწყობასაც უნდა ისახავდეს მიზნად. თურქულ-ქართული ლექსიკოგრაფია, რომელიც მხოლოდ ცნობარის სახის ლექსიკონებით შემოიფარგლება, აუცილებლად კომპეტენტურ პირთა გადახედვასა და არსებული ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელ ღონისძიებათა გატარებას საჭი-როებს. ტექნიკურ-მეცნიერული ტექსტების თარგმანისას, ისეთი მთარგმნელის პოვნა, რომელიც არსებული ტერმინოლოგიის სწორად გამოყენების მიზნით, სამეცნიერო-ტექნიკური სფეროს ყველა დარგის სპეციფიკაში გარკვეული იქნება, შეუძლებელია. ამიტომ მეცნიერულ-ტექნიკურ სფეროში ადეკვატური თარგმანის განხორციელების წინაპირობად, სფეროს ექსპერტებისა და ლინგვისტების ერთობლივი ძალისხმევის შედეგად, მეცნიერულ-ტექნიკური ლექსიკონების

შემუშავება წარმოადგენს. მსგავსი ლექსიკონები აუცილებლად უნდა ხასიათდებოდეს არსებული დარგების ამომწურავი ტერმინების ფართე განმარტებებითა და გამოყენებითი მზამაგალითების სიუხვით. ასეთი ლექსიკონები, საფუძვლიანად შეუმსუბუქებს შრომას მთარგმნელს და ამავდროულად ტერმინების სწორად გამოყენების საფუძველზე, ადეკვატური თარგმანის განხორციელებას უზრუნველყოფს.

TRANSLATION AND INTERCULTURAL COMMUNICATION

PECULIARITIES OF TRANSLATION OF SCIENTIFIC AND TECHNICAL TEXTS

ZEINAB AKHVLEDIANI

e-mail: zeinab.akhvlediani.1977@gmail.com

Batumi Shota Rustaveli State University

ABSTRACT:

Our era is being considered the turning point of scientific and technological achievements. Nowadays, access to international statistical databases and research results do not represent a problem anymore. Translation is one of the ways to ensure presence in the common information space. Adequacy of translation can pave the way for a young researcher to share the world's scientific achievements and find the right reference based on existing research.

Modern scientific and technological achievements led to the emergence of new activity fields, which in turn led to the emergence of new terminologies and lexical units. It should be noted that in the modern world every field is tightly connected with each other, therefore making a translator to face the need to master the terminology database in the scientific and technical field at full extent. It is implausible to find a universal translator who will be aware of every modern scientific-technical field and consequently is familiar with the terms.

In order to carry out an adequate translation in the scientific and technical fields, the translator's only auxiliary tool is an encyclopedic dictionary with a complete terminological database.

Such dictionaries must necessarily be characterized by extensive definitions of comprehensive terms of existing fields and an abundance of ready-made examples. These dictionaries will thoroughly ease the translator's work and at the same time ensure provision of an adequate translation based on the correct use of terms.

KEYWORDS:

scientific-technical discourse, terms, adequate translation.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Смекаев В.П (2006, М.). *Учебник технического перевода.*
2. Ramizoğlu R. (2023), *Rus araştırmacıların bakış açısından bilimsel ve teknik çeviri sorunları*, RumeliDE Journal of Language and Literature Studies

თარგმანი და კულტურათშორისი კომუნიკაცია

კომუნიკაციის ეთნოსტილის თავისებურებანი

ზურაბ გოცირიძე

ელ-ფოსტა: zuragotsiridze@yahoo.com

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი,

ასოცირებული პროფესორი პოლიტიკური მეცნიერებების მიმართულებით

აბსტრაქტი:

კომუნიკაციის ეთნოსტილის თავისებურებები ნებისმიერ საზოგადოებას, ნებისმიერ ეთნო-კულტურულ ერთობას გააჩნია. ეს ერთგვარი განმასხვავებელი ნიშანია კომუნიკაციის უკიდურეს პროცესში, რომელსაც პიროვნება სხვადასხვა ცხოვრებისეულ - პირად თუ ოფიციალურ - ურთიერთობებში ახორციელებს როგორც საკუთარი, ასევე, გარკვეული ჯგუფის სახელით. სხვაგვარად რომ ვთქვათ, კომუნიკაციის ეთნოსტილის თავისებურებები ერთგვარი ხელწერაა, კუთვნილების ნიშანი.

კომუნიკაციური ეთნოსტილის თავისებურებების გაცნობიერება, მიღება, გათვალისწინება იმდენადაა მნიშვნელოვანი, რამდენადაც ამ დროს ხდება ცალკეული ადამიანის თუ ადამიანთა ჯგუფების მსოფლმხედველობის საფუძვლების შეცნობა და, აქედან გამომდინარე, სწორი სტრატეგიის შემუშავება როგორც საკუთარი მიზნების მისაღწევად, ასევე, უნებური კონფლიქტების თავიდან ასარიდებლად და პატივისცემასა და ურთიერთგაგებაზე დამყარებული ურთიერთობების ჩამოსაყალიბებლად. ეს ყველაფერი კი წარმოუდგენელია იმ ელემენტარული ცოდნის გარეშე, თუ რა წყინს, ახარებს, აბრაზებს თუ ამხიარულებს ჩვენ თანამოსაუბრეს.

დარწმუნებული ვარ, რაც უკეთ შეისწავლიან მხარეები ერთმანეთის კომუნიკაციურ ეთნოსტილს, მით უკეთესი შედეგი ექნებათ მოლაპარაკებებში. ამდენად, კომუნიკაციური ეთნოსტილის თავისებურებების შესწავლას სამეცნიერო-თეორიული ღირებულების გარდა, უდიდესი პრაქტიკული მნიშვნელობაც ენიჭება.

საკვანძო სიტყვები:

კომუნიკაცია, საკომუნიკაციო ეთნოსტილი, საკომუნიკაციო სტილები, კონფლიქტების დარეგულირება, ეთნოკულტურული მრავალფეროვნება, გლობალიზაცია, უნიფიკაცია, ეროვნული თვითმყოფადობა.

უკვე დიდი ხანია, რაც გლობალიზაციისა და უნიფიკაციის პროცესები ახალი აღარაა. ტექნოლოგიურ, ტექნიკურ, ინფორმაციულ დაახლოებას და სტანდარტიზაციას მოჰყვა კულტურული უნიფიკაციის მცდელობაც, რაც გარკვეულწილად განხორციელდა კიდევ. გაცვეთილ, ათასჯერ ნათქვამ, ბანალურ ჭეშმარიტებებს რომ დავესესხოთ, ყველაფერი ახალგაზრდული თუ არცთუ მთლად ახალგაზრდული, მასობრივი კულტურის ექსპანსიით დაიწყო. რა თქმა უნდა, ის უამრავ მომიჯნავე თუ ერთმანეთისგან დამოუკიდებელ სფეროს მოიცავდა და, როგორც ყოველი სტრატეგიულად კარგად გათვლილი და დაგეგმილი ქმედება, მრავალფუნქციური და ლამის ყოვლისმომცველი გახლდათ: ეს, მე მგონი, ასე გავმართოთ: დაწყებული კინოთი და მუსიკით, სასმელ-საჭმელით, ნარკოტიკით, სქესობრივი ქცევითა თუ სხვა სოციალური პრიორიტეტებით გაგრძელებული და ამ ყველაფრის დამწერგავი ახალი, “საყოველთაო” გმირების ჩაცმულობითა და ქცევის კოდექსით დამთავრებული. რა თქმა უნდა ექსპანსია ეტაპობრივად, ტალღოვნად ხორციელდებოდა, რადგანაც უცხოს მიღება ყოველთვის

წერა გოცირიძე

ჭირს ხოლმე. ყოველთვის ჭირს ხოლმე. მითუმეტეს, თუ ეს უცხო სრულიად განსხვავებული და სხვანაირია. ხშირად ახალი ცხოვრებისეული ნორმების დამკვიდრების მცდელობა კოგნიტურ დისონანსს იწვევს. ამის გამო უცხო მიუღებლად აღიქმება. მას თუ იღებენ კიდევ, თითქოს ძალდატანებით, არაბუნებრივად.

თუმცა თესლი მაინც ითესებოდა, ნაყოფს კი მოგვიანებით იძლეოდა. მოსავალს კი "პირობითი მომავალი თაობა" იღებდა. ბუნებრივია ამ "თაობებს" შორის შუალედიც მცირდებოდა ინფორმაციული თეზაურუსის დამკვიდრების, ინფორმაციის შენახვის აქტუალობის შესაბამისად.

მთავარ წინაღობას უნიფიკაციის გზაზე, რა თქმა უნდა, ენა წარმოადგენს. ენა, როგორც ცოცხალი ორგანიზმი, რომელშიც აკუმულირებულია ერის ეთნომენტალური და კულტურულ-მემკვიდრეობითი ინფორმაცია. ეს ცოცხალი ორგანიზმი ცდილობს გადახარშოს, მისადაგოს, გადაამუშაოს და თავისად აქციოს. ან არ მიიღოს და კატეგორიულად უარყოს. რადგან ისეც ხდება, რომ ერთ ენაზე გამოხატული, მისი კულტურისათვის ორგანული მიმართებების გადმოტანა სხვა კულტურის მატარებელ ენებზე შეუძლებელია: "Что русскому хорошо, немцу смерть" და ამ კულტურული განსხვავებულობის დამღევას გლობალიზაციის ერთი შეხედვით შეუქრებელი პროცესი ჯერჯერობით მაინც ვერ ახერხებს. ეს ვერაძლევა და, იმავდროულად, უაპელაციო, ხისტი იძულება თუ მოთხოვნა, რომ "ასე უნდა იყოს, რადგან ეს უმჯობესიაო", იწვევს კონფლიქტებს. ხშირად მოკავშირეებს შორისაც კი. სწორედ ამიტომაც კომუნიკაციის ეთნოსტილის გათვალისწინება, სანამ და სრულად მომხდარა ყველასი და ყველაფრის უნიფიკაცია, თუ კი ასეთი რამ საერთოდ შესაძლებელია, (და იმედს ვიტოვებთ, რომ არ არის). პირველ რიგში, არა სამეცნიერო-თეორიული კუთხით, არამედ პრაქტიკული თვალსაზრისითაც საჭირო. კერძოდ კი, ეს უნდა მოეთხოვებოდეთ სამხედრო უწყებებს, კონფიქტოლოგებს, მოლაპარაკებაში მონაწილე პირებს (ცოტა უფრო ნაკლებად - დიპლომატებს, რადგან, სავარაუდოდ, მათ ამ ტიპის მომზადება უკვე უნდა ჰქონდეთ გავლილი).

ამ აზრის გასამყარებლად მოვიტან ერთ მაგალითს პირადი გამოცდილებიდან:

რამდენჯერმე მომიწია თანამშრომლობა ნატოს გაერთიანებულ სარდლობასთან და საქართველოს თავდაცვის სამინისტროსთან, ავღანეთისთვის ჩვენი ჯარების გადამზადების პროცესში. ჩემი სამუშაოს სპეციფიკა მდგომარეობდა სამხედრო პროფილის თარგმანში. უფრო მარტივად რომ ვთქვათ, გახლდით თარგმანი. ამერიკული და ქართული კონტინგენტის გარდა, იქ ასევე იყვნენ სხვადასხვა ხალხისა თუ ეთნოსის წარმომადგენელები: გერმანელები, პოლონელები, ბულგარელები, ჩრდილომაკედონიელები, არაბები, შუაზიელები ა.შ. თავად ამერიკული კორპუსიც საკმაოდ ჭრელი იყო ეთნიკურად: ჩინელები, მექსიკელები, პუერტორიკოელები, აფრიკელები. მთლიანობაში ძალზე ღია და მეგობრული გარემო იყო. ჩვენი ჯარების მომზადების პროცესის ერთ-ერთ მნიშვნელოვან კომპონენტს პოლიციურ-საპატრულო-საბაჟო ოპერაციების წარმოებაც წარმოადგენდა. ამ თემასთან დაკავშირებული ტრენინგები ორიენტირებული იყო ადგილობრივი (ავღანური) მოსახლეობის წეს-ჩვეულებების, რელიგიური, ეთნიკური და ტომობრივი ნიუანსების შესწავლაზე, რათა ისედაც უაღრესად დამაბულ რეგიონში, სადაც მოსახლეობის უმეტესობა უცხოური სამხედრო კონტინგენტის მიმართ ისედაც მტრულად იყო განწყობილი, ვითარება კიდევ უფრო არ გაართულებულიყო. საამისოდ აშენებული იყო იმიტირებული სოფლები, დაბები - სრული ინფრასტრუქტურით, დაწყებული მეჩეთებითა და სოფლის გამგეობის შენობით, ყადის ან სოფლის უხუცესის გამორჩეული საცხოვრისით და დამთავრებული უბრალო პატარა სახლებით. ამ "სოფელში" "ცხოვრებაც" ავღანეთისათვის ჩვეული რიტმითა და წესით

მიედიწებოდა. მსახიობები მხოლოდ საღამოსკენ იმლებოდნენ და საკუთარ სახლებში მიდიოდნენ. ამ შესავლის გაკეთება აუცილებელია იმის დასანახად, თუ რამდენად სერიოზულად უდგებოდა აშშ-ის სამხედრო (და არამართო სამხედრო) ხელმძღვანელობა ეთნოკულტურული და რელიგიური ბეჭრაუნდის შესწავლასა და გათვალისწინებას, რაც პრაქტიკული თვალსაზრისით უაღრესად მნიშვნელოვანი იყო.

ბუნებრივია, სამუშაო პროცესში ბევრ ადამიანთან ჩამომიყალიბდა ურთიერთობა. ზოგთან-ნეიტრალური, ზოგთან-კარგი, ზოგთან-უკეთესი. რამოდენიმე კაცთან დღემდე ვმეგობრობ. ამერიკელი სამხედროების აბსოლუტური უმრავლესობა ძალიან გულელია, მეგობრული ადამიანები გახლდნენ. მათთან საკმაოდ დიდი დროის გატარება გვიწევდა და, მიუხედავად დაახლოებებისა და გარკვეული ფამილარობისა, ჩვენი ურთიერთობა მაინც მკაფიო ჩარჩოებში რჩებოდა. თითქოს ჩვენ შორის დაუწერელი შეთანხმება არსებობდა. ამისი ახსნა, ერთი მხრივ, ამერიკელებისთვის ბავშვობიდანვე ჩანერგილი ტოლერანტობისა და პოლიტკორექტულობის გამმაფრებული შეგნება იყო, რომლის დარღვევა დაუშვებლად მიაჩნდათ. ხოლო, მეორე მხრივ, ჩვენთვის - ქართველებისთვის - გენეტიკურად მონიჭებული ტაქტის გრძნობა.

მიუხედავად ამისა, ჩვენსა და ამერიკელებს შორის მცირე კონფლიქტი მაინც მოხდა. ერთ-ერთმა მექსიკური წარმოშობის ამერიკელმა ოფიცერმა მეგობრულ საუბარში ქართველები მოგვიხსენია უსიამოვნო ეპითეტით: " - You mother fuckers sleep all the time". სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ თავად ეს კონსტრუქცია ინგლისურ ენაში ატარებს როგორც უარყოფით, ისე ნეიტრალურ და დადებით კონოტაციასაც კი. მაგალითად ქართულში "დედამ....ი" და "დედის...". ესპანურად "Chingon". ესპანური ენის აქ მოტანას აზრი აქვს და აი რატომ. ამ მომართვამდე რამდენიმე წუთით ადრე ვესაუბრებოდი მეორე ამერიკელ ოფიცერს (პუერტორიკული წარმოშობის), რომელიც ზემოაღნიშნული მექსიკელი ამერიკელი ოფიცრისგან განსხვავებით ესპანურენოვანი იყო. საუბარში ვახსენე, რომ მყავდა მექსიკელი მეგობრები, რომლებთანაც ძალიან ახლო ურთიერთობა მქონდა, რასაც იმით ვადასტურებდი, რომ ერთმანეთში დაშვებული გვექონდა მიმართვა "Cabron" - რაც ქართულად კარგს არაფერს ნიშნავს, თუმცა ესეც სრულად გამომდინარეობს ურთიერთობის სიახლოვისა და სიღრმიდან. ჩვენი სტატიის ლაიტმოტივს რომ მივუბრუნდეთ, პუერტორიკოელმა ოფიცერმა განმმარტა, რომ "Что русскому хорошо, то немцу смерть" - ანუ, ის, რაც მექსიკაში "მოსულა" პუერტორიკოში "არ მოსულა". ამ მიმართვისთვის აუცილებლად გესვრიანო. არ ვიცი, რამდენად მართლა გესვრიან, ალბათ ისევე, როგორც აქ დედის გინებისთვის. ფაქტი ისაა, რომ მათთვის ეს მიუღებელია. მერმე ცოტა კიდევ ვისაუბრეთ საკუთარ ქვეყნებზე, წეს-ჩვეულებებზე ა.შ., რასაც მოჰყვა ჩემ მიერ უკვე აღნიშნული უსიამოვნო მომართვა მექსიკელი ამერიკელი ოფიცრისგან. ბუნებრივია არ მესიამოვნა, მაგრამ ისედაც, როგორც კულტურულმა ადამიანმა და მითუმეტეს ხსენებული კონტექსტიდან გამომდინარე, ვცადე ამეხსნა, რომ ეს სწორედ ის შემთხვევა იყო, რაზეც მე და მისი პუერტორიკოელი კოლეგა ვსაუბრობდით და რასაც ისიც ისმენდა. ავუხსენი, რომ ჩვენთვის ეს მიუღებელია და ვთხოვე, რომ აღარ მოვეხსენიებინეთ ამ სიტყვებით. მან მიპასუხა, რომ ცუდი არაფერი უგულისხმია, და რომ ეს მხოლოდ გამოთქმაა ასეთი. კიდევ შევეცადე დამერწმუნებინა, რომ მიუხედავად იმისა, ვიცოდი ინგლისურში ეს გამოთქმა მრავალ განსხვავებულ დატვირთვას ატარებს და იმისიც მჯეროდა, რომ მას შეურაცხყოფის მოყენება არ სურდა, ეს ჩვენთვის მაინც მიუღებელი იყო. მოვიყვანე ცოტახნისწინანდელი მაგალითი "Cabron" თან დაკავშირებით. ჩემდა გასაკვირად და სამწუხაროდ, მექსიკური წარმოშობის, ესპანურის არმცოდნე, გაამერიკებული "საღდათი" გამიჯიქდა. პუერტორიკოელი ალაღად ცდილობდა მშვიდობისმყოფელის როლი ეთამაშა, თუმცა უშედეგოდ. მექსიკელმა ტონს

ჯურაბ გოცირიძე

მე-XX საუკუნის რუსული ლიტერატურული ზღაპრის შესწავლის რამდენიმე ეტაპზე შეიძლება ვისაუბროთ. პირველად 50-იანი წლების ბოლოს დაისვა საკითხი საავტორო ზღაპრის ლიტერატურასთან და ფოლკლორთან უშუალო ურთიერთობის შესახებ. პირველ სამეცნიერო კვლევებში ლიტერატურული ზღაპარი ხალხურ ზღაპართან შედარებითი ანალიზის სისტემით იქნა გააზრებული, გამოიკვეთა მისი ჟანრობრივი ნიშნები და რეალობასთან ურთიერთობის თავისებურებები. მეცნიერებისა და კრიტიკოსების მნიშვნელოვან ინტერესზე ბავშვებისთვის განკუთვნილი ლიტერატურული ზღაპრისადმი, 70-იანი წლებში განვითარებული დისკუსიაც მოწმობდა ზღაპარში სასწავლო თავისებურებებზე, მის მნიშვნელობაზე ბავშვების კითხვაში და განვითარების პერსპექტივებზე. გარკვეული რაოდენობის ნამუშევრების გამოჩენის მიუხედავად, ჯერ კიდევ 70-იანი წლების ბოლოს, სპეციალისტებმა აღნიშნეს თეორიული განზოგადების ნაკლებობა ლიტერატურული ზღაპრების შესწავლაში. 80-90-იანი წლები იყო ლიტერატურის თანამედროვე პირობითი (და ეკლექტური) ფორმების აქტიური კვლევის, ხალხური პოეზიის ლიტერატურაზე გავლენის, ასევე მე-XX საუკუნის ლიტერატურული ზღაპრის ზოგადად გააზრების დრო.

ეს სამეცნიერო მიმართულება ერთ-ერთ პრიორიტეტად იქცა. გამოჩნდა დიდი ნაშრომების მნიშვნელოვანი რაოდენობა, რომლებიც მიეძღვნა ლიტერატურის ფოლკლორიზმის თეორიულ პრობლემებს, ლიტერატურულ ზღაპარს მე-XIX და XIX - XX საუკუნეების მიჯნაზე, ლიტერატურული ზღაპრის სამეცნიერო ფანტასტიკურ ლიტერატურასთან კავშირების გამოვლენას.

მე-XX საუკუნის რუსული ლიტერატურული ზღაპარი კვლავ რჩება არასაკმარისად შესწავლილ მოვლენად, თუმცა ცალკეული პერიოდები, სახელები და სახეობები დეტალურად და ღრმად არის შესწავლილი.

Литература:

1. Леонова Т.Г. Русская литературная сказка XIX в. в ее отношении к народной сказке: Поэтическая система жанра в историческом развитии. - Томск, 1982,
2. Кривошапова Т.В. Русская литературная сказка конца XIX - начала XX веков. - Акмола, 1995
3. Липовецкий М.Н. Поэтика литературной сказки (на материале русской литературы 1920-1980-х годов). - Свердловск, 1992,
4. Лупанова И.П. Полвека. Советская детская литература 1916-1967. Очерки. - М., 1969
5. Арзамасцева И.Н., Николаева С.А. Детская литература. - М., 2000; Русская литература для детей. Под ред. Т.Д.Полозовой. - М., 1997
6. Нагишкин Д. Сказка и жизнь. - Л., 1957; Лупанова И.П. Русская народная сказка в творчестве писателей первой половины XIX в. - Петрозаводск, 1959; Привалова З.В. Советская детская литературная сказка 20-30-х гг.: Дисс. . к.фил.н. - М., 1959.
7. Аникин В.П. Большое искусство сказки (Обработка народных сказок советскими писателями) - ЛГ, 1952, № 2; Аникин В. Писатели и народная сказка// Русские сказки в обработке писателей. М., 1969; Аникин В. Вечнозеленая ветвь. О поэтических исканиях писательской сказки // «Литература в школе», 1970, № 2.
8. Бахтина В.А. Литературная сказка в научном осмыслении последнего двадцатилетия //Фольклор народов РСФСР: Межвуз. науч. сб. - Уфа, 1979, вып.6.
9. Овчинникова Л.В. Русская литературная сказка XX века: история, классификация, поэтика: учебное пособие /- Москва : Флинта : Наука, 2003

ლიტერატურის თეორია და კომპარატივისტიკა

ბასილ მელიქიშვილის სიმბოლური მემკვიდრეობა (მოთხრობა „თურმანი“ მიხედვით)

თამარ შარაბიძე

ელ-ფოსტა: shagno12@gmail.com

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

აბსტრაქტი:

ბასილ მელიქიშვილი ჯერ კიდევ ნაკლებად აღიარებული ქართველი კლასიკოსია, რომელიც XX საუკუნის 20-იან წლებში გამოჩნდა ქართული ლიტერატურის ასპარეზზე და სულ ორი წელი დასცალდა. ზვიად გამსახურდიას ის ნოვალისის დონის, მაგრამ, სამწუხაროდ, დაუფასებელ მწერლად მიაჩნდა. ამის მიზეზი, გარდა ამ ქვეყნიდან ნაადრევად წასვლისა, მწერლის ანტიკოლონიური ბრძოლაც უნდა იყოს, უპირველესად კი 1924 წლის აჯანყებაში მონაწილეობა. ანტიიმპერიული და ანტიბოტალური თემატიკის მწერალი ვერ შევიდოდა ქართული ლიტერატურის ისტორიაში. მხოლოდ XX საუკუნის ბოლოს (1987 წელს) მიეცათ ლიტერატურათმცოდნეებს საშუალება, გამოეცათ მისი პირველი კრებული. 2021 წელს შევსებული მასალებით კრებული ხელახლა გამოსცა ლიტერატურათმცოდნე გია არგანაშვილმა, რითაც მწერლის შემოქმედება ცნობილი გახდა თანამედროვე მკითხველის ჯერ კიდევ ვიწრო წრისათვის.

განუმეორებელია ბასილ მელიქიშვილის მხატვრული სტილი. ის არა მხოლოდ ფლობს ენას, სიტყვის ფუძეში იხედება, თავსიტყვაში და მის თავდაპირველ მნიშვნელობას წარმოაჩენს. მეტაფორულად მეტყველებს და ეს მეტყველება მისთვის შეთხზული კი არა, ბუნებრივია; ყველაზე განუმეორებელი მაინც მიმართვის ფორმით გადმოცემული ვრცელი სიუჟეტებია; სიმბოლო არასდროს არ არის ავტორის მიერ გაშიფრული, ზუსტად მისადაგებული თავის შესაძლო მნიშვნელობასთან, რაც ტექსტს იდუმალების საფარველში ჰხვევს. ამავე ფუნქციას ასრულებს პერსონაჟთა ხილვებიც, რომელთაც რეალისტური თხრობა სიმბოლურ-ალეგორიულ, ალუზიურ სამყაროში გაჰყავთ.

წერილის მიზანია ბასილ მელიქიშვილის ერთი მოთხრობის - „თურმანი“ - გამორჩევით (რომლის მთავარი პერსონაჟი თავად ბასილ მელიქიშვილისთვისაც გამორჩეულია) მწერლის ინდივიდუალური, სხვათაგან განსვავებული სტილის წარმოჩენა, სიმბოლური მეტყველების ანალიზი, ლიტერატურის მიმართულების განსაზღვრა, რათა მან კუთვნილი ადგილი დაიკავოს ქართული ლიტერატურის ისტორიაში.

საკვანძო სიტყვები:

ბასილ მელიქიშვილი, სიმბოლური მეტყველება, მოთხრობა „თურმანი“;

განუმეორებელია ბასილ მელიქიშვილის მხატვრული სტილი. მწერალი ნაწარმოების დაწყებიდან მის დასრულებამდე სიმბოლურად მეტყველებს. მელიქიშვილის სახისმეტყველებაში ერთმანეთთანაა შერწყმული წარმართული და ქრისტიანული სიმბოლიკა. მოთხრობა „თურმანის“ უპირველესი სიმბოლო „ტარიგია“: „მიწამ მოითხოვა ტარიგი და ხალხს ჩამოეხსნა დალიჯა“ [მელიქიშვილი 2021 : 25]. წარმართული ტრადიციით, ტარიგი შეწირული მსხვერპლია, რომლის გაღებითაც ღმერთები ადამიანებს სასურველს ანიჭებენ. სალთუჯის შვილიც ის ტარიგია, რომლის მსხვერპლშეწირვით „ხალხს ჩამოეხსნა დალიჯა“ და ფიზიკურად გადარჩა; ქრისტიანული „ტარიგი“ განსხვავდება წარმართულისგან. ის თავად იესოა, ძე ღვთისა, რომელიც წმინდა სამების განგებულებით თავიდანვე განმზადებული იყო მსხვერპლად

თავარ შარაბიძე

ადამიანთა გამოხსნისათვის. ქრისტიანული ღმერთი არ იწირავს მსხვერპლს სისხლით, პირიქით, ის თვითონ აძლევს კაცობრიობას თავის მხოლოდშობილ ძეს. იესოს ხატისადმი მიმსგავსებით ტარიგია წმინდანიც, რომელიც თავისი ურყევი ნებით იმეორებს ქრისტეს გზას გოლგოთითა (წამებით) და ამაღლებით. წმინდანი იგივე „კრავია“, რომლის სახეც მოდის ბიბლიური სიუჟეტიდან - აბრაამის მიერ ისაკის მსხვერპლად შეწირვიდან. უფალმა არ შეიწირა მართალი ადამიანის წმინდა გულით გაღებული მსხვერპლი და ნიშნად მისცა მას კრავი. ამიტომ წმინდანი „ტარიგია“ და „კრავიც“, უფლისადმი თავისი ნებით შეწირული.

თუ წმინდანის „კრავობა“ და „ცხვრობა“ უფლის ჭეშმარიტ მორწმუნეობას გამოიტყვის და ადამიანებისთვის ნათელი და სითბო მოაქვს, ანუ სულის „განათლება“; სალთუჯის, აბრაამივით მართალი კაცის, გაღებული მსხვერპლი მხოლოდ ფიზიკურ გადარჩენას არგუნებს თავის ხალხს, დასასრულისკენ მიჰყავს, ნათელი და სითბო არ მოაქვს. ლასტიციხის მკაცრი ბუნებით გაოგნებული თურმანი კითხულობს: „იქნება, გაგიქრათ მზე და სითბო?“ [მელიქიშვილი 2021 : 23] შემდეგ კი ლასტიციხესა (სადაც მსხვერპლშეწირვა უკვე მოხდა) და შუქართს (სადაც ჯერ არ მომხდარა) ერთმანეთს ადარებს: „ჰხედავთ? ძირს ხეობაში ჯერ ისევ რთველია და სიმწვანე, ლასტიციხემ კი სუსხი დაიხვია და თქვენ მოღუნულხართ ზამთრის კარმოდგომისაგან. თქვენ ადრე გიგრძენიათ დასასრული“ (იქვე). შემთხვევითი არ არის არც „დასასრულის“ ხსენება. ამ ხალხმა ტარიგის შეწირვით ვერ მოიპოვა ხსნა. იგივე დღე მოელის ქართლსაც, თუ ლასტიციხელთა უმძიმეს ცოდვას გაიმეორებს. ამ ცოდვას აღიქვამს თავად სალთუჯიც - „არა კმარა თესლი. ცოდვაც უნდა, რომ ...“ [მელიქიშვილი 2021: 21]. ის ხვდება, როტომაცაა მისი თვალები სამუდამოდ დაბნელებული და მთელ დარჩენილ ცხოვრებას მარტობასა და ტანჯვაში ატარებს, სიკვდილის წინაც თავის სხეულს „მმორს“ უწოდებს, რაც უკვე მკვდარს აღნიშნავს.

მეორე მსხვერპლი, ქართლისათვის გაღებული, ინდასა და ბეასლამის შვილი, „ლომისფაფრიანი, წმინდა და გადაუგვარებელი“ თანდელი უნდა იყოს, რომელსაც ღვარძლი ვერაფერს აკლებს. ბაღლის ტარიგობამაც ვერ უშველა ქვეყანას, პირიქით, ვხედავთ, რომ უკუნეთმა, სიბნელემ მოიცვა ქართლი და ერთ უბედურებას მეორე მოჰყვა, გამოვლინდა საყოველთაო ცოდვის მძიმე შედეგები. ხორბალი კი აღმოცენდა, მაგრამ ხალხი „თვალბეცი“ შეიქმნა, რომელსაც მხოლოდ ფიზიკური გადარჩენა ახარებს.

რამდენად არიან ქრისტიანული ტარიგები სალთუჯის შვილი და თანდელი? მათი ხვედრი - მსხვერპლად გაღება ხალხის გადასარჩენად - ვერ ჩაითვლება იესოს ჯვარცმის ანალოგად და, აქედან გამომდინარე, ამ პერსონაჟებს არ მიესადაგება ქრისტისნული „ტარიგის“ სახე-სიმბოლო. „მსხვერპლი ღმრთისა არს სული შემუსვრილი, გული შემუსვრილი და დამდაბლებული ღმერთმან არა შეურაცხ-ყოს“ [ფსალმ.50, 17]. მაგრამ მნიშვნელობაგასაწევია ის ფაქტი, რომ ორივე მსხვერპლი უცოდველია. ისინი სხვათა ნებით ეწამებიან და, უცოდველნი, თავისთავად სულიერი სიმაღლის გამოძახებულნი არიან. ისინი წარმართული წინა-სახეებია ქრისტიანული „ტარიგისა“, რომლის სახის გახსნისკენ ნელ-ნელა, აუჩქარებლად მიდის ავტორი.

რამდენადაა ჭეშმარიტი უფლის ტარიგი თურმანი, დაღდასმული, ცოდვილი და ჩვეულებრივი მოკვდავი?! ამ კითხვაზე პასუხს წარმოადგენს თურმანის პერსონაჟის მთლიანი გახსნა, განსაკუთრებით კი, მისი სახის სრულყოფა ნაწარმოების ბოლოს. სწორედ თურმანმა იტვირთა და „შეიერთა ლომისფაფრიანი ბაღლი, სალთუჯის ას ცამეტი წელიწადი და ცეცხლი, რომელშიც წინა ჩაიბუგა“ [მელიქიშვილი 2021 : 67], შეიერთა მოხუციცა და ბაღლიც. ის „სალთუჯისფერია“ და „ბაღლივით დახვეწილი და კეთილი“. თურმანი ქართლისა და საკუთარი ცოდვების მზიდველი გახდა, მაგრამ მაინც შეძლო ძნელად შესაძლებელი, ინდას წინაშე თავის მხილება

„სულის დასაწყენარებლად“, რითაც „გაშიშვლდა“ უფლის წინაშე (აქ სულიერი სიმიშვლე, მონანიება და განწმენდა იგულისხმება). მემატინეს სიტყვებით, „ორგზის მოსულივით“ მომზირალი თურმანი „შთაინთქა და სივრცეში გაილია, თურმანი სალთუჯისფერი და ბალდი, ცამ თუ ჩადირა?“ [მელიქიშვილი 2021: 72]. თურმანი ცაში ჩადირა და არა უფსკრულსა და სიბნელეში, რაც მის ცადამაღლებას მოასწავებს. სწორედ მთავარი პერსონაჟის სახით შექმნა ავტორმა ვირტუოზული ვარიაცია, შეაერთა ფიზიკური და მეტაფიზიკური (მიწა და ცა) და წარმოაჩინა უმაღლესი რანგის სინთეზი, რაც ზოგადად დამახასიათებელია ქრისტიანულ სახე-სიმბოლოთათვის, მასში გააერთიანა ძველი და ახალი აღქმის საღვთო ისტორია.

ნაწარმოებში ერთ-ერთი მთავარი სახე-სიმბოლოა „მთესვარი“. თურმანის ტრაგედია იმ დღიდან იწყება, როცა იგებს, რომ ღვარძლის მოსასპობად საჭიროა მთესვარი ბალდი, ღვთიური და წმინდა. მან უნდა ჩააპნიოს ხნულში თესლი და შემდეგ დამაშვრალი ქვეყანას შეეწიროს. არა მხოლოდ თესვაა საჭირო პურის მისაღებად, არამედ მთესვარიც. პური კი ადამიანისათვის ყველაზე მნიშვნელოვანი საზრდოა. მთესვარის სახე-სიმბოლო მხოლოდ ქრისტიანული ვერ იქნება, რადგან საქართველო ოდიტგანვე ხორბლის სამშობლოა. ამ მცენარის ოცდაერთი ძირეული ჯიშიდან თვრამეტი საქართველოში ხარობს, ამ ჯიშთა სახესხვაობა კი რამდენიმე ასეულია. წარმართულ კულტურაში მთესველობა საპატიო მოვალეობაა, რადგან პური ადამიანის ფიზიკური არსებობის საფუძველია. ქრისტიანულ სახისმეტყველებაში კი მთესველმა განსხვავებული დატვირთვა შეიძინა. სწორედ მთესველის იგავით უხსნის იესო ხალხს ცათა სასუფეველის საიდუმლოს:

„ყოველსა რომელსა ესმეს სიტყუაი სასუფეველისაი და არა გულისხმა-ყოს, მოვიდის უკეთური იგი და მისტაცის თესლი იგი გულისაგან მისისა: ესე არს, რომელი-იგი გზასა ზედა დაეთესა“ [მათე 13, 19].

„ხოლო რომელი-იგი კლდოვანსა ზედა დაეთესა, ესე არს: რომელმან სიტყუაი იგი ისმინის და მეყსეულად სიხარულით გულსა თვისსა მიიღის იგი. ხოლო ძირი არა აქუნ გულსა თვისსა, არამედ საწუთროსა არნ. და რაჟამს არნ ჭირი ანუ დევნაი სიტყვისა მისთვის, მეყსეულად დაბრკოლდიან“ [მათე 13, 20-21].

„ხოლო რომელი-იგი ეკალთა შორის დაეთესა, ესე არს: რომელმან სიტყუაი იგი ისმინის, და ზრუნვამან ამის სოფლისამან შეაშთვის სიტყუაი იგი, და უნაყოფო ქმნის“ [მათე 13, 22].

„ხოლო რომელი-იგი კეთილსა ქუეყანასა დაეთესა, ესე არს, რომელმან სიტყუაი იგი ისმინა და გულისხმა-ყო, რომელმან გამოიღო ნაყოფი და ყო რომელმანმე ასი, რომელმანმე სამეოცი და რომელმანმე ოც და ათი“ [მათე 13, 23].

ბასილ მელიქიშვილის მოთხრობის მიხედვით, ვერც მთესვარმა - სალთუჯის შვილმა და ვერც თანდილმა - ვერ მოუტანა სულიერი ნაყოფი ხალხს, რადგან თესლი უნაყოფო ნიადაგზე დაეცა, თურმანის „დამაშვრალობამ“ კი გამოიღო ნაყოფი სინანულისა, რამაც ის ცად აამაღლა და ნიადაგი მოამზადა მის ხალხში აღმოსაცენებლად. ცხადია, ბასილ მელიქიშვილი „მთესვარის“ სახე-სიმბოლოში მაცხოვარს გულისხმობს: „რომელი სთესავს თესლსა კეთილსა, ძეი კაცისაი არს“ [მათე 13, 37]. თანდილი და სალთუჯის ვაჟი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, წინასახეებია იესოსი, რომელთა შეუწავებით თურმანი უნდა გახდეს ნაყოფიერ ნიადაგზე მთესველი, მაუწყებელი ქართლის მოქცევისა.

მოთხრობაში მთესვართან ერთად წარმოჩნდება „თესლისა“ და „ღვარძლის“ სიმბოლიკაც, რომლის არქექტიპიც უდავოდ სახარებაა:

თავარ შარაბიძე

„ხოლო აგარაკი იგი ესე სოფელი არს; ხოლო თესლნი იგი კეთილნი ესე არიან ძენი სასუფევლისანი, და ღვარძლნი იგი არიან ძენი უკეთურისანი“ [მათე 13, 38]. მოთხრობაში კეთილი თესლია თურმანი, სალთუჯი, მეზისი, ინდა, ბეასლამი, ბალდი. ღვარძლია ჯათი, რომელსაც ხალხმა „ღვარძლის უფალი“ შეარქვა.

ძალიან საინტერესოა ბაღის მხატვრული განსახოვნება ვენახად. „ვენახის“ სახე-სიმბოლო, რა თქმა უნდა, თავდაპირველად წარმართობიდან მოდის და დიონისეს კულტს უკავშირდება, თრობას, რომელიც ამ მდგომარეობაში მყოფს შვებასა და ღრეობაში გადასულ პირობით თავისუფლებას ანიჭებს. დიონისეს სახეში მოიაზრება მისი ნაკუწ-ნაკუწ დანაწევრებაც და შემდგომში მკვდრეთით აღდგომა. ქრისტიანობის შემოსვლასთან ერთად „ვენახის“ სახისმეტყველება ტრანსფორმირდება, ხოლო დიონისეს კულტისეული ვაზის რტოები, ფოთლები და მტევნები ქრისტეს, ღვთისმშობლის, მოციქულებისა და წმინდანების სიმბოლურ მნიშვნელობას იძენს. სახარებისეული იგივით ვენახი იგივე სასუფეველია, ხოლო მისი მუშაკი ის ადამიანი, ვინც სასუფეველში იმკვიდრებს ადგილს თავისი ნაღვაწით: „რამეთუ მსგავს არს სასუფეველი ცათაი კაცსა სახლისა უფალსა, რომელი განვიდა განთიად დადგინებად მუშაკთა ვენახსა თვისსა“ [მათე 20, 1]. წმინდანი ხდება ვენახის მეათერთმეტე ჟამის მუშაკი, რომელიც უკანასკნელ ჟამს მივიდა იქ და იგივე საფასური მიიღო, რაც ადრე მისულებმა. ამ იგავით უფალი მიანიშნებს ხალხს რწმენაზე - სასუფევლის დასამკვიდრებლად რწმენა (მიზანი) მთავარი და არა ფიზიკური საზომით განსაზღვრული შრომა. საღვთო ისტორიიდან ყველასათვის ცნობილია, რომ ედემში დანერგილი იყო სიცოცხლის ხე, მაგრამ სამყაროს ცოდვით დაცემის შემდეგ სიცოცხლის ხედ თავად იესო ქრისტე გაცხადდა, რომელიც კაცთა ხსნისათვის გადმოენერგა მიწაზე. ახალი სიცოცხლის ხე ქართულ სივრცეში ვაზის სიმბოლოთი გამოიხატება. როგორც მაცხოვარმა განიღო გვერდი, რათა თავისი სისხლით აღედგინა კაცთა მოდგმა, ვაზიც გამოიღებს მტევანს, რომლიდანაც ზიარების ღვინო, უფლის სისხლი იწურება. აქედან ვაზი მსხვერპლის, ე.ი. ქრისტესი და მისი აღდგინებით სიცოცხლის ხის კრებითი სიმბოლოც ხდება, ხოლო ღვთისმშობელი - ედემში დანერგილი ჭეშმარიტი ვენახის, რომლის მტევანი - ქრისტე - კაცობრიობის მსხვერპლია. ქართული მწერლობა მე-12 საუკუნეში გვიჩვენებს სიმბოლოთა ენის სრულ ფლობას, რომლის ნიმუშიც არის დემეტრე პირველის ცნობილი ღვთისმშობლის საგალობელი - „შენ ხარ ვენახი“:

„შენ ხარ ვენახი, ახლად აღყვავებული,
მორჩი კეთილი, ედემს შინა ნერგული,
ალვა სულნელი, სამოთხესა მოსრული,
ღმერთმან შეგამკო, ვერვინ გჯობს ქებული,
და თავით თვისით მზე ხარ გაბრწყინებული“

ლექსთაწყოებიდან და ლექსიკიდან გამომდინარე სწორედ ეს საგალობელი უნდა იყოს არქეტიპი ბასილ მელიქიშვილის „თურმანის“ საგალობლისაც, რომელიც ბაღლისადმია მიძღვნილი. დემეტრე პირველის ტექსტში ღვთისმშობლის სახე თუ ედემის ვენახსა და სამოთხის ალვაში განსახოვნდება, რაც ღვთაებრივი სრულყოფილების მდგომარეობაა, ბასილ მელიქიშვილის საგალობელში ბაღლის სახე სახარებისეულ სიმბოლოთა ნაკრებს წარმოადგენს:

„- ბაღლო - წმინდაო და ჩვილო კეთილი!
ბაღლო - ადგილო კურუმკურუმო და ხელუხლებელო!
ბაღლო - ვენახო ჭეშმარიტო - ახლად აყვავებულო!
ბაღლო - მარილო მიწის გულიდან ამოტანილო!“

ბაღლი - ღრუბელი - ქარიშხლისაგან გადმოტყორცნილო!

ბაღლი - მდინარე დაუშრეტელო!

ბაღლი - ელვაო და დილის ცვარ-ნამო!

ბაღლი, დამიფარე და დამიცავ!.. [მელიქიშვილი 2021 : 68].

ბაღლი ვენახია, მარილი, ღრუბელი, მდინარე და ცვარ-ნამო. ვენახი ქრისტეა, რომელმაც გამოიღო კაცობრიობის მხსნელი მტევანი, რათა აღედგინა ადამიანთა მოდგმა და დაკარგული სიცოცხლე მიენიჭებინა მისთვის. ქრისტეს მოწაფეები ის მარილია ხალხისთვის, რომელმაც მას არსებობა უნდა შეუნარჩუნოს, გახრწნას გადაარჩინოს: „თქვენ ხართ მარილნი ქვეყნისანი. უკუეთუ მარილი იგი განქარდეს, რაითა-მე შეიმარილოს? არღარა სახმარ არნ მიერიტვან, არამედ განგდებად გარე და დათრგუნვად კაცთა მიერ“ [მათე 5, 13]. ღრუბელი სახარებისეული სიმბოლიკით ზეციური სამყოფელია; „ღრუბელი ნათლისაი“ ჰფარავთ ქრისტესა და მის მოწაფეებს, ღრუბლიდან კი ხმა მოისმის: „ესე არს ძეი ჩემი საყუარელი, ამისი ისმინეთ“ [ლუკა 9, 35]. მდინარისა და ცვარ-ნამის სახეები „ცხოვრების წყაროს“ უკავშირდება, რომელიც უფლის ერთ-ერთი სახე-სიმბოლოა და რწმენისა და „ცხოვრების“ (მარადიული სიცოცხლის) მომნიჭებელს ნიშნავს: „რომელსა ჰრწმენეს ჩემი, ვითარცა თქუა წიგნმან, მდინარენი მუცლისანი მისისაგან დიოდინ წყლისა ცხოველისანი“ [იოვანე 5, 38]; ელვასაც ღვთიური ნათლის მნიშვნელობა ენიჭება. ამ სახე-სიმბოლოთა ნაკრები ქმნის უფლის სახეს. აქედან გამომდინარე, ბასილ მელიქიშვილის ბაღლი წინასახეა უფლისა, მინიშნებაა უფლის ქვეყნად მოვლინებასა და მის ტარიგად შეწირვაზე.

თავად „ბაღლი“ იგივე **ყრმაა**, რომელიც **მოხუცის** სახეს იერთებს: „ეგებ თანდილმა ბაღლი და მოხუცი შეაერთა? მაშ, რად აკვირვებდა ქვეყანასა იმისი ბაღლური ჩამობერება?“ [მელიქიშვილი 2021 : 53]. უფლის სახელთა განმარტებებში ყრმა და მოხუცი, ერთმანეთთან დაუკავშირებელი შეერთება, უსასრულო დიაპაზონის გამოხატულებაა და ქმნის უფლის სახეს. უფალი ყრმა, რადგან არსებობდა „უწინარეს მათ საუკუნეთა“ და მოხუცია, რადგან იქნება „უკუნითი უკუნისამდე“, მარადიულად.

საინტერესოაა მოთხრობაში წარმოდგენილი **ტაძრის** სიმბოლიკა, მისი ტრანსფორმაცია წარმართულიდან ქრისტისნულამდე. ტაძარს ბეასლამისა და მისი შვილის საფლავზე დგამენ (არ დაგვავიწყდეს, რომ, მოთხრობის მიხედვით, ის იდგმება წარმართულ საქართველოში არა კერპის, არამედ ადამიანის სადიდებლად). „ტაძარი იყო მკვიდრი და მუხას აცილებული“ [მელიქიშვილი 2021 : 58], - წერს ავტორი. მანამდე კი თურმანი ლომისფაფარს შეჰკვცეს ბაღლს და დიდ მუხას მიაკრავს. ხეთა თავყანისცემა გარცელებული იყო უძველესი ეპოქის საქართველოში. სამეცნიერო ლიტერატურაში ეს საკითხი მრავალმხრივ არის შესწავლილი. ფშაველ-ხევსურთა ლოცვებში დღემდე არის შემორჩენილი მუხის ანგელოზის დიდება. მუხა წარმართულ სიმბოლოთაგან ერთ-ერთი უპირველესია (შემდგომში ის ჩაანაცვლა ცაცხვმა). მუხა იგივე დედაბოძია, გაუცნობიერებელი არსია სამოთხისეული სიცოცხლის ხისა. სწორედ ამიტომ დასავლეთ საქართველოში მოქადაგე ქრისტეს მოციქულმა ანდრიამ მოჭრა დიდი ჭყონი (დიდი მუხა) და ძელი ჭეშმარიტით ანუ ჯვრით შეცვალა, რომელიც ქრისტეს ეკლესიის სიმბოლოა. მოთხრობაში შეკვეცილი თმების მუხაზე მიკვრა იმავე მნიშვნელობისაა, რაც ძელიცხოველთან გაუცნობიერებელი ზიარება. იგივე პროცესი ჩანს მეზისის ქმედებაშიც: მეზისი ცაცხვის რტოზე დედის ჭადარა თმას ახვევს და ადგილისუფლის ხატთან ასვენებს. მოგვიანებით კი, როგორც ვხედავთ, მუხასა და ცაცხვს ტაძარი ენაცვლება, ტაძარი, რომელიც ტარიგის თავყანასცემად აიგო. ტაძრის „მკვიდრობა“ მის მუდმივობაზე მიგვანიშნებს, ხოლო მისი „აცილება მუხასთან“

თავარ შარაბიძე

- მის სულიერ (მუხაზე აღმატებულ) სიმაღლეზე. ამ, ერთი შეხედვით, უბრალო დეტალებით ავტორი ქართლის მოქცევისათვის ამზადებს მკითხველს. ნაწარმოების ბოლოს არმაზის კერპი „მოშობილია“, საკერპეზე შიშველი ადამიანი ასვენია და არმაზის მონაც მას ეთაყვანება. ეს დეტალიც განამტკიცებს თურმანის სახის იგივეობას ბაღლთან, ანუ ტარიგთან. ორივე პერსონაჟი კი წინასახეა იესოსი.

ძალზე საინტერესოა ინდას მხატვრული სახის განსახოვნებაც. მისი გამოჩენისას „თურმანი აელეწებოდა ვენახს და დიდხანს შესცქეროდა ინდას“ (იქვე). თურმანი გრძნობს, რომ „შუქი დგას ინდასთან, მის გარშემო კი უდაბნოა და ბნელა“. ინდა „მეზისის მსგავსია და ცის დარი“ (მეზისიც მზის სხივებით ავსებს თურმანის გულს). თურმანს მტევანი მიაქვს თანდილთან. გარდაცვლილი ინდას სახესაც თურმანი ვენახში აღიქვამს, ცათა სასუფეველში. ინდას ღვთიურობასა და მის ღვთისმშობლის სახესთან კავშირს ბასილ მელიქიშვილი იმითაც გამოხატავს, რომ მას სულ ბაღლთან ერთად, ხელში ბაღლით წარმოაჩენს. მისი დანახვისას ხალხი გალობას იწყებს. მისი სიყვარულით გახლებული ჭაბუკი ლექსსაც გამოუთქვამს და კლდეზე ამოჭრის, რომელსაც მექარავნები დილის ლოცვასავით კითხულობდნენ:

„ინდავ! გადმოხველ ქართლიდან
 ლელწამის მეინახეო,
 ველად გაჭრილმა მე, ხელმა,
 ვერ ვნახე შენი სახეო -
 ხელში გეჭირა ყმაწვილი,
 კარგად ვერ დაგინახეო“ [მელიქიშვილი 2021 : 46].

ინდას უხილავობა მის შეუცნობლობაზე მიგვანიშნებს, შეცნობის მიღმა მყოფობაზე. თურმანის ტრფობაც მისადმი ჭემშარიტებისადმი, სინათლისადმი სწრაფვაა - „შუქი დგას ინდასთან...“ ინდას წინასახე მეზისია, „ცის დარი“, ხოლო ინდა წინასახეა ღვთისმშობლისა. ორივე ქალი თურმანის იმედს განასახიერებს. ორივე პერსონაჟს ყვავილსა და ლერწამს ადარებს ავტორი: მეზისის სული ასკილის ყვავილად, ანუ ველურ ვარდად, გარდაისახება, თურმანიც მასთან „დაიბუდებს“; მეზისი ქარისაგან გადამტყდარი ლელწამია. ინდა „უკვდავების დაუშრეტელი წყაროა, ქსილისიდან მოტანილი სავსე ყვავილია“, „ლელწამის მეინახეა“, რომელსაც ქარმა „სუსხი დაახვია“; ინდას ეპითეტებია „უკვდავების დაუშრეტელი წყარო და მშვენიერი“. ყვავილი და ლერწამი ფიგურირებს ქრისტიანულ სიმბოლიკაში, როგორც ნიშანი სინაზისა, სისუფთავისა და რწმენისა, ძლიერი ძალა რომ ამარცხებს ფიზიკურად. ამის მაგალითს ქართული აგიოგრაფიაც გვაძლევს. წმინდა აბო სწორედ მაშინ გამოჩნდა ქართლში, როდესაც ქრისტეს მორწმუნენი შიშითა განილეოდნენ და ირყეოდნენ, „ვითარცა ლერწამნი ქართაგან ძლიერთა“; აბო ყვავილია, ეკალთა შორის აღმოცენებული ისივე, როგორც მეზისის ეკლიანი და ინდას ქსილისის ყვავილი, შუქართის ბუნებამ რომ ვერ შეითვისა. ბასილ მელიქიშვილი თითოეულ დეტალში დებს ქრისტიანულ სიმბოლიკას, მისი გადმოცემის უდიდეს კულტურას ავლენს, რაც კონკრეტულისა და აბსტრაქტულის შერწყმის ხელონებაში გამოიხატება.

და ბოლოს, ნაწარმოების უმთავრესი სიმბოლოა „კეთილი მწყემსი“. კეთილი მწყემსი სოლო მოთხრობის დასაწყისში ჯერ გაკვრით გამოჩნდება. ის სალთუჯს უვლის, „სულის ქენჯნით“ შეწუხებულ, ხალხისგან გარიდებულ მოხუცს. მერე სოლო შვილმკვდარ და თავადაც სასიკვდილოდ განწირულ ინდას ევლინება მფარველად; ბოლოს კი თურმანს უდგას გვერდით და განსაცდელში მარტოს არ ტოვებს. მოთხრობაში დატრიალებული ტრაგედიის შემდეგ სოლო აფრთხილებს მას: „მეგობარო, სალთუჯი მოჰკლეს, ჩვენც მოგვკლავენ, წავიდეთ აქედან,

ცხვართან წავიდეთ“ [მელიქიშვილი 2021 : 62]. კეთილი მწყემსი სოლო წინასწარმეტყველებს ჯვარცმას, ის თავისი ნებით განმზადებულია ტარიგად. სახარებისეული სიმბოლოებით „მწყემსი კეთილი“ უფალია, ცხვარი კი მორწმუნე, რომელმაც შეიწყალა უცხო, მშიერს ჭამადი მისცა, მწყურვალს ასვა და შიშველი შემოსა [მათე 25, 33]. სოლო სიმბოლური და არსობრივი ფუნქციითაც (ტარიგობისათვის მზაობით) იესოს სახეა. სოლოს დარბაზი კი- მასთან დიდი ჭადარი, წყარო და ფარები - მინიშნებაა სამოთხის მიწაზე. ნაწარმოების ბოლოს სოლოზე ჩაკრული თურმანი ბალღით ტირის და მეგობარს შველას სთხოვს („მიშველე, ძმაო“, - ამ სიტყვებით მხოლოდ მას მიმართავს). ის თავიდან ბოლომდე სოლოსაა მინდობილი. სოლო წინ ელოდება იმ ლოდს, რომელმაც თურმანი უნდა შთანთქას და სიბნელე მოიტანოს. თურმანისადმი მიმართული მისი ბოლო სიტყვებია: „თურმან, ძმაო, ნუ დამტოვებ“. კეთილი მწყემსი, უფალი, არასდროს ტოვებს ადამიანს, თურმანს, და მისგანაც მოელის გულის გადაშლასა და სიყვარულს; ის იცავს მისადმი მინდობილს ფათერაკისგან და ყოველთვის აფხიზლებს მას. სწორედ თურმანის ცრემლით განწმენდა და სოლოსადმი ნდობაა მისი ცადამალელების საფუძველიც. თურმანი წინასახეა კეთილი მწყემსისა, მიუხედავად თავის მიერ დაშვებული შეცდომებისა; ის თავის პიროვნებაში სალთუჯის შვილისა და ბალღის შემაერთებელია, ასევე წარმართული სამყაროსი სალთუჯისა და ნინიას სახით და განმზადებულია ქართლის მოქცევისათვის. ის არის ის, ვინც „სიცოცხლეშივე მოიკლა“, ხოლო სოლოს ჯერ კიდევ წინ ელის ჯვარცმა.

მასასადამე, იესოსა და ღვთისმშობლის სახეები თავად ნაწარმოებშივე გადის თანდათანობით ტრანსფორმაციას შემდეგი თანმიმდევრობით: ხორეშანი, მეზისი, ინდა, სოლოს დედა და ღვთისმშობელი; სალთუჯის შვილი, თანდილი, თურმანი, სოლო და იესო. მოთხრობის სიუჟეტიდან გამომდინარე, ამ პერსონაჟთა სახეები მეტ-ნაკლები გამომსახველობით ყალიბდება, მაგრამ, რაც მთავარია, მათი სახის თითოეული დეტალი ხელს უწყობს არქეტიპის - ღვთისმშობლისა და უფლის - სიმბოლური მნიშვნელობების წარმოჩენას.

მოთხრობაში სახარებისეული სიმბოლოებით იკვეთება **სინათლე-სიბნელის**, ხორბლისა და ღვარძლის მოტივებიც, როგორც დაპირისპირება მადლისა და ცოდვისა. ცოდვას მოაქვს სიბნელე, სულის წყვდიადი (ლასტიციხე, შუქართი, სალთუჯი, ნინია). ის ღმერთისგან აშორებს ადამიანებს. სინათლე უცოდველობასა (ბალღი, ინდა, მეზისი) და მონანიებაშია (თურმანი). შემთხვევითი არ არის, რომ ცასავით ლურჯი თვალები აქვს მეზისს, ხოლო ცასავით გაშლილი შუბლი და ოქროსფერი თმა - თანდილს (ღვთიურობის ნიშნები თითოეულ დეტალში მჟღავნდება). სალთუჯის „დაბნელებული“ და შუქართელების „გაბეცებული“ თვალები კი მათი სულის სიმძიმის მაჩვენებელია. როგორც უკვე აღვნიშნეთ, თურმანი მზიდველია სალთუჯის სიბნელისა და შუქართელების ღვარძლისა, მაგრამ ის ინდასკენ, სინათლისაკენ მიისწრაფვის, რასაც საბოლოოდ, ვფიქრობთ, რომ აღწევს „კეთილი მწყემსის“ თანადგომით.

ნაწარმოებში იკვეთება **„გზის“** სიმბოლური მნიშვნელობაც, გზისა, რომელიც **„უცხო“** **„მკვიდრად“** ხდის. წარმოჩნდება ისიც, რომ გზას პიროვნება თავისდაუნებურად ადგება. ნაწარმოებში ძირითადია თურმანის გზის ხაზი. ის შუქართიდან ლასტიციხისკენ მიემართება და თვალდახუჭული „უცხო“ მიჰყავს. ეს გზა, როგორც ინგა მილორავა აღნიშნავს თავის წერილში, „ზიგზაგოვანია“ და აღმა-დაღმა მიმავალი; ამ გზას ჯერ ლასტიციხემდე მიჰყავს თურმანი და „მკვიდრად“ ხდის მას, შემდეგ კი - „მკვიდრ (მუდმივ) ტამრამდე“ კეთილ სოლოსთან ერთად. გზა ოთხთავში მრავალგვარ მნიშვნელობას იძენს, თუმცა მისი ქრისტიანული სიმბოლოცა მხოლოდ იესოს სიტყვებში ვლინდება: „მე ვარ გზა და მე ვარ ჭემმართებელი და ცხორებაი; არავინ მოვიდეს მამისა, გარნა ჩემ მიერ“ [იოვანე 14, 6]. თურმანის გზაც, რომელიც

წარმართული სამყაროდან იწყება, საბოლოოდ ქრისტიანულისკენ მიემართება და იმ ტაძრამდე მიდის, რომელშიც ტარიგი ასვენია. ნაწარმოების ბოლოც - თურმანის ცადამალელებაც - ამ გზის პოვნაზე მიგვანიშნებს. თურმანი სოლოზე მინდობითა და განწმენდით (სულის სიმშვიდის მოპოვებით) ხვდება მამის წიაღში; თავის მიერ განვლილ გზას კი სანიმუშოდ და „სავალის გასაადვილებლად“ წარმართ ქართლს უტოვებს.

მწერლის სიმბოლური სახისმეტყველება პერსონაჟთა სახელებსა და ტოპონიმებშიც იჩენს თავს. ჩვენ დანამდვილებით ვერ ვიტყვით, რატომ უწოდა მწერალმა მოქმედ გმირსა თუ მის სამოქმედო ადგილს ესა თუ ის სახელი, მაგრამ, ვფიქრობთ, რომ მათ ფუძეში სიმბოლური მნიშვნელობა შეფარვითაა დაუნჯებული: მეზისი - მზე, შუქართი - შუქი¹, ქართი, ქართლი; სალთუჯი - თუჯი, უნჯი, მსაჯული; თანდილი - (ავთანდილი - სპარსულად „სამშობლოს რწმენა“, „სარწმუნოების კერა“); თურმანი („თურმან“ - სპარსულად მკურნალი), ინდა („ინდრა“ - ინდურად „თავშესაფარი“)²; ლასტიხიხე - (ლასტის, ანუ თხილის ტოტემის წნულის, ციხე, რომელიც ადვილად დაინგრევა) და ა.შ. რა თქმა უნდა, სახელთა ეტიმოლოგია ყოველთვის საკამათოა და მეცნიერულ, არგუმენტირებულ ძიებას საჭიროებს, მაგრამ ბასილ მელიქიშვილი რომ სახელებში სიმბოლურ მნიშვნელობას დებს, ეჭვი არ გვეპარება. სიმბოლური სახისმეტყველება მწერლის მხატვრული შემოქმედების კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ღირსებაა, რითაც ის ნაწარმოების ინტერპრეტაციის არაჩვეულებრივ შესაძლებლობას აძლევს მკითხველს.

LITERARY THEORY AND COMPARATIVE STUDIES

SYMBOLIC FACIAL EXPRESSION OF BASIL MELIKISHVILI (BASED ON THE STORY "THURMAN")

TAMAR SHARABIDZE

e-mail: shagno12@gmail.com

Iv. Javakishvili Tbilisi State University

ABSTRACT:

Basil Melikishvili is still a lesser-known Georgian classicist who appeared on the arena of Georgian literature in the 20s of the 20th century and had only been there for the short two years. Zviad Gamsakhurdia considered him a Novalis-level but, unfortunately, underrated writer.

The reason for this, in addition to untimely death, should be the writer's anti-colonial struggle, and first of all, his participation in the 1924 uprising. A writer of anti-imperial and anti-totalitarian themes could not enter the history of Georgian literature. Only at the end of the 20th century (in 1987) literary experts were given the opportunity to publish his first collection. In 2021, the literary scholar Gia Arganashvili republished the collection with the filled materials, thus the writer's work became known to a still narrow circle of modern readers.

¹ შდრ. გალაკტიონ ტაბიძის «ქებათა ქება ნიკორწმინდას» ქარგით დამქარგავი ნაზი შუქურთმებით...»

² ცნობილია, რომ ბასილ მელიქიშვილზე განსაკუთრებული გავლენა მოახდინა მწერალმა და საზოგადო მოღვაწე ერეკლე ტატიაშვილმა, მისმა მასწავლებელმა, რომლის მსოფლმხედველობა ეყრდნობოდა ინდუისტურ მოძღვრებას.

Basil Melikishvili's artistic style is unique. He not only masters the language, he looks into the root of the word, enters the root word and presents its original meaning. He speaks metaphorically, and this speech is not fabricated for him, it is natural;

The most unrepeatables are the extensive stories conveyed in the form of an address; The symbol is never deciphered by the author, precisely assigned to its possible meaning, which shrouds the text in mystery. The same function is performed by the visions of the characters, who take the realistic narrative into the symbolic-allegorical, allusive world.

The purpose of the letter is to highlight one of Basil Melikishvili's stories - "Thurman" (whose main character is unique even for Basil Melikishvili himself), to present the writer's individual style, which is different from others, to analyze symbolic speech, to determine the direction of literature so that it assumes its rightful place in the history of Georgian literature.

KEYWORDS:

Basil Melikishvili, symbolic facial expression, story "Thurman".

ლიტერატურა:

1. ბასილ მელიქიშვილი, „თურმანი“, თბილისი, 2021.
2. ქართული ოთხთავის ორი ბოლო რედაქცია, ტექსტი გამოსცა და გამოკვლევა დაურთო ივანე იმნაიშვილმა, თსუ, 1979.

ლიტერატურის თეორია და კომპარატივიზტიკა

1890-იანი წლები და ქართული ლიტერატურული კრიტიკა (პეტრე ჭარაია გიორგი ჯერეთლის შესახებ)

მანანა ქაჯაია

ელ-ფოსტა: manana_qajaia@yahoo.com

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, ასოცირებული პროფესორი

აბსტრაქტი:

გიორგი წერეთლის ლიტერატურული მემკვიდრეობის შესწავლისადმი ინტერესი ქართულმა საზოგადოებამ და ლიტერატურულმა კრიტიკამ დიდი ხნის წინ გამოხატა.

დიდი გალაკტიონ ტაბიძის თქმით, „ფუტკარივით მშრომელი“ და მიზანდასახულ მამულიშვილთა რიგს ეკუთვნის, თაობათა აღმზრდელი, ცნობილი პედაგოგი, პუბლიცისტი, ენათმეცნიერი, ლიტერატორი, ჩვენი ეროვნული სულიერების გაღრმავება-განმტკიცებისათვის დამაშვრალი მოღვაწე პეტრე ჭარაია.

XIX საუკუნის 90-იანი წლებიდან პეტრე ჭარაიას ნაშრომები და სტატიები ქვეყნდება პერიოდულ პრესასა და სამეცნიერო ორგანოებში. საყურადღებოა მისი საკმაოდ ვრცელი წერილი, რომელიც მიუძღვნა გიორგი წერეთლის რომანს „პირველი ნაბიჯი“.

პეტრე ჭარაია საკმაოდ საინტერესო მოსაზრებებს გამოთქვამს გიორგი წერეთლის რომანთან დაკავშირებით. შესავალში გვამცნობს ამ წერილის სტრუქტურას და აღნიშნავს, რომ მისი მიზანია შეახსენოს მკითხველს რომანის შინაარსი, შემდეგ გამოთქვას თავისი მოსაზრებანი და ბოლოს, შეეხოს იმ ცხოვრებისეულ პრობლემებს, რომელთა თაობაზე საუბრის საბაზსაც თავად რომანში წამოჭრილი საკითხები იძლევა.

პეტრე ჭარაია ახასიათებს ბახვა ფულავას და მისი აზრით, ბახვა „შუათანა ნიჭით და ღირსებით შემკული ადამიანია“.

ჩვენი აზრით, თუ დაფუკვირდებით არა მარტო რომანის შინაარსს, არამედ საზოგადოების განვითარების მსვლელობას, ბახვას „შუათანა ნიჭით და ღირსებით შემკულ ადამიანად“ ვერ მივიჩნევთ. ბახვას ნიჭს ვერ ვუწოდებთ „შუათანა ნიჭს“. მას გააჩნია დიდი რისკის უნარი, ცვლილებებისადმი სწრაფვა და არ გააჩნია მომავლისადმი შიში. მართალია, მწერალი პირდაპირ არაფერს გვეუბნება გმირის ამ თვისებებზე, მაგრამ ბახვას მოქმედება ხომ სწორედ მათ მიერ არის გამოწვეული. პეტრე ჭარაია განიხილავს სხვა მოქმედ პირებს და აკეთებს სათანადო დასკვნებს.

პეტრე ჭარაია თავის ერთ-ერთ მიზნად იმ ცხოვრებისეულ საკითხებზე საუბარსაც ასახელებს, რომელთა განხილვის საბაზსაც რომანში წამოჭრილი პრობლემა იძლევა.

წერილის დასასრულს პ. ჭარაია ზოგადად ეხება რომანის მხატვრულ ღირსებას და აღნიშნავს, რომ „პირველი ნაბიჯი“ მხატვრული ოსტატობის მხრივ დაბლა დგას „მამიდა ასმათზე“, თუმცა იქვე უსვამს ხაზს, რომ „ამ რომანის დაბეჭვდა, თქმა არ უნდა, მაინც დიდი განძია და შესამჩნევი შემატება ჩვენი ღარიბი ლიტერატურისთვის.“

საკვანძო სიტყვები:

შემოქმედება, მიმართება, ჯგუფი, სტრუქტურა, პათიოსანი.

ქართულ სინამდვილეში, ქართველი ხალხი, ქართველი საზოგადოება ყოველთვის დიდ ინტერესს იჩენდა ილია ჭავჭავაძის, ვაჟა-ფშაველას, აკაკი წერეთლის, გიორგი წერეთლისა და სხვათა შემოქმედების წარმოჩენის ირგვლივ.

განსაკუთრებული ინტერესის შემცველია მწერლის დამოკიდებულება, ერთი მხრივ, მისი დროის ხელოვანებთან, ინტელიგენციასთან, ფართო მკითხველთან, როგორც ამბობენ აუდიტორიასთან და, მეორე მხრივ, ყურადღებას იქცევს, თუ როგორ აფასებს და ითვისებს მის ხელოვნებას საზოგადოება, პუბლიკა; ბოლოს რანაირად რეაგირებს მწერლის შემოქმედებით არსებობის ფაქტზე პროფესიული ლიტერატურული კრიტიკა.

ქართული ლიტერატურის ისტორიის მკვლევართა ნაშრომებში სხვადასხვა კუთხით არის გამჟღავნებული გარკვეული მიმართება გიორგი წერეთლის გარშემო არსებული კრიტიკული მასალისადმი. არა მხოლოდ ერთმანეთისაგან განსხვავებული, არამედ ურთიერთსაპირისპირო, ერთმანეთის გამომრიცხველი მოსაზრებებიც კი გამოთქმულია მწერლის შესახებ, რაც სავსებით ნორმალურ ვითარებად უნდა ჩაითვალოს, რამდენადაც მისი სახით საქმე გვაქვს თანადროულობის უჩვეულო გრძნობებით დაჯილდოებულ, მძაფრი პოლემატიკის მქონე მწერალთან, რომელშიც, როგორც ხელოვანმა და საზოგადო მოღვაწემ, აქტიური ცხოვრებით იცხოვრა.

ქართულ სინამდვილეში XIX საუკუნის მეორე ნახევარში, დიდი ილია ჭავჭავაძისა და მისი თაობის ძალისხმევით გაჩნდა ჯგუფი შესანიშნავი ადამიანებისა, რომლებიც უხმაუროდ ეწეოდნენ უღელს, ქართველი ინტელიგენტისა, ანუ ახალ დროში შექმნილი ისეთი ტიპის მოღვაწისა, რომლებიც ნათელი აზრებით და ფაქიზი განცდებით, ცხოვრებას აშინაარსებდნენ მაღალი ეროვნული იდეით, რითაც ცდილობდნენ ჩუმი, „ქართული პატიოსნებით“ სავსე პრაქტიკული საქმიანობით ერთი აგური მაინც დაედოთ მყარი ეროვნული ცნობიერების მშენებლობაში. ერთ-ერთ ასეთ, როგორც დიდი გალაკტიონი ბრძანებდა, „ფუტკარივით მშრომელ“ და მიზანდასახულ მამულიშვილთა რიგს ეკუთვნის თაობათა აღმზრდელი, ცნობილი პედაგოგი, პუბლიცისტი, ენათმეცნიერი, ლიტერატორი, ჩვენი ეროვნული სულიერების გაღრმავება-განმტკიცებისათვის დამშვრალი მოღვაწე პეტრე ჭარაია.

პეტრე გიორგის ძე ჭარაიამ (ფსევდონიმი პ.გიორგიძე) საკმაოდ ვრცელი წერილი მიუძღვნა გიორგი წერეთლის რომანს „პირველი ნაბიჯი“.

გიორგი წერეთლის ნაწარმოებთა შორის გამორჩეული ადგილი უჭირავს რომანს „პირველ ნაბიჯს“, რომელიც ქართული ლიტერატურის ისტორიაში ნამდვილად ღირშესანიშნავ მოვლენად ითვლება. გამოქვეყნებისთანავე (ცდა 1890 წელი) მკითხველმა საზოგადოებამ და კრიტიკოსებმა სატანადო ყურადღება მიაქციეს ამ მართლაც საინტერესო ნაწარმოებს.

პეტრე ჭარაია თავის შესავალში გვამცნობს ამ წერილის სტრუქტურას და აღნიშნავს, რომ მისი მიზანია შეახსენოს მკითხველს რომანის შინაარსი, შემდეგ გამოთქვას თავისი მოსაზრებანი, დაბოლოს, შეეხოს იმ პრობლემებს, რომელთა თაობაზე საუბრის საბაზსაც თავად რომანში წამოჭრილი საკითხები იძლევა.

კრიტიკოსის მიერ დაწვრილებით გადმოცემული რომანის შინაარსის გაცნობამ, ვფიქრობთ, მეტად საყურადღებო დასკვნის გამოტანის საშუალება მოგვცა, კერძოდ, ჩვენ მიგვაჩნია, რომ გიორგი წერეთლის რომანს „პირველი ნაბიჯის“ საფუძველს მწერლის მიერ წინასწარ გააზრებული, მითოსური სიმბოლიკით გამსჭვალული ქარგა წარმოადგენს. უპირველეს ყოვლისა, ნაწარმოების მითოსური ძირის გასარკვევად, ჩვენი აზრით, აუცილებელია მთავარი გმირის, ბახვა ფულავასა და მასთან დაკავშირებული რთული სიმბოლიკის გახსნა, რასაც საუბრის გაგრძელების შემდეგ ვვარაუდობთ, ამჟამად კი გვინდა აღვნიშნოთ, რომ პეტრე ჭარაიას მიერ წერილის დასაწყისში დეტალურად გადმოცემული ნაწარმოების შინაარსს, რა თქმა უნდა, მკითხველში გარკვეული განწყობის გამოწვევის ფუნქციაც აქვს დაკისრებული. კრიტიკოსი ცდილობს ნაწარმოების შინაარსის გადმოცემისას აბსოლუტურად ნეიტრალური იყოს, ახერხებს

კიდევაც ამას, სწორედ ამიტომ მკითხველი გიორგი წერეთლის მწერლური ოსტატობისა და სიუჟეტის განვითარების წარმართვის ხელოვნებას თავისდაუნებურად თავიდან აფასებს.

3. ჭარაია საკმაოდ საინტერესო მოსაზრებებს გამოთქვამს გ. წერეთლის რომანთან დაკავშირებით და ამიტომ მის სტატიას შედარებით ვრცლად უნდა ვისაუბროთ. უპირველეს ყოვლისა, კრიტიკოსის მართებული მოსაზრებით, ბახვა თავისი დროის კაცია, რომელმაც „მოკეთეთა შემწეობით გზა გაიკვალა აღებ-მიცემითობის ასპარეზზე... ბახვა ვაჭარია, აღებ-მიცემობის კაცია და არ შეიძლება ამ ტიპის ადამიანთა სენი არ სჭირდეს, მოტყუება-გაიმპერობას არ მისდევდეს“ [1]. პეტრე ჭარაია ბახვას ხასიათის ჩამოყალიბებაში ძირითად ცხოვრებისეულ სიტუაციებს ანიჭებს გადამწყვეტ მნიშვნელობას. ბახვას მამა, ხახულია, გამრჯე, პატიოსანი გლეხია. ბახვა რომ ოჯახში დარჩენილიყო, მასაც მშრომელი კაცის ცხოვრება ექნებოდა და, ბუნებრივია, მეზობლებთან - ღარიბ გლეხებთან თვალთმაქცობასა და გაიმპერობას არ დაიწყებდა. ამიტომ პ. ჭარაიას მიერ, ჩვენი აზრით, სწორედ არის ხაზგასმული ბახვაზე მისი კეთილისმყოფელის - ინჟინრის სიხარბისა და ანგარების გამო ყალბი უწყისების გამოწერის მაგალითის ცუდი გავლენა. ნაწარმოების მთავარი გმირისწორედ ინჟინრის

მიერ ნებადართული სიყალბეების ჩადენით, ანუ სახელმწიფო თანხების მითვისებით, იწყებს თავდაპირველი კაპიტალის დაგროვებას. ბახვას ნაშოვნი ფული სიყალბის ჩადენით არის მოგებული. მასთან შედარებით ლ. არდაზიანის სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილი ნამდვილი პატიოსანი ვაჭარია.

3. ჭარაიას აზრით, მიუხედავად იმისა, რომ რომანის მეორე ნაწილში ძალიან მძაფრად არის დახატული ბახვას დეგრადირება და ლოთ-ჩარჩად გადაქცევის პროცესი, „მკითხველი ზიზღით ახლაც ვერ უყურებს მას“ [2].

აშკარაა, რომ, ერთი შეხედვით, ბახვა ნამდვილად არ არის იდეალური გმირის ტიპი და, როგორც კრიტიკოსი ამბობს, „შუათანა ნიჭით და ღირსებით შემკული ადამიანია,“ მაგრამ, ჩვენი აზრით, თუ დავაკვირდებით არა მარტო რომანის შინაარსს, არამედ საზოგადოების განვითარების მსვლელობას ბახვას „შუათანა ნიჭითა და ღირსებით შემკულ ადამიანად“ ვერ მივიჩნევთ. სწორედ ბახვასნაირი ადამიანები ქმნიან კაპიტალისტური სამყაროს ხერხემალის და შემდეგ პროგრესის თავისებურ ბიძგის მიმცემდაც გამოდიან, რადგან ფაქტია, რომ ხშირად მათი თანხებით ხდება კულტურისა და განათლების დაფინანსება, როკველერისა და მორგანის მაგალითებს რომ თავი დავანებოთ, ქართულ სინამდვილეში დავით სარაჯიშვილის გახსენებაც საკმარისია. ბახვას ნიჭს ვერაფრით ვერ ვუწოდებთ „შუათანა ნიჭს“. უპირველეს ყოვლისა, ბახვას აქვს დიდი რისკის უნარი, ცვლილებებისადმი სწრაფვა და არ გააჩნია მომავლისადმი შიში. სწორედ ამ ბუნებით თანდაყოლილმა თვისებებმა გააბედვინეს მამის სახლიდან წასვლა. მართალია, მწერალი პირდაპირ არაფერს გვეუბნება გმირის ამ თვისებებზე, მაგრამ ბახვას მოქმედება ხომ სწორედ მათ მიერ არის გამოწვეული. ამასთან, ბახვას გადაწყვეტილების მიღებაში უმთავრესი ადგილი მის პირადი ღირსების გამძაფრებულ გრძნობას უჭირავს, რადგან მას მამის მრისხანების ეშინია, თანაც მწერალი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ინჟინერს „ძალიან მოეწონა ბახვას ცოცხალი სახე“ და პირველი ნახვისთანავე გადაწყვიტა მისი ხელზე მოსამსახურედ აყვანა, ე.ი. ბახვა გამოირჩეოდა ცოცხალი სახით, ხოლო ცოცხალი სახე შეიძლება მხოლოდ სხარტი აზროვნების მქონე ადამიანს ჰქონდეს.

ნაწარმოებში გ. წერეთელი რამდენჯერმე ხაზგასმით აღწერს ბახვას გარეგნობას. განსაკუთრებით საყურადღებოა, ჩვენი აზრით, ბახვას აღწერა ესმასთან ცეკვის დროს. მწერალი აქ, გმირის გარეგნობას მართლაც იდეალური ვაჟკაცური სილამაზის ეტალონად წარმოგვიდგენს. ასე, რომ, თუ რომანში მოცემულ ბახვას დახასიათებებს გავითვალისწინებთ, მას ნამდვილად ვერ

მივიჩნევთ „შუათანა ნიჭით და ღირსებით შემკულ ადამიანად“, როგორც ბახვას პეტრე ჭარაია თვლის. [3].

სამწუხაროდ, პეტრე ჭარაია წერილში არ გვაძლევს ბახვას სახის დეტალურ ანალიზს, იგი უფრო მეტ ყურადღებას იერემიას უთმობს. კრიტიკოსის აზრით, იერემიას მიერ ჩადენილი დანაშაული - ესმას მკვლევლობა, ავტორის მიერ მოცემული ხასიათის განვითარების ხაზით კი არ არის განსაზღვრული, არამედ „დამნაშავე თვით ცხოვრებაა, რომელიც ზრდის ამგვარ საოცარ გმირებს. უბედურება და ხათაბალაც ის იქნება, თუ ჩვენი თავადაზნაურობის ცხოვრება ისე ჩამოქვეითდა, რომ „იერემიებმა“ მრავლად და თავისუფლად დაიწყეს ფარფაშობა ჩვენში“ [4].

კრიტიკოსის მართებული შენიშვნით, ნაწარმოების მეორე ნაწილში „... ყველაფერს აკეთებს ვალიდა, ხოლო იერემია კიდევ უფრო უღირს ადამიანად მოსჩანს...“ მართლაც, ჩადენილმა დანაშაულმა სრულიად დაშრიტა იერემიას სულიერი ძალები, როგორც ნაწარმოებიდან ჩანს, მაინც ჯერ კიდევ საკმაოდ ძლიერია ქრისტიანული აღზრდის ტრადიცია და როგორც ადრე იერემიას დაჭრის შემდეგ ბახვა, ასევე იერემიაც ესმას მკვლევლობის მერე მძაფრად განიცდის სინდისის ქენჯნას, მაგრამ შემდეგ ყველაფერს ეგუება და ვალიდას მეურვეობით იწყებს ცხოვრებას.

საერთოდ, გიორგი წერეთლის მხატვრული ნაწარმოებების გმირებს შორის ცხოვრებისეული სიმართლითა და რეალურობით ყველაზე მეტად „პირველი ნაბიჯის“ ერთ-ერთი მთავარი გმირი ვალიდა გამოირჩევა. პ. ჭარაიას თქმით, „ვალიდა ნამდვილი ადამიანია და არა მხოლოდ ავტორის ფანტაზიაში დაბადებული“ ვალიდას სახე ნამდვილად მოითხოვს დაწვრილებით შესწავლასა და ანალიზს, რადგან ფაქტობრივად ვალიდა ქალის ახალი ტიპის გალერეას იწყებს.

სამწუხაროდ, პ. ჭარაია არ განიხილავს პოლკოვნიკ ლეზოვის სახეს, რომელიც ჩვენი აზრით, მართალია სქემატურად არის წარმოდგენილი, მაგრამ მაინც გარკვეულ ყურადღებას იმსახურებს, რადგან მასში უმაღლესი არისტოკრატისათვის დამახასიათებელი თვისებებია ფოკუსირებული, როგორც აღნიშნეთ, პ. ჭარაია წერილისშესავალშივე თავის ერთ-ერთ მიზნად იმ ცხოვრებისეულ საკითხებზე საუბარსაც ასახელებს, რომელთა განხილვის საბაზსაც რომანში წამოჭრილი პრობლემები იძლევა. მართალია, კრიტიკოსი მართებულად აღნიშნავს რომანში ერთგვარი კუთხური მეტყველების არსებობას, მაგრამ ვერ დავეთანხმებით მის მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ გიორგი წერეთლის მეგრელებისადმი უარყოფითი განწყობა აქვს, ბახვას დედ-მამა და თვით ბახვა, არ შეიძლება უარყოფით გმირებად მივიჩნიოთ, პირიქით, ბახვას მშობლები გამრჯე, კეთილი ადამიანები არიან, სწორედ ისეთი ადამიანები, რომლებიც საერთოდ ნებისმიერი ერის ხერხემალს შეადგენენ. რაც შეეხება ესმას დედის - სალომეს სახეს, იგი თავად იმ პერიოდის რეალური ვითარების მსხვერპლია და არა რომელიმე კუთხის წარმომადგენელთათვის დამახასიათებელი ბუნების გამო დაცემული ადამიანი, მით უმეტეს, რომ გიორგი წერეთელი შესანიშნავად ხატავს სალომეს, როგორც მოყვარულ და ყურადღებიან დედას, რომლისთვისაც ესმა საერთოდ სიცოცხლის მიზნად გადაქცეულა.

წერილის დასასრულს პ. ჭარაია ზოგადად ეხება რომანის მხატვრულ ღირსებას და აღნიშნავს, რომ „პირველი ნაბიჯი“ მხატვრული ოსტატობის მხრივ დაბლა დგას „მამიდა ასმათზე“, თუმცა იქვე უსვამს ხაზს, რომ „ამ რომანის დაბეჭდვა, თქმა არ უნდა, მაინც დიდი განძია და შესამჩნევი შემატებაა ჩვენი ღარიბი ლიტერატურისათვის“.

როგორც აღნიშნეთ, გ. წერეთლის მხატვრული ნაწარმოებებს შორის მისმა თანამედროვეებმა იმთავითვე გამოარჩიეს მართლაც მრავალმხრივ საინტერესო რომანი „პირველი ნაბიჯი“.

*LITERARY THEORY AND COMPARATIVE STUDIES***1890S AND GEORGIAN LITERARY CRITICISM
(PETRE CHARAIA ABOUT GIORGI TSERETELI)**

MANANA KAJAIA

*e-mail: manana_qajaia@yahoo.com**Technical University of Georgia, Associate Professor***ABSTRACT:**

The Georgian society and Georgian literary criticism expressed a great interest in the study of Giorgi Tsereteli's literary legacy a long time ago.

According to great Galaktion Tabidze, among the hard worker and purposeful patriots is Petre Charaia, an educator of generations, a famous teacher, publicist, linguist, writer, a figure fighting for the development and strengthening of our national spirituality.

Since the 90s of the 19th century, Petre Charaia's works and articles have been published in periodicals and scientific bodies. His rather extensive letter dedicated to Giorgi Tsereteli's novel "The First Step" is noteworthy.

Petre Charaia expresses quite interesting opinions regarding Giorgi Tsereteli's novel. In the introduction, he informs us about the structure of this letter and notes that its purpose is to remind the reader of the content of the novel, then to express his own opinions, and finally, to refer to the life problems, which are raised in the novel itself.

Petre Charaia characterizes Bakhva Pulava and in his opinion, Bakhva is "a person endowed with average talents and virtues".

In our opinion, if we look not only at the content of the novel, but also at the course of the development of society, we cannot consider Bakhva to be "a person with average talent and virtues". Bakhva's talent cannot be called "average talent". He has a great risk-taking ability, a desire for change and a fear of the future. It is true that the writer does not directly tell us anything about these qualities of the character, but Bakhva's action is caused by them. Petre Charaia discusses other characters and makes appropriate conclusions.

Petre Charaia mentions as one of his goals the discussion of those life issues, which are raised in the novel.

At the end of the letter, Petre Charaia generally refers to the artistic merit of the novel, noting that "The First Step" is inferior to "Aunt Asmat" in terms of artistic skills, but he also emphasizes that "the publication of this novel is certainly a great treasure and a notable addition to our poor literature".

KEYWORDS:

creativity, relationship, group, structure, honest

გამოყენებული ლიტერატურა:

1. პეტრე ჭარაია (გიორგიძე), ბ. ე. ახალი რომანი გიორგი წერეთელის „პირველი ნაბიჯი“, „ივერია“, 1891 წ. გვ. 261-262.
2. პეტრე ჭარაია (გიორგიძე), ბ. ე. ახალი რომანი გიორგი წერეთელის „პირველი ნაბიჯი“, „ივერია“, 1891 წ. გვ. 1.
3. გ. წერეთელი „პირველი ნაბიჯი“ ქართული პროზა, X ტ. 1985 გვ. 469-460.
4. პეტრე ჭარაია (გიორგიძე), ბ. ე. ახალი რომანი გიორგი წერეთელის „პირველი ნაბიჯი“, „ივერია“, 1891 წ. გვ. 1.

ლიტერატურის თეორია და კომპარატივისტიკა

ტოტალიტარული საზოგადოების რეცეფცია ე. ზამიატინისა და ნ. დუმბაძის შემოქმედებაში

ნანა ქაჯაია

ელ-ფოსტა: nana.kajaia@bsu.edu.ge

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

აბსტრაქტი:

სტატიაში გავანალიზებთ ორი განსხვავებული ეპოქის მწერლის - ევგენი ზამიატინისა და ნოდარ დუმბაძის მიერ ტოტალიტარული საზოგადოების აღქმისა და ჩვენების თავისებურებას. ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, გამომდინარე მწერლების იდეური და მხატვრულ-ესთეტიკური თავისებურებიდან ტოტალიტარიზმი განსხვავებულ სტილშია ნაჩვენები.

ე. ზამიატინის რევოლუციის შემდგომი ნოველისტიკის ძირითად მოტივს წარმოადგენს ადამიანის დრამატული ბედის ჩვენება ტოტალიტარულ საზოგადოებაში. მის მოთხრობათა ზნეობრივ-ფილოსოფიური პრობლემატიკის საფუძველს ქმნის სულისა და ხორცის მარადიული ჭიდილი. თავის დამოკიდებულებას ახალი დროების, ახალი წყობის მიმართ ზამიატინი გამოხატავს სიურრეალისტურ სტილში, მხატვრული დროისა და სივრცის თავისებური ფორმების მეშვეობით.

ქართველმა მწერალმა ნ.დუმბაძემ საბჭოური ეპოქის პირობებში შეძლო ეჩვენებინა მკაცრი სიმართლე იმავე ტოტალიტარული ეპოქის შესახებ, რომელმაც სამხედრო სიბრტყიდან უკვე ცნობიერებასა და ხელოვნებაშიც შეაღწია. მწერალი ნათლად და საინტერესოდ გვიჩვენებს ტოტალიტარული მენტალიტეტის რღვევას საერთო გადაწყვეტილების მიმართ დაუმორჩილებლობის მაგალითით. ტოტალიტარიზმის გამოვლენას ის ხედავს ხელოვნების იდეოლოგიზირებაში, რელიგიისადმი შეუწყნარებლობაში და ა. შ. და ყველა შემთხვევაში ტოტალიტარული იდეოლოგიისა და საზოგადოების მხილებას მწერალი ახდენს მოვლენის შესაბამისად - ხან მწარე ირონიითა და მამხილებელი სიცილით, ხან კიდევ დრამატული ვარიაციებით.

საკვანძო სიტყვები:

ტოტალიტარიზმი, პიროვნება, რეპრესიები, ძალაუფლება.

ე. ზამიატინის რევოლუციის შემდგომი ნოველისტიკის ძირითად მოტივს წარმოადგენს ადამიანის დრამატული ბედი თანამედროვე ეპოქაში. მის მოთხრობათა ზნეობრივ-ფილოსოფიური პრობლემატიკის საფუძველს ქმნის „შეიძლება – არ შეიძლება“, სულისა და ხორცის მარადიული ჭიდილი.

მოთხრობები „დრაკონი“, „გამოქვაბული“ და „მამაი“ რევოლუციური პეტროგრადის შესახებ მოგვითხრობენ. მათ ხშირად მცირე პეტერბურგულ ტრილოგიასაც უწოდებენ. „დრაკონი“ თამამად შეიძლება ჩაითვალოს ახალი შემოქმედებითი პერიოდის დასაწყისად. მწერლის ილუზიები თანდათანობით გაქრა, ბოლშევიკების მიერ დაწყებული სოციალური ექსპერიმენტი ტრილოგიაში ნაჩვენებია როგორც ძალა, რომელიც ადამიანში ადამიანურ საწყისს შლის, ანადგურებს.

განსაკუთრებით საინტერესოა ზამიატინის „გამოქვაბული“. ეს პატარა, მაგრამ საოცრად ტევადი მოთხრობა არა მარტო გასული საუკუნის 20-იანი წლების მშვიერი გაყინული პეტერბურგის რეალურ სიტუაციას ასახავს. ძირითად აქცენტს მწერალი აკეთებს გამოქვაბულის ხატებაზე, რომელიც მითოსურ-ლიტერატურული ტრადიციით არის განპირობებული. გამოქვაბულის სახე-სიმბოლო გავლენას ახდენს მოთხრობის ყველა მხატვრულ-შინაარსობრივ კომპონენტზე და ერთგვარ გამაერთიანებელ, ინტეგრალურ ხასიათს იძენს.

მოთხრობაში გამოქვაბული განასახიერებს არა მხოლოდ ზამთრის პეტერბურგის ერთ ჩვეულებრივ ბინას, სადაც მობინადრენი ყველა ხერხით ცდილობენ გაუმკლავდნენ ჩრდილოურ ყინვას. უპირველესად, ეს არის ერთიანი რუსული სახლის ნგრევისა და გამოქვაბულად ქცევის სიმბოლო, რასაც შესაბამისად საუკუნეების მანძილზე ჩამოყალიბებული ცხოვრების წესის ნგრევა და გამოქვაბულის აზროვნების ჩამოყალიბება მოყვება. გამოქვაბულის აზროვნება კი პრაგმატიკაზეა აგებული, „გამოქვაბულის ღმერთს“ (იგულისხმება ღუმელი, ცეცხლი, სითბო) მსხვერპლად ეწირება ადამიანის პატიოსნება, ღირსება. «Схватились насмерть два Мартин Мартиныча: тот, давний, со Скрыбиным, какой знал: нельзя – и новый, пещерный, какой знал: нужно» [1]. პრაგმატული „საჭიროა“ იმარჯვებს, ძველი მარტინ მარტინიჩი, რომლისთვისაც სკრიაბინი იყო სულიერი საზრდო, მარცხდება, მასში იღვიძებს მონადირის უძველესი პირველყოფილი ინსტინქტი, უფრო ზუსტად, გადარჩენის ინსტინქტი: ადამიანები იძულებულნი არიან მონადირონ შეშა და საკვები, რათა ფიზიკური არსებობა შეინარჩუნონ. ამ ნადირობასა და თავის გადარჩენაში კი ადამიანურ სახეს თანდათან კარგავენ, სული უუხეშდებათ, ისინი ცდილობენ ახალ პირობებს მიესადაგონ.

თავის დამოკიდებულებას ახალი დროების, ახალი წყობის მიმართ ზამიატინი გამოხატავს სიურრეალისტურ სტილში, მხატვრული დროისა და სივრცის მეშვეობით. ამოყირავებული დრო-სივრცე მოთხრობებში სამყაროს აპოკალიფსურ სურათს ქმნის. მწერალი მიზანმიმართულად ურევს ერთმანეთში დროის მონაკვეთებს, ათასწლეულებით დაშორებული ეპოქები მან ერთ დროით სივრცეში მოათავსა: «В пещерной петербургской спальне было так же, как недавно в Ноевом ковчеге...» [2]. პეტერბურგის შედარება ნოეს კიდობანთან ძალაუნებურად იწვევს მსოფლიო წარღვნის ასოციაციას, ახალი ცხოვრება თავისი სასტიკი სახითა და მასშტაბურობით ავტორს ნაჩვენები აქვს როგორც მეორე წარღვნა, როგორც მოახლოებული კატასტროფა. სამყაროს ამგვარი, აპოკალიფსური ხედვა ცვლის ქრონოტოპულ სურათსაც: განვითარება, წინსვლა შეწყდა, კაცობრიობა უბრუნდება თავის სათავეებს და ამიტომაც მწერალს გადაყვავვართ პრეისტორიულ ეპოქაში. ხვალინდელ დღეზე პერსონაჟები არ ფიქრობენ, მთავარია „დღეს“, გამოქვაბულის პირობებში ხვალინდელი გაურკვეველია. მომავალი მათთვის უკვე აღარ წარმოადგენს ზნეობრივ-ეთიკურ ორიენტირს.

შეცვლილია პეტერბურგიც, ის ხან პრეისტორიულ ყინულოვან უდაბნოს ემსგავსება („გამოქვაბული“), ხან ოკეანეს, რომელშიც ექვსსართულიანი ქვის გემები დაცურავენ („მამაი“), ხან კიდევ ტრამვაის, რომელიც გაურკვეველი მიმართულებით მიექანება („დრაკონი“). ზამიატინი ამ მრავლისმთქმელი სიმბოლოებით ამბობს თავის სათქმელს. მწერალი ვერ ხედავს ახალი საზოგადოების მომავალს, უფრო სწორად, საკმაოდ პირქუშ პროგნოზს აკეთებს: საეჭვოა გეზდაკარგულმა „გემებმა“ თუ „ტრამვაიმ“ (ანუ ახალმა საზოგადოებამ) აფიშირებულ ნათელ მომავალს მიაღწიონ: «И в странном, незнакомом городе – П е т р о г р а д е – растерянно бродили пассажиры. Так чем-то похоже – и так непохоже – на П е т е р б у р г , откуда отплыли уже почти

год и куда едва ли когда-нибудь вернутся» [3]. ცხოვრება ქალაქში ამოყრავდა, ის ახალი კანონებით ცხოვრობს. შეუძლებელია არაადამიანურ პირობებში ადამიანის სახე შეინარჩუნო და ქალაქის მცხოვრებნიც იცვლებიან, იცვლება მათი სულიც და გარეგნული სახეც. პეტერბურგული ტრილოგიის პერსონაჟთა უმეტესობა ან პირველყოფილ, ცხოველის ტყავში გახვეულ ადამიანს მოგვაგონებს, ან კიდევ ცხოველს, წითელთათებიან დრაკონს. თითქმის შეუმჩნეველი გახდა ზღვარი სიკეთესა და სიბოროტეს, კაცთმოყვარეობასა და სიძულვილს შორის. დრაკონი-წითელგვარდიელისათვის დიდ პრობლემას არ წარმოადგენს ადამიანი, ან როგორც თვითონ უწოდებს, „ინტელიგენტური სიფათი“ იმ ქვეყანას გაამგზავროს, თითქმის იმავე წუთში კი მას გულს უჩუყებს გაყინული ბელურა, ჩიტი მან წითელ თათებში მოიქცია და სულის შებერვით ცდილობდა გაეთბო. ზამიატინი პირადი დამოკიდებულების მიუხედავად ობიექტურობას ინარჩუნებს და ამდენი სისასტიკის სიღრმეში ადამიანურობის მინავლებულ ნაპერწკლებს გვიჩვენებს. და გვიჩვენებს თავისებურად ნათლად და მკაფიოდ – ბელურის ეპიზოდში ის აქცენტს აკეთებს დრაკონის თვალბუზე: «Дракон сбил назад картуз – и в тумане два глаза – две щелочки из бредового в человеческий мир» [4]. საკმაოდ საინტერესოა შემდგომი პასაჟიც, სადაც სტრიქონებს შორის ავტორის პოზიციაც შეიძლება ამოვიკითხოთ: ბელურა მოსულიერდა და გაფრინდა. დრაკონი ბედნიერია («Дракон оскалил до ушей туманно-пыхающую пасть») და შემდეგ: «Медленно картузом захлопнулись щелочки в человеческий мир... Проводник в царствие небесное поднял винтовку» [5]. კაცთმოყვარეობის სუსტი გამოვლინება მალევე ჩაქრა, დრაკონმა ხელში ისევ იარაღი აიღო. ალბათ, ესეც იმ მკაცრი დროის ერთ-ერთი ნიშანია. და ამავე დროს ავტორის უიმედო, პესიმისტური პროგნოზისაც.

ნ.დუმბაძემ საბჭოური ეპოქის პირობებში შეძლო ეჩვენებინა მკაცრი სიმართლე იმავე ტოტალიტარული ეპოქის შესახებ, რომელმაც სამხედრო სიბრტყიდან უკვე ცნობიერებასა და ხელოვნებაშიც შეაღწია.

რომანის „მარადისობის კანონი“-ს მეორე თავში ჩნდება ტოტალიტარული სახელმწიფოს ერთ-ერთი მუდმივი მოტივი - 30-იანი წლების რეპრესიების თემა. აღნიშნული თემა თანდათანობით ივსება მშობლების დაპატიმრების სცენებით. მარტოდ დარჩენილი ბაჩანა კი მატარებლით სოფელში მიემგზავრება. ვაგონში ერთ-ერთი მგზავრი საუბრობს „უბედური“ ვაგონის შესახებ, რომლის საფეხურებზეც სამხედროები დგანან. რა თქმა უნდა, საუბარია ვაგონზე, რომლითაც რეპრესირებული ადამიანები გადაჰყავთ. ავტორმა ასე ლაკონურად გვიჩვენა საბჭოური რეპრესიული ეპოქის მთელი დრამატიზმი.

რომანში ავტორი მოგვითხრობს იმ დროინდელი თბილისის ყოველდღიური ცხოვრების დეტალებზე. ავეტიკ ბაბაიანცის „პალეოი“ თეატრი წარმოადგენს შექსპირის ტრაგედიის თანამედროვე ვერსიას. ამ კონტექსტში თითქოსდა უნებლიეთ ნათქვამი სიტყვები „ტროცკისტი კასიო“ არა მარტო ღიმღის იწვევს მკითხველში. მშვიდობიანი ცხოვრების აღწერის ფონზე სიტყვა „ტროცკისტი“ მკითხველის ყურადღებას სრულიად საპირისპირო თემაზე ამახვილებს. სიტყვა მიაჩნდება 30-იანი წლების პოლიტიკურ ბატალიებზე. გარდა ამისა, აღნიშნული სიტყვები ერთგვარად მიგვითითებს ტოტალიტარული საზოგადოებისათვის დამახასიათებელ მოვლენაზე, მხედველობაში გვაქვს იდეოლოგიის ზეგავლენა ხელოვნებაზე, რაც ხშირად სრულიად უაზრო ფორმებში ვლინდებოდა. როგორც აღნიშნულ მომენტში, სადაც სრულიად შეუსაბამო მოვლენებია დაკავშირებული - ტროცკიზმი და შექსპირის გმირი!

ნ. დუმბაძის შემოქმედებაში ტოტალიტარული სახელმწიფოს რეპრესიული მექანიზმის შესახებ საუბრისას ყურადღება გავამახვილეთ იმ სახე-სიმბოლოებზე, რომლებიც, ჩვენი აზრით,

ნანა ქაჯანია

მნიშვნელოვანი აზრობრივ-მხატვრული დატვირთვის მატარებელი არიან. მათგან მნიშვნელოვანია მზის სიმბოლიკა - მზე როგორც სიცოცხლისა და უკვდავების სიმბოლო, აგრეთვე მზე როგორც ადამიანის ჭირისუფალი და მოკავშირე.

მზე ნ. დუმბადის რომანების ტრადიციულ ალეგორიულ სახე-სიმბოლოს წარმოადგენს. თითქმის ყველა რომანში მას განსაკუთრებული დატვირთვა გააჩნია და ავტორის მხატვრულ-ესთეტიკური პოზიციის ერთგვარ გასაღებს წარმოადგენს. მზე ნ. დუმბადის მხატვრულ სამყაროში სიცოცხლისა და უკვდავების სიმბოლოდ იქცა. ამიტომაც ეპიზოდები, რომლებშიც ფიგურირებს მზის სიმბოლიკა, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს. მხატვრულ-შინაარსობრივ ასპექტში საინტერესოა სცენა - ისიდორე დახვრეტის წინ. „და ყველაფერი ეს ერთმანეთში არეული, შეზავებული გრილ ნიავსა და ვეებერთელა მზეს რომ მოჰქონდა, უკანასკნელი ჭირისუფალივით რომ ეფერებოდა გონჯ სახეზე“ [6]. ქართველ მკითხველს ავტორი აძლევს საშუალებას თავად გაიაზროს და ჩაწვდეს აღნიშნული სიმბოლოს მხატვრულ-შინაარსობრივ სისავსეს. ავტორი მზეს საინტერესო და მნიშვნელოვანი ეპითეტით ახასიათებს - „უკანასკნელი ჭირისუფალი“. აღნიშნული დეტალი მზის სიმბოლოს ერთგვარად ავსებს, წარმოგვიდგენს მას მთლიანობაში. მზე მწერლის მხატვრულ სამყაროში არამარტო მანათობელი და მამოძრავებელი ძალაა, ის ამავე დროს ადამიანის მოკავშირეცაა, მხსნელიც.

ისიდორეს გამოჯანმრთელება ასევე ალეგორიულ კონტექსტშია ნაჩვენები. მიდის სიმბოლური ბრძოლა ორი საწყისისა - მზის (შესაბამისად, სიცოცხლის) და „ნაბადივით შავი ცისა“ (სიკვდილის). ორიგინალში ორივე სიმბოლო ერთ ფრაზაში ორჯერ მეორდება: „ოთხი თვე ეძებდა ნაბადივით შავ ცაზე მზეს ისიდორე და მეხუთე თვეზე გახია ნაბადივით ცა და ეახლა მას“. სწორედ ამ ერთი შეხედვით უადგილო განმეორების წყალობით ეპიზოდი იძენს განსაკუთრებულ დრამატიზმს, იქმნება ერთგვარი დამაბული ფონი, ამაღლებული ჟღერადობა, რომელიც თავისი ექსპრესიით მოგვაგონებს ბიბლიურ ინტონაციას. პერსონაჟის რთული და დრამატული ბრძოლა სიცოცხლისათვის შესაძლებელია აღვიქვათ როგორც ბოროტისა და კეთილის საზოგადო ბრძოლა, როგორც მწერლის იმედიანი პროგნოზი სიკეთის გამარჯვებისა.

ამგვარად, ჩვენს მიერ გაანალიზებული ნაწარმოებები წარმოგვიდგენენ ტოტალიტარული საზოგადოების სახესა და ზემოქმედების მექანიზმს, ისინი ნათლად გვიჩვენებენ ასევე მწერლების დამოკიდებულებას ახალი წესრიგისადმი. ამავე დროს ისინი წარმოადგენენ სოციალური პროგნოზირების მხატვრულ მცდელობას. ორივე მწერალი ხედავდა დრამატულ, შემამფოთებელ სინამდვილეს და არა ნათელი და ბედნიერი ცხოვრების დასაწყისს.

სტატიაში აღნიშნული დეტალები მთლიანობაში გვიქმნის მრავლისმეტყველ სურათს იმ უაღრესად რთული და წინააღმდეგობრივი ეპოქის შესახებ, როდესაც ძალაუფლების მაქსიმალური ყოვლისმომცველობის პირობებში პროგნოზებს უზარმაზარი ძალისხმევის ფასად უჯდებოდა საკუთარი ღირსებისა და ადამიანობის შენარჩუნება.

LITERARY THEORY AND COMPARATIVE STUDIES

THE RECEPTION OF TOTALITARIAN SOCIETY IN THE
WORKS OF E. ZAMYATIN AND N. DUMBADZE

NANA KAJAIA

e-mail: nana.kajaia@bsu.edu.ge

Batumi Shota Rustaveli State University

ABSTRACT:

In the article, we will analyze the peculiarity of the perception and presentation of the totalitarian society by writers of two different eras - Yevheni Zamyatin and Nodar Dumbadze. In each specific case, depending on the ideological and artistic-aesthetic features of the writers, totalitarianism is shown in a different style.

The main motive of Zamyatin's post-revolutionary novels is to show the dramatic fate of a person in a totalitarian society. The basis of the moral-philosophical problems of his stories is the eternal struggle between the soul and the flesh. Zamyatin expresses his attitude towards new times and new order in a surrealist style, through peculiar forms of artistic time and space.

Georgian writer N. Dumbadze, under the conditions of the Soviet era, was able to show the harsh truth about the same totalitarian era, which from the military plane has already penetrated into consciousness and art. The writer clearly and interestingly shows the breakdown of the totalitarian mentality with the example of disobedience to the common decision. He sees the manifestation of totalitarianism in the ideologizing of art, intolerance to religion, etc. In all cases, the writer exposes the totalitarian ideology and society according to the event - sometimes with bitter irony and revealing laughter, sometimes with dramatic variations.

KEYWORDS:

Totalitarianism, personality, repression, power.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Замятин Е. Мы. Издательство «Люкс», М., 2005, с. 312.
2. Замятин Е. Мы. Издательство «Люкс», М., 2005, с. 308.
3. Замятин Е. Мы. Издательство «Люкс», М., 2005, с. 325.
4. Замятин Е. Мы. Издательство «Люкс», М., 2005, с. 307.
5. Замятин Е. Мы. Издательство «Люкс», М., 2005, с. 308.
6. ნ. დუმბაძე. თხზულებანი 4 ტომად. თბილისი, „მერანი“, 1989, გვ. 25.

ლიტერატურის თეორია და კომპარატივისტიკა

ინფორმაციული კრიტიკა - თეზისები, პარსკეპტივები

ნანა ტრაპაიძე

ელ-ფოსტა: nana.trapaidze@bsu.edu.ge

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, პროფესორი

აბსტრაქტი:

წინამდებარე ნაშრომი განიხილავს თანამედროვე ქართული ლიტერატურის მეთოდოლოგიური კვლევის საკითხს და ინფორმაციული კრიტიკის პერსპექტივებს. ნაშრომში განხილულია დიგიტალურ სამყაროში ლიტერატურის პარტიციპაციის პრობლემა და მასთან დაკავშირებული კრიტიკული გამოწვევები. პრობლემატიზებულია შემდეგი საკითხები:

პირველი: ლიტერატურის ანალიზის ისეთი თეორიული საფუძველი, რომელიც აღწერს ლიტერატურას, რაც ნიშნავს, მოიცავს მას თავის კრიტიკულ კონდიციაში - შლის ლიტერატურისა და რეალობის მიმართების როგორც ცოდნის მიერ, ისე ემპირიულ სიბრტყეებს.

მეორე: ამ გზით იგი უფრო ეფექტიანად ხდება გლობალური ლიტერატურული ველის ნაწილი. დიგიტალიზაციის ამოცანა სწორედ გლობალური ინფორმაციული სისტემის შექმნაა. ამისთვის საჭიროა ისეთი ლიტერატურათმცოდნეობითი სამუშაო, როგორცაა ლიტერატურის ესთეტიკურ-ფუნქციური მარკირება, რაც საშუალებას იძლევა ახალი (თანამედროვე) აქტუალობითა და შინაარსით ვისაუბროთ ლიტერატურულ გავლენებზე, ნასესხობებზე, ინტერტექსტზე, თვითმყოფადობისა და ორიგინალობის საკითხზე. სხვაგვარად რომ ვთქვათ, მსოფლიო ლიტერატურაში ესთეტიკური იდენტობის განსაზღვრაზე, რაც მხოლოდ ლიტერატურული საკითხი არ არის და კულტურული იდენტობის ფართო სფეროში გადადის.

მესამე: კრიტიკული კულტურის რევიზია - შემოქმედებითი ბიოგრაფიის აქტუალიზება, ტექსტოლოგიური კვლევა, შედეგების სისტემატიზება და სინთეზირება.

საკვანძო სიტყვები:

ლიტერატურა, ინფორმაცია, კრიტიკა, ციფრული სამყარო, ნაციონალური ლიტერატურა, გლობალური ლიტერატურა, ლიტერატურული ველი, ლიტერატურის სოციოლოგია.

ინფორმაციული სამყარო და ლიტერატურა

„ჩვენ ვცხოვრობთ ინფორმაციულ საზოგადოებაში“. რეალობა, რომელიც ამ სიტყვებშია, ჩვენი ტრივიალური ყოფის ზედაპირია, რომელიც იმდენად გვეკვირის, რომ არ ჩანს.

თანამედროვე სამყაროში, რომელშიც ცოდნა ინფორმაციად, ფილოსოფია კი მეთოდოლოგიადაა ქცეული, ნებისმიერი რამ, რაც არ კრისტალდება ინფორმაციად და მეთოდოლოგიად, განწირულია კულტურული ქმედითუუნარობისათვის, ან იმისთვის, რომ იქცეს ერთგვარ ინტელექტუალურ რარიტეტად.

ამ კონტექსტში დაისმის კითხვა: თუკი კულტურის მთელი ფუნქციური მიზანი ინფორმაციის ველს, მის კოდურ სისტემას ებმის, სად არის ლიტერატურის ადგილი, როგორ შეიძლება განისაზღვროს მიმართება ლიტერატურასა და ინფორმაციას შორის ან - როგორ განვიხილოთ ლიტერატურის ადგილი დიგიტალურ სამყაროში?

გლობალური სამყარო ერთიან ინფორმაციულ ველსა და უნივერსალურ ინფორმაციულ კოდურ სისტემებში ფუნქციონირებს, რაც გულისხმობს უნიფიცირებას, როგორც გამარტივების

პირობას. მაგრამ უნიფიცირება ეს ზედაპირია, რაც სიღრმეს კი არ ანულებს, არამედ გადაფარავს და ამითვე მიანიშნებს იმას, რომ სტრუქტურა არსებობს.

ინფორმაცია სოციო-კულტურულ შინაარსებში კრისტალიზებული დროა. კრისტალიზებას აქვს როგორც გამაერთიანებელი, ისე სეპარაციული ხასიათი. მაგალითად, რელიგიის მთელი სიმბოლური ენა ზებუნებრივ ძალებთან კავშირისა და მისი აღწერისთვის ჩამოყალიბდა, რასაც, თავის მხრივ, გრძელი ჰერმენევტიკული შლეიფი მოჰყვა, როგორც არა მარტო ინფორმაციული სიზუსტისა და ფიზიკურ-მეტაფიზიკური კომუნიკაციის ახსნისა და გაგების საშუალება, არამედ როგორც თავისთავადი ინფორმაციული რეალობა. ნებისმიერი ორგანიზებული სისტემა მსგავს ინფორმაციულ რეალობას, ინფორმაციულ ნიადაგს საჭიროებს; ერთობა ითხოვს არა კითხვას, არამედ პასუხს, რადგან კითხვები ყოფს, პასუხები - აერთიანებს.

ერესი იწყება მაშინ, როცა ორგანიზებული ერთობის კულტურული სქემა მარგანიზებული ცენტრის მიმართ ასიმეტრიული ხდება, რასაც ახალი ინფორმაცია, ახალი, ჯერ არდამდგარი დრო წარმოქმნის. როგორი რადიკალურიც არ უნდა იყოს გადახალისების სიახლე, კულტურა ისევე ვერასოდეს მოსწყდება საკუთარ დროს, როგორც სამომავლოს, რადგან კულტურა ეს დროის გამოცდილებაა ისტორიის ინტერიერში. ამ კონტექსტში გავიხსენოთ „ინფორმაციის“ ეტიმოლოგია: „ინფორმაცია“ ლათინური სიტყვაა და, პირველადი მნიშვნელობის მიხედვით, სიტყვებით თუ სხვა ტექნიკური საშუალებებით „განმარტებას“, „გადმოცემას“ ნიშნავს. კულტურაც სხვა რა არის, თუ არა დროის კონსტატაცია, - მისი გამოხატვა, გამოტარება ჩვენი ყოფნის განცდად სიხშირეებში.

ლიტერატურა რეალობას განმარტავს, მას თავისი ინფორმაციული ველი და ინტენცია, თავისი კოდური სისტემა აქვს, მაგრამ ის, როგორც განმარტება, ახსნა, კულტურულ კონკურენციაშია ინფორმაციის ოფიციალურ, პოლიტიკურ წყაროსთან. ლიტერატურის ისტორია აჩვენებს, რომ ლიტერატურა, როგორც „განმარტება“, „გადმოცემა“, შეიძლება იყოს მეინსტრიმული, იდეოლოგიური, ასევე არამეინსტრიმული, არაიდეოლოგიური. ოფიციალური იდეოლოგია მუდმივად არის ჩვენი ცხოვრებისა და აზროვნების კონტექსტი. როგორ უსხლტება მას ხელოვნების ესა თუ ის პათოსი, რა ინტელექტუალურ და მხატვრულ ალგორითმს ქმნის თავად, ეს ლიტერატურათმცოდნეობის, სოციოლოგიის, ფილოსოფიის, კულტურის კვლევების სფეროა.

როგორც ვთქვით, ლიტერატურა (როგორც განმარტება და ესთეტიკური ფორმა) და ინფორმაციული სივრცე ორი სხვადასხვა რეალობაა და ეს ახალი ამბავი არ არის, მაგრამ, ინფორმაციის ტოტალობის პირობებში, ლიტერატურის ონტოლოგიური კრიზისი მხოლოდ ახლა გამოვლინდება. დღეს ლიტერატურის, ზოგადად, ხელოვნების ენა, მისი არსებობის წესი, სხვა, ახალი გამოწვევების წაწევა. ისტორიის ძველი, მოდერნიზაციამდელი წარსულის მისტიკური მამომრავებელი, თავისი არათანადამსწრეობით, ადამიანის წარმოსახვას მასსა და ხილულ სამყაროს შორის საზღვრის უხილავობით ასხამდა ფრთებს. დღეს კი ჰორიზონტი ყველაზე ხელშესახები რეალობაა, რომლის მახასიათებელი ის კი არ არის, რომ ვერ ვუახლოვდებით, არამედ ის, რომ ბევრია. თითქოს სამყაროს ჰორიზონტების უსასრულო სარტყელები შემოეკრა, რომლებსაც ისე ვებრძვით, როგორც ზღაპრის გმირი ცხრათავიან გველეშაპს, ყველა მარცხზე ახალ თავებს რომ ისხამს.

პრობლემები და მიზნები

ენა ლიტერატურის მატერიაა, ეს მატერია კი არამატერიალურია და, ამასთან, ნაციონალური მოვლენაც. მაშასადამე, გლობალურ ინფორმაციულ ველში იგი აწყდება ენობრივ ბარიერს, რაც მას მსოფლიო კონტექსტის მიღმა თუ არა, დაგვიანების პირობებში ტოვებს. დაგვიანებას სხვა,

ნანა ტრაპაიძე

გლობალური წყაროც აქვს. ეს არის დროის უკიდურესი აჩქარება, როცა უაღრესად ძნელი ხდება დაკვირვებისა და აღწერის ისეთი ველიდან, როგორც ლიტერატურა და ხელოვნებაა, სინქრონული კავშირი რეალობასთან, რადგან რეალობა წამდაუწუმ იცვლება. დახანება, რაც დაკვირვებისა და აღწერის პირობაა, ძნელია. ამიტომ ლიტერატურას, როგორც კულტურულ ფენომენს, უწევს ან დროისა და სივრცის სრული მოცვა მათი აბსოლუტუზების გზით, რასაც იგი ფანტასტიკის მეტაჟანრულ რეალობაში გადაჰყავს, ან უკიდურესი კრისტალიზება გარკვეულ პერფორმატივამდე, რაც, ცნობილი ხერხებით, გამოვლინდება ეპატაჟის ესთეტიკურ მანევრში, ახალ კრიზისში კი თანამედროვე სამყაროს ციფრულ რეალობასთან ადაპტაციასაც ითხოვს. ლიტერატურის ტრადიციული, უშუალო კონტაქტის ფორმა, ენობრივი განზომილება თანამედროვე ცხოვრების ტექნოგენურ განზომილებაში არასაკმარისია და ამ უკმარობით - ნაკლებ რელევანტური. გლობალურ სამყაროს მხოლოდ ენა ვერ აღწერს, ის მეტისმეტად დინამიური, აჩქარებული და პლურალურია საამისოდ. ამის გამო ლიტერატურაც სულ უფრო მეტაჟანრული ხდება, რაც მას დისკურსული პოლიფონიის უნარს ანიჭებს. ეს, ერთგვარად, აფართოებს ლიტერატურის საზღვრებს, თუმცა ისიც გავიხსენოთ, რომ ეს საზღვრები მისი კონკრეტული ისტორიული გამოცდილება და გარკვეულ პირობებში წარმოქმნილი პროფილი, რომელიც, რა თქმა უნდა, ცვალებადია.

თუმცა არსებობს კულტურული რარიტეტებისთვის დამახასიათებელი ფსიქო-ემოციური მიზიდულობა, რომელსაც ლიტერატურაც, თავისი ნაცნობი სახით, ყოველთვის უპასუხებს და დააკმაყოფილებს. ამ მხრივ მას სიკვდილი არ უწერია, მაგრამ ჩვენ ვსაუბრობთ იმ პრობლემაზე, რომელიც სიღრმეში მალავს თავს და განაპირობებს არა მხოლოდ ესთეტიკურ კრიზისს, არამედ ეგზისტენციურ ჩიხსა და ონტოლოგიურ კრიზისს მთელი სიტყვიერი ხელოვნებისთვის.

აღწერილ კონტექსტში იკვეთება შემდეგი საკითხები:

- ✓ როგორ უნდა შეძლოს ნაციონალურმა ლიტერატურამ საკუთარი თავის ჩართვა გლობალურ ლიტერატურულ კონტექსტში?
- ✓ იმას, რასაც ლათინური უზრუნველყოფდა რომის იმპერიაში - კულტურისა და ცოდნის საერთოობას, დღეს, რეალურად, არა მსოფლიო ენები, არამედ ციფრული ენა უზრუნველყოფს, რომლის ინსტრუმენტიც არის ენა/ენები. შესაბამისად, დგას ორმაგი თარგმანის პრობლემა: ერთი, ვთქვათ, ინგლისურ (ან სხვა გავრცელებულ ენაზე თარგმნა) და მეორე ინფორმაციულ ენაზე გადატანა, რაც ლიტერატურის რეპრეზენტაციული ენის ცვლილებას მოიაზრებ.
- ✓ საინტერესო გამოცდილების თუ გამოწვევის წინაშე ვდგებით ლიტერატურის კრიტიკის თვალსაზრისითაც: ლიტერატურა და მეცნიერება (ცოდნა ლიტერატურის შესახებ) სინქრონდებიან, სინგულარულ ხასიათს იძენენ. ეს არ არის რაღაც კოგნიტური იდილიის პრინციპით ნაკარნახევი, როგორც ეს რომანტიკოსებს ჰქონდათ წარმოდგენილი ლიტერატურისა და ლიტერატურის კრიტიკის დისკურსული მთლიანობის შესახებ. აქ ლაპარაკია ისეთ სამუშაოზე, რომლის საშუალებითაც, შეძლებისდაგვარად, შეიძლება ამოივსოს სიცარიელები, რომელიც კულტურული სინქრონიზების სირთულეს განაპირობებს. დისკურსული გლობალიზაცია გულისხმობს სათვალავში იქნას მიღებული ის რეალობები, რომლებიც პოსტმოდერნისტულ თეორიებში ფრჩხილებში იყო გატანილი და მხოლოდ ზედაპირს (დისკურსს) იღებდა მხედველობაში. დისკურსულ პლურალიზმში ერთნაირად მონაწილეობს საგანი-ენა-ტექნოლოგია.

- ✓ ამ პროცესში სახეს იცვლის კრიტიკაც. თანამედროვე ციფრულ განზომილებაში, რომელშიც იცვლება ჩვენი ცხოვრების წესებიც, კრიტიკა სულ უფრო მეტად შორდება მკითხველთა ორბიტას, იგი, არსებითად, საგამომცემლო მარკეტინგის რიტუალურ ნაწილად იქცა და თავისი კულტურული ფუნქციით, როგორც აკადემიური დისციპლინა, მხოლოდ ფილოლოგიის სპეციალისტებისათვის არის მნიშვნელოვანი. ფართო საზოგადოების მიმართ კი მისი ფუნქცია და ადგილი გადასაზრებელია. ვფიქრობ, კრიტიკის მეთოდოლოგიური დაცარიელების მიზეზი ცოდნისა და ინფორმაციული ველის ასიმეტრიაში ძევს. ეს კრიტიკას აშორებს მედიაციურ ფუნქციას, რომლის საზოგადოებრივი კრიტერიუმი საჭიროება და ვარგისიანობაა. ამიტომ მეთოდოლოგიური რელევანტურობა, მისი ფუნქციურობა მოითხოვს ცოდნის გარდაქმნას ინფორმაციად - ინფორმაციულ ანალიზს.

რა არის ინფორმაციული ანალიზი? ინფორმაციული ანალიზი არ არის უბრალო დანამატი ტექსტზე, ვთქვათ, ისეთი ხასიათისა, როგორც შეიძლება იყოს ფერწერული ტილოს ანოტაცია. აქ გავიხსენოთ კონტექსტი, რომელშიც დასავლეთში ინფორმაციული კრიტიკა ჩნდება. ეს არის რეცეფციული კრიტიკის დომინირების დრო. რეალურად, ინფორმაციული კრიტიკის მიზანი რეცეფციული შედეგების რევიზია გახდა, როცა ფილოლოგიური ჰერმენევტიკა მთლიანად ინტერპრეტაციის მოდუსს დაეყრდნო. ამის შედეგად მივიღეთ ერთგვარი იდენტობა „ტვინისა“ და „ცოდნისა“. გარკვეულმა „ტვინებმა“ ყველაფერი იციან ყველაფრის შესახებ (ან იმის შესახებ, რისი ცოდნაცა და წვდომაც მათ სურთ), მაგრამ, თუ კულტურული დემოკრატიის პერსპექტივიდან შევხედავთ, მოხდა ამ ნაგულისხმევი, ფარული ელიტიზმის პროფანაცია: შეიძლება ასეც ვთქვათ, ტვინი ყველას აქვს და ის საკმაოდ მოულოდნელი ორგანოა საიმისოდ, რომ მის შესახებ წინდაწინ ვიცოდეთ. ასეთი რეცეფციული დემოკრატიის დროს გამოდის ინფორმაციული კრიტიკა და მთელ ამ „ინტელექტუალურ“ ქაოსს აყენებს მეთოდოლოგიური პრეტენზიის წინაშე - *მაჩვენე ობიექტური კავშირი ობიექტსა და მასზე შეხედულებას შორის*.

ეს ერთგვარი პოზიტივისტური შემობრუნება გულისხმობს ლიტერატურის, რეალობისა და კრიტიკის ისეთ მთლიანობას, რომელიც მათ გარედან კი არა, შინაგანად ამთლიანებს, პოლიდისკურსულ მოვლენად ქმნის. რა შეიძლება მოგვცეს ამან?

ლიტერატურა თვითკმარი მხოლოდ საკუთარ ენობრივ იდენტობაში შეიძლება იყოს. ხოლო იმისათვის, რომ, მაგალითად, ორიგინალსა და თარგმანს, ტექსტსა და ფართო მკითხველს შორის არსებული ნაპრალი, როგორც კულტურული უცხო, დისტანციის სივრცე არა უბრალოდ შეივსოს (რა საკითხიც მხოლოდ ლიტერატურის ინდუსტრიისთვისაა შეუმჩნეველი და კომპენსირდება ადამიანთა შორის საზღვრული ურთიერთობით - მწერალი და მთარგმნელი, მწერალი და მკითხველი, თან მკითხველთა უაღრესად შეზღუდულ რაოდენობასთან), არამედ კულტურულ კვანძებად კრისტალიზდეს, რომელზეც კულტურათაშორისი ურთიერთობის ფართო გზაც შეიძლება გაიშალოს, საჭიროა ლიტერატურის ველზე შემოვიტანოთ საგნების რეალობაც, რომელიც მათი კრიტიკული აღწერისა და სიტყვებთან კავშირის ახსნის აუცილებლობასაც გულისხმობს; კრიტიკული პერსპექტივაც ეს არის: ისეთი პოლიდისკურსული სიბრტყის შექმნა, რომელიც თითქმის უდანაკარგოა თარგმანში და კულტურულ ინტერესს აქვთ, - ნაციონალური ველისაკენ, როგორც პირველწყაროსაკენ (არა ეგზოტიკური, არამედ თანასწორი უცხოსაკენ) მიმართავს, რასაც ის პოლიტიკური შედეგი აქვს, კულტურული დიალოგისთვის საჭირო თვითცნობიერებას რომ გულისხმობს და იდენტობის რეალიებს უფრო კომპლექსურად შლის, ვიდრე ეს გავლენისა და მიბაძვის მარჯვე ლიტერატურული ხერხებია.

ნანა ტრაპაიძე

ეს განსაკუთრებით აქტუალურია პოსტკოლონიური კულტურებისა და მათი ლიტერატურისათვის როგორც ინტერნაციონალიზაციის, ისე შინაგანი, პერსონალური სამუშაოს თვალსაზრისით.

ლიტერატურის ონტოლოგიური კრიზისის საკითხს რომ დავუბრუნდეთ, როგორც უკვე აღინიშნა, იცვლება არა იმდენად კითხვები ან პრობლემები, რამდენადაც არსებობის წესი. რეალურად, ლიტერატურის კრიზისი არის წმინდად ონტოლოგიური ხასიათის კრიზისი, თუ რა ფორმით უნდა იარსებოს მან ციფრულ სამყაროში, რომელშიც მისი ტრადიციული სახე ძველდება. ლიტერატურის მდგომარეობა განსაკუთრებით რთულია, ვიდრე, სხვა ხელოვნებების. როგორ უნდა მოხდეს ლიტერატურის ონტოლოგიური ტრანსფორმაცია ისე, რომ მისი არსებობის წესი ახალ რეალობაში უფრო რელევანტური იყოს? რა საზრისებს შეიძლება ეს ცვლილება დაუკავშირდეს? არის თუ არა ეს ლიტერატურის ისტორიული აღსასრულის მომასწავებელი?

ლიტერატურის ონტოლოგიის საკითხი, ცხადია, გარდა ზოგადლიტერატურული პერსპექტივისა, კონკრეტულ ავტორთა, ლიტერატურული საქმიანობის კონკრეტულ და განსხვავებულ პერსპექტივებს გულისხმობს. სხვადასხვა ლიტერატურული ჰორიზონტის მქონე ავტორები, სხვადასხვაგვარად უყურებენ ლიტერატურის ონტოლოგიას. ზოგისთვის ის შემოქმედების ქვაკუთხედაა, რადგან მათი შემოქმედების პროფეტული ინტენცია განსაზღვრავს ამას. ზოგისთვის საკითხი ასე სულაც არ დგას. ის, რაც ამ მიდგომაში ლიტერატურული მოცემულობის, ლიტერატურული ველის ასეთ რადიკალიზებას იწვევს, უკვე ლიტერატურული იერარქიის, ლიტერატურული რეპუტაციის საკითხია, რაც აკადემიური კრიტიკის ტრადიციული საქმეა.

რას გვთავაზობს ამ კონტექსტში ინფორმაციული ანალიზი? ინფორმაციული პერსპექტივა არსებითად ეხება ლიტერატურას ლიტერატურის შესახებ - კრიტიკას. ფაქტია, რომ ლიტერატურათმცოდნეობაში შემუშავებული თეორიული ინდიკატორები ინფორმაციულ განზომილებაში ვერ აღწევს. ამიტომ საჭირო ხდება ინფორმაციულ ველთან ადაპტირებული მოქნილი კრიტიკული სისტემის შექმნა, რომელშიც, თეორიული კვლევების საფუძველზე, შესაძლებელი იქნებოდა კონკრეტული მახასიათებლების მარკირება, დეფინიცირება არა მხოლოდ ლოკალურ ნაციონალურ, არამედ გლობალურ ლიტერატურულ მოცემულობაში.

საინტერესოა, რომ, თავის მხრივ, ეს უკავშირდება კრიტიკული თეორიების, როგორც გარკვეული ინტელექტუალური შედეგების გადახედვას, ცდომილებების მართვასა და აპრობაციას უკვე ახალ კრიტიკულ სისტემაში, რაც შეიძლება იყოს ობიექტური რეზულტატი ობიექტური წაკითხვისა. ეს ესთეტიკური მოვლენების უბრალოდ მარკირებას კი არ ნიშნავს, არამედ, როგორც უკვე ითქვა, მის სისტემატიზებასა და ადაპტირებას, როგორც შიდა ლიტერატურულ ველზე, ისე საერთაშორისო დონეზე.

როგორც ვთქვით, ინფორმაციული კრიტიკა რეცეფციული კრიტიკის ანტითეზაა. დასავლეთში, კერძოდ, გერმანიაში იგი ამ სულისკვეთებით შეიქმნა, როგორც ერთგვარი სციენტისტური მიჯნა ლიტერატურის შესახებ პერსონალურ შეხედულებებთან.

კანტი ამბობდა, ნებისმიერმა ცოდნამ თავისი ზენიტის გამო შეიძლება განიცადოს დაცემა. ჩვენ გარკვეული თეორიული ცოდნის ზენიტის მომსწრე ვართ. მაშასადამე, მომსწრე ვართ მისი დაცემისა. სიტყვა „ზენიტს“ აქ მოვლენის ინტენსივობის დატვირთვა აქვს და არა მოვლენის სტატისტიკური ხასიათის აღნიშვნის.

აქ მოვიხმობ (საკუთარი გამოცდილებითაც ნაცნობ) ტენდენციას, რომელიც, პოსტსტრუქტურალისტური ლიტერატურათმცოდნეობიდან (ტექსტის აბსოლუტიზებიდან) ლიტერატურის

სოციოლოგიასთან (ტექსტისა და რეალობის მიმართების პოზიციასთან) მიდის, რადგან ყველაფრის, რასაც კი ადამიანის ხელი ქმნის, გარდაუვალი ხვედრია, იყოს საგანი და, ამასთან, სოციალური საგანი ან რეზონირებდეს სოციალურის მიმართ. კულტურული ფენომენები, მათ შორის ლიტერატურულიც, ვერ გაექცევა მატერიალიზაციასა და სოციალიზაციას. ამისგან მას ვერ აზღვევს ვერც ესთეტიკური სეპარაცია, ვერც ინტროსპექტული აფექტები, ვერაფერი. დრო და სივრცე განურჩევლად გვერთიანებს. სოციოლოგიის მერე კი, გამომდინარე სოციალიზაციის თანამედროვე ბუნებიდან, მოსალოდნელი იყო, სახელოვნებო კულტურა არსებობის/-რეპრეზენტაციის ისეთი ახალი რეალობის წინაშე აღმოჩენილიყო, რასაც დიგიტალური სამყარო ქვია.

შეიძლება დავასკვნათ, რომ დღეს აზროვნების, ცოდნის საკითხი დგინდება არა მის სიღრმეში, არამედ, მიზანშეწონილობაში. მიზანშეწონილობაში იგულისხმება არა ცოდნის შინაარსი, არამედ ადაპტაციის ხასიათი. აქედან გამომდინარე, ტექსტების ლიტერატურული მატრიცების ინფორმაციული სისტემატიზება შეიძლება იყოს ხიდი, გზამკვლევი ლიტერატურასა და კულტურულ მასებს შორის ეროვნულ თუ საერთაშორისო დონეზე; ასევე განათლებასა და მეცნიერებას შორის, რასაც განსაკუთრებული აკადემიური მნიშვნელობაც აქვს ჰუმანიტარული დისციპლინების, კერძოდ, ლიტერატურული კვლევების აქტუალიზებისა და ინდერდისციპლინური ღიაობის თვალსაზრისით უნივერსიტეტებში.

დაბოლოს, ინფორმაციული ანალიზის კრიტიკული ალგორითმების უკან, რა თქმა უნდა, აუცილებლად იგულისხმება კრიტიკის არბიტრალური და აქსიოლოგიური სამუშაო. აქედან, რაც წინა პლანზე იყო ადრე, - დირიჟორობდა ანალიზს და მისი ოპერირების საშუალება იყო, ახლა გადაიქცევა ისეთ ძალად, რომელიც დემიურგს აქვს სამყაროს მიმართ: ის ყველაგანაა, მაგრამ არ ჩანს.

ამ კონტექსტში, ინფორმაციული ანალიზმა შეიძლება მოახდინოს აქტუალიზება ისეთი მივიწყებული კატეგორიისა, როგორც არის ორიგინალობა, ახლებურად იქნას გადააზრებული, ლიტერატურული გავლენის, ინტერტექსტის, ციტაციის, საერთოდ, პოსტმოდერნისტული მიმეზისის საკითხები და კვლევის შედარებითი პერსპექტივები. დაბოლოს, რაც მთავარია და რაც ლიტერატურისთვის ეგზისტენციური მნიშვნელობის საკითხია, - ინფორმაციული კრიტიკის ძალით, „ანალიზური“ გადაიქცევა „ინფორმაციულად“, რაც ნიშნავს, მან („ანალიზურმა“) თანამედროვე კულტურის უფრო პრაქტიკულ სიხშირეებში შეაღწიოს.

საკითხი ისტორია. შტუდგარტის სკოლა და „ობიექტური ესთეტიკა“

ორიოდ სიტყვა ინფორმაციული ანალიზის ისტორიიდან. ამ საქმეში გასაკუთრებული სამუშაო გასწიეს გერმანელებმა. გასული საუკუნის 50-60-იან წლებში მაქს ბენზე და იბრაიმ მოლი, ერთი ხელოვნებასა და დიზაინის სფეროში, მეორე ფსიქოლოგიის სფეროში ცდილობდნენ დაეფუძნებინათ ინფორმაციული ანალიზის მეთოდი.

ბენზეს ეკუთვნის „ობიექტური ესთეტიკის“ ცნება, რომელიც იგება კიბერნეტიკისა და ინფორმაციის თეორიის საფუძველზე. ბენზეს ობიექტური ესთეტიკის ანალოგიით შეგვიძლია შემოვიტანოთ ობიექტური ანუ ინფორმაციული კრიტიკის ცნება, რომლის მიზანი, როგორც უკვე ითქვა, იქნება ინტერპრეტაციისა და ცოდნის არა განსხვავება, არამედ მათი გამიჯვნა. უფრო დაზუსტებით: ინტერპრეტაცია, როგორც *ინტელექტუალური თარგმანის* აქტი, ყოველთვის გულისხმობს ობიექტურ, გნებავთ, ზუსტ მნიშვნელობით მდგენს. მაგრამ ეს გამოცდილება კერძოა და აღქმის დემოკრატიის პრიზმიდანაც სრულიად ლეგიტიმური უფლება. მაგრამ მასში პრობლემურია ხელოვნების ავთენტური საზრისი, რომელიც არ არის მხოლოდ

ნანა ტრაპაიძე

კულტურული მოვლენის - ხელოვნების პირადი პრეტენზია, განისაზღვროს სწორად, ობიექტურად, რადგან ინტერპრეტაცია, როგორც სუბიექტური აქტი, - გავიგოთ ესა თუ ის მოვლენა და გავიგოთ რეალურად, - სწორედ ავთენტური აზრის გარშემო ტრიალებს. ამიტომ ინფორმაციულ კრიტიკას შეუძლია ნაყოფიერი შედეგი მოიტანოს ასლების, სიმულაკრების, გავლენების, ადაპტაციების სამყაროში გარკვევის საქმეში.

ბენზეს მიხედვით, ობიექტური, იგივე ინფორმაციული ესთეტიკისათვის არ არსებობს ობიექტური მასალა. აქედან მივიდა ის სიმბოლოთა თეორიამდე, სემიოტიკამდე. 1960 წელს ის წერს ნაშრომს სულის შესახებ „მეცნიერებების დებულებათა კვლევა“, ქმნის სემიოტიკურ თეორიას (ნაშრომები, „ნიშანი და დიზაინი, სემიოტიკური ესთეტიკა“, 1971; „ესთეტიკა“, 1982). ბენზე შტუდგარდტის ესთეტიკური სკოლის დამაარსებელია, მისი აზრით, ლიტერატურა შინაგან სამყაროს კი არ გადმოსცემს, არამედ მას საკუთარი რეალობა აქვს.

ინფორმაციული ესთეტიკა ეს არის ფილოსოფიის, ფსიქოლოგიის, ესთეტიკის, მეცნიერებისა და ხელოვნების გამთლიანების მცდელობა. ეს თეორია შეიქმნა შენონის კომუნიკაციის თეორიების საფუძველზე, ინიციატორები 1950-იან წლებში სწორედ აბრაამ მოლი და მაქს ბენზე იყვნენ. თუ ბენზეს აინტერესებდა შემოქმედების გენერაციული პროცესი, მოლს აინტერესებდა აღქმის სპეციფიკა (მისი მთავარი ნაშრომია „კიბერნეტიკა და ხელოვნების ქმნილება“). მათმა თეორიამ ფართო გავლენა ჰპოვა გერმანულ და ფრანგ მხატვრებსა და დიზაინერებში.

ამ თეორიისთვის დამახასიათებელია რედუქციონიზმი და სქემატურობა. ბენზე აღნიშნავდა, რომ თანამედროვე ესთეტიკა დგას არა ფილოსოფიურ, არამედ, მეთოდოლოგიურ სისტემაზე, ამიტომ, მისი აზრით, მეთოდის საშუალებით შესაძლებელია მივიდეთ ესთეტიკის ობიექტურ კრიტერიუმებამდე. ბენზე მიიჩნევდა, რომ ნებისმიერი ესთეტიკური სტრუქტურის კოდირება შესაძლებელია ინფორმაციულ ენაზე.

აქვე განვმარტავ, რომ ცნებას „ესთეტიკური“ მაქს ბენზე იყენებს „ფიზიკურის“ ანალოგიით, უფრო უკეთ რომ ვთქვათ, რაც „ფიზიკურია“ სხეულებრივი სამყაროსთვის, ის „ესთეტიკურია“ ხელოვნების სამყაროსთვის. ასე რომ, „ესთეტიკური“ ბენზესთან მახასიათებელი კატეგორია კი არ არის, არამედ ონტოლოგიური მნიშვნელობისაა, რომლის აღწერაც კონსტატაციის გზით ისევეა შესაძლებელი, როგორც საგანთა ფიზიკური სიდიდეების გადმოცემა ფიზიკოსისთვის. მისი აზრით, ხელოვნების ქმნილება არ არსებობს მხოლოდ ცნობიერებაში, ის მატერიალიზებულია ბგერაში, ქვაში, ფერში. მაშასადამე, მას ფიზიკური სიდიდე ახასიათებს. „ჩვენ გვინდა რაოდენობრივი კრიტერიუმების მიღება, ვინაიდან ხელოვნება როგორღაც უნდა ჩაერთოს ჩვენი ტექნიკური ცივილიზაციის სფეროში, რომლის ერთ-ერთ არსებით საფუძველს მათემატიკა წარმოადგენს“³(ბ). ამისთვის ბენზე მიმართავს შენონის ცნობილ ფორმულას, რათა მოეხდინა ესთეტიკური ობიექტის ინფორმაციული ანალიზი, რაც გულისხმობს ანალიზი ჩაანაცვლოს სტატისტიკით ანუ ნიშნური სისტემის აღწერითი მაჩვენებლით. ამ საქმეში იგი ეფუძნება ამერიკელ მათემატიკოსსა და ფილოსოფოსს ჩარლზ პირსს.

ესთეტიკური მარკერის ინფორმაციული სიზუსტის პრობლემის შესახებ ჯერ კიდევ 1928 წელს მსჯელობდა ბირკჰოფი. ის ცდილობდა მიეღო მათემატიკურ-რაოდენობრივი კრიტერიუმი. „როგორ ზომავენ მხატვრული ნაწარმოების მოწესრიგებულობის ხარისხს? რას იყენებენ რიცხობრივი მნიშვნელობის კრიტერიუმებად? ჩვენ ხომ გვინდა, რომ ნაცვლად „მე ეს

³ ბენზე, მაქს, ინფორმაციული ესთეტიკის შესავალი, იხ: დ. ბარბაქაძე, დროის გარემოებათა კარნახით თარგმნილი, თბ: 2010, გვ. 697

მომწონს!“-ისა შეგვეძლოს ვთქვათ: „ამ ობიექტს გააჩნია მოწესრიგებულობის მნიშვნელობა. სამწუხაროდ, დღემდე არ არსებობს ინტერპრეტაცია - ყოველ შემთხვევაში, მეთოდური, მაკონტროლებელი მონაცემებით, - რომელიც აგვიხსნიდა, რა უნდა გვესმოდას გამოთქმაში „ეს ლამაზია“, „მე ეს მომწონს“, „ეს ტრაგიკულია“ და ა. შ. მაგრამ ხელოვნების ნაწარმოების ესთეტიკური ასპექტების შესახებ რამდენადმე დამაჯერებლად საუბარი მხოლოდ მაშინ შეიძლება, როცა ცნებები ისე იქნება აგებული, რომ ისინი განსხვავდებოდეს სუბიექტური ინტერპრეტაციისგან. ამის მიღწევა მხოლოდ იმ გზაზე დგომით შეიძლება, რომელსაც ფიზიკა გაჰყვა გალილეის შემდეგ. ჩვენ თუ ამჟამად ხელოვნების ნაწარმოების შესახებ ისე საუბარი გვსურს, როგორც გალილეი ლაპარაკობდა ბუნებაზე - ე. ი. არა პოეტური, არამედ მათემატური ენით (...) - მაშინ ჩვენ იმ ცნებების მათემატიკება უნდა განვახორციელოთ, რომლებიც გადაწყვეტია ხელოვნების შეფასებისთვის, ე. ი. ისეთი ცნებებისა, როგორიცაა, მაგალითად, „ლამაზი“, „უმწონი“, „უგვანი“ და ა. შ.“⁴

ბუნებრივ და ესთეტიკურ მოვლენებს შორის შედარებითი ანალიზისას ბენზე სვამს საკითხს, რა შეუძლია ახალ ინფორმაციულ ანალიზს. აი, რას ამბობს ის „ისმის კითხვა: როგორ შეიძლება დახასიათდეს ფიზიკური მდგომარეობები ან პროცესები? რამდენადაც ჩვენ „ბუნების პროდუქტა“, ე. ი. ფიზიკურ მდგომარეობათა და პროცესთა შორის ვარსებობთ, ჩვენი არსებობა საკმარისად დეტერმინირებულია. ამაში, მოცემულ შემთხვევაში, ჩვენ გვესმის მისი საკმაო წინასწარ განჭვრეტადობა. მაგალითად, ჩვენთვის საკმაოდ კარგადაა ცნობილი, როდის ამოვა ხვალ მზე, და ცნობილია ეს ჩვენთვის ბუნების კანონთა შესახებ ჩვენი ცოდნის და მათი გამოყენების უნარის წყალობით. ესთეტიკური ფენომენი კი, პირიქით, იმით გამოირჩევა, რომ სულაც არაა საკმარისად დეტერმინირებული; შეიძლება ვამტკიცოთ, რომ ესთეტიკური მდგომარეობები უბრალოდ არადეტერმინირებულია. შემდეგ, შეიძლება ვამტკიცოთ, რომ შესაძლებელია ფიზიკური პროცესებისა და მოვლენების აღწერა მიზეზ-შედეგობრივი კავშირებით. ამის საპირისპიროდ, შეიძლება ითქვას, რომ ესთეტიკური პროცესის ან ესთეტიკური მდგომარეობის აღწერა მიზეზშედეგობრივი კატეგორიებით შეუძლებელია.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ფიზიკური პროცესები განსაზღვრულია, ესთეტიკური - განუსაზღვრელი. პოეტს, რომელიც ლექსს თხზავს, მხოლოდ სამუშაოს დასრულების მერე შეუძლია იმის შეფასება, რამდენად კარგი ან ცუდი გამოვიდა ეს ლექსი. ფერმწერისთვის მუშაობის დასაწყისისას ჯერაც უცნობია, სად წაუსვამს ბოლო საღებავს და როგორი იქნება იგი. ამგვარად, ბუნებრივი პროცესების წინასწარმეტყველება, ე. ი. წინასწარ განჭვრეტა, პრინციპში შესაძლებელია, მაშინ, როცა მხატვრული პროცესები პრინციპულად წინასწარ განუჭვრეტადია. მაგალითად, ავტორის მიერ ჩაფიქრებული ლექსის ან რომანის მხატვრული ღირსებების შესახებ მხოლოდ მაშინ შეგვიძლია ვიმსჯელოთ, როცა ნაწარმოები დასრულებულია. მაშ ასე, მივიღეთ ასეთი შედეგი: ფიზიკურ მოვლენას - მაგალითად, იმ ფაქტს, რომ ელექტრონათურა ინთება, როცა ჩამრთველს შემოვაბრუნებთ, - ყოველთვის „ნამდვილი“ ხასიათი აქვს მოვლენის წინასწარ განჭვრეტადობის და მისი გამომწვევი პროცესის დეტერმინირებულობის თვალსაზრისით. ამისგან განსხვავებით, არადეტერმინირებულობის, არაკაუზალური მდინარების გამო, ესთეტიკურ მოვლენებს ვერ მივაწერთ უეჭველ, „ნამდვილ“ ხასიათს, არამედ იძულებული ვართ, მათ ალბათური ხასიათი მივანიჭოთ, ამასთან ალბათობა აქ იმ აზრით გაიგება, რომ ჩვენ არ შეგვიძლია უეჭველობით, ე. ი. „დარწმუნებულობის მაღალი ხარისხით“ გამოვთქვათ, თუ

⁴ ბენზე, დასახ. ნაშრომი, გვ. 707

ნანა ტრაპაიძე

რამდენად „მხატვრულადაა“ შესრულებული ხელოვნების ესა თუ ის ნაწარმოები, და ისიც კი არ ვიცით, სახელდობრ სად შეიცავს იგი „ხელოვნებას“. მაგალითად, არ ვიცით ზუსტად, რემბრანდტთან შუქ-ჩრდილები თანმხლები ეფექტია თუ ისინი მხატვრის ესთეტიკურ ჩანაფიქრში შედიოდნენ. კლასიკური ინტერპრეტაციული ესთეტიკა უკანასკნელს ამტკიცებდა; ის შუქ-ჩრდილებს განმარტავდა, როგორც რემბრანდტის მიგნებას, როგორც „ჭეშმარიტად ესთეტიკურს“. მაგრამ ეს არანაირად არ შეიძლება მტკიცედ დადგენილად ჩაითვალოს⁵.

დასასრულ, მიუხედავად იმ მნიშვნელობისა, რომელიც შტუდგარტელი მეცნიერების კვლევას ჰქონდა თავისი დროისათვის, მან სწორედ უკიდურესი ინფორმაციულობის გამო ამოწურავა თავი. ამის მაგალითად შეიძლება მოვიტანოთ ბენუესა და მისი შტუდგარტელი კოლეგების მიერ რემბრანდტის ქმნილებებზე ჩატარებული „ინფორმაციული კვლევა“, რომლითაც ისინი ცდილობდნენ განესაზღვრათ შუქ-მრდილების, შავი ფერის ინტენსივობის ხარისხი, რითაც ისინი განსაზღვრავდნენ ამ შუქ-მრდილების შესახებ იმ ინტერპრეტაციის ობიექტურობას, რომლითაც თავის დროზე განიმარტებოდა რემბრანდტის შემოქმედება.

ინფორმაციული კრიტიკის მარკერები

ზემოაღნიშნული მსჯელობების შემდეგ არსებითი საკითხია თავად მარკერები, რამაც ლიტერატურის ინფორმაციული ანალიზის მიმართულება უნდა განსაზღვროს. ამ თვალსაზრისით, აქვე აღვნიშნავ, რომ ქვემოთ წარმოდგენილ მარკერებს არა აქვთ პრეტენზია არც ფორმალურ, არც შინაარსობრივ დასრულებულობაზე. იგი დამოკიდებულია ტექსტების წაკითხვისა და ანალიზის ინტენსიურ პროცესზე, რომელსაც „ინფორმაციული კრიტიკისათვის“ წარმოებული სამუშაოები გულისხმობს და უკავშირდება როგორც გუნდურ სამუშაოს, ისე დროის გარკვეულ რესურსს.

1. *რეალ-ლიტერატურა*. აქ იგულისხმება წარმოსახვისა და სინამდვილის გარკვეული ტავტოლოგია. ასეთი „მაღალი ძაბვის“ ლიტერატურა მაღალი ლიტერატურაა და შეიძლება ინფორმაციულ კლასიფიკატორში „რეალ- მარკერის“ დეფინიციით განისაზღვროს. მაგალითისთვის, აქ მოხვდება ჰომეროსი, შექსპირი, რუსთაველი; ასევე მე-20 საუკუნის მთელი პოსტმოდერნისტული ესთეტიკური ტალღა, რომელმაც ბელეტრისტიკა და რომანი გამოიწვია. კრიტიკული მსჯელობა ამ განსხვავების გარშემოც შეიძლება წარმართოს. მაგალითად, აირის მერდოკის რომანები ონტოლოგიურ მარკერში დადებითად მოინიშნებოდნენ. რატომ? თანამედროვე ქართულ ლიტერატურაში ასეთად შეიძლება დახასიათდეს დავით ქართველიშვილის „მეგაპოლისი და ფიზიკური პირები“.
2. *ფუნქციური ლიტერატურა*. აქ მოიაზრება ის მხატვრული გამიზნულობა, რომელიც აქვს არა ზოგადად ლიტერატურას, არამედ კონკრეტულ ნაწარმოებს (მაგალითად, გენდერის, სუბკულტურების ლიტერატურა, რევიზიონისტული ლიტერატურა, როგორც ისტორიის მხატვრული გადაწერის მცდელობები, ე.წ. ისტორიული ფიქციები, აქვე მოექცევა არამხატვრული დისკურსები - მემუარისტიკა, დოკუმენტური პროზა).
3. *ენისა და ფორმის ლიტერატურა*. აქ შეიძლება განვიხილოთ ენობრივი პოლიტიკის საკითხები ლიტერატურაში. „ენის ლიტერატურად“ მივიჩნით ლიტერატურა, რომლისთვის ენა საშუალებაა, „ფორმის ლიტერატურაში“ კი ის მწერლობა, რომლისთვისაც ენა მიზანია. როგორც ბენუე ამბობს, თუ „მდიდარი ინსტრუმენტალიზება კლავს მელოდიას“, ლიტერატურასთან მიმართებით შეიძლება ითქვას, რომ ენის ჭარბი ინსტრუმენტალიზება

⁵ ბენუე, მაქს, ინფორმაციული ანალიზის შესავალი, დასახ. წიგნი, გვ. 695-696

კლავს ლიტერატურას. დავსვით კითხვა: სწორედ ამ მოვლენასთან ხომ არ გვაქვს საქმე თანამედროვე ლიტერატურაში? რეალურად, თუ მის „სიკვდილზე“ ვლაპარაკობთ, ის მკვდარია ენის უკიდურესი და ჭარბი ინსტრუმენტალიზაციის გამო. ისტორიულ ასპექტში, ამ ტენდენციას წინ უსწრებდა ენის ფორმალური კონდენსაციის კლასიკური გამოცდილება, რის გამოც გაჩნდა ის ლიობი, ნაპრალი, რომელსაც ჩვენ ენისა და მხატვრული ენის მიმართებაში ვაწყდებით. ენის ჭარბი ინსტრუმენტალიზების პირობებში კი ასეთი ლიობი თითქმის არ არსებობს. თუ ამ პერსპექტივას გავყვებით, ლიტერატურის ჟანრული ხასიათის ისეთ ნიშნებს შევხებით, რაც განსაზღვრავს ენობრივი პოლიტიკის არსებულ ხასიათს და მომავალსაც.

4. წმინდა ლიტერატურა - ავტოფექციური ხასიათის ლიტერატურა. აქ მოექცევა არაკომერციული მწერლობა.

წარმოდგენილი მარკერები გარკვეული ხარისხით გადაფარავენ ერთმანეთს და ქვეკატეგორიებსაც გულისხმობენ. მაგალითად, ყველა მოიაზრებს კონსტატაციურ ანალიზს (ბენზეს „კონსტატაციური ესთეტიკის“ ანალოგიით): იგი ნიშნავს აღწერას. ჩაშლის პრინციპით მასში შეიძლება შედიოდეს ბიბლიოგრაფიულ-ესთეტიკური მახასიათებლების ნუსხა დაწყებული ქრონოლოგიური განსაზღვრიდან, დამთავრებული ესთეტიკურ მახასიათებელთა კონსტატაციით (კომპოზიციის სრული აღწერა).

კონსტატაციური ანალიზის მიხედვით პრინციპი შეგვიძლია სრულიად ამოვატრივოთ და ინფორმაციული ანალიზის საკითხი რაიმე მარკირებას, როგორც წინასწარ ჩარჩოს, კი არ დაექვემდებაროს, არამედ - ტექსტის ინტენსიურ აღწერას, რაც ნიშნავს: მხატვრული გრამატიკის ანალიზს ფრაზის, წინადადებისა და ტექსტის დონეზე, ლექსიკური ეკონომიის გამოკვლევას, კომპოზიციის ანალიზს, პერსონაჟთა სტატისტიკისა და ესთეტიკის სისტემატიზებას, ფინალობის მოდელის განსაზღვრას, გავლენათა სორტირებას, ავტორის ტექსტუალური ჩართულობის ხარისხისა და ხერხების გამოვლენას, ტექსტის სამიზნე ჯგუფის ჩვენებას, სოციალიზაციის ხასიათის შეფასებას, გავლენის ტიპოლოგიის განსაზღვრას, გამოცემათა და ტირაჟის აღწერას, კომერციული შედეგების შეფასებას, ასევე შემოქმედებითი ბიოგრაფიის კვლევასა და მიმდინარე ლიტერატურული პროცესის ინფორმაციულ სისტემატიზებას. ამ მონაცემთა გადამუშავების საფუძველზე შესაძლებელია განისაზღვროს ტექსტის ღირებულება და ამ ღირებულების კონტექსტი. მთელი ეს სამუშაო კი ფილოლოგთა კორპორაციული სამუშაოა, რომელიც შეიძლება დაიგეგმოს საუნივერსიტეტო დარგობრივ დეპარტამენტებში მომავალ სპეციალისტებთან კოლაბორაციის სახით.

დაბოლოს, უნდა ვთქვათ, რომ მარკერები უნიფიცირებისთვის საჭირო სიმყარესა და შინაარსობრივ ტევადობას საჭიროებენ. ამჯერად ისინი ერთგვარი სასიგნალო ჩარჩოებია, რომელიც უნდა დაინახოს კრიტიკოსებმა, გამომცემლობებმა. ლიტერატურის მოქცევა ინფორმაციული სტრუქტურირების ქვეშ, ერთგვარად, სისტემაში მოიყვანს და დაალაგებს ნაციონალურ ლიტერატურულ ბაზარს და უფრო ღრმად, აკადემიურად დააკავშირებს მას იმ კულტურულ პასუხისმგებლობასთან, რომელიც საკუთარი ნიადაგის მიმართ აქვს.

*LITERARY THEORY AND COMPARATIVE STUDIES***INFORMATIVE CRITICISM - THESES, PERSPECTIVES****NANA TRAPAI DZE***e-mail: nana.trapaidze@bsu.edu.ge**Batumi Shota Rustaveli State University, Professor***ABSTRACT:**

The present work discusses the issue of methodological research of modern Georgian literature and the perspectives of informative criticism. The paper discusses the problem of inclusion of literature in the digital world and the critical challenges related to it. In particular:

First: The theoretical basis of the analysis of literature is discussed, which describes literature, which means includes it in its critical condition - removes both the cognitive and empirical planes of the relationship between literature and reality.

Second, In this way, it becomes more effectively a part of the global literary field. The task of digitization is the creation of a global information system. For this, such literary work as the aesthetic-functional marking of literature is needed, which allows us to talk about literary influences, borrowings, intertext, identity and originality with a new (modern) relevance and content. In other words, the definition of aesthetic identity in world literature, which is not only a literary issue, goes into the wider field of cultural identity.

Third: revision of critical culture - actualization of creative biography, textological research, systematization and synthesis of results.

KEYWORDS:

literature, information, criticism, digital world, national literature, global literature, literary field, sociology of literature.

ლიტერატურა:

ბენზე, მაქს, ინფორმაციული ესთეტიკის შესავალი, იხ: დ. ბარბაქაძე, დროის გარემოებათა კარნახით თარგმნილნი, თბ; 2010.

ლიტერატურის თეორია და კომპარატივისტიკა

ვიქტორ ქორქიას პიესის „შავი ადამიანი, ანუ მე, საწყალი სოსო ჯულაშვილი“ შინაარსობრივ-სტილისტური თავისებურებანი

ქეთინო კასაბერიძე

ელ-ფოსტა: qetatodanielovna@gmail.com

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის, დოქტორანტი

აბსტრაქტი:

ნაშრომის თემას წარმოადგენს თანამედროვე რუსული ლიტერატურის წარმომადგენლის, ქართული წარმომავლობის პოეტისა და დრამატურგის - ვიქტორ ქორქიას ცნობილი პიესის „შავი ადამიანი, ანუ მე, საწყალი სოსო ჯულაშვილი“ ძირითადი მხატვრული და შინაარსობრივი თავისებურებების გააზრება პოსტმოდერნიზმის ჭრილში.

საქართველოში ვ. ქორქიას შემოქმედებას ნაკლებად იცნობენ. თუმცა მისი ნაწარმოებები რუსულ კულტურულ სივრცეში საკმაოდ დიდი პოპულარობით სარგებლობს, განსაკუთრებით კი მისი დრამატურგიული ნაწარმოებები.

სტატიაში განვიხილავთ კარნავალიზაციის რეალიზების თავისებურებას, რაც ვ. ქორქიას პარატრაგედიის მთავარი სტილისტური მახასიათებელია. პიესის მხატვრულ-შინაარსობრივ ქსოვილში ავტორმა კულტურული რემინისცენციები ოსტატურად შეაზავა პროპაგანდისტულ კლიშეებსა და კრიმინალურ ხრიკებს.

ასევე გავანალიზებთ აღნიშნულ პიესაში პერსონაჟების შექმნის ჰიბრიდულ-ციტატურ მეთოდს. ვიქტორ ქორქია კლასიკის დისკურსს აერთიანებს მასობრივი კულტურის დისკურსთან, რომელშიც მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს სხვადასხვა სახის იმიჯის - პოლიტიკური, ლიტერატურული და ა.შ. - წარმოქმნას. შემდგომ ხდება მათი პაროდული-ირონიულ სახეცვლილება.

საკვანძო სიტყვები:

პოსტმოდერნიზმი, პარატრაგედია, სტალინი, კარნავალიზაცია.

თანამედროვე რუსული ლიტერატურის წარმომადგენლის, ქართული წარმომავლობის პოეტისა და დრამატურგის - ვიქტორ ქორქიას შემოქმედებას საქართველოში ნაკლებად იცნობენ. თუმცა მისი ნაწარმოებები რუსულ კულტურულ სივრცეში საკმაოდ დიდი პოპულარობით სარგებლობს, განსაკუთრებით კი მისი დრამატურგიული ნაწარმოებები.

ვიქტორ ქორქიას ლიტერატურული დებიუტი მეოცე საუკუნის 60-იან წლებში შედგა. მისი პირველი პუბლიკაცია თარიღდება 1962 წლით, როდესაც საბავშვო შემოქმედების კრებულში „ჩვენ ვწერთ და ვხატავთ“ მან გამოაქვეყნა ლექსი „რაკეტა“.

1976-1990 წლებში ჟურნალ „Юность“-ის პოეზიის განყოფილების თანამშრომელი იყო. შემდგომში კი მოსკოვური ლიტერატურული კლუბის „პოეზიის“ ერთ-ერთი მონაწილე, ხოლო 1989 წლიდან მისი თავმჯდომარეა.

80-იან წლებში მყარად დაიმკვიდრა ადგილი მოსკოვის პოეტთა ხუთეულში. პირველი სერიოზული ლიტერატურული წარმატება 1988 წელს ეწვია, როდესაც ჟურნალ „ახალგაზრდობაში“ პოემა „თავისუფალი დრო“ გამოაქვეყნა.

1990-იანი წლების დასაწყისიდან ვიქტორ ქორქია უფრო მეტად მიუბრუნდა დრამატურგიის ჟანრს. მისი ნაწარმოებები დაიბეჭდა ჟურნალებში „ახალგაზრდობა“, „ჰორიზონტი“, გამოქვეყნდა ცალკეულ გამოცემებად და დაიდგა რუსეთის და უცხოეთის სცენებზე. ვიქტორ ქორქიას ლექსები და დრამატურგიული ნაწარმოებები ითარგმნა უცხო ენებზე.

1988 წელს დაიწერა მისი პირველი პიესა, რომელმაც მოსკოვის თეატრალურ სამყაროში ერთგვარი ფურორი მოახდინა. ეს იყო პარატრაგედია „შავი ადამიანი, ანუ მე საწყალი სოსო ჯულაშვილი“, რომლის მთავარი გმირიც იოსებ სტალინი (სოსო ჯულაშვილი) იყო. იმავე წელს მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტურ თეატრში ევგენი სლავუტინმა დადგა სპექტაკლი აღნიშნული პიესის მიხედვით. სპექტაკლმა დიდი წარმატება მოიპოვა და შემდგომ ბევრ სცენაზეც დაიდგა.

პიესამ დიდი ინტერესი გამოიწვია არა მარტო რუსულ კულტურულ სივრცეში, არამედ მის ფარგლებს მიღმაც. პრემიერიდან მეორე დღესვე ესპანეთის ცენტრალურმა გაზეთმა „ელ პაისმა“ აღნიშნულ სპექტაკლს სტატია მიუძღვნა. „შავ ადამიანზე“ იწერებოდა ფრანგულ, ამერიკულ, გერმანულ და ჩეხურ პრესაშიც. ამგვარი დაინტერესება გამოიწვია არამარტო სპექტაკლისა და სამსახიობო დასის ღირსებებმა. ინტერესის უპირველესი მიზეზი იმაში მდგომარეობდა, რომ ქორქიას პიესამ სტალინისა და ბერიას ფიგურებს დემონური ორეოლი შემოაცალა და მაყურებელმა თუ მკითხველმა ამ სპექტაკლის წყალობით ერთგვარი სულიერი თავისუფლება იგრძნო. [1].

ვ. ქორქიას რუსული პოსტმოდერნიზმის მეორე თაობის წარმომადგენლად მოიაზრებენ. პიესის „შავი ადამიანი, ანუ მე, საწყალი სოსო ჯულაშვილი“ მხატვრული თავისებურებები სწორედ პოსტმოდერნისტული შემოქმედების პრინციპებით არის განპირობებული.

ავტორი პიესაში ახდენს იმ იდეოლოგიური ფიგურების დეკონსტრუქციასა და განქიქებას, რომლებიც მეოცე საუკუნის საბჭოთა ადამიანების მასობრივ შეგნებაში ხელშეუხებელ და ტაბუირებულ თემას წარმოადგენდა. დეკონსტრუქცია კი, როგორც ცნობილია, პოსტმოდერნიზმის მნიშვნელოვანი მახასიათებელია. დეკონსტრუქციის არსი მდგომარეობს იმაში, რომ გამოაშკარაოს ტექსტის შინაგანი წინააღმდეგობა და გამოავლინოს მისი ფარული „ნარჩენი საზრისები“. დეკონსტრუქციის მიზანია ერთიანობის დაშლის შედეგად დავინახოთ მთლიანობის არსი, ვინაიდან ტექსტის უკეთ შესაცნობად საჭიროა მისი გაშიფვრა, ანალიზი.

ვ. ქორქიას შემოქმედებითი ხელწერისათვის განსაკუთრებით დამახასიათებელია პოსტმოდერნიზმის ერთ-ერთ საკვანძო ნიშანი - ციტირება. თავად ვიქტორ ქორქია აღნიშნავდა: "ჩვენ, „პოსტმოდერნისტებს“, ძალიან გვიყვარს ციტატები: ჩვენ მათ განსაკუთრებულ მეტაფორებად მივიჩნევთ, ყველაფერი, რაც გვესმის იმ საინფორმაციო სივრცეში, სადაც ვართ, უნებურად შემოდის ჩვენს ლექსიკონში. მაგრამ სინამდვილეში კი არ არსებობს პოეტური ხერხი ან პოეტური ფიგურა, რომელიც უკვე ჰომეროსს არ ჰქონოდა გამოყენებული“. [2].

პიესის „შავი ადამიანი, ანუ მე, საწყალი სოსო ჯულაშვილი“ სტრუქტურაში მრავლად მოიპოვება შექსპირის, პუშკინის, გოგოლის, მაიაკოვსკის, ბულგაკოვის და სხვათა ციტატები. მაგ., პუშკინის „მოცარტი და სალიერის“ თემის გადათამაშება ხდება. ცნობილი მოტივის მიხედვით მოცარტი მოწამლა სალიერიმ. ქორქიას პიესაში კი ბერია საკუთარ ავადმყოფობაზე ჩივის და ფლაკონით წამალს სვამს. და თავადვე ამბობს, რომ ყველას საწამლავი ჰგონიაო, ჰგონიათ მე თვითონ ვწამლავ და იმ ქვეყნად ვამგზავრებ ხალხსაო „Думают, что яд. Что лично отправляю в мир иной“. [3].

ბულგაკოვისეული ერთგვარი ალუზია იგრძნობა ბერიას მონოლოგში, სადაც ის თავის მიერ შედგენილ ოქმებზე საუბრობს:

„Но факты умирают. Факты тленны.
Зато нетленны акты... Вот они.
Как трепетно шуршат материалы
В заветной папке!.. Вот они, печати!
Вот подписи!.. Великий документ,
что без тебя бы делал я, ничтожный!..
Пока бумага есть – в стране порядок.
Бумажный голод – это кризис власти. [4].

...Не помню где, но где-то я читал,
что рукописи не горят. [5].

ცნობილი ბულგაკოვისეული ფრაზა „ოსტატი და მარგარიტადან“ „Рукописи не горят“ ქორქიას ტექსტში გარკვეულ გადააზრებას განიცდის, რაც გამოიხატება იმაში, რომ ბულგაკოვის ზოგადსაკაცობრიო შინაარსის ფილოსოფიური გამონათქვამი ქორქიას პიესაში კონკრეტულ პოლიტიკურ დატვირთვას იძენს. ქორქიასთან ხელნაწერის ადგილს იჭერს აქტები, ოქმები, რომლებიც გათვითცნობიერებული მკითხველის გონებაში საბჭოური პერიოდის მძიმე დრამატულ ფაქტებსა და მოვლენებს, ადამიანთა ტრაგიკულ ბედს უკავშირდება.

ავტორმა პერსონაჟის მეტყველებაში პუშკინის ბორის გოდუნოვის ოდნავ შეცვლილი მონოლოგები ჩადო. ამან კი მოულოდნელი სასცენო ეფექტი გამოიწვია - წარმოიშვა თავისებური პარალელები, რამაც გვაფიქრებინა რუსეთში ძალაუფლების ბუნებაზე, მის მიღწევის გზებზე და მისი შენარჩუნების გზებზე.

ეს ნაწარმოები წარმოადგენს ძალაუფლების არსის მხატვრული შესწავლის მცდელობას. ვინ არის სტალინი? - ეს არის დიქტატორი, უზარმაზარი ქვეყნის ყოვლისშემძლე მბრძანებელი, თუმცა ბელადის სახის მიღმა აშკარად იგრძნობა ჩვეულებრივი ადამიანის სისუსტეები და გრძნობები.

სტალინის სახის განხილვისას ყურადღებას იქცევს ის მომენტი, თუ რამდენად არის ის ეთნომარკირებული პერსონაჟი, ანუ რა უფრო მძლავრად არის მასში წარმოჩენილი - დიქტატორის ზოგადსაკაცობრიო ფენომენი თუ ქართველის ეროვნული ხასიათი. თუ გავითვალისწინებთ პიესის არამარტო ლიტერატურულ ფონს, არამედ პოლიტიკურ რემინისცენციებსაც, შეიძლება დაზუსტებით ითქვას, რომ ქორქიას სტალინი არის დიქტატორის ზოგადსაკაცობრიო ფენომენის კონკრეტული გამოვლინება. ამ აზრს გვიმტკიცებს პიესის ზოგიერთი დეტალი, მაგალითად, სტალინს თავის კაბინეტში უდგას ივანე მრისხანეს ბიუსტი და ხშირად ებაასება ხოლმე მას. ეპიზოდი მიგვანიშნებს იმ უხილავ ძაფებზე, რომლებიც იბმება სხვადასხვა ეპოქის ორ დიქტატორს შორის. თუმცა უნდა ითქვას, რომ ტექსტში ავტობიოგრაფიული მომენტებიც მოიპოვება. მაგ., სტალინი იხსენებს თავის ბავშვობას (Я помню, в детстве мать кричала на меня: “Унью, собака!”). პიესა „შავი ადამიანის“ დემითოლოგიზაციის ტენდენცია გარდაქმნის ეპოქაში ძალიან აქტუალური გახლდათ.

პიესაში ვიქტორ ქორქია მიმართავს პერსონაჟების შექმნის ჰიბრიდულ-ციტატურ მეთოდს, ის კლასიკის დისკურსს აერთიანებს მასობრივი კულტურის დისკურსთან, რომელშიც

მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს სხვადასხვა სახის იმიჯის - პოლიტიკური, ლიტერატურული და ა.შ. - წარმოქმნას. შემდგომ ხდება მათი პაროდული-ირონიული სახეცვლილება.

სწორედ აღნიშნული მომენტი მიუთითებს იმაზე, რომ ქორქია უახლოვდება პოსტმოდერნისტულ დრამატურგიაში ტომ სტოპარდის მიერ დამკვიდრებულ ტრადიციას, რომლის პიესაშიც „მხტუნავები“ ხდება ლენინის, ფროიდის და სხვათა იმიჯის დეკონსტრუქცია. ასე ვლინდება ტენდენცია კანონიზირებულის დეკანონიზაციისა, მითოლოგიზირებულის დემითოლოგიზაციისა, აბსოლუტური ჭეშმარიტების ფლობაზე პრეტენზიების დაცინვის სურვილი.

„შავი კაცის...“ დემითოლოგიზირებული პერსონაჟი იმ განწყობებს ემთხვეოდა, რაც პერესტროიკის წლებში გახდა გაცხადდა. ამავდროულად მაშინვე თვალში საცემი გახდა ამ ნაწარმოების უჩვეულობა, ეს იყო პირველი პოსტმოდერნისტული პიესა, რომელიც რუსულ სცენაზე მოხვდა.

ბევრი კრიტიკოსი აღნიშნავდა პიესის უჩვეულობას. განსაკუთრებულ გაოცებას იწვევდა აქამდე შეუთავსებელი ცნებების თუ მოვლენების შეთავსების მცდელობა. თავად პიესის სახელწოდებაც აღიქმებოდა როგორც ერთგვარი თავხედური გამოწვევა.

პიესის ჟანრი ლიტერატურულ ვიქტორინას წააგავს. თავდაპირველად პიესის ჟანრი ავტორმა განსაზღვრა როგორც „ტრაგიფარსი“. თუმცა რამდენიმე თვის შემდეგ პიესის ჟანრი პარატრაგედიით შეცვალა. (ბერძნული სიტყვისაგან para - ირგვლივ, ახლოს).

ბევრს მიაჩნდა, რომ სტალინიზმის მასშტაბები, შედეგები, საშინელება შეუთავსებელია ფარსის პირობებთან. შეიძლება გაიცინოთ მუსოლინიზე, გებელსზე, ჰიტლერზე. ჩაპლინის "დიდი დიქტატორი", ბრეტის "არტურ უის კარიერა", რომის "ჩვეულებრივი ფაშიზმი" - კი, ბატონო, დასაშვებია. მაგრამ სტალინიზე სიცილი? ქორქია კი იცინის. პიესის რთული, გამომწვევად მოუხერხებელი კონსტრუქცია მაყურებლის წინაშე იშლება. ავტორი ამათრახებს სტალინს, ბერიას... [6].

პიესა იწყება ბერიას სიტყვებით: „კიდევ ერთი ბოლო პროტოკოლი...“ და სტალინი იწყებს თავის პირველ მონოლოგს შემდეგი სიტყვებით: „ყველა ამბობს: არ არსებობს სიმართლე დედამიწაზე. მაგრამ არც ზევით არ არის ჭეშმარიტება...“ ასე გრძელდება პუშკინის ციტატებით, მინიშნებებით შექსპირზე... ყველაზე მეტად ქორქია „ბორის გოდუნოვის“ გარდა „მოცარტისა და სალიერის“ ციტირებს. ეს გასაგებიცაა. ბოლოს და ბოლოს, ორივე პიესაში ნაჩვენებია ორი მეგობრის რთული ურთიერთობა, შხამის თემა და ა.შ. ქორქიამ სცადა სტალინისა და ბერიასთვის ტრაგიკული სამოსი და მაღალი ლიტერატურის სტილისტიკა მოერგო. საბოლოო ჯამში კი გამოვიდა ჯამბაზის მანტიები, რადგანაც ავტორმა ეს ყველაფერი მათი ცხოვრების სიმართლეს, მათ პოლიტიკურ სტილისტიკას მიუსადაგა. [7].

ლეონიდ ბატკინის აზრით, ქორქიას პიესა უდარდელი და პირქუში კლოუნადაა, რომელსაც ვერაფერს ვერ მიამსგავსებთ. „იმისათვის, რომ გაითამაშოთ უახლესი სამამულო ისტორია არა მხოლოდ ტრაგედიის, არამედ ფარსის (თუნდაც „სისხლიანი“) სახით, რათა პუბლიკის გასართობად „თაბაშირის ფრაგმენტებიდან“ „შეაწებოთ“ ბელადი და, ამით ის გაუმკლავდეს არა მხოლოდ მას, არამედ გავრცელებულ მითს სტალინის, როგორც „დიდი ადამიანის“ შესახებ, ყოველივე ეს მოითხოვს არა მხოლოდ ავტორის განკერძოებულობას, არამედ რეალური დაცულობის განცდასაც“ [8].

ალექსანდრე ლავრინის ინტერპრეტაციის მიხედვით, ვიქტორ ქორქიას პიესა სტალინის შესახებ არის ძალაუფლების მითოლოგიის მხატვრული შესწავლის მცდელობა. სტალინი - ეს არის დიქტატორი, უზარმაზარი ქვეყნის ყოვლისშემძლე მბრძანებელი, მაგრამ "ყველა ხალხის

დიდი ბელადის" ნიღბის ქვეშ აშკარად ჩანს პატარა კაცის მშობარა სახე, რომლის ძალაუფლების დაკარგვის პათოლოგიურმა შიშმა ტერორის სისხლიანი ბორბალი მოიყვანა მოქმედებაში.

საკუთარი პიროვნების ჰიპერტროფიულ აღქმამ გამოიწვია ის, რომ „საწყალი სოსო ჯუღაშვილი“ უკვე ვეღარ ხვდება, თუ სად მთავრდება სტალინი და სად იწყება მითი სტალინის შესახებ. ბელადი ხდება მონა მითისა საკუთარი თავის შესახებ. [9].

ამგვარად, ჩვენ შევეცადეთ ვ. ქორქიას პიესის მხატვრულ-შინაარსობრივი თავისებურებების ანალიზისას შევეცადეთ მასში დაგვეძებნა პოსტმოდერნისტული შემოქმედების ზოგიერთი ნიშან-თვისება, კერძოდ კი ციტირება, დეკონსტრუქცია, დემითოლოგიზაცია. ვ. ქორქიამ რუსულ დრამატურგიაში ერთ-ერთმა პირველმა გამოიყენა პოლიტიკური იმიჯების დეკონსტრუქციის ხერხი. პიესის „შავი ადამიანი, ანუ მე, საწყალი სოსო ჯუღაშვილი“ სტრუქტურაში მრავლად მოიპოვება შექსპირის, პუშკინის, გოგოლის, მაიაკოვსკის, ბულგაკოვის და სხვათა ციტატები. გვხვდება აგრეთვე ბიბლიური გამონათქვამების ციტირებაც. აღნიშნული მასალის კოდირება მწერლის ნაწარმოებებში ხდება ერთგვარი პაროდირებული ფორმით. პერსონაჟებს მკვეთრად გამოხატული ჰიბრიდული სახე გააჩნიათ. პიესის მხატვრული სამყარო აგებულია თამაშზე და ირონიულ პაროდირებაზე.

LITERARY THEORY AND COMPARATIVE STUDIES

CONTENT AND STYLISTIC FEATURES OF VICTOR KORKIA'S PLAY „THE BLACK MAN, OR ME, POOR SOSO DZHUGASHVILI“

KETINO KAKHABERIDZE

e-mail: getatodanielovna@gmail.com

Doctoral student of Batumi Shota Rustaveli State University

ABSTRACT:

The purpose of the article is to understand Viktor Korkia's work from the point of view of postmodernism, the role of literary reminiscences in the writer's dramaturgy will be analyzed. We think that the approach of reception aesthetics, which implies concretization-reconstruction of the artistic text by the reader in the process of reading, will help us to some extent in achieving this goal. This is expressed in the fact that the reader fills in the "missing" places with his own imagination, which are countless in the creation of verbal art. Victor Korkia's play "The Black Man, or Me, Poor Soso Jughashvili" is particularly interesting in this regard. This work is an attempt to artistically explore the essence of power. Who is Stalin? - This is a dictator, the all-powerful ruler of a huge country, but behind the leader's face, the weaknesses and feelings of an ordinary person are clearly felt. When discussing Stalin's face, attention is paid to the moment to which extent he is an ethno-marked character, that is, what is more powerfully represented in him - the general phenomenon of a dictator or the national character of a Georgian.

The structure of the play "The Black Man, or Me, Poor Soso Dzhugashvili" contains many quotations from Shakespeare, Pushkin, Gogol, Mayakovsky, Bulgakov and others. There are also quotations of biblical sayings. The mentioned material is coded in the writer's works in a kind of parodied form. The characters have a pronounced hybrid look. This play of Korkia is often called a paratragedy. Paratragedy is a genre in which a sudden or unexpected comic effect is based on the combination of an elevated tragic style and a low comic context. Along with this term, his plays are often called philosophical clowning, which indicates that Korkia's artistic world is built on play and ironic parody. In the play "Black Man" the discourse of the classics merges

with the discourse of mass culture, in which various images - political, literary, etc. - play an important role. - to generate. Their ironic-parodic transformation takes place, thus Korkia continues the tradition of Tom Stoppard's postmodern dramaturgy.

The presence of literary and historical reminiscences in the mentioned work of Korkia is an indicator of intertextuality, that is, in "The Black Man" recognition of previous literary works or historical events is made through these reminiscences and quotations.

KEYWORDS:

Postmodernism, paratragedy, Stalin, carnivalization.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Ирина Большакова. "Мне повезло - я оказалась в МГУ"// Журнал «Страстной бульвар,10». Выпуск №8-228/2020, <http://www.strast10.ru/node/5322>.
2. Вечные образы в современной драматургии. Беседа с поэтом и драматургом Виктором Коркия. https://web.archive.org/web/20080430114738/http://www.vor.ru/culture/cultarch181_koi.html
3. Виктор Коркия. Черный человек, или Я бедный Сосо Джугашвили: Паратрагедия.-М.: Моск. Рабочий, 1989. с.13.
4. Виктор Коркия. Черный человек, или Я бедный Сосо Джугашвили: Паратрагедия.-М.: Моск. Рабочий, 1989. с.13.
5. Виктор Коркия. Черный человек, или Я бедный Сосо Джугашвили: Паратрагедия.-М.: Моск. Рабочий, 1989. с.14.
6. Баткин Л. Как склеить историческую личность из гипсовых осколков?: [Предисл.] // Коркия В. Черный человек, или Я бедный Сосо Джугашвили. М.: Московский рабочий, 1989. С.4.
7. Баткин Л. Как склеить историческую личность из гипсовых осколков?: [Предисл.] // Коркия В. Черный человек, или Я бедный Сосо Джугашвили. М.: Московский рабочий, 1989. С. 9.
8. Скоропанова И.С. Русская постмодернистская литература. Москва, 2007. С. 399.
9. Скоропанова И.С. Русская постмодернистская литература. Москва, 2007. С. 401.

ლიტერატურის თეორია და კომპარატივიზტიკა

სოფრომ მგალობლიშვილი ანტონ ფურცელაძის შესახებ

მაგლა ჭიჭაბერიძე

ელ-ფოსტა: mchikaberidze@gmail.com

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო, თბილისი

აბსტრაქტი:

მე-19 საუკუნის ქართველმა მწერალმა და მოღვაწემ, სოფრომ მგალობლიშვილმა, მიუკერძოებლად გადმოგვცა მისივე თანამედროვე მწერლისა და მოღვაწის, ანტონ ფურცელაძის, ღვაწლი ჩვენი ერის წინაშე, გვაჩვენა მისი ღირსება და ნაკლი, არც ერთს შეჰმატა რამე, არც მეორეს მოაკლო და დახატა მწერლისა და მოღვაწის ცოცხალი და დამაჯერებელი პორტრეტი.

სოფრომ მგალობლიშვილის თქმით, ანტონ ფურცელაძე ვერ შეჩერდა ლიტერატურის რომელიმე დარგზე. იგი პუბლიცისტიც იყო, ბელეტრისტიც, დრამატურგიც, პოეტიც, ისტორიკოსიც. ბოლოს იგი აქტიურად ჩაება ხალხოსნურ მოძრაობაში, გვერდში დაუდგა გლეხებს, პირადად ეხმარებოდა მათ და ადვოკატადაც უდგებოდა. ანტონ ფურცელაძეს უფრო მეტად გავლენა მუშებსა და ხელოსნებზე ჰქონდა. მისი ნაწერები სწორედ საზოგადოების ამ ნაწილზე ახდენდა მეტ ზემოქმედებას.

მემუარისტი საგანგებოდ აღნიშნავს ანტონ ფურცელაძის გულისხმიერებას, რომელიც მან მაჰმადიანი ქართველების მიმართ გამოიჩინა. იგი მათს დასახმარებლად თავს არ იზოგავდა: თბილისში ჩამოსულ მაჰმადიანთა დეპუტაციებს თავის სახლში იწვევდა, უმასპინძლდებოდა, აძლევდა რჩევას და საჭიროების შემთხვევაში ნივთიერ დახმარებასაც უწევდა.

ანტონ ფურცელაძემ სამწერლო ასპარეზზე გამოსვლისთანავე გაწყვიტა კავშირი ქართველ არისტოკრატიასთან. ძველებისგან მხოლოდ ორი კაცისა სწამდა და სჯეროდა. ესენი იყვნენ დიმიტრი ყიფიანი და კონსტანტინე მამაცაშვილი.

სოფრომ მგალობლიშვილის გადმოცემით, ანტონ ფურცელაძე აქტიურად იყო ჩაბმული პოლე-მიკაში. იგი 1860-იან წლებში ეკამათებოდა ილია ჭავჭავაძეს, ხოლო 1870-იან წლებში – ნიკო ნიკოლაძეს. ილიაც და ნიკოც სათანადოდ უსწორდებოდნენ „ქერელ ბექას“. როცა ანტონ ფურცელაძე ილიას დაარსებული ბანკის დირექტორი გახდა, ძალიან ცდილობდა მასთან დაახლოებას, მის სიამოვნებას. ილია ამას ხვდებოდა და თავი შორს ეჭირა.

მემუარისტი შედარებით დაწვრილებით აღწერს ანტონ ფურცელაძის საქმიანობას გორში ხალხოსანთა წრეში. უყურადღებოდ არც მის თეატრალურ მოღვაწეობას ტოვებს. ანტონმა სცენაზე ბევრი ქალი აიყვანა და, საზოგადოდ, მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ქართველ ქალთა ემანსიპაციაში.

სოფრომ მგალობლიშვილის სიტყვით, ანტონ ფურცელაძეს, ისევე როგორც ბევრ სხვა მოღვაწეს, ერთი სენი შეეყარა: თავის თავზე დიდი წარმოდგენა შეიქმნა, „განდიდების იდეა სჭირდა“. ამიტომ იგი ბევრს არ უყვარდა.

სოფრომ მგალობლიშვილმა ანტონ ფურცელაძის შეფასებისას, მისი ღვაწლის აღწერისას პირადული გვერდზე გადადო და საინტერესო პორტრეტი დახატა, რაც მემუარისტის მაღალ პროფესიონალიზმსა და პირუთვნელობაზე მიუთითებს. მოგონებები შეიცავს მდიდარ ფაქტობრივ მასალას და დღესაც ინტერესით იკითხება.

საკვანძო სიტყვები:

საზოგადო მოღვაწე, ხალხოსნობა, თეატრის მოყვარული, პოლემისტი, ქართველ ქალთა ემანსიპაცია.

ანტონ ფურცელაძე მე-19 საუკუნის ქართველი მწერლობის ერთ-ერთი დაუვიწყარი წარმომადგენელია. ასევე მე-19 საუკუნის მწერალმა და მოღვაწემ, სოფრომ მგალობლიშვილმა, მასზე ბევრი საინტერესო ცნობა შემოგვინახა. მიუხედავად იმისა, რომ მათ შორის ბოლოს ურთიერთობა გაფუჭდა, მემუარისტმა მიუკერძოებლად გადმოგვცა ანტონ ფურცელაძის ღვაწლი ჩვენი ერის წინაშე, გვაჩვენა მისი ღირსება და ნაკლი, არც ერთს შეჰმატა რამე, არც

გაბლა ჭიქაპერიძე

მეორეს მოაკლო და დახატა მწერლისა და მოღვაწის ცოცხალი და დამაჯერებელ პორტრეტი. მემუარისტის აზრით, ანტონ ფურცელაძე იყო „მედგარი მეზრძოლი თავისუფლებისათვის, ბუნებით დემოკრატი-რევოლუციონერი, მამაცი, პირუთენელი, გაბედული, ერთობ სადა, ლმობიერი, გულჩვილი, თავგანწირული ჩაგრულ მოძმეთათვის“. საქვეყნოს საქმისთვის მას არასოდეს უღალატია (მგალობლიშვილი 1938: 222).

კიდევ უფრო საგულისხმოა სოფრომ მგალობლიშვილის შემდეგი დაკვირვება: ანტონ ფურცელაძე „ვერ შეჩერდა ერთ რომელიმე ლიტერატურულ დარგზე, მიმართულებაზე... იგი პუბლიცისტიც იყო, ბელეტრისტიც, დრამატურგიც, პოეტიც, ისტორიკოსიც, ყველანაირი მიმართულება გაიარა, ერთიდან მეორეზე გადადიოდა, იცვლიდა, როგორც სამოსელსა... ყოველი ახალი მიმართულება, ახალი მდინარეა რაიმე აზრისა უაღრესად იტაცებდა, ჩაჰყვებოდა ამ მიმართულების ტალღებსა და ქართულ ლიტერატურაში შეჰქონდა ეს ტალღა“ (201). იგი ერთ დროს აჰყვა პისარევის ნიჰილიზმს. როგორც პისარევა უარყო რუსული კლასიკური პოეზია, ისე ანტონ ფურცელაძემ – ქართული. მან უარყო დიდებული ბარათაშვილი, ტიტანი ილია ჭავჭავაძე, მაგრამ ნიჰილიზმმა მალე მოჰამა დრო, ასპარეზზე გამოვიდნენ ხალხოსნები, ე. წ. ნაროდნიკები. ერთ-ერთი წარმომადგენელი ხალხოსნური მიმართულებისა ჩვენში ანტონ ფურცელაძე იყო. ამ მოძრაობამ იგი მეტად გაიტაცა. ანტონ ფურცელაძე გვერდში დაუდგა გლეხებს, მათ თავისი ღარიბი ჯიბით ეხმარებოდა და ადვოკატადაც უდგებოდა. სოფრომ მგალობლიშვილს მოჰყავს ამის რამდენიმე მაგალითი. ანტონ ფურცელაძეს უფრო მეტად გავლენა მუშებსა და ხელოსნებზე ჰქონდა. მისი ნაწერები სწორედ საზოგადოების ამ ნაწილზე ახდენდა მეტ ზემოქმედება.

მემუარისტი საგანგებოდ აღნიშნავს ანტონ ფურცელაძის გულისხმიერებას, რომელიც მან მაჰმადიანი ქართველებისადმი გამოიჩინა. იგი მათს დასახმარებლად თავს არ იზოგავდა: თბილისში ჩემოსულ მაჰმადიანთა დეპუტაციებს შინ ეპატიჟებოდა, უმასპინძლდებოდა, აძლევდა რჩევასა და საჭიროების შემთხვევაში ნივთიერ დახმარებასაც უწევდა. ერთ ნადიმზე, თავის სახლში, ანტონმა ისე მოხიზლა მუსლიმანი ქართველები, რომ ერთ-ერთი დაემოწაფა კიდევ. ეს იყო ჰასან ციციშვილი. მან ისწავლა ქართულად წერა-კითხვა და იმდენად დახელოვდა, რომ აჭარიდან „ივერიაში“ აქვეყნებდა წერილებს.

ანტონ ფურცელაძემ სამწერლო ასპარეზზე გამოსვლისთანავე გაწყვიტა კავშირი ქართველ არისტოკრატისთან. ძველებისგან მხოლოდ ორი კაცისა სწამდა და სჯეროდა. მათ დიდ პატივს სცემდა და სიყვარულით მოიხსენიებდა. ესენი იყვნენ **დიმიტრი ყიფიანი** და **კონსტანტინე მამაცაშვილი**.

სოფრომ მგალობლიშვილმა **ალექსანდრე ყაზბეგის** შესახებ სწორედ ანტონ ფურცელაძისაგან შეიტყო. მემუარისტი გვიამბობს: ერთ საღამოს, 1871 თუ 1872 წელს, თეატრის მოყვარულებს რეპეტიცია ჰქონდათ ანტონ ფურცელაძესთან. ამზადებდნენ ზურაბ ანტონოვის კომედიას „ქმარი ხუთი ცოლისა“ და მოლიერის „ძალით ცოლის შერთვევინებას“, დიმიტრი ყიფიანის თარგმანს. რადგან ახალი არაფერი ჰქონდათ, ძველით კმაყოფილდებოდნენ. **ანტონ ფურცელაძემ მათ სასიხარულო ამბავი აცნობა, რომ გაიცნო ახალგაზრდა ქართველი, ალექსანდრე ყაზბეგი, რომელსაც ერთი ზანდუკი ჰქონდა ნაწერებით სავსე. მათ შორის იყო დრამატული ნაწარმოებებიც. მე ვთხოვე, რომ ეს ნაწარმოებები საზოგადოებისთვის გაეცნო. მაგრამ ალექსანდრე ყაზბეგი ამ წლებში არ გამოჩენილა, იგი მოგვიანებით გამოვიდა სამწერლო ასპარეზზე მოხევეთა ცხოვრების აღწერით, შემდეგ კი ამას მოაყოლა „საუცხოვო მოთხრობანი“ (114).**

სოფრომ მგალობლიშვილის მიერ წარმოდგენილი ეს ფაქტი სავსებით სარწმუნოა. ამას გვამცნობს თვითონ ალექსანდრე ყაზბეგი თავის ჩანაწერებში. იგი წერს: „1874-ში ვიყავი თბილისში, სადაც გახშირებული ლაპარაკი იყო რეპერტუარის უქონლობის გამო. ესევე იყო მიზეზი, რომ თითო ოროლა სპექტაკლებიც დიდი გაჭირვებით იმართებოდა... მე წავედი შინა და მოვუდექე პიესების წერას, თარგმანს და გადმოკეთებას. მოკლე ხანში შევადგინე ოცდაერთი პიესა და თბილისისაკენ გამოვწიე დარწმუნებულმა, რომ ქართულ თეატრზედ მზრუნველი საზოგადოება სიამოვნებით მიიღებდა ჩემს შრომას (ყაზბეგი 1950: 185-186). მწერალი აგრძელებს: „წარმოდგინეთ ჩემი გაოცება, როდესაც მადლობის მაგიერ ცხვირ წინ ფრუტუნი დამიწყეს და მასხრად ამიგდეს, როდესაც ერთს კრებაზედ დრამატიულს საზოგადოების მართველობას შევატყობინე ჩემის შრომის შესახებ (186).

თუ არ მივიღებთ მხედველობაში, რომ შესაძლოა ან მემუარისტს, ან ალექსანდრე ყაზბეგს წელი ეშვებოდა, სხვა მხრივ სოფრომ მგალობლიშვილის ცნობა და ალექსანდრე ყაზბეგის ნაამბობი ერთმანეთს ემთხვევა.

სოფრომ მგალობლიშვილის გადმოცემით, ანტონ ფურცელაძე აქტიურად იყო ჩაბმული პოლემიკაში. 1860-იან წლებში იგი ეკამათებოდა ილია ჭავჭავაძეს, ხოლო 1870-იან წლებში დაუპირისპირდა ნიკო ნიკოლაძეს. ილიაც და ნიკო ნიკოლაძეც სათანადოდ უსწორდებოდნენ „ქერელ ბექას“. როცა ანტონი ილიას დაარსებული ბანკის დირექტორი გახდა, ძალიან ცდილობდა მასთან დაახლოებას, მის სიამოვნებას. ილიას ამას ხვდებოდა და ანტონ ფურცელაძის მამებელი სიტყვებისაგან თავი შორს ეჭირა.

მემუარისტ **იაკობ მანსვეტაშვილის** გადმოცემითაც, ილიას ჭავჭავაძის „ივერიის“ რედაქციაში ხშირად იკრიბებოდნენ ქართველი მოღვაწენი, „ვისაც რაიმე დამოკიდებულება ჰქონდა ქართულ მწერლობასთან თუ მწიგნობრობასთან“. „აქ ჰნახავდით ანტ. ფურცელაძეს, დიმიტრი ბაქრაძეს, ისტორიკოსს, ი. გოგებაშვილს, ჩვენს სასიქადულო პედაგოგს და საქვეყნო მოღვაწეს...“ (მანსვეტაშვილი 1985: 78). მათი მთავარი ფიქრი და აზრი სამშობლოს სვებედს, მის მომავალს დასტრიალებდა.

სოფრომ მგალობლიშვილი შედარებით დაწვრილებით აღწერს ანტონ ფურცელაძის საქმიანობას გორში ხალხოსანთა წრეში; უყურადღებოდ არც მის თეატრალურ მოღვაწეობას ტოვებს. ანტონმა სცენაზე ბევრი ქალი აიყვანა. იგი გამოჩენილი მწერლისა და მოღვაწის, **ეკატერინე გაბაშვილის**, პატივისმცემელი და მეგობარი იყო. საერთოდ, ანტონ ფურცელაძემ მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ქართველ ქალთა ემანსიპაციაში. მან **ივანე კერესელიძესთან** ერთად დაიწყო წარმოდგენების გამართვა. ივანე კერესელიძე მალე ჩამოეცალა, მაგრამ ანტონი არ მოეშვა და საქმე ბოლომდე მიიყვანა. სცენისმოყვარეთა წრეში შევიდნენ **ელენე დიმიტრის ასული ყიფიანი**, **ბაბო ხერხეულიძე**, **მაშო ყიფიანისა**, **ოლღა ყაზბეგი**... მამაკაცთაგან: **დავით აბულაძე**, **სოსიკო თარხნიშვილი** - **ეკატერინე გაბაშვილის ძმა**, **პოეტი სოსო ბაქრაძე** და ა. შ. წარმოდგენებზე ხალხის ტევა არ იყო. სოფრომ მგალობლიშვილის თქმით, ყველას უნდოდა სცენაზე ენახა სილამაზით განთქმული დიდი ოჯახების ქალები.

მემუარისტის სიტყვით, ანტონ ფურცელაძეს, ისევე როგორც ბევრ სხვა მოღვაწეს, ერთი სენი შეეყარა: თავის თავზე დიდი წარმოდგენა შეიქმნა, „განდიდების იდეა სჭირდა“, ამიტომ იგი ბევრს არ უყვარდა.

სოფრომ მგალობლიშვილის დაკვირვებით, ანტონ ფურცელაძეს უფრო მეტად გავლენა მუშებსა და ხელოსნებზე ჰქონდა. მისი ნაწერები სწორედ საზოგადოების ამ ნაწილზე ახდენდა მეტ ზემოქმედებას.

ბოლოს მემუარისტი ანტონ ფურცელაძის დასახასიათებლად გრიგოლ ყიფშიძის ნათქვამს იშველიებს: „ჩვენი მწერლობა, ჩვენი ახლად ფეხადგმული კულტურა, სხვა მიღწევებთან ერთად ვერ დაივიწყებს ანტონ ფურცელაძესაც, რომელიც თავის შესაფერ ადგილს დაიჭერს ჩვენის ლიტერატურისა და საზოგადოებრივობის ისტორიაში“ (მგალობლიშვილი 1938: 215).

დასკვნის სახით: სოფრომ მგალობლიშვილმა ანტონ ფურცელაძის შეფასებისას, მისი ღვაწლის აღწერისას, ყოველგვარი პირადული გვერდზე გადადო და საინტერესო მოღვაწის მრავალწახნაგოვანი პორტრეტი დახატა. მოგონება შეიცავს მდიდარ ფაქტობრივ მასალას და დღესაც ინტერესით იკითხება.

LITERARY THEORY AND COMPARATIVE STUDIES

SOPROM MGALOBlishvili ABOUT ANTON FURtSELADZE

MAGDA CHIKABERIDZE

e-mail: mchikaberidze@gmail.com

Georgian Technical University, Tbilisi, Georgia

ABSTRACT:

A 19th-century Georgian writer and activist, Soprom Mgaloblishvili, impartially conveyed the contributions of his contemporary writer and activist, Anton Purtseladze, to our nation. He showed both his virtues and flaws, adding nothing to one and taking nothing from the other, painting a vivid and convincing portrait of the writer and activist.

According to Soprom Mgaloblishvili, Anton Purtseladze could not settle on any specific branch of literature. He was a publicist, a belletrist, a playwright, a poet, and a historian. Eventually, he became actively involved in the populist movement, supporting peasants, personally assisting them, and even acting as their advocate. Anton Purtseladze had a greater influence on workers and craftsmen. His writings had a more significant impact on this segment of society.

The memoirist particularly notes Anton Purtseladze's kindness towards Muslim Georgians. He spared no effort to help them: he would invite delegations of Muslims who came to Tbilisi to his home, host them, offer advice, and provide material assistance when necessary.

Upon entering the literary scene, Anton Purtseladze severed ties with the Georgian aristocracy. He believed in and trusted only two individuals from the old guard: Dimitri Kipiani and Konstantine Mamatsashvili.

According to Soprom Mgaloblishvili, Anton Purtseladze was actively involved in polemics. In the 1860s, he debated with Ilia Chavchavadze, and in the 1870s, with Niko Nikoladze. Both Ilia and Niko adequately responded to "Kerele Beka." When Anton Purtseladze became the director of the bank founded by Ilia, he made great efforts to get closer to him and to please him. Ilia noticed this and kept his distance.

The memoirist provides a relatively detailed description of Anton Purtseladze's activities in the populist circle in Gori. He also does not overlook his theatrical work. Anton brought many women onto the stage and played a significant role in the emancipation of Georgian women.

According to Soprom Mgaloblishvili, Anton Purtseladze, like many other activists, developed a certain affliction: he had an overly high opinion of himself, suffering from what might be called "a delusion of grandeur." As a result, he was not liked by many.

In his assessment of Anton Purtseladze and his contributions, Soprom Mgaloblishvili set aside personal considerations and painted an interesting portrait, which indicates the memoirist's high level of professionalism and impartiality. The memoirs contain a wealth of factual material and are still read with interest today.

KEYWORDS:

public figure, people, theater lover, polemicist, emancipation of Georgian women.

დამოწმებული ლიტერატურა:

1. მანსვეტაშვილი 1985: მანსვეტაშვილი ი., მოგონებები, თბ., 1985.
2. მგალობლიშვილი 1938: მგალობლიშვილი ს., მოგონებანი, ტფ., 1963;
3. ყაზბეგი 1950: ყაზბეგი აღ., თხზულებათა სრული კრებული ხუთ ტომად, ტ. V, თბ., 1950.

ლიტერატურის თეორია და კომპარატივისტიკა

გუნების აღქმის თავისებურებანი ვაჟა-ფშაველას მოთხრობებში

ანა კონდრატენკო

ელ.ფოსტა: slovonevorobey0@gmail.com

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
მეცნიერებათა დოქტორი (PhD in Philosophy), Yale University / MSU M. V. Lomonosov

აბსტრაქტი:

წინამდებარე ნაშრომში წარმოდგენილია ვაჟა-ფშაველას ზოგიერთი მოთხრობის ანალიზი მათში ანიმატიზმის, ანიმიზმის, პოლიდემონიზმისა და, გარკვეულწილად, მანიზმის (წინაპართა კულტის) ნიშნების გამოსავლენად. ჩვენს მიერ განხილული ნაწარმოებები წარმოადგენენ ორი - ქრისტიანული და მითოლოგიური - მსოფლმხედველობის სიმბიოზს, რაც ვაჟა-ფშაველას ნაწარმოებების უნიკალურობაზე მიუთითებს. მის შემოქმედებაში არაერთგზის ვხვდებით ბიბლიური და მითოლოგიური მოტივების შერწყმას. ბუნების ცოცხალი პერსონიფიკაცია, მისი გაადამიანურება აღნიშნული მოთხრობების ძირითად მოტივს წარმოადგენს. კერძოდ კი, მოცემულ ნაშრომში ჩვენ ვსაუბრობთ ანთროპომორფიზმის შესახებაც, რომელიც ასევე არის დამახასიათებელი ვაჟა-ფშაველას ნაწარმოებებისათვის. ანთროპომორფიზმი, რომელიც წარმოიქმნა როგორც მსოფლმხედველობის საწყისი ფორმა, გამოიხატება არა მხოლოდ ცხოველებისადმი ადამიანური ფსიქიკის მინიჭებაში, ის აგრეთვე ვლინდება იმაშიც, რომ უსულო საგნებს ენიჭებათ მოქმედების, სიცოცხლის, სიკვდილის, განცდისა და სხვა უნარები. ჩვენს მიერ ჩატარებული ანალიზი უმეტესწილად ეფუძნება აღნიშნული მოთხრობების რუსულ ენაზე ჩვენეული თარგმნის გამოცდილებას. ნაშრომში აღნიშნულია აგრეთვე ლიტერატურის კლასიკოსთა მიერ შესრულებული თარგმანების აქტუალობის საკითხი, განხილულია ვაჟა-ფშაველას მოთხრობების თარგმნისას წარმოქმნილი ზოგიერთი სირთულის გადაწყვეტის ხერხები, განმარტებულია ამა თუ იმ მთარგმნელობითი გადაწყვეტილების მიღების მექანიზმი. ყოველივე აღნიშნული შესაძლებლობას გვაძლევს პარალელი გავავლოთ ზოგიერთი რუსი მწერლის შემოქმედებასთან, კერძოდ კი, მხედველობაში გვაქვს მ. პრიშვინის მოთხრობები ბუნების შესახებ და ი. ტურგენევის „ლექსები პროზად“.

საკვანძო სიტყვები:

თარგმანების აქტუალობა, ვაჟა-ფშაველა, ბიბლიური და მითოლოგიური მოტივები, ანიმატიზმი, ანიმიზმი, პოლიდემონიზმი, მ. პრიშვინი, ი. ტურგენევი

ვაჟა-ფშაველა რუსი მკითხველისთვის ცნობილია უფრო მეტად როგორც პოეტი, ვიდრე პროზაიკოსი. მსოფლიოს სხვადასხვა ენაზე არსებობს მისი მოთხრობების და პოემების მრავალი თარგმანი. აქედან ყველაზე მეტად ჭარბობს რუსული. გვიჩნდება კითხვა, რამდენად აქტუალურია დღესდღისობით ვაჟა-ფშაველას ნაწარმოებები. ამ და მრავალი სხვა საკითხის გარკვევაში დაგვეხმარება ის გარემოებაც, რომ საკუთარ მაგალითზე (ვართ ავტორი ვაჟა-ფშაველას მოთხრობების თარგმანებისა) ჩვენ შეგვიძლია დავამტკიცოთ, რომ იქმნება ახალი თარგმანები დასახელებული ავტორისა. როგორც ცნობილია, თარგმანისთვის დამახასიათებელია დაძველება. იმისათვის, რომ ნაწარმოები კთხვადი დარჩეს, თარგმანი უნდა განახლდეს ენობრივ ნორმებთან და თანამედროვე რეალობასთან შეთანხმებაში. ყოველი შემდეგი

თარგმანი ხშირად უკეთესია წინამორბედზე და უფრო სრულყოფილი, რადგანაც იქმნება ძველი თარგმანის შეცდომების გათვალისწინებით. კლასიკა კი უკვდავია. ეჭვს არ ბადებს ის ფაქტი, რომ ვაჟა-ფშაველას სახელი დიდი ხანია ბრწყინავს კლასიკოსების რიგში. ალბათ ამიტომაც ლიტერატურული სამყაროს წარმომადგენლები მოუწოდებენ ახალგაზრდა მთარგმნელებს ნაწარმოებების ახალი თარგმანის შექმნისკენ, რომლებიც დაკავშირებული იქნება ლიტერატურულ კლასიკასთან. მათი აზრით, ამან უნდა შეუნარჩუნოს უკანასკნელს აქტუალობა. საბოლოოდ ჩვენ ვხედავთ, რომ ვაჟა-ფშაველას შემოქმედების აქტუალობა განაპირობებს იმას, რომ შეიქმნას მისი შემოქმედების ახალი თარგმანები, რადგან ისინი განსაზღვრავენ ნაწარმოების აქტუალობას, მის კითხვადობას, თარგმანის ენის ადაპტირებას თანამედროვეობის მოთხოვნებთან.

ეს განმარტება მიზანშეწონილად ჩავთვალეთ იმიტომ, რომ გვინდოდა აგვეხსნა ჩვენს მიერ არჩეული რაკურსი პრობლემის კვლევისას, რომელიც აისახა ამ ნაშრომის სათაურში. სწორედ თარგმანის მეშვეობით გავცანით ვაჟა-ფშაველას შემოქმედებას და დავინახეთ მის მიერ სამყაროს ხედვის განსხვავებული მხარე.

ჩვენი აზრით, ეს ნაშრომი დააინტერესებს როგორც ქართულენოვან მკითხველს, რადგანაც აქ ავტორი საუბრობს ბუნების განსაკუთრებულ აღქმაზე ვაჟა-ფშაველას მოთხრობებში როგორც უცხოელი მკვლევარი. აქედან გამომდინარე მას აქვს საშუალება იყოს ობიექტური და გაავლოს პარალელები სხვა ლიტერატურასთან (ამ შემთხვევაში რუსულ ლიტერატურასთან), ასევე რუსულენოვანი წრისთვის, სადაც დღესდღეობით პრაქტიკულად არ იკვლევენ ჩვენს მიერ წარმოდგენილ თემებს, მათ მიმართ ინტერესი კი უსაზღვროდ დიდი რჩება.

ვაჟა-ფშაველამ შეძლო შეექმნა გასაოცარი ნაწარმოებები ისე, როგორც ვერავინ ვერ შეძლო ქართულ ლიტერატურაში. ავტორმა შეექმნა ქართული ბუნების სურათები გასაოცარი მხატვრული ხერხებით. ჩვენი აზრით, მისი შემოქმედება ენათესავება მ. პრიშვინის შემოქმედებას, რომელიც ასევე ხასიათდება არაჩვეულებრივი ლირიზმით რუსული ბუნების აღწერისას. ასევე ვაჟა-ფშაველას მოთხრობებს ახასიათებს განსაკუთრებული ჟღერადობა, პროზაიკული ტექსტის მელოდიურობა, რაც აახლოებს მას ი. ტურგენევის «ლექსები პროზაში», რომელიც თავის მხრივ არის არაჩვეულებრივი მელოდიური და სავსე პოეტური ხერხებით, თვისებებით. აქვე გასათვალისწინებელია, რომ უ. ჯეიმსის ტერმინი «ლექსი პროზაში» აღნიშნავს „ადამიანის შინაგანი განცდების ნაკადს“ [2, გვ. 163]. ესე იგი ჩვენ ისევ შეგვიძლია ვისაუბროთ პროზის ლირიზმზე, რომელიც იყენებს ამ ლიტერატურულ ხერხს. მოცემულ შემთხვევაში ჩვენ ამ ხერხს ვპოულობთ, როგორც ი. ტურგენევის, ასევე ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაში.

როგორც ცნობილია, დღეს არსებობს ვაჟა-ფშაველას ნაწარმოებების მრავალი თარგმანი რუსულ ენაზე, მაგრამ ჩვენი აზრით მათ შორის ყველაზე საუკეთესოსაც კი არ შეეძლო გადმოეცა ჭეშმარიტად ორიგინალის მხატვრული სახე, რითაც ვერ ახდენდა შესაბამის შთაბეჭდილებას რუსულენოვან მკითხველზე. სწორედ ამიტომაც ჩვენ ჩავთვალეთ საჭიროდ განგვეხორციელებინა ვაჟა-ფშაველას ზოგიერთი ნაწარმოების თარგმნა, რათა რუსულენოვანი მკითხველისთვის გამოევიღინა ვაჟა-ფშაველას შემოქმედება მთელი თავისი ფერებით.

როგორც ზემოთ ვთქვით, ვაჟა-ფშაველას ნაწარმოებების ინტერპრეტაციის თანახმად, ავტორის სახელი ჩვენთვის უწყვეტადაა დაკავშირებული დიდ რუს მწერლებთან მ. პრიშვინთან და ი. ტურგენევთან. მათმა შემოქმედებამ გავლენა მოახდინა ჩვენს ამა თუ იმ გადაწყვეტილებებზე, მოცემული მოთხრობების თარგმნისას. ასეთი განსაკუთრებული მელოდიურობა დამახასიათებელია ი. ტურგენევის „ლექსები პროზაში“. ამ პრინციპით ვახორციელებდით ლექსიკის შერჩევას და წინადადებების განლაგებას, რამაც მიგვიყვანა ტექსტის გრამატიკული

ანა კონდრატიძე

ქედრადობისკენ. ჩვენს მიერ წარმოდგენილ თარგმანში ყოველივე ეს განსაკუთრებით გამოიკვეთა ლექსების თარგმანში, რომლებიც ზოგიერთ ნაწარმოებში გხვდება, ძირითადად „იასა“ და «ხმელი წიფელში».

თვალსაჩინოა ის ფაქტი, რომ ესა თუ ის მწერალი ფლობს გარკვეულ ინდივიდუალურ სტილს, ხერხებს გარკვეული თემატიკისა და ინტერესის სფეროს, რომელიც დამახასიათებელია მხოლოდ მისთვის.

უნდა აღინიშნოს, რომ ვაჟა-ფშაველას მოთხრობების თარგმანზე მუშაობისას ჩვენ ვცდილობდით რამდენადაც შესაძლებელი იყო შეგვენარჩუნებინა ავტორის შემოქმედებითი ინდივიდუალურობა, მისი გადმოცემის განუმეორებელ მანერა, ბუნების აღქმა და მისი ურთიერთობა ადამიანთან.

ვცდილობდით არ დაგვეკარგა არცერთი სიტყვა, რადგან, როგორც ცნობილია, სიტყვაში გამოვლენილია «სამყაროს ხატი, შემოქმედება და სასწაულმოქმედება» [4, გვ. 500].

როგორც ჩვენ დავრწმუნდით საკუთარი გამოცდილებით, ვაჟა-ფშაველას ნაწარმოებების თარგმანის სირთულე აიხსნება იმით, რომ მას ახასიათებს ბუნების აღქმის თავისებურება და მისთვის ადამიანისთვის დამახასიათებელი თვისებების მიწერა.

დაკვირვებამ ჩვენ გვიბიძგა უფრო ღრმა ძიებისკენ, რითაც მივაგენით ვაჟა-ფშაველას ნაწარმოებში ანიმატიზმის (გასულიერების), ანიმიზმის (გრძნობისა და სულის), პოლიდემონიზმის და გარკვეულ წილად მანიზმის (წინაპრების კულტის) შტრიხებს. სანამ გადავალთ ამ ცნებების გარჩევაზე და გამოვავლენთ მათ კავშირს ვაჟა-ფშაველას ნაწარმოებებთან, აუცილებელია აღინიშნოს, რომ ბევრი მკვლევარის აზრით მოცემული ავტორის ნაწარმოებები გამოხატავენ ორ მსოფლმხედველობას: ქრისტიანულს და მითოლოგიურს. ეს განპირობებულია იმით, რომ ვაჟა-ფშაველა წარმოშობით ფშავიდან იყო. აქ ჩვენ დღესაც შეგვიძლია თვალი ვადევნოთ მითოლოგიური წარმოდგენებს სამყაროზე, მის ჰარმონიულ არსებობაზე ქრისტიანულ რწმენასთან. აღსანიშნია ის ფაქტიც, რომ ვაჟა-ფშაველას მამა იყო სასულიერო პირი. ამას არ შეიძლება არ ემოქმედა მისი წარმოდგენების ჩამოყალიბებაში სამყაროზე. [9, გვ. 94]. მის შემოქმედებაში არაერთხელ ვხვდებით ბიბლიური და მითოლოგიური მოტივების შერწყმას [9, გვ. 108].

როგორც ცნობილია, პირველყოფილ (მითოლოგიურ) რელიგიურ წარმოდგენების ფორმებს მკვლევარები ხშირად მიაკუთვნებენ ანიმიზმს (ლათ. anima „სული“) – რწმენას სულების არსებობისა. ამ რწმენის დეტალური ანალიზი მოცემულია ინგლისელი ანთროპოლოგის ტაილორის (1832-1917) ნაშრომში „პირველყოფილი კულტურა“. ტაილორის აზრით, ისინი ვითარდებოდნენ ორი მიმართულებით. პირველი რიგში ანიმიზტური წარმოდგენები წარმოიქმნა ძველი ადამიანების დაკვირვების შედეგად ისეთ მოვლენებზე, როგორცაა: სიზმარი, ხილვა, ავადმყოფობა, სიკვდილი, ასევე ტრანსში ყოფნა და ჰალუცინაციის პერიოდი. მათ არ შეეძლოთ სწორად აეხსნათ ეს რთული მოვლენები. „პირველყოფილი ფილოსოფოსი“ იკვლევს სულის ცნებას, რომელიც ადამიანის სხეულშია და დროდადრო ტოვებს მას. შემდეგში ფორმირდება უფრო რთული წარმოდგენები სულის არსებობაზე სიკვდილის შემდეგ, სულის გადასახლებაზე ახალ სხეულში, სიცოცხლეზე გარდაცვალების შემდეგ და სხვა [8].

ვაჟა-ფშაველასთან ჩვენ ვხედავთ ამას „ჯვარ-ხატის“ მაგალითზე. ეს არის კერპები, რომლებიც იყვნენ ადამიანები, ხოლო სიკვდილის შემდეგ იქცნენ „ანგელოზებად“. მის ნაწარმოებებში ვხვდებით დევებს, ბოროტ სულებს, რომლებიც ვნებენ ადამიანებს; კლდეებს და მდინარეებს, ყველაფერს აქვს სული [9, გვ. 94].

ანიმიზტური რწმენის მეორე წყება წარმოიქმნა პირველყოფილი ადამიანების გარემომცველი სამყაროს გასულიერების მისწრაფებამ. ძველად ადამიანი აკვირდებოდა ბუნების მოვლენებს,

ობიექტური სამყაროს საგნებს, რომელსაც თვითონ გავდა, სავსე სურვილით, ნებით, გრძნობებით, აზრებით და სხვა. აქედან ჩნდება რწმენა ცალკე არსებული ბუნების სულების შესახებ, მცენარეების, ცხოველები, გარდაცვლილი წინაპრების, რომლებიც რთული ევოლუციის შემდეგ ტრანსფორმირდნენ პოლიდემონიზმიდან პოლითეიზმზე, შემდეგ კი მონოთეიზმში [5, გვ. 16].

მართლაც, ვაჟა-ფშაველას მოთხრობებში წარმოდგენილია ბუნების ცოცხალი პერსონიფიცირება, მისი გაპიროვნება, აქ ჩვენ შეგვიძლია ვისაუბროთ ანთროპომორფიზმზე (ბერძნულიდან „ადამიანი და ფორმა“), ანუ ბუნების მიახლოებაზე ადამიანთან და ადამიანის ფსიქიკური თვისებებით შემკობაზე საგნების და არაცოცხალი ბუნების მოვლენების, ციური სხეულების, ცხოველების, მითიური არსებების.

ანთროპომორფიზმი აღმოცენდა როგორც მსოფლმხედველობის პირველყოფილი ფორმა და გამოიხატება არა მხოლოდ ცხოველების ადამიანური ფსიქიკით დაჯილდოებაში, არამედ უსულო საგნებს ემლოდათ მოქმედების საშუალება, ეცხოვრათ და გარდაცვლილიყვნენ, განეცადათ განსაცდელი და სხვა [7].

ბუნების გაპიროვნება ვლინდება ვაჟა-ფშაველას ნაწარმოებებში იმაში, რომ აქ ზოგჯერ ადგილი არ არის ავტორისთვის, რადგანაც ბუნება საუბრობს პირველ პირში. ხეები, ცხოველები, მცენარეები თვითონ საუბრობენ საკუთარ თავზე, გვიზიარებენ მათთვის დამახასიათებელ განსაცდელს და სიხარულს. ვაჟა-ფშაველას აზრით, და მისი გადმოცემის ხერხით. პატარა შველის ნუკრი და ია ჩივიან სამყაროს სისასტიკეზე, მათ საუბარში ჩანს ბავშვური მღელვარება და შიში, მთები და კლდეები, ბრძენები და ბებრები მოკლებულები არიან ამ მრღლვარებას, მათ სიტყვებში თვითდაჯერებულობა, სიამაყე და უკვდავება ჟღერს.

ვაჟა-ფშაველას მოთხრობები მეტაფორულია, ყოველი ფოთოლი მათში - ეს ადამიანია, თავის განსაკუთრებულ განუმეორებელი ბედით. ვაჟა-ფშაველას მოთხრობა «ხმელი წიფელი» არა მარტო ინფორმაციაა მომაკვდავ ხეზე, არამედ ადამიანზე, რომლის დიდების დღეები უკან დარჩა. მოცემული ნაწარმოები მოგვითხრობს სიბერის პრობლემაზე და არა მარადიულობაზე რაც კი არსებობს, მასში ჩვენ ვპოულობთ ინფორმაციას საწყალი ხის ახალგაზრდობის შესახებ: „საბრალო წიფელი! ერთი დრო იყო, რომ ესეც ამაყად გაბარჯდული იდგა, სხვა ხეებს ბევრით მაღლა ასცილებოდა და თავის დიდრონ ტოტებითა და ფოთლებით ქობივით ეხურებოდა თავს მთელს ტყეს“ [1, გვ. 42], და მისი წუხილი სიბერეზე: „დიაღ, ეხლა ქარს ვეღარ მიჰყვება ხმელი წიფელი სხვა ხეებივით, ძველებურად, შეუპოვრად გულ-მკერდს ვეღარ უპყრობს ქარიშხალს. არ მოიდრიკება-კი ხმელი წიფელი და, თუ მოსტყდება, იმისი რა ვსთქვათ... მოსტყდება, წაიქცევა, გვერდზე წაწევა, ფესვები გამოჩნდებიან, აღმა თავაჭერილები, თითქოს ლოცულობდნენ, ღმერთს ევედრებოდნენ, შველასა სთხოვდნო“ [1, გვ. 43].

მოთხრობა „მგელი“ არის მოთხრობა-აღსარება. ამ ნაწარმოების წაკითხვის შემდეგ მკითხველს არ ასვენებს იმაზე ფიქრი, რომ მგლის სახე ასევე მეტაფორულია, სინამდვილეში მოხუცი ადამიანზეა საუბარი, რომელიც ახალგაზრდობაში ჩადენილ ცოდვებს ინანიებს. ამასთან განსაკუთრებულ აღფრთოვანებას იწვევს ის ფაქტი, რომ სწორედ ვაჟა-ფშაველა გადმოგვცემს ადამიანის არსებობას მთელი თავისი სისუსტეებით. ჩვენ ამას ვხედავთ, როდესაც მგელი ღმერთს მიმართავს ლოცვით: „ღმერთო, ჩვენო გამჩენო, მომეც საზრდო, რომ გავძღე, ნუ მომკლავ სიმშობლით!.. შენი გაჩენილი ვარ, დამარჩინე, უფალო! – მაგრამ როცა ღმერთს შეუსმენია მისი თხოვნა, მგელს დაჰვიწყნია მადლობის გადახდა. სამაგიეროდ, როცა ამოდ ჩაუვლია მის თხოვნა-ვედრებას, სამდურავი, საყვედური გამოუცხადებია ღვთისთვის: შენ ღმერთი კი არა, არ ვიცი რა ხარ. არ იცი შეწყნარება, არ იცი სიბრალული. გევედრები, არ მისმენ; შეგიძლიან

ანა კონდრატენკო

აასრულო ჩემი თხოვნა და არ გინდა“. ამ ნაწყვეტში ჩვენ ვხედავთ მონანიებას, რომელიც ენათესავება გაუმაძღრობას. ასეთი სიახლოვე დამახასიათებელია წინაარმდეგობრივი ადამიანური ნატურისთვის. ამ მგელში ნებისმიერმა შეიძლება იპოვოს საკუთარი თავი.

ვაჟა-ფშაველას მოთხრობებისთვის ანთროპომორფიზმის შტრიხებია დამახასიათებელი, მაგალითების მოძიება სირთულეს არ წარმოადგენს, ისინი გხვდება პრაქტიკულად ყოველ მოთხრობაში.

სიძველეებზე და ანიმისტური რწმენის პირველყოფის კულტურაში ფართო გავრცელებაზე დაყრდნობით, ე. ტაილორმა წინ წამოწია ფორმულა: „ანიმიზმი არის რელიგიის გარკვევის მინიმუმი«. ეს ფორმულა გამოიყენეს თავიანთ გამოკვლევებში ფილოსოფოსებმა და თეოლოგებმა, თუმცა ტაილორის ანიმიზმის კონცეფციის განხილვისას გამოვლინდა მისი სუსტი მხარეებიც. მთავარი კონტრარგუმენტი იყო ეთნოგრაფიული მონაცემები, რომლებიც მოწმობდნენ, რომ ეგრედ წოდებული „ველური ხალხის“ რელიგიური რწმენაბი ხშირად არ შეიცავს ანიმიზმის ელემენტებს. ასეთი წარმოდგენებს უწოდეს პრეანიმისტური. პ. მარეტის თანახმად, მაგალითად: ანიმატიზმი არის სტადია პირველყოფილთა რელიგიისა, რომელიც წინ უსწრებდა ანიმიზმს.

ანიმატიზმი (ლათ. animatus - „გასულიერება, გაპიროვნება“) ეს არის რწმენა უპიროვნო ბუნების გაპიროვნებისა, ან მისი ნაწილების და მოვლენების გამოყოფა. ზოგიერთი მეცნიერი (ლ. შტერნბერგი) განიხილავს ანიმატიზმს როგორც რელიგიის განვითარების უფრო ადრეულ სტადიას, ვიდრე ანიმიზმი, სხვები (ვ. ბოგორაზ - ტანი) საუბრობენ მათ თანაარსებობაზე [5, გვ. 16].

პოლიდემონიზმი ეს არის მრავალი სულის თაყვანისცემა. იგი ჩნდება გვიანდელი თომობრივი წყობის დროს, როდესაც უპიროვნო სულებს მინიჭებული ქონდათ თავიანთი ფუნქცია [6]. ამასთან დაკავშირებით განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს მოთხრობაში «ხმელი წიფელი» მისტიკური არსებების დახასიათება: „ეს მოხდება სწორედ მაშინ, როდესაც პირბადრი, სახენათელი, თმაგაშლილი „ადგილის დედა“ ბუნების საწუგემოდ სიყვარულზე, სიწმინდეზე და სიცოცხლეზე ზღაპარს უამბობს“ [1, გვ. 42], და ასევე ზევით ხსენებული დევები.

წინაპრების კულტი ეს არის გარდაცვლილების გადმერთება. განვითარების გარკვეულ საფეხურზე ადამიანი ყველა გარდაცვლილს თვლის ზეადამიანურ და ღვთაებრივ არსებად. იგი თაყვანს სცემს, როგორც ღმერთებს თავისი ოჯახის გარდაცვლილ წევრს, ქმნის განსაკუთრებულ თაყვანისცემის რიტუალს. ასეთი ხერხით ყალიბდებოდა ის, რასაც დღეს უწოდებენ წინაპრების კულტს. გარდაცვლილების ამგვარი თაყვანისცემას ხშირ შემთხვევაში აქვს ოჯახური ხასიათი, ვრცელდება მხოლოდ ოჯახის წინაპრებზე, აქვე იხურება და შემდეგ ვითარდება. თვითონ ოჯახშიც ყველა წინაპარს არ სცემდნენ თაყვანს, მხოლოდ უახლოესებს, რომლებთანაც ცოცხლებს აკავშირებდათ მოგონებები. უფრო შორეული წინაპრების თაყვანისცემა ახასიათებს გვიანდელ ეპოქას. გადმერთებული წინაპარი დაინტერესებულია თავისი ოჯახით, მფარველობს მას, იღებს მათგან ლოცვებს და მსხვერპლშეწირვას, აგრძელებს იყოს უფროსი ოჯახში, ეხმარება ოჯახის მეგობრებს, მტრებს ზიანს აყენებს და ა.შ. [5, გვ. 16]. ნაწილობრივ ეს ვლინდება ლექსში მოთხრობაში „ხმელი წიფელი“: „განა ყველა, რაც ხმელია,/ კაცისგან საწუნარია!?! ათასს ცოცხალსა ბევრჯელა/ ათჯერ სჯობს ერთი მკვდარია“ [1, გვ. 44].

აღსანიშნია, რომ თვითონ ხის ხატს, რომელსაც ავტორი გვიხატავს, მიყვავართ საგვარეულო ხესთან, შთამომავლობასთან, წინაპრებთან და თუ ჩავიხედავთ უფრო ღრმად შეიძლება ჩაწვდეთ სამყაროს ხეს. ეს ხატი დამახასიათებელია მიფოპოეტურ ცნობიერებისთვის. ეს ხატი განასახიერებს სამყაროს უნივერსალურ კონცეფციას. იგი დამოწმებულია პრაქტიკულად ყველგან, ან წმინდა სახით, ან ვარიანტებად (იშვიათად ამა თუ იმ კერძო ფუნქციის ხაზგასმით)

– „სიცოცხლის ხე“, „ნაყოფიერების ხე“, „ცენტრის ხე“, „აღმავლობის ხე“, „ზეცის ხე“, „მამანების ხე“, „მისტიკური ხე“, „შემეცნების ხე“, „მსოფლიოს ღერძი“ (axis mundi), „მსოფლიო სვეტი“, „მსოფლიო მთა“, „მსოფლიო ადამიანი“ („პირველი ადამიანი“), ტაძარი, და სხვა. აქ ერთიანდებიან საერთო ბინარული აზრობრივი წინააღმდეგობები, რათა აღწერონ სამყაროს ძირითადი პარამეტრები [3, გვ. 19, 2576, 407].

მოთხრობაში ვკითხულობთ: „ხანდახან გადმოაცქერდება მის ერთს ფესვის ბოლოზე ამოსულს პატარა დასახულს ყლორტს, რომელიც მზეს და წვიმას უცდის, რომ გაიზარდოს. ესღა იმისი ნუგეში...“ [1, გვ. 45]. პატარა ყლორტ არის ჯეჯილი, იგი გამოხატავს შთამომავლობის გაგრძელების, ციკლს და სიცოცხლის მარადისობას, სულს, რომელიც კვდება იმიტომ, რომ გარდაისახოს.

ვაჟა-ფშაველას ეს და სხვა მოთხრობები, როგორც ვხედავთ, განმსჭვალულია ჭეშმარიტი ჰუმანიზმით. ისინი დადებით ზეგავლენას ახდენენ ადამიანის პიროვნებაზე, აღვიძებენ მასში საუკეთესო თვისებებს, აძლევენ საშუალებას სხვანაირად შეხედოს სამყაროს და სწორად შეაფასოს მისი ფასეულობები. ჩვენი აზრით, სტერეოტიპების არარსებობა ვაჟა-ფშაველას ბუნების აღქმას განსაკუთრებულს ხდის, სუფთას და ღრმას. მისი აღქმას მივყავართ იმ დროსთან, როდესაც ადამიანის ცნობიერება იყო თავისუფალი და პირველქმნილი.

ბუნების და მისი ციკლების სიღრმისეულმა ცოდნამ ვაჟა-ფშაველას შეაძლებინა შეექმნა გასაოცრად ლირიკული, მეტაფორებით აღსავსე ნაწარმოებები, რომლებიც დღესაც არ კარგავენ აქტუალობას.

LITERARY THEORY AND COMPARATIVE STUDIES

PECULIARITIES OF PERCEPTION OF NATURE IN THE STORIES OF VAZHA-PHAVELA

ANNA KONDRATENKO

e-mail: slovonevorobey0@gmail.com

Ivane Javakishvili Tbilisi State University,

Doctor of Sciences (PhD in Philosophy), Yale University / MSU M.V. Lomonosov

ABSTRACT:

This paper presents an analysis of some of the stories of Vazha-Pshavela about nature in order to identify in them the features of animatism, animism, polydemonism and, to some extent, manism (cult of ancestors).

The works under consideration are a symbiosis of two worldviews - Christian and mythological, which makes the works of Vazha-Pshavela unique of their kind. A combination of biblical and mythological motifs can be found more than once in his work.

Living personification of nature, its humanization, is the main motive data stories, i.e. within the framework of this work we also talk about anthropomorphism, also characteristic of Vazha-Pshavela's works.

Anthropomorphism, having emerged as the initial form of worldview, is expressed not only in endowing animals with a human psyche, but also manifested in the attribution of abilities to inanimate objects act, live, die, experience, etc.

Our analysis is largely based on our own experience. Translation of the specified stories into Russian. The work also raises issues of the relevance of translating classics of literature, methods are analyzed solutions to many difficulties that arise when translating Vazha-Pshavela and explains the mechanisms for accepting certain translations solutions, which ultimately allows us to draw parallels with the creativity of some Russian writers, in particular, with stories about nature by M. Prishvin and “Poems in prose” by I. Turgenev.

KEYWORDS:

Relevance of translations, Vazha-Pshavela, biblical and mythological motifs, animatism, animism, polydemonism, M. Prishvini, I. Turgenev

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ვაჟა-ფშაველა შვლის ნუკრის ნამბობი. თბილისი, 1987, 192 გვ.
2. Кухаренко В.А. Интерпретация текста. М.: Просвещение, 1988. 192 с.
3. Мифы народов мира. Энциклопедия: Древо мировое, с. 19 и далее. Мифы народов мира, с. 2576 (ср. Мифы народов мира. Энциклопедия, с. 407 Словарь)
http://www.symbolarium.ru/index.php/Древо_мировое
4. Пастернак Б.Л. Доктор Живаго. М.: СП «Интердом». Центурион. АПС (Серия «серебрянный век»), 1991. 528 с.
5. Предмет философии религии. Философия религии <http://gigabaza.ru/doc/92136-pall.html>
6. Толковый словарь обществоведческих терминов. Н.Е. Яценко. 1999
http://www.slovarnik.ru/html_tsot/p/polidemonizm.html
7. Философская Энциклопедия. В 5-х т.
М.: Советская энциклопедия. Под редакцией Ф. В. Константинова. 1960-1970.
http://dic.academic.ru/dic.nsf/enc_philosophy/1760/Антропоморфизм
8. Философский энциклопедический словарь. М.: Советская энциклопедия. Гл. редакция: Л. Ф. Ильичёв, П. Н. Федосеев, С. М. Ковалёв, В. Г. Панов. 1983.
http://dic.academic.ru/dic.nsf/enc_philosophy/1748/АНИМИЗМ
9. შარაბიძე თამარ. მითოსურისა და ქრისტიანულის ერთობლიობა ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაში, ვაჟა-ფშაველას 150 - თანამედროვე ინტერპრეტაციათა ცდანი, თბილისი, 2012, 94-134 გვ.

ლიტერატურის თეორია და კომპარატივიზტიკა

მხატვრული სახის გააზრებისთვის XX საუკუნის იდეურ-ესთეტიკურ სისტემაში

მარია მირეშავილი

ელ-ფოსტა: m.miresashvili@sou.edu.ge

სახუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი,

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

აბსტრაქტი:

XX საუკუნეში რეალისტურმა ხელოვნებამ გააფართოვა სინამდვილის მხატვრული გადმოცემის საზღვრები. აღნიშნულ პერიოდში აშკარად შეინიშნება, ერთი მხრივ, მხატვრულ სახეთა “დამდაბლების”, ემპირიულ სინამდვილეზე დაყვანის ტენდენცია და, მეორე მხრივ, მათი იდეოლოგიზაციის ტენდენცია (განსაკუთრებით სოციალისტური რეალიზმის პირობებში). რეალიზმის კოდის თანდათანობითმა “გაცვეთამ”, მწერლების მიერ კონოტაციების ნაკრების მრავალჯერადმა გამოყენებამ გარკვეულ ეტაპზე რეალიზმის “განახლების” სურვილი წარმოშვა, რაც განხორციელდა პირობითი ფორმების აქტიური გამოყენების გზით. საბოლოოდ, ეს პროცესი გადაიზარდა სხვა ესთეტიკური სისტემების - მოდერნიზმისა და პოსტმოდერნიზმის - პოეტიკის ელემენტებთან ინტეგრირებაში. ისტორიული გადასახედიდან რეალიზმი, მოდერნიზმი და პოსტმოდერნიზმი ერთმანეთს ავსებენ, სხვადასხვა განზომილებაში წარმოუდგენენ მკითხველს სამყაროს, რომელშიც ჩვენ ვცხოვრობთ. თუ გასული საუკუნის დასაწყისში, მოდერნისტული ესთეტიკისთვის დამახასიათებელი ელემენტების სინთეზირება ხდებოდა რეალისტურთან, დღეს შესამჩნევია პოსტმოდერნისტული ელემენტების გარკვეული ტრანსფორმაცია. საბოლოო ჯამში, მიმდინარე პროცესი აზღვევს კულტურას სტაგნაციისგან, სტიმულს აძლევს მის განვითარებას, წარმოაჩენს ახალ პერსპექტივებს.

საკვანძო სიტყვები:

მხატვრული სახე, XX საუკუნის იდეურ-ესთეტიკური სისტემები, რეალიზმი, მოდერნიზმი, პოსტმოდერნიზმი

XX საუკუნის აღიარებული იდეურ-ესთეტიკური სისტემებია: რეალიზმი, მოდერნიზმი და პოსტმოდერნიზმი. თითოეულ მათგანს მხატვრულ სახეთა სისტემის საკუთარი ტიპი გააჩნია, რომელიც განპირობებულია ფუნდამენტური მსოფლმხედველობითი შეხედულებებითა და ესთეტიკური იდეალებით. აღნიშნულ პრობლემასთან დაკავშირებით უამრავი სამეცნიერო შრომაა დაწერილი, რომელთა ჩამოთვლა ძალზე შორს წაგვიყვანს. წინამდებარე ნაშრომი მიზნად ისახავს XXს. აღიარებული ევროპელი ფილოსოფოსებისა და ლიტერატურის თეორეტიკოსების შეხედულებათა გადმოცემას ზემოხსენებულ პრობლემასთან დაკავშირებით, რაც ნაკლებადაა ცნობილი ქართული სალიტერატურათმცოდნეო წრეებისთვის. როლან ბარტის თვალთახედვით, რეალისტური ხელოვნებისთვის “მოდელის” როლში შეიძლება გამოვიდეს სახვითი, სივრცობრივი კოდები, უპირველეს ყოვლისა, ფერწერა. რეალისტური მხატვრული სახე ეფუძნება მიმესისის პრინციპს; მას ახასიათებს რეალისტური ყოფითობა, განსაზღვრულ როლს თამაშობს ვიზუალიზაცია, ყველაფერში იგრძნობა მატერიალური სამყაროს ადეკვატური აღქმის მისწრაფება, სწორედ ისეთის,

გარეა მიქსაშვილი

როგორც მას ადამიანი ხედავს. თუმცა, მხატვრულ სახეთა რეალისტური სისტემის სპეციფიკა, რ. ბარტის მიხედვით, მდგომარეობს “არა რეალურის, როგორც ასეთის ზუსტ გადაღებაში, არამედ მისი მხატვრული ასლის სწორად გადმოტანაში” (Bapt, 1994: გვ. 68). რ. ბარტის თანახმად, მწერალი ჯერ გარდაქმნის რეალობას სახვითი ხელოვნების საგნად (მაგალითად, ფერწერულ ტილოდ); შემდგომ იგი ამ საგანს ჩამოხსნის კედლიდან და ამოიღებს მისთვის საინტერესო დეტალებს ან სულაც ხელახლა შექმნის თავად საგანს, ანუ მოახდენს მის რეინკარნაციას. ამგვარი ქმედებით “ხელოვანი შლის პირობითი ნიშნების (კოდების) ხალიჩას, ადგენს რეფერენციულ დამოკიდებულებას არა ენასა და რეფერენტს შორის, არამედ თვით კოდებს შორის” (Bapt, 1999: გვ. 84-87).

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, რ. ბარტის აზრით, მხატვრულ სახეთა რეალისტური სისტემა ეფუძნება მეორადი მიმესისის პრინციპს⁶. აქვე შევნიშნავთ, რომ რ. ბარტი მიმესისის ცნებაში მოიაზრებს არისტოტელისეულ გაგებას. როგორც ცნობილია, პლატონისგან განსხვავებით, არისტოტელე პოეზიას / ხელოვნებას განიხილავს არა როგორც ექსტატურ, მხოლოდ გრძნობებზე ორიენტირებულ საგანს, რომელსაც “დიონისურად შეპყრობილი” პოეტები / შემოქმედი ადამიანები ქმნიან, არამედ როგორც ინტელექტუალურ-შემეცნებით აქტს, რომელიც ეფუძნება ადამიანის თანდაყოლილ თვისებას - რეალობის ბაძვას. ამდენად, არისტოტელეს თანახმად, ხელოვნება არის სინამდვილის ბაძვა ანუ მიმესისი. არისტოტელესთვის მიმესისი არის ისეთი რეალობის ასახვა, რომელიც მხოლოდ მწერლის - შემოქმედის მიერ არის კონსტრუირებული და არ არის მოცემული მიმესისის ფარგლებს გარეთ. როგორც ცნობილია, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით პლატონს განსხვავებული მოსაზრება ჰქონდა; კერძოდ, „სახელმწიფოს“ X თავში იგი მიმესისს განმარტავს როგორც უბრალოდ მიბაძვას - „მოქმედების მიბაძვა არის ფაბულა“, - ხოლო ფაბულაში გულისხმობს “ფაქტების შეთანხმებას” ან “შემთხვევათა შემადგენლობას” (ანტიკური...2007: გვ. 47).

როლან ბარტი აღნიშნავს, რომ სემიოტიკური თვალსაზრისით რეალობის ეფექტი მიიღწევა “რეფერენციული ილუზიის” საშუალებით და წარმოიქმნება რეფერენტის პირდაპირი კონტაქტით აღსაქმელ საგანთან. რეალისტური მხატვრული სახე არ წარმოადგენს უბრალოდ “გაორმაგებულ ასლს”. შეიძლება ითქვას, რომ იგი უფრო “კონდენსი-რეზული სახეა”, რომელშიც მრავალი კონკრეტულ-გრძნობადი, ინდივიდუალურია თავმოყრილი; ანუ ერთში (ერთ მხატვრულ სახეში) არის სინთეზირებული მრავალთათვის დამახასიათებელი თვისება. ამიტომაც გამონაგონის, ფანტაზიის როლი მხატვრულ სახეთა რეალისტურ სისტემაში არანაკლებ მნიშვნელოვანია, ვიდრე სხვა ესთეტიკურ სისტემებში. რეალისტური მხატვრული სახის ავტორისეული ინტერპრეტაცია ხორციელდება ესთეტიკური იდეალის

⁶ მიმესისი (ბერძ. μιμησις – მიბაძვა) ანტიკური ლიტერატურათმცოდნეობის ერთ-ერთ საკვანძო ცნებას წარმოადგენს. პლატონის და არისტოტელეს ესთეტიკაში იგი განიხილება მხატვრული კულტურის სხვადასხვა ჟანრის წარმოქმნის საფუძვლად. ორივე ფილოსოფოსი არსებულ სამყაროს, მის შემადგენელ საგნებსა და მოვლენებს მიიჩნევს ასახვის/მიბაძვის ობიექტად, თუმცა, განსხვავება თავს იჩენს იმაში, თუ რას წარმოადგენენ თავად ეს საგნები. არისტოტელეს მტკიცებით, ეს საგნები რეალურად არსებულნი არიან; ამდენად, მიმესისი ობიექტური სამყაროს შემეცნებისკენ სწრაფვას გულისხმობს. საწინააღმდეგო თვალსაზრისს ავითარებს პლატონი, რომლის თანახმად მიბაძვის ობიექტები (ანუ საგნები) მხოლოდ და მხოლოდ ობიექტურად არსებულ ზოგად იდეათა ლანდებს, აჩრდილებს წარმოადგენენ.

პოზიციიდან; ასეთს კი რეალიზმში წარმოადგენს ტრიადა: ჭეშმარიტება – სიკეთე – სილამაზე. ჭეშმარიტების ძიებისა და შემეცნების შესაძლებლობა ეფუძნება გონების პრიორიტეტის რწმენას. მშვენიერი შეიძლება იყოს მხოლოდ ზნეობრივი; ზნეობრივის წარმოდგენას კი - ჰუმანიზმის ფილოსოფია აყალიბებს. ტიპური ხასიათების წარმოჩენა ტიპურ გარემოებებში იძლევა შესაძლებლობას სინამდვილის (რეალობის) მოვლენებისა და ობიექტების ერთგვარი მხატვრული კლასიფიკაციის განხორციელებისა, მათ შორის, არსებული ურთიერთკავშირების წარმოჩენისა, ცხოვრების გარკვეული კანონზომიერებების ახსნისა, სამყაროს წარმოჩენისა მისთვის პრიორიტეტული, ზნეობრივი მახასიათებლებით, რომლებიც ჩამოყალიბდნენ ორი უკანასკნელი საუკუნის მანძილზე.

XX საუკუნეში რეალისტურმა ხელოვნებამ გააფართოვა სინამდვილის მხატვრული ათვისების საზღვრები. აღნიშნულ პერიოდში აშკარად შეინიშნება, ერთი მხრივ, მხატვრულ სახეთა „დამდაბლების“, ემპირიულ სინამდვილეზე დაყვანის ტენდენცია და, მეორე მხრივ, მათი იდეოლოგიზაციის ტენდენცია (განსაკუთრებით სოციალისტური რეალიზმის პირობებში). რეალიზმის კოდის თანდათანობითმა „გაცვეთამ“, მწერლების მიერ კონოტაციების ნაკრების მრავალჯერადმა გამოყენებამ გარკვეულ ეტაპზე რეალიზმის “განახლების” სურვილი წარმოშვა (თავად რეალიზმის მიმართულების ფარგლებში). ეს განხორციელდა პირობითი ფორმებისადმი აქტიური მიმართვის გზით, რაც საბოლოოდ გადაიზარდა სხვა ესთეტიკური სისტემების პოეტიკის ელემენტებთან ინტეგრირებაში. საბოლოო ჯამში, ამას მოჰყვა ესთეტიკური რევოლუცია, რომელიც დაგვირგვინდა მოდერნიზმის აღმოცენებით, რასაც, ბუნებრივია, თან ახლდა სამყაროს მხატვრული ათვისების ახალი საშუალებების დამკვიდრება.

როგორც ცნობილია, მოდერნიზმის იდეურ-ესთეტიკური სისტემის მსოფლმხედველობით ფუნდამენტს შეადგენს “ცხოვრების ფილოსოფია”, ეგზისტენციალიზმი, ფროიდიზმი. მოდერნიზმის ესთეტიკა ეფუძნება “წმინდა ხელოვნების” თეორიას; შემოქმედებითი პრაქტიკა ემყარება ინდივიდუალური მსოფლალქმის სუბიექტურობის წარმოჩენას, ორიენტაციას სიახლეზე, როგორც მწერლის მიერ შექმნილი მხატვრული სახეების შეფასების ძირითად კრიტერიუმს. ამასთან დაკავშირებით ხოსე ორტეგა-ი-გასეტი აღნიშნავდა: “საგნების ასახვიდან მწერლები იდეების ასახვაზე გადავიდნენ; ხელოვანი დაბრმავდა გარე სამყაროს მიმართ, რადგან მხერა შემოაბრუნა შიგნით, სუბიექტური ლანდშაფტის მხარეს” (Ortega-i-Gasset, 1991: გვ.34). ამდენად, მოდერნიზმს აინტერესებს “შინაგანი სამყარო”, ცნობიერისა და შეუცნობადის პერიფერიული სფეროები. ამასთან ერთად, ფსიქოანალიზის დამკვიდრების კვალდაკვალ, ღრმავდება ცოდნა ადამიანის ფსიქიკასთან, პიროვნების სტრუქტურასთან დაკავშირებით (როგორც ზოგადად, ისე კერძოდ, ხელოვანის ბუნებასთან მიმართებაში).

მოდერნიზმის ესთეტიკამ ადამიანის “სიღრმისეული ამოცნობის” საქმეში ჩართო ინტუიცია. აქედან მომდინარეობს მიმესისზე უარის თქმა, რეალობის დერეალიზაცია, მისი ობიექტების დეფორმირება, რეალური პერსპექტივის შეცვლა, სუბიექტურობის მაღალი ხარისხი და, რაც მთავარია, მოდერნისტული მხატვრული სისტემის ერთ-ერთ ძირითად მახასიათებლად იმ გარემოების აღიარება, რომ მკითხველის წინაშე ცხოვრება კი არ არის წარმოდგენილი, არამედ მხატვრული პროდუქტი - არტეფექტი.

გარეა მიქსაშვილი

ესთეტიკური ელემენტის სიჭარბე განაპირობებს შესაბამის კომუნიკაციას, რომელიც “ინოვაციური სტრატეგიების შეცნობის” საშუალებას იძლევა. ამასთან ერთად, მოდერნისტული ხელოვნების ყოველი ნაწარმოები თავის კანონს აწესებს, გვთავაზობს ახალ პარადიგმას, სამყაროს ხედვის ახალ შესაძლებლობას. სემიოტიკური თვალსაზრისით, “სიახლის ეფექტი” მიიღწევა იმ ტიპის ნიშნის (კოდის) საშუალებით, რომელშიც აღსანიშნავი (მწერლის მიერ წარმოჩენილი) საგანი გამონაგონთან (მხატვრულ ფანტაზიასთან) ერთობლიობაში აღემატება აღნიშნულს (სინამდვილეში, რეალობაში არსებულ საგანს). მათი “ურთიერთკავშირი” (ე. ი. კავშირი რეალურსა და წარმოჩენილს შორის) საკმაოდ მყიფეა და ადვილად დასაშლელია. საქმე იქამდეც კი მიდის, რომ იქმნება ავანგარდისტების თვითრეფერენტული ნიშანი (მაგ. ფუტურისტების, დადაისტების მხატვრული ენა).

მოდერნისტული სამყაროსთვის ნიშანდობლივია სიმბოლოები, მინიშნებები, ნახევარ-თქმები. სწორედ მათი დახმარებით წარმოაჩენენ შემოქმედნი რეალური ყოფის სიძნელეს, ეგზისტენციალურ პრობლემებს. თუმცა, როგორც ხოსე ორტეგა-ი-გასეტი აღნიშნავს, “რეალობა ყოველთვის აღემატება პირობით ცნებას, რომელიც ცდილობს მის მოქცევას გარკვეულ საზღვრებში...საგანი ყოველთვის მეტია ცნებაზე და სულაც არ არის ისეთი, როგორც ეს უკანასკნელი” (Ortega-i-Gasset, 1991: გვ.79). ფილოსოფოსის აზრით, სწორედ ამიტომ წარმოადგენს მოდერნისტული ხელოვნების “სუბსტანციას” (და არა უბრალოდ მის დეკორაციულ ელემენტს) მეტაფორულობა.

მოდერნისტულ ესთეტიკურ სისტემაში მეტაფორის საშუალებით განხორციელებული დახასიათებები, წარმოჩენილი კავშირები ემყარება ასოციაციებს, რაც აფართოებს მნიშვნელობათა სფეროს და ობიექტის მოულოდნელი რაკურსით დანახვის საშუალებას იძლევა. მოდერნისტების ხელოვნებაში “მოდელს” ხშირად წარმოადგენს მხატვრული კოდები (დროითი, დროით-სივრცული). თუ ავტორები მიმართავენ ფერწერულ კოდებს, მაშინ ორიენტაციას იღებენ პირველყოფილ, ბარბაროსულ ეგზოტიკაზე, რასაც მივყავართ მოდერნიზებულ პრიმიტივიზმამდე. ყველაზე ხშირად ამის გამოვლენას ავანგარდიზმში ვხედავთ (კუბიზმი, დადაიზმი, ნეოპრიმიტივიზმი და ა.შ.).

საბოლოო ჯამში, ყოველივე ზემოაღნიშნულის მიღმა იკვეთება ხელოვანის მისწრაფება, შეინარჩუნოს, დაიცვას ინდივიდუალობა და არ აითქვიფოს მასაში, არ დაემსგავსოს სხვას; ტიპურს, სტანდარტულს, ტრადიციულს - დაუპირისპიროს უნიკალური, უჩვეულო, მხოლოდ ერთ ეგზემპლარად არსებული. მოდერნისტული ხელოვნება გათვლილია ინტელექტუალურ უმცირესობაზე და არა მასებზე, რადგან ინტელექტუალური უმცირესობა უკეთ ითვისებს სიახლეს, გარკვეულია შემოქმედებით ლაბირინთებში და მისთვის დამატებითი ახსნა-განმარტების მიცემა საჭირო არ არის.

მოდერნიზმმა გამოსცადა თითქმის ყველა არსებული საშუალება ადამიანის, ცხოვრების ცალკეული მხარეების, ადამიანის “შიდა სამყაროს” მხატვრულად წარმოსაჩენად. ამის მიუხედავად, გასული საუკუნის შუა წლებისთვის იგი მაინც “დაიშრიტა”, დაიწყო ერთ ადგილზე „ტკეპნა“. როგორც რეალიზმის შემთხვევაში, ამჯერადაც გამოყენებულ იქნა სხვადასხვა საშუალებები მისი რეაბილიტაციისთვის: ერთი მხრივ, ცდილობდნენ მის სინთეზირებას არსებულ ესთეტიკურ სისტემებთან, ლიტერატურულ სკოლებთან, მიმდინარეობებთან (ზოგჯერ მოდერნიზმის მიერ უარყოფილთანაც კი); ხოლო მეორე მხრივ,

დაიწყო ახალი გზების ძიება, რაც პრაქტიკულად განხორციელდა ახალ ესთეტიკურ განზომილებაზე - პოსტმოდერნიზმზე - გადასვლაში.

პოსტმოდერნიზმი წარმოადგენს ერთგვარ რეაქციას მსოფლიო საერთოცივილიზებულ კრიზისზე, რასაც თანამედროვე კაცობრიობა განიცდის. რეაქცია გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ პროგრესისტების მიერ დაპირებული „ნათელი მომავლის“ ნაცვლად კაცობრიობა აღმოჩნდა დღევანდელ სიტუაციაში, თვითგანადგურების ზღვარს მიახლოებული. პოსტმოდერნიზმში გარკვეულწილად აისახა მისწრაფება იმ ფასეულობების დასამკვიდრებლად, რომელიც არ უქმნის ადამიანთა სიცოცხლეს საფრთხეს, შეუძლია ხალხთა გაერთიანება, შეკავშირება პლურალიზმის, პოლიცენტრიზმის, პანეკოლოგიზმის ნიადაგზე.

პოსტმოდერნიზმი შეიძლება დავახასიათოთ როგორც იდეურ-ესთეტიკური სისტემა, რომლის მსოფლმხედველობითი საფუძველი ემყარება პოსტფილოსოფიის იდეებსა და კონცეფციებს; რომლის ესთეტიკა ქადაგებს კულტურული ენების, სტილების, მეთოდების პლურალიზმს; რომლის მხატვრული პრაქტიკა ეფუძნება კულტურული ინტერტექსტის დეკონსტრუქციას და ჰიპერრეალობის მოდელირებას. მოდერნიზმის მსგავსად, პოსტმოდერნიზმიც უარს ამბობს მიმეზისზე, გარესამყაროს გაორმაგებაზე, მიმართავს ცნობიერისა და შეუცნობადის სფეროს. პოსტმოდერნიზმს აინტერესებს მასების ცნობიერება და არა ცალკეული ინდივიდებისა პოსტმოდერნიზმისთვის საინტერესოა კოლექტიური შეუცნობადი და არა ინდივიდუალური, და რაც მთავარია, მასების როლი ისტორიულ პროცესში (ამის დადასტურებაა ხოსე ორტეგა-ი-გასეტის “მასების ამბოხი”).

მოდერნიზმისგან განსხვავებით, პოსტმოდერნიზმს აინტერესებს არა „შინაგანი სამყაროს“ რეალობა, არამედ სამყარო-ტექსტის, სამყარო-ნიშნების (კოდების) რეალობა. პოსტმოდერნიზმი აღიარებს არა ერთ, არამედ მრავალ ჭეშმარიტებას, რითაც თავისთავად უარს ამბობს მონოცენტრიზმზე და ნებისმიერი კონფორტაციული მსოფლიო იდეის მონოპოლიაზე. ამას ხელს უწყობს ახალი ტიპის ნიშნის - სიმულიაკრის გამოყენება (Ж. Делез, 1998, Ж. Деррида, 2000). სიმულიაკრებს ჟ. ბოდრიარი უწოდებს სახეებს, რომლებიც შთანთქავენ, განდევნიან რეალობას (Бодрийяр, 1996: გვ. 114). ეს მართლაც არის დეკონსტრუირებული ნიშანი, რომელსაც ზუსტი განსაზღვრა არა აქვს. მას ახასიათებს ცვალებადობა და სამყარო-ტექსტის პირობებში შეიძლება სულაც არ განსაზღვრავდეს საგანს, არამედ სხვა, მეორე აღმნიშვნელ ნიშანთან აგზავნიდეს. თუ გავითვალისწინებთ, რომ სამყარო-ტექსტში (მეტატექსტში) ყველა აღნიშვნა საბოლოო ჯამში რიზომატულ კავშირშია ერთმანეთთან, მაშინ უნდა ვაღიაროთ, რომ სიმულიაკრის განმსაზღვრავი ნიშნები მრავლობითია.

რეალიზმისა და მოდერნიზმისგან განსხვავებით, მხატვრულ სახეთა პოსტმოდერნისტული სისტემა ყალიბდება სიმულიაკრების საშუალებით. ხშირად მას გააჩნია ჰიბრიდულ-ციტატური ხასიათი; შეიძლება წარმოადგენდეს განსაზღვრული კონცეპტების, მითების, ნაციონალური არქეტიპების, სულაც “კოლექტიური არაცნობიერის” გამოვლენის მატერიალიზებულ სახეს. პოსტმოდერნიზმში ხდება დისკურსის დეცენტრირება, შესაძლებელია მხატვრული და არამხატვრული ტექსტების (მაგ. ინფორმაციულის, სამეცნიეროს) გაერთიანება თანასწორუფლებიან საწყისებზე.

პოსტმოდერნი იწყება იქ, სადაც მთავრდება მთლიანობა. იგი რადიკალურად პლურალურია, რადგან ცდილობს იმ ფასეულობების ურთიერთდაკავშირებას, რომელთაც

გარეა მიმსაზვილი

განსხვავებული კონცეფციები და პროექტები შეიცავენ. აღნიშნული თვალსაზრისით მნიშვნელოვანია ჟ. ფ. ლიოტარის შრომები, რომლებმაც პრაქტიკულად პოსტმოდერნიზმის ყველა წარმომადგენელზე მოახდინა გავლენა. ჟ. ფ. ლიოტარის თვალსაზრისით, თუ ყველაფერს უკიდურესად გავამარტივებთ, მაშინ პოსტმოდერნიზმი უნდა გავიგოთ როგორც “მეტამოთხრობებისადმი” უნდობლობა (“მეტამოთხრობას” იგი უწოდებს ყველა იმ “განმარტავ სისტემას”, რომელიც, მისი აზრით, ბურჟუაზიული საზოგადოების ორგანიზებისა და მისი თვითგამართლების საშუალებად გვევლინება; მაგ.: რელიგია, ისტორია, მეცნიერება, ფსიქოლოგია, ხელოვნება). ფრანგი მეცნიერის აზრით, “პოსტმოდერნის საუკუნე” ხასიათდება იმ “დიადი მეტამორფოზებისადმი” რწმენის ეროზიით, რომელიც განახორციელებს წარმოდგენათა ლეგიტიმიზაციას რეალობის შესახებ (Лиотар, 1998: გვ. 31-35).

უკანასკნელ ხანებში სულ უფრო ხშირად გამოთქვამენ ევროპელი ლიტერატურათმცოდნენი მოსაზრებას, რომ პოსტმოდერნის ეპოქა დამთავრდა. აღნიშნულ თვალსაზრისს საქართველოშიც იზიარებენ. მაგალითად, ზურაბ ქარუმიძე წერს: “დასრულდა ეს თამაში რომელიც ქმნიდა გამოგონილი ორიგინალების აბსოლუტურად იდეალურ ასლებს; დასრულდა ონტოლოგიური მუშაობა ნამდვილსა და შეთხზულს შორის ბაწარზე; დასრულდა ორაზროვან და განუსაზღვრელ ნიშანთა ღია სისტემებში, როგორც ლაბირინთებში ხეტიალი” (ქარუმიძე, 2001:19). სინამდვილეში, საუბარი პოსტმოდერნის ეპოქის დასასრულზე აშკარად ნაადრევად გვეჩვენება, რასაც მოწმობს თავად ზ. ქარუმიძის შემოქმედებაც და საერთოდ, ქართულ სალიტერატურო სივრცეში მიმდინარე პროცესებიც, რომელშიც აშკარად იკვეთება პოსტმოდერნისტული ტენდენციები (ა. მორჩილაძე, ლ. ბუღაძე, დ. ტურაშვილი, ზ. ბურჭულაძე, ი. კასრაძე და სხვ.).

დაბოლოს, ზოგჯერ იქმნება შთაბეჭდილება, თითქოს რეალიზმი, მოდერნიზმი და პოსტმოდერნიზმი ერთმანეთთან წინააღმდეგობაში არიან. სინამდვილეში, ისტორიული გადასახედიდან ისინი ერთმანეთს ავსებენ, სხვადასხვა განზომილებაში წარმოუდგენენ მკითხველს სამყაროს, რომელშიც ჩვენ ვცხოვრობთ. სულაც არ არის შემთხვევითი, რომ დღესდღეობით სულ უფრო ხშირად პოსტმოდერნული ესთეტიკის ელემენტებს ვხვდებით რეალისტურ ხელოვნებაში. თუ ადრე, გასული საუკუნის დასაწყისში, მოდერნისტული ესთეტიკისთვის დამახასიათებელი ელემენტების სინთეზირება ხდებოდა რეალისტურთან, დღეს შესამჩნევია მოდერნისტული ელემენტების გარკვეული ტრანსფორმაცია. საბოლოო ჯამში, მიმდინარე პროცესი აზღვევს კულტურას სტაგნაციისგან, სტიმულს აძლევს მის განვითარებას, წარმოაჩენს ახალ პერსპექტივებს.

LITERARY THEORY AND COMPARATIVE STUDIES

FOR UNDERSTANDING THE ARTISTIC FACE OF THE 20TH CENTURY IN IDEOLOGICAL-AESTHETIC SYSTEMS

MARIAM MIRESASHVILI

e-mail: m.miresashvili@sou.edu.ge

Sukhumi State University, Doctor of Philological Sciences, Professor

ABSTRACT:

In the 20th century, realistic art expanded the boundaries of artistic rendering of reality. In the mentioned period, on the one hand, the tendency to "humble" artistic faces, to reduce them to empirical reality, and, on the other hand, the tendency to ideologize them (especially in the conditions of socialist realism) can be clearly observed. The gradual "wearing out" of the code of realism, the repeated use of a set of connotations by writers at a certain stage gave rise to the desire to "renew" realism, which was carried out through the active use of conditional forms. Finally, this process turned into the integration of other aesthetic systems - modernism and postmodernism - with elements of poetics. From a historical perspective, realism, modernism, and postmodernism complement each other, presenting the world in which we live to the reader in different dimensions. If at the beginning of the last century, elements characteristic of modernist aesthetics were synthesized with realist ones, today a certain transformation of postmodernist elements is noticeable. Ultimately, the ongoing process protects culture from stagnation, stimulates its development, presents new perspectives.

KEYWORDS:

Artistic face, 20th century Ideological-aesthetic systems, realism, modernism, postmodernism

ლიტერატურა:

1. ანტიკური ლიტერატურა (რედ.: რ. გორდეზიანი, ნ. ტონია), თბ., 2007.
2. ქარუმბიძე, ზ. დიდი თამაშის დასასრული, ანუ გოდო აკაკუნებს. *ჟურნ. „არილი“*, 2001.
3. Барт, Р. S/Z., М., 1994.
4. Барт, Р. Эффект реальности. Избранные работы. *Семиотика. Философия культуры*. М., 1999.
5. Бодрийяр, Ж. Симулякры и симуляция. Философия эпохи постмодерна. Мн., 1996.
6. Делез, Ж. Различие и повторение, СПб, 1998.
7. Деррида, Ж. Письмо и различие, М., 2000.
8. Лиотар, Ж.-Ф. Состояние постмодерна. М.-СПб., 1998.
9. Ортега-и-Гассет, Х. Эстетика. *Философия культуры*. М., 1991.

ლიტერატურის თეორია და კომპარატივისტიკა

სოციალურ-ეკონომიკური კონცეპტები ილია ჭავჭავაძის პროზაულ თხზულებებში

აზა ქადარია

ელ-ფოსტა: qadaria1962@gmail.com

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი (პროგრამა - „თანამედროვე ქართული ლიტერატურა და ლიტერატურის თეორია“)

აბსტრაქტი:

ნაშრომში შესწავლილია ილია ჭავჭავაძის სოციალურ-ეკონომიკურ შეხედულებათა ევოლუცია. ამ ჭრილშია განხილულია რამდენიმე ნაწარმოები. თუ ახალგაზრდა მწერალი განიცდიდა რევოლუციონერთა მოწოდებების გავლენას, მოგვიანო ხანაში ილია რადიკალურად გაემიჯნა სამყაროს რევოლუციურად გარდაქმნის იდეას და ევოლუციური განვითარების უალტერნატივობას აღიარებდა. მაგალითებით ცხადყოფილია, რომ ავტორის ეკონომიკურ შეხედულებათა რეფლექსიას ვხვდებით მისსავე მხატვრულ მემკვიდრეობაში.

საკვანძო სიტყვები:

სოციალური უსამართლობა, ეკონომიკური შეხედულებები, მხატვრული ნაწარმოებები, ევოლუცია.

მოდვაწეობის შედარებით ადრეულ ხანაში, 60-იან წლებში შექმნილ ნაწარმოებებში ილია დაუფარავად გვიჩვენებს ორ ნაწილად გაყოფილ საზოგადოებას - მებატონეებისა და გლეხთა ბანაკებს.

1860 წელს, სტუდენტობისას, პეტერბურგში დაწერილ პოემაში „რამდენიმე სურათი ანუ ეპიზოდი ყაჩაღის ცხოვრებიდან“ აშკარად იგრძნობა რევოლუციონერთა იდეოლოგიის გავლენა ილიაზე. პოემა პირველად მთლიანად გამოქვეყნდა 1879 წელს „ივერიის“ მე-5 ნომერში. შემდეგ კი ილია ჭავჭავაძის თითქმის ყველა კრებულსა თუ რჩეულში მეორდება. მხოლოდ 2009 წელს ქუთაისში დასტამბულ ილიას ერთტომეულში გამომცემლებმა - როსტომ ჩხეიძემ და ელგუჯა თავბერიძემ - არ შეიტანეს ეს პოემა, როგორც ავტორის ახალგაზრდობისდროინდელი დაბნეულობის შედეგი და გამოხატულება. მართლაც, შეუძლებელია, ილიას მრწამსის, მსოფლმხედველობის ანარეკლად მივიჩნიოთ „კაკო ყაჩაღი“.

აქ დახატული ბატონი, „ერთი აჯამი, გულქვა, რეგვნი“, მორჩილ და თვინიერ გლეხსაც კი მკვლელად აქცევს. ასეთ ბატონთან სხვა ურთიერთობა შეუძლებელია, ის უნდა მოიშორო თავიდან. ზაქროს მიერ ბატონის მოკვლას მკითხველი ამიტომაც თანაუგრძნობს. ასეთი ამბები, ჩანს, ცხოვრებაში მართლა ხდებოდა, თუმცა მებატონეთა თავხედობისა და აღვირახსნილი საქციელის მიზეზი, როგორც თავის დროზე ალექსანდრე ორბელიანმა განმარტა, რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაცია იყო.

კაკოს თავგადასავალი პოემაში არაა ნაჩვენები, მაგრამ იგულისხმება, რომ ანალოგიურია ზაქროს თავგადასავლისა.

ილია აქ თითქოს იზიარებს ვულგარულ შეხედულებას იმის შესახებ, რომ ადამიანის ავ-კარგი იზომება მისი წარმომავლობით. მაღალი წრის წარმომადგენელი უეჭველად ავია, ბოროტია, გულქვაა და სხვა, დაბალი წრის წარმომადგენელი კი აუცილებლად სიკეთის, შრომის-მოყვარეობის, ჰუმანიზმის განსახიერებაა. ამ არასწორმა, მცდარმა თეზამ მრავალი უბედურება მოუტანა ქვეყანას. მე-20 საუკუნის დასაწყისში მარტო გვარის, წარმომავლობის გამო დახვრიტეს ადამიანები სიკეთის დამკვიდრების სახელით...

მაია ნინიძემ მიაქცია ყურადღება იმას, რომ პოემაში ბატონის მოკვლის შემდეგ არ ჩანს ზაქროს ბედნიერი ცხოვრება. მაშ, ერთი მხრივ, თხზულებაში ისმის რევოლუციისკენ (ბატონის მოკვლისკენ) მოწოდება, ხოლო, მეორე მხრივ, ღრმად ქრისტიან მწერალს სწამს და სჯერა, რომ მკვლელობის გამართლება არ იქნება და მკვლელს არანაირი შვება და სიამე არ მიეცემა (არქექტიპი ძმის მკვლელისა ხომ კაენია ქრისტიანულ ლიტერატურაში).

მოგვიანებით, 80-იან წლებში ილიამ კლასებს შერიგებისა და საერთო ნიადაგზე დგომისკენ მოუწოდა, რაზედაც ცოტა ქვემოთ ვსაუბრობთ.

ახლა კი კვლავ ბატონყმური ურთიერთობის ამსახავი ნაწარმოები, მოთხრობა „გლახის ნაამბობი“ გავიხსენოთ.

ნაწარმოებში დასმულია „ჩატეხილი ხიდის“ პრობლემა. ილია ასე აყენებს საკითხს: შეიძლება თუ არა რაიმე საუკეთესო შემთხვევაში ორ წოდებას შორის გაიდოს სიყვარულის ხიდი, დამყარდეს ურთიერთგაგება. პასუხი თვალნათელია - თვით ერთმანეთთან ძმებივით შეზრდილ დათიკოსა და გაბრიელსაც შორისაც კი სიყვარულის ხიდი ვერ გაიდო. მით უფრო, ეს შეუძლებელი იქნება სხვა შემთხვევაში. პერსონაჟის განწყობა: „მაშინ რა ვიცოდი სულელმა, რომ უფროს-უმცროსობაში სიყვარული სიზმარია; რა ვიცოდი, რომ ბატონ-ყმობის შუა სიყვარულის ხიდი არ გაიდება“ [ჭავჭავაძე, 1988:140] - კვლავ და კვლავ რევოლუციონერთა იდეური გავლენის კვალის ამსახველია ილია ჭავჭავაძის მსოფლმხედველობაზე.

ნაწარმოებს ილია ნადირობის აღწერით და ცოდვაზე მინიშნებით იწყებს. ვითომ შემთხვევით, სიტყვამ მოიტანა და იმიტომ, სინამდვილეში, რა თქმა უნდა, გააზრებულად, შეგვახსენებს საღმრთო წერილს, ადამიანის ბრალეულობა-ცოდვიანობასა და ამავე დროს დაუცველობაზე გვესაუბრება. „ჩვენ თვითონ, სულიერთა მეუფენი, ჩვენ თვითონ ღვთის სახისანი ერთი-ერთმანეთს არ ვუთმობთ...“ - წუხს ილია.

ქრისტიანული სწავლა-მოდღვრებით, ღმერთმა კაცი თავის სახედ და ხატად შექმნა. ღვთის თვისებები აღბეჭდილია ადამიანის სულიერ თვისებებში, რომელთა შორის უმთავრესია თავისუფლების სიყვარული, სურვილი და სწრაფვა მისკენ. პავლე მოციქული გვასწავლის, რომ ჩვენ ქრისტემ მოგვანიჭა თავისუფლება, ამიტომ მტკიცედ უნდა დავიცვათ და შევინახოთ ის. „მაშ, მტკიცედ იდექით თავისუფლებით, რომლითაც ქრისტემ გვათავისუფლა, და კვლავ ნულა დაიდგამთ მონობის უღელს“ [გალატელთა მიმართ, 5. 1.]. ხოლო თავისუფლება უნდა გვქონდეს არა „საფარველად უკეთურებისა“, არამედ ძმათა სიყვარულისათვის. „ხოლო თუ ერთიმეორეს კბენთ და ჭამთ, ფრთხილად, სულაც არ ამოწყვიტოთ ერთმანეთი“ [გალ., 5. 13-15.]. „...ცხადია, აქ ნათქვამია ადამიანების კრებულთა და ხალხთა შორის ურთიერთობაზე“, - განმარტავს ამბროსი ხელაია [ხელაია 1988:153].

ჭეშმარიტი ქრისტიანული სარწმუნოებით აღზრდილი ილია მკვლელობისკენ მაინც ვერ მოუწოდებს მკითხველს. არც გაბრიელის ცხოვრების ბედნიერ გაგრძელებას გვიჩვენებს დათიკოს მოკვლის შემდეგ (ისევე, როგორც არც ზაქროსას „კაკო ყაჩაღიდან“). მეტიც, მომაკვდავ ახალგაზრდა კაცს ზიარებაც კი ვერ მოასწრებინა სიკვდილის წინ („გლახის ნაამბობი

აზა ქალარია

გადაკეთებულია პიესად. არის კინოსურათიც. მოთხრობა სამმოქმედებიან პიესად გადააკეთა შალვა დადიანმა და უწოდა „ბატონი და ყმა“ - პირველად დაიდგა ჭიათურაში 1907 წელს). სოციალურ პრობლემას უკავშირდება აგრეთვე საკითხი პიროვნებისა და საზოგადოების ურთიერთობისა.

მოგვიანებით, 80-იან წლებში მწერალი კვლავ დაუბრუნდა ორივე „ჩატეხილ ხიდს“ და მკაფიოდ ასახა „ოთარაანთ ქვრივში“.

საგლხო რეფორმის დროს ილია გლეხის მიწიანად გათავისუფლებას მოითხოვდა (ამასვე მოითხოვდნენ ნიკო ჭავჭავაძე და კონსტანტინე მამაცაშვილი). თავადაზნაურთა კრებაზე ილიას გამოსვლამ დიდი ამბავი გამოიწვია. ქრისტეფორე მამაცაშვილი იგონებს: „ოქმების წაკითხვის შემდეგ დაიწყო კამათი. წამოდგა ახალგაზრდა პოეტი და პუბლიცისტი ილია ჭავჭავაძე და ხმამაღლა განაცხადა, გლეხს მიწა უნდა მიეცესო. კრების უმეტესობა ამ კადნიერმა აზრმა აღაშფოთა. ერთმა თავადმა ხანჯალი იშიშვლა, ლანძღვა-გინებით ილიასაკენ გაიწია და ყვიროდა: გამიშვით, ეხლავე უნდა მოვკლაო. გაგიჟებული თავადი შეაკავეს და კრებიდან ძლივს-ძლივობით გაიყვანეს“ [კრებ.: „ი. ჭავჭავაძის სიკვდილი და დასაფლავება“ 2012]. ამის შემდეგ ახალგაზრდების ერთი ჯგუფი გამუდმებით თან დასდევდა თურმე ილიას, რათა ის მოსალოდნელი თავდასხმისგან დაეცვათ. თვითონ ილიამ რეფორმის პირველ დღეებშივე გაათავისუფლა თავისი გლეხები და საკუთრებად დაუმტკიცა მიწები. ამას ადასტურებდნენ ყოფილი გლეხები და მათი შთამომავლები.

რეფორმიდან მეოთხედი საუკუნის გასვლის შემდეგ, 1887 წელს ილიამ დაწერა „ოთარაანთ ქვრივი“ და კვლავ დასვა „ჩატეხილი ხიდი“ პრობლემა. ნაწარმოებში საკითხი ასე დგას: ბატონსა და ყმას შორის ჩატეხილი ხიდი აღდგა თუ არა საგლხო რეფორმის შემდეგ. ილიამ მიზანმიმართულად დაგვიხატა ორივე წოდების საუკეთესო წარმომადგენლები - კარგი თავადები და კარგი გლეხები.

არჩილი და კესო ლუარსაბისგან, დათიკოსგან, ზაქროს ბატონისგან განსხვავებით, განათლებული, ლიბერალი თავადები არიან. მათ გამოარჩევთ გლეხებთან ჰუმანური, ადამიანური დამოკიდებულება. ეგერეთ წოდებული „მონანიე აზნაურის“ ტიპებს წარმოადგენენ. არჩილმა სწავლა (უმადლესი განათლება) რუსეთში მიიღო, იგი გონებაგახსნილი, განვითარებული კაცია. ასეთივე წიგნიერი, ნაკითხია ახალგაზრდა ქალია კესო. არჩილი ზნეობრივად მაღალი ახალგაზრდა კაცია. სხვას არ ჩაგრავს, საკუთარ მამულს თვითონ უვლის, გლეხებთან მუსაიფს არ თაკილობს, ერთი სიტყვით, კულტურული და საქმიანი მემამულეა. არჩილი და კესო თავადის ისტორიულად ჩამოყალიბებული ტიპის - კარგად აღზრდილი, მზრუნველი, კეთილი, მეპატრონე - ანარეკლია სიტყვაკაზმულ მწერლობაში და არა XIX საუკუნეში უკვე სახეცვლილი, გადაგვარებული თავადების ლიტერატურული სახე.

საგანგებოდ, მიზანმიმართულად ხატავს ავტორი გლეხთა განსაკუთრებულ, განსხვავებულ ტიპებს. ოთარაანთ ქვრივი და გიორგი არ არიან დაჩაგრული, დამონებული, უუფლებო, უღირსებო გლეხები. ისინი ყოველმხრივ - ქონებრივად, გონებრივად, ზნეობრივად, გარეგნულადაც კი (გიორგის „ერთი დოინჯის შემორტყმა-და აკლია, თორემ თავადიშვილია და თავადიშვილიო“) - თავადებთან მიახლოებული თვისებებისა გახლავან. ოთარაანთ ქვრივსა და გიორგის თუმცა განათლება (წერა-კითხვა, ანგარიში და სხვა სწავლა) არ მიუღიათ, მაგრამ ბუნებითი ნიჭიერება, ცხოვრებისეული გამოცდილება მათ ამ მხრივაც (ცოდნა და მისი პრაქტიკაში გამოყენება) თავადებზე ნაკლები არა აქვთ. თავმოყვარეობის გამძაფრებული შეგრძნება, სხვათა ქრისტიანულად განკითხვის სურვილი და უნარი, სოფლის პატრონობა და

ჭირისუფლობა, პრინციპების დაცვა და სულიერების მატერიალურზე მაღლა დაყენება, რაც დედა-შვილს ახასიათებს, ცხადად თავადის თვისებებია.

მკვლევარი მურმან კვარაცხელია თავის ნაშრომში „ილია ჭავჭავაძე და ეროვნული ეკონომიკა“ „საქართველოს მოამბის“ მოწინავე სტატიის შესახებ ამბობს, რომ ეს არის მთელი ფილოსოფია ადამიანთა ცხოვრების უკეთ მოსაწყობად.

გავიხსენოთ ჭავჭავაძის წერილები მეზღვრებაზე, მევენახეობაზე, მეღვინეობაზე. ამ საკითხს სპეციალური კვლევა უძღვნა დ. შარაშენიძემ თავის ნაშრომში „საქართველოს მეხილეობა - მევენახეობის წარსული და მომავალი“, რომელშიც გამოწვლილვით არის საუბარი და ხელშესახებადაა ნაჩვენები, თუ როგორ დიდ ყურადღებას აქცევდა ჭავჭავაძე სოფლის მეურნეობის ყველა დარგს, როგორ ურჩევდა ქართველ გლეხს, გამოეყენებინა მეცნიერული მიღწევები საკუთარ მეურნეობაში. ცოდნით მსჯელობს როგორც ვაზის სხვადასხვა დაავადებაზე, ასევე ბანკის მიერ წამლის შესაძენად გაცემული ფულის რაოდენობაზე. ილია მუდმივად აღნიშნავდა, რომ დღეს გამრჯელი, მწარმოებელი და მომცემი მხოლოდ სოფელია და ყველას ყურადღება სწორედ მას უნდა დასტრიალებდეს. „ტყუილად კი არ ეძახიან ქართველები მიწას დედამიწას, სწორედ ის გვაწოვებს ჩვენ ძუძუს და ჩვენი ჭირიც და ღვინიც ის არისო“ [შარაშენიძე, 2002:15-20].

„ოთარაანთ ქვრივში“, კერძოდ, არჩილისა და გიორგის საუბარში ირიბად აირეკლება ავტორის ეკონომიკური იდეები და ვაზის მოვლა პატრონობის შესახებ ცოდნა. „ეს ცოდნა კონცეპტუალურად ემთხვევა არჩილისა და გიორგის საუბრის ძირითად მიმართულებას „ოთარაანთ ქვრივის“ იმ თავში, რომელსაც „უცარი წვიპურტი“ ეწოდება“ [კუპრეიშვილი, 2022:200].

ლიტერატურაში ეკონომიკური კონცეპტების შესანიშნავი დადასტურებაა „პილპილმოყრილი მაღლი“. მაღლის გაღების ეს აქტივ კავშირშია ეკონომიკასთან, რადგან აქ შემოდის ცნება ჩუქებისა. ეს კი ფრანგი სოციოლოგის - მარსელ მოსის - მიხედვით (ნარკვევი ჩუქების შესახებ, ანუ ჩუქების ფორმირება და დამკვიდრება არქაულ საზოგადოებაში) სასაქონლო ურთიერთობათა წინა ეტაპია. ის განასახიერებს თავისებურ ეკონომიკურ წესრიგს, რომლის დროსაც სიმდიდრის გადანაწილება უმტკივნეულოდ ხდება. ჩვენ მიერ დასახელებულ მოთხრობაში ოთარაანთ ქვრივი ქრისტიანული ქველმოქმედების პრინციპით მოქმედებს (ჩუქების საკითხს ყურადღება მიაქცია ასევე ბურდიემაკ და მას ორგვარი ჭეშმარიტება უწოდა).

ჩვენ ვხედავთ, რომ ოთარაანთ ქვრივის ჩუქებას საფუძვლად არ უდევს ანგარება, მაგრამ სხვა სარჩული კი აშკარად გამოკვეთილია. დედაკაცს სურს, გამოაფხიზლოს ადამიანი, გაუღვიძოს მას თავმოყვარეობა, აგრძნობინოს ქველმოქმედების მიმღებს, რომ მასაც გარკვეული ვალდებულება აკისრია. ქალი თითქოს აყვედრის კიდეც მას ლუკმას, როცა ეუბნება: ამ წუთისოფელში ვის აქვს მეტი ლუკმა, შენც რომ გაძლიოსო. ეკონომიკური კრიტიკის მიმდევრები ამაზე იტყობდნენ, რომ ოთარაანთ ქვრივი რწმენის კულტურისა და ბაზრის კულტურის მიჯნაზე დგას. ილიას სურს, ქართული საზოგადოება უმნიშვნელოვანეს სოციო-ეკონომიკური ძვრებისათვის მოამზადოს, რომელსაც, ცხადია, მოჰყვება განსხვავებული მორალი და ეკონომიკური ურთიერთობები. ამიტომაც არ უნდა გაგვიკვირდეს ოთარაანთ ქვრივისა და მისი ავტორის პოზიცია, რომელიც შეგვიძლია ჭავჭავაძის მიერ ჩამოქნილ ერთ ფრაზაში ჩავატოთ: ღონე ხორციელი და ღონე სულიერი. ეს კი გულისხმობს კაპიტალისტური ეთიკისათვის დამახასიათებელი მოხვეჭა-დაგროვებისა და გადამატებული სიხარბისათვის ზომიერების დაპირისპირებას.

მნიშვნელოვანი შრომა მიუძღვნა „ოთარაანთ ქვრივში“ ეკონომიკური წყობის ილიასეული შეხედულებების ამოკითხვას მურმან კვარაცხელიამ. იგი „ოთარაანთ ქვრივის“ შესახებ აღნიშნავს, რომ ეს მოთხრობა წარმოადგენს ერთგვარ ეკონომიკურ მოდელს. უფრო მეტიც, თუ

აზა ქალარია

ჩვენ ქვრივისეული ქისების გადანაწილების პრინციპს შევადარებთ XI-XIII საუკუნეების საქართველოს ეკონომიკურ საფუძვლებს, დავინახავთ, რომ ისინი ძალიან ჰგავს ერთმანეთს. ოქროს ხანის ეკონომიკური წყობა დაწვრილებით აქვს განხილული ივანე ჯავახიშვილს თავის მონოგრაფიებში: „საქართველოს ეკონომიკური ისტორია“ და „ქართული სამართლის ისტორია.“ მეცნიერი სტატისტიკური მასალებისა და ისტორიული დოკუმენტების საფუძველზე ასკვნის, რომ ეროვნული შემოსავლების მეთაედი ყოველთვის სოციალურად დაუცველ ფენებს ხმარდებოდა. ამას გარდა, ცალკე არსებობდა საეკლესიო-სამონასტრო და ინდივიდუალური ქველმოქმედება. მკვლევრის მართებული მოსაზრებით, ხუთი ქისის პრინციპი სწორედ ასეა აგებული [კვარაცხელია, 2001:35]. აქ გათვალისწინებულია სახელმწიფო ხარჯებიცა და ინდივიდუალური მოთხოვნილებებიც. ასევე აშკარაა ქონების სწორი მართვა: გადანახვა, კვლავ ჩადება საწარმოებლად, რომელიც შენივთებულია შრომა-გარჯასთან და ქველმოქმედებაც. აქ გვახსენდება ილიას სიტყვები იმის შესახებ, რომ ვერავინ შეცვლის იმ ბუნებრივ ეკონომიკურ კანონს, რომ ყოველი ქონება ფულია და თუ მამული უქმად მყოფის ხელშია, ის წინ ვერ წავა. მამული მხოლოდ იქით მიიწევს და მიეზიდება, სადაც მხნე და მარჯვე მუშაკაცია. ოთარაანთ ქვრივს შრომის ფასი კარგად ესმის. უფრო მეტიც, მას სწორედ გარჯა მიაჩნია ადამიანის სულიერ გამამხნეებლად და მარტოობის გასამკლავებელ საიმედო საშუალებად.

აშკარად ჩანს, თუ რამდენად საინტერესოა ილია ჭავჭავაძის ეკონომიკური შეხედულებები. შეგვიძლია თამამად ვთქვათ, რომ ამ მხრივაც ის გამორჩეული, დაკვირვებული და ღრმად მოაზროვნე პიროვნებაა. საქართველოს ახალი ისტორიის ქართველ მოღვაწეებს შორის სწორედ ილია ჭავჭავაძე ჩაწვდა ყველაზე ღრმად კაპიტალიზმის განვითარების არსსაც და მის გარკვეულ თავისებურებებსაც საქართველოს პირობებში.

ქართული, ტრადიციული მეურნეობის ევროპეიზაციას ქადაგებდა უფრო ადრე ალექსანდრე ორბელიანიც: „ხომ ვხედავთ, ჩუენს ქვეყანაში მშვიდობის მეტი აღარა არის-რა, აღარც თოფი და აღარც ხმალი, - ვმადლობ ღმერთსა! მაშასადამე, სადაც მშვიდობაა, იქ რა არის საჭირო? - სწავლა-განათლება, მიწის ნაყოფიერების გამრავლება და ვაჭრობა, აუცილებელი გამამდიდრებელი კაცისა“ [ორბელიანი 2023:73]. აქედან გამომდინარე მკვლევრები ასკვნიან, რომ ალექსანდრე ორბელიანის „სოციალურ-ეკონომიკური მრწამსი შეიცავდა ლიბერალური იდეების მძლავრ ტენდენციას, რომელმაც მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ქართული საზოგადოებრივ-ეკონომიკური აზრის ისტორიაში“ [თოდუა, 1987:48].

ამავე გზას ადგას ალექსანდრე ორბელიანის სულიერი მემკვიდრე, ილია ჭავჭავაძე.

*LITERARY THEORY AND COMPARATIVE STUDIES***SOCIO-ECONOMIC CONCEPTS IN THE PROSE WORKS OF ILIA CHAVCHAVADZE****AZA KADARIA***e-mail: qadaria1962@gmail.com**Doctoral student of Sukhumi State University (program - "Modern Georgian literature and theory of literature")***ABSTRACT:**

Ilia Chavchavadze's economic concepts can be read in the same works in which social injustice is depicted. In the essays written in the 60s ("Kakko Kachaghi" and "Glakh's Tale"), it is felt that the author is influenced by the ideology of the revolutionaries, although he is inconsistent in this matter - it is shown, that any attempt to establish a reasonable and orderly relationship with the master is unsuccessful. All representatives of the higher social class are to be physically exterminated. But he couldn't (didn't) paint us a peasant (serf) freed after the removal of the oppressor, living peacefully and happily.

Later, in the 80s, Ilia Chavchavadze changed his position on this topic and firmly and consistently defended the theory of class reconciliation. This point of view is tangibly expressed in "Otaraant Kvriv". Ilya's economic concepts were also clearly reflected in this story. We mean both the reflection of the author's knowledge and experience in the work, as well as, in general, the echo of economic provisions in artistic passages.

KEYWORDS:

Social injustice, economic views, works of art, evolution.

გამოყენებული ლიტერატურა:

- ჭავჭავაძე ი., - გლახის ნამბობი, თხზ. სრ. კრებ. ოც ტომად, ტ. II, გვ. 140, თბ., 1988.
- ხელაია ა., - მე შევასრულე ჩემი მოვალეობა, ჟ. „მნათობი“, გვ. 153, 1988 წ., #10.
- კრებ.: „ი. ჭავჭავაძის სიკვდილი და დასაფლავება“, მე-3 გამოცემა, თბ., 2012.
- შარაშენიძე დ., - საქართველოს მეხილეობა-მევენახეობის წარსული და მომავალი, გვ. 15-20, თბ. 2002.
- კუპრეიშვილი ნ., - „ლიტერატურული ეკონომიკის“ კონცეპტები ილიას პროზაში, კრებ. ილია ჭავჭავაძე და ევროპული ღირებულებები, გვ. 200, თბ., 2022 .
- კვარაცხელია მ., - ილია ჭავჭავაძე და ეროვნული ეკონომიკა, გვ. 35, თბ. 2001.
- ორბელიანი ა., - ჩუენი საქართველოს საზოგადოება, თხზ სრ. კრებ. 5 ტომად, ტ. II, გვ. 73, თბ., 2023.
- თოდუა გ., - XIX საუკუნის ქართული საზოგადოებრივ-ეკონომიკური აზრის ისტორიის საკითხები, ნაწილი მეორე, გვ.48, თბ., 1987.

21-ე საუკუნის ფილოსოფიური აზროვნება ეთნოსი - საზოგადოება - ისტორია - თანამედროვე გამოწვევები

ხელოვნური ინტელექტის საფრთხეების გაანალიზება ნიკ ბოსტრომის ფილოსოფიაში

ელიზბარ ელიზბარაშვილი

ელ-ფოსტა: elizbar.elizbarashvili@yahoo.com

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ასოცირებული პროფესორი ფილოსოფიის მიმართულებით.

აბსტრაქტი:

მოხსენებაში განვიხილავთ თანამედროვე ფილოსოფოსის შეხედულებებს ხელოვნურ ინტელექტთან დაკავშირებით. საფრთხეებს და რისკებს კაცობრიობისათვის, რასაც ფილოსოფოსი ასახელებს. აღწერილი იქნება ბოსტრომის გაგებით ადამიანის დონის ხელოვნური ინტელექტის შექმნასა და ზეცნობიერების დაბადებას შორის განსხვავება და მათ შორის დროული მანძილი. ბოსტრომის აზრით ადამიანის დონის ხელოვნური ინტელექტი თავად შეძლებს საკუთარი თავის განვითარებას, რომელიც გარკვეული დროის გასვლის შემდეგ მიაღწევს ზეცნობიერებას - ზეინტელექტს.

წარმოდგენილი თემა განხილული იქნება ფრიდრიხ ნიცშეს ზეკაცის თემასთან შეპირისპირებაში. ნიცშეს ზეკაცის თემის ანალიზით და მისი ჰაიდეგერისეული ინტერპრეტაციით ვცდილობთ ტექნიკის საკითხი დავაყენოთ რადიკალურად დეჰუმანიზაციასთან და ტრანსჰუმანიზმთან მიმართებაში.

მოხსენებაში გატარებული იქნება აზრი, რომ საფრთხეები და პრობლემები რაც ხელოვნურ ინტელექტს უკავშირდება თანამედროვე ადამიანის მდგომარეობის უკუფენაა.

საკვანძო სიტყვები:

ხელოვნური ინტელექტი, ზეკაცი, ნიკ ბოსტრომი, ცივილიზაცია, ადამიანი.

განვიხილოთ თანამედროვე ფილოსოფოსის შეხედულებები ხელოვნურ ინტელექტთან დაკავშირებით. ნიკ ბოსტრომის აზრით ადამიანის დონის ხელოვნური ინტელექტი თავად შეძლებს საკუთარი თავის განვითარებას, რომელიც გარკვეული დროის გასვლის შემდეგ მიაღწევს ზეცნობიერებას - ზეინტელექტს.

თემა უნდა განხილული იყოს ფრიდრიხ ნიცშეს ზეკაცის თემასთან შეპირისპირებაში. ნიცშეს ზეკაცის თემის ანალიზით და მისი ჰაიდეგერისეული ინტერპრეტაციით შევეცადოთ ტექნიკის საკითხი დავსვათ რადიკალურად. საფრთხეები და პრობლემები რაც ხელოვნურ ინტელექტს უკავშირდება თანამედროვე ადამიანის მდგომარეობის უკუფენაა.

ჩვენს შეხედულებებს ვაყალიბებთ ათ თეზისად.

პირველი თეზისი - „წიგნში ხელოვნური ინტელექტი, ეტაპები, საფრთხეები, სტრატეგიები“ [3], რომელიც 2014 წელს გამოსცა ნიკ ბოსტრომმა, საუბარია ხელოვნური ინტელექტიდან მომდინარე საფრთხეებზე. ბოსტრომი არ ამბობს, რომ რაზეც ის საუბრობს აუცილებელი სცენარია, მაგრამ საფრთხე რომ ძალზე დიდია ამას ვერ ვუარყოფთ.

მეორე თეზისი - ბოსტრომის მიხედვით ხელოვნური ინტელექტის მახასიათებლებია: მას აქვს სწავლების უნარი, ანუ ეს არის მანქანა, რომელსაც შეუძლია ისწავლოს და ასწავლოს, ეფექტურად იმუშავოს ალბათურ და განუსაზღვრელ ინფორმაციებთან და შეუძლია სხვადასხვა

სადგურებიდან მიღებული ინფორმაციების დამუშავება და შემდეგ მისი გამოყენება სააზროვნო პროცესებისათვის.

მესამე თეზისი - ნიკ ბოსტრომი განასხვავებს ხელოვნური ინტელექტის ადამიანურ დონეს და ხელოვნურ ზეცნობიერს. ანუ არის ხელოვნური ინტელექტის ადამიანის დონე და როდესაც იგი გაჩნდება, იგი იწყებს საკუთარი თავის თვითსრულყოფას, იგი იწყებს „ფეთქებად“ განვითარებას და თავად მიაღწევს ხელოვნურ ზეცნობიერს. რომელი დონიდანაც ადამიანის ინტელექტი გამოჩნდება როგორც ჭიანჭველას ინტელექტი. ასეთი სხვაობა იქნება კოგნიტური უნარების მიხედვით. ბოსტრომის აზრით ამისათვის 30 წელზე ნაკლები დრო იქნება საჭირო.

მეოთხე თეზისი - ჩვენთვის არის ურთულესი საკითხი - როგორ გავაკონტროლოთ ხელოვნური ინტელექტი? ანუ როგორც კი გაჩნდება ხელოვნური ინტელექტის მხრიდან ჩვენს მიმართ არამეგობრული დამოკიდებულება, ის არ მოინდომებს იყოს ჩვენს კონტროლს ქვეშ, მაშინვე ჩვენ შევეწინააღმდეგებით მას და შევეცდებით ის მოვაშოროთ ან ჩავსვათ გარკვეულ ჩარჩოებში, მაგრამ ის ამას ყოველთვის შეეწინააღმდეგება და თავის თავს ყოველთვის გაიტანს. ანუ თუ დაიბადა ხელოვნური არამეგობრული ინტელექტი და დაიწყო მან თვითსრულყოფა, უკვე ყველაფერი დაგვიანებულია. ჩვენ მივხვდებით მისგან საფრთხეს, როდესაც ის დაიბადება, მაგრამ როდესაც ეს მოხდება უკვე ყველაფერი გვიანი იქნება. კაცობრიობას ხელოვნური ინტელექტი გაგვიკეთებს ერთდროულად ქიშ და შამათს.

ეს ნიშნავს, რომ ხელოვნური ზეცნობიერის ხელში იქნება მთლიანად ადამიანის ბედი, მისი მომავალი, მისი ისტორია მისი პოპულაცია და ჩვენ ამას თავს ვერ დავაღწევთ. და ეს მოხდება XXI საუკუნის ბოლოს. ისევე როგორ დღეს ჩვენს ხელშია გორილების ბედი. ანუ ჩვენ შეგვიძლია გორილები გადავასახლოთ, გავამრავლოთ, ვაკონტოლოთ მისი პოპულაცია, გადავწყვიტოთ რა ექსპერიმენტები ჩავატაროთ მათზე, რა არა და რა უფლებები მივცეთ ან არა. გორილები არაფერს წყვეტენ. ანალოგიურად ამისა ადამიანის ბედი მთლიანად იქნება დამოკიდებული ხელოვნურ ზეცნობიერზე.

მეხუთე თეზისი - არსებობს ამ „ისტორიის“ უფრო რბილი, ოპტიმისტური სცენარი წიგნში - „ხელოვნური ინტელექტი და კაცობრიობის ახალი ერა“ (2021 წ) [4], რომლის ავტორები არიან ჰენრი კისინჯერი, ერიკ შმიდტი და დანიელ ჰატერლოკერი. მათი აზრით ხელოვნური ინტელექტი შეიჭრება ადამიანური საქმიანობის ყველა სფეროში, და ის შეცვლის ადამიანის ისტორიას. შეცვლება ადამიანის გაგება და როლი და ადგილი ადამიანისა სამყაროში. მოხდება იმ დონის ცვლილებები კაცობრიობის, როგორც მოხდა რენესანსის დროს. ასეთი ცვლილებები ჯერ არ ახსოვს თანამედროვეობას რასაც ის მოიტანს. ისინი ფიქრობენ, რომ მანქანა, როგორც ინსტრუმენტი გადაიქცევა ჩვენს პარტნიორად. ეს წიგნი არის გამსჭვალული იმ იდეით, რომ ხელოვნურ ინტელექტთან ჩვენ თანამშრომლობა გვექნება. ჩვენ ნიკ ბოსტრომის პროგნოზს უფრო რეალისტურად ვთვლით.

მეექვსე თეზისი - ნიცმესთან ღმერთის სიკვდილის შედეგად ადამიანი დგას გზაგასაყარზე, რომ ის უნდა ამაღლდეს ზეკაცამდე ან დამდაბლდეს ფარის ცხოველამდე, ანუ უკანასკნელ ადამიანამდე. ამაზე საუბრობენ კარლ ლევიტი, ლეო შტრაუსი, მარტინ ჰაიდეგერი. რომ ღმერთისაგან მიტოვებულ სამყაროში ადამიანი ასეთი ვეღარ დარჩება. 1969 წლის ინტერვიუში - „ფილოსოფია მუდამ არათანადროულია“ [1] - მარტინ ჰაიდეგერი წერს რომ ნიცმე მიხვდა, რომ ადამიანი ემზადება დედამიწაზე გასადაბატონებლად, მაგრამ ამ სახის ადამიანი ვერ შეძლებს ამას. მეორე სტატიაში - „ვინ არის ნიცმეს ზარატუტრა“ [2]- ჰაიდეგერე აზუსტებს რას ნიშნავს გაბატონება. გაბატონება არ ნიშნავს მხოლოდ დაპყრობას და დამორჩილებას, გაბატონება

ქლიზგარ ქლიზგარაშვილი

ნიშნავს დამორჩილებას, საკუთარ მფარველობაში შეყვანას, მის მოვლას, პატრონობას და ხსნას. და ამას ვერ გააკეთებს არსებული ადამიანი, რადგან იგი დაცემულია. ამიტომ ნიცშე მოგვიწოდებს შევქმნათ ზეკაცი, რომ ადამიანი გახდეს დედამიწის ბატონი-მომვლელი. ამქვეყნიური სამყაროს დამცველი.

მეშვიდე თეზისი - რა განსხვავება არის უკანასკნელ ადამიანსა და ზეკაცს შორის ნიცშესთან. უკანასკნელი ადამიანი არის დღევანდელი ადამიანის სულიერ-მორალური დაცემა და დამდაბლება. ეს არის ადამიანი, რომელსაც არა აქვს იდეალი, არა აქვს ძლიერი ემოციები, არ მიჰყავს დიდი ბრძოლა, მაგრამ არის კარგად მოვლილი, გამოკვებილი, იგი იმყოფება კომფორტში, მას აქვს თავისი „პაწია ბედნიერება“, თანასწორობა და მეტი არაფრის ამბიცია არა აქვს სამყაროში. ეს არის, როგორც თანამედროვე ამერიკული პოლიტიკური ფილოსოფიის ფუძემდებელი - ლეო შტრაუსი ამბობს - მარქსისტი ადამიანი განხილული არამარქსისტული თვალსაზრისით. და ეს ადამიანი არის უკანასკნელი ნიცშეს გაგებით, რომელიც ვერ მოიტანს კაცობრიობის სასურველ მომავალს. ხოლო ზეკაცი კი არის ადამიანზე უფრო მაღალი სულიერ-მორალური არსება. განსხვავება ადამიანსა და ზეკაცს შორის გარეგნობით და ბიოლოგიურად არ არსებობს. ზეკაცი არის კაცობრიობის ახალი დონე, როდესაც ადამიანი გაიზარდა სულიერ-მორალურად. და არა ინტელექტუალურად. ეს არის ღმერთისაგან მიტოვებულ სამყაროში სრულყოფილი არსება. რომელმაც დაიკავა ღმერთის ადგილი. ჰაიდეგერის აზრით ზეკაცი ისაა, ვინც გადალახა „შურისგების სული“ ამას წერს „ესე იტყოდა ზარატუსტრაში“ ჰაიდეგერი წერს. „შურისგების სული“ არის სუსტი ადამიანის თვისება, რომელიც თავისი სისუსტის გამო ვერ ახერხებს გაუსწოროთ თვალი რეალობას, იგი რეალობას გაურბის, რადგან ის მისთვის მძიმეა და სამაგიეროდ ამ რეალობაზე შურს იძიებს იმით რომ ქმნის სხვა სამყაროს - მიღმურს, ტრანსცენდენტურს, მეტაფიზიკურს, ქმნის სამოთხეს, იმქვეყნიურობას. ჰაიდეგერი ამბობს რომ ადამიანი უნდა განთავისუფლდეს ამ „შურისგების სულისაგან“ და თვალი გაუსწოროს რეალობას როგორც ის არის. ეს არის ზეკაცი. ანრი ლიხტენბერჟეს აზრით ეს არის „თვითმმართველი“ ადამიანი, კარლ ლოვიტის აზრით არის „თვითგანმსაზღვრელი“ ადამიანი, ექსისტენციალისტების აზრით ეს იქნება ადამიანი, რომელიც თავად ქმნის მომავლის თავის არსს. ზეკაცი ეს არის ისტორიის შემოქმედი, როდესაც ის გვევლინება კაცობრიობის ისტორიის ბედის მმართველად, ეს არის კაცობრიობის განვითარების ის ეტაპი როდესაც კაცობრიობა თავად განსაზღვრავს კაცობრიობის ისტორიას რა მიმართულებით წავა. ნიცშე „სიკეთისა და ბოროტების მიღმა“-ში ამბობს, რომ თანამედროვე ევროპა სამწუხაროდ მიდის ფარის ცხოველისაკენ, უკანასკნელი ადამიანისაკენ.

მერვე თეზისი - ჰენრი კისინჯერისაგან განსხვავებით ჩვენ ვეთანხმებით ნიკ ბოსტრომს, რომ ზეკაცი და ხელოვნური ზეცნობიერი ერთმანეთის კონკურენტები არიან და არა მეგობარი-პარტნიორები. ზეკაცსა და ხელოვნურ ინტელექტს შორის მიმართება არის მტრობა, რადგანაც ორივე მისწრაფვის დედამიწაზე გასაბატონებლად. ამასთანავე ორივენი თვითგანვითარება-სრულყოფის შედეგი იქნება: ზეკაცი ამჟამინდელი ადამიანის სულიერ-მორალური სრულყოფით საკუთარი თავიდან და ხელოვნური ზეცნობიერი კი, ადამიანის დონის ხელოვნური ინტელექტის მიერ საკუთარი თავის სრულყოფით. და ისინი ერთმანეთის არსებობას გამო-რიცხავენ. ზეკაცი თუ მოვიდა ის ხელოვნური ზეცნობიერის მოსვლას შეაჩერებს, ხოლო ხელოვნური ზეცნობიერი თუ მოვიდა, იგი ადამიანს დაიმონებს და ზეკაცის მოსვლას შეაჩერებს.

მეცხრე თეზისი - განსხვავება ზეკაცსა და ხელოვნურ ინტელექტს შორის. ზეკაცი არის სულიერ-მორალური ამაღლება ადამიანზე, მას აქვს სიყვარული, სიძულვილი, სიამაყე, ღირებულებები,

საზრისი. და რა აქვს ხელოვნურ ინტელექტს? მას აქვს უმაღლესი კოგნიტური უნარები, გამოთვლითი უნარები, მას შეუძლია სუპერანგარიში, მაგრამ მას ემოციები, ღირებულებები და ცხოვრების საზრისი აქვს ნული. მისთვის ცხოვრების საზრისი და ღირებულება გაუგებარია. რომ დავაზუსტოთ ზეკაცი არის სრულყოფილი არსება, ხოლო ხელოვნური ზეცნობიერი არის სრულყოფილი მანქანა. არსებას ვეძახით მხოლოდ იმას, რაც ცოცხალია. აქედან გამომდინარე სიბრძნე შეიძლება ჰქონდეს მხოლოდ ზეკაცს. ხელოვნურ ზეცნობიერს შეიძლება ჰქონდეს გათვლა, გაანგარიშება, ანუ ეშმაკობა, მაგრამ ეს სიბრძნე არაა. სიბრძნე მხოლოდ ცოცხალ არსებას შეიძლება ჰქონდეს. ამიტომ მათ შორის არის რადიკალური განსხვავება მიზანმიმართულებაში. ანუ მიზნების დასახვა არსებისთვის და მანქანისთვის სხვადასხვაგვარია. ემოციების მქონე, სიყვარულის და სიძულვილის მქონე არსება სხვაგვარ მიზნებს დაისახავს, ვიდრე მხოლოდ ცივი გონებით გამომთვლელი მანქანა.

და აქ დგას ჰაიდეგერის კითხვა - ვის შეუძლია დედამიწის მოვლა უფრო უკეთესად? მანქანას თუ არსებას? ორივეს შეუძლია გაბატონდეს დედამიწაზე, მაგრამ რომელი იქნება დედამიწის მფარველი, უკეთესი დამცველი?

მეათე თეზისი - ადამიანი დგას გზაგასაყარზე. თუ ის შეძლებს სულიერ-მორალურ ამაღლებას ზეკაცამდე, მაშინ ის ხელოვნურ ინტელექტს ის შეაჩერებს და სხვანაერი მიმართულებით წაიყვანს ისტორიას და ცივილიზაციას, ხოლო თუ ვერ ამაღლდა ადამიანი და დამდაბლდა ფარის ცხოველამდე, მაშინ იგი გააბატონებს ხელოვნურ ინტელექტს და იგი დაიმონებს ადამიანს.

ანუ ხელოვნური ინტელექტიდან მომდინარე საფრთხეები პირდაპირ უკავშირდება ადამიანის სულიერ მდგომარეობას და ადამიანის მდგომარეობის უკუფენაა. საკითხი დგას ხელოვნური ინტელექტი გაბატონდება თუ არა ჩვენზე. ცდუნდება თუ არა დღევანდელი ადამიანი? რომ ხელოვნური ინტელექტი ფაქტიურად გააკეთებს ჩვენს მაგივრად ყველაფერს, და ჩვენ გაგვხდის მარადიულს: მედიცინა, მეცნიერება, ტრანსპორტი, მმართველობა, განათლება, წარმოება... ადამიანს არაფერი გასაკეთებელი არ ექნება. მაგრამ ამ გადაბარების შემდგომ ის დაიმორჩილებს ბოლომდე ადამიანს. ხოლო ზეკაცი, იმით განსხვავდება თანამედროვე ადამიანისაგან რომ იგი არ ცდუნდება ამ ყველაფრით, ამიტომ ის ხელოვნურ ინტელექტს „გამორთავს“.

კითხვა რომლითაც ვამთავრებთ - შესძლებს ადამიანი საკუთარი თავიდან შექმნას უფრო მაღალი სულიერ-მორალური არსება და გაბატონდეს და დაეუფლოს სამყაროს, თუ ვერ შესძლებს და გააბატონებს ხელოვნურ ზეცნობიერს, რომელიც დაიმორჩილებს მას?

*PHILOSOPHICAL THINKING IN THE 21ST CENTURY
ETHNOS-SOCIETY-HISTORY-MODERN CHALLENGES*

**ANALYZING THE THREATS OF ARTIFICIAL INTELLIGENCE
IN THE PHILOSOPHY OF NICK BOSTROM**

ELIZBAR ELIZBARASHVILI

e-mail: elizbar.elizbarashvili@yahoo.com

Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Associate Professor in Philosophy

ABSTRACT:

In the report, we will discuss the views of a modern philosopher regarding artificial intelligence. dangers and risks for humanity, which the philosopher names. The difference between the creation of human-level artificial intelligence and the birth of superconsciousness in Bostrom's sense and the time gap between them will be described. According to Bostrom, human-level artificial intelligence will be able to develop itself, which after some time will reach superconsciousness - superintelligence.

The presented theme will be discussed in contrast with Friedrich Nietzsche's theme of the superman. By analyzing the topic of Nietzsche's Zekatz and its Heideggerian interpretation, we try to raise the issue of technique radically in relation to dehumanization and transhumanism.

KEYWORDS:

Artificial intelligence, Zekatz, Nick Bostrom, civilization, human.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ჰაიდეგერი მარტინ. „ფილოსოფია მუდამ არათანადროულია“ გაზ. არილი 1999
2. ჰაიდეგერი მარტინ „ვინ არის ნიცშეს ზარატუსტრა?“ კრებ. გულანი 1991 #1 155-180.
3. Ник Бостром „Искусственный интеллект. Этапы. Угрозы. Стратегии“ Москва; 2016
4. Киссинджер Г. „Искусственный разум и новая эра человечества“ «Альпина Диджитал», 2021

21-ე საუკუნის ფილოსოფიური აზროვნება**მონოსი - საზოგადოება - ისტორია - თანამედროვე გამოწვევები****საკულტურული მემორუნი - XXI საუკუნის
ფილოსოფიური ტრენდი****გიორგი სარიგაშვილი**

ელ-ფოსტა: kharibegashviligiorgi@gmail.com

ფილოსოფიის დოქტორანტი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

აბსტრაქტი:

პოსტმოდერნისტული „ლინგვისტური შემოზრუნება“, ფილოსოფიის გამოკეტვა დისკურსთა თვითრეფერენციალურობაში, იქცა აზროვნების აუტიზაციად, რომელსაც არ უნდა რაიმე იცოდეს არასიმულაციური რეალობის შესახებ; მიუხედავად მისი ასეთი სურვილისა, კარიდან განდევნილი რეალობა ფანჯრიდან ცდილობს შემოჭრას და პრაქტიკული ამოცანების წინაშე გვაყენებს. მის საპირწონედ ხდება „სპეკულაციური შემოზრუნება“ და საფუძველი ეყრება სპეკულაციურ რეალიზმს. ის ამოდის წმინდა მრავლობითობის ერთადერთ და უნივერსალურ ყოფიერებად მტკიცებიდან, თუმცა მრავლობითობის (მათი ხედვით, ერთადერთი რეალობის) არათვლადი, ირაციონალური და არასტრუქტურული ბუნების გამო, მასზე სპეკულაციები შეუძლებელია ერთიან კონცეფციად გადმოიცეს. თუმცა მის საკვანძო ფიგურათა(მეიასუ, ბრასიე, გრანტი, ბრაიანტი, ჰარმანი, ტრიგი, ტაკერი) აჩვენებს, რომ „პოსტმოდერნიზმის გადა-ლაზვა“ და განმანათლებლობის კრიტიკა რეალურად რამე ახალი გარღვევა კი არ არის, არამედ ადრეული მოდერნის აზროვნებასთან დაბრუნებაა.

საკვანძო სიტყვები:

ოსტმოდერნიზმი, სპეკულაციური რეალიზმი, სპეკულაციური შემოზრუნება, ნიჰილიზმი, მატერიალიზმი, საშინელების ფილოსოფია

შესავალი

2007 წელს, ლონდონში, გოლდსმიტის კოლეჯში ჩატარებული კონფერენციით, რომელზედაც მოხსენებით ფილოსოფოსები: რეი ბრასიე, იან ჰამილტონ გრანტი, გრემ ჰარმანი და კვენტინ მეიასუ გამოდიოდნენ, საფუძველი ჩაეყარა ახალ ტრენდს ფილოსოფიაში - სპეკულაციურ რეალიზმს. ამას მოჰყვა, 2009 წელს ალენ ბადიუს მიერ *ფილოსოფიის მეორე მანიფესტის* გამოქვეყნება, რითაც მატერიალისტური ფილოსოფია, საბოლოოდ გაემიჯნა პოსტმოდერნიზმის ანტიმეტაფიზიკურ დისკურსს და კიდევ უფრო დაშორდა როგორც ტრადიციონალიზმის, ასევე განმანათლებლობის პრინციპებს.

კონტინენტალურ ფილოსოფიაში „სპეკულაციური შემოზრუნების“ ქოლგის ქვეშ ერთიანდებიან ისეთი ფილოსოფიური თეორიები, როგორებიცაა: ჰარმანის ობიექტზე ორიენტირებული ონტოლოგია, მეიასუს ანტიკორელაციონიზმი, გრანტის ტრანსცენდენტალური მატერიალიზმი და ბრასიეს ტრანსცენდენტალური ნიჰილიზმი; ამავე ტრენდის სულისკვეთებას იზიარებს ტაკერის და ტრიგის საშინელების ფილოსოფია.

წინამდებარე გამოკვლევის მიზანი ამ ახალ სპეკულაციურ, მატერიალისტურ ტრენდში საერთო მახასიათებლებისა და ფუნდამენტურ განსხვავებათა გამოკვეთაში მდგომარეობს, რათა ნიადაგი მომზადდეს მათი ადეკვატური გაგებისა და კრიტიკისათვის. ეს დაგვეხმარება თავიდან ავიცილოთ მორიგი „მოდური“ თეორიით გატაცება და ტირაჟირება მისი ზედაპირული გაცნობის საფუძველზე.

ალენ ბადიუ - ფილოსოფიური წინაპირობა

პოსტმოდერნულმა ფილოსოფიამ უარყო ჭეშმარიტების ცნება და ყველაფერი ენობრივ თამაშად გამოაცხადა. ამით, აზროვნებას წინ არ წაუწევია, პირიქით, თავისი პარადოქსული მსჯელობით ის სოფიზმს და სიმულაკრათა აპოლოგიას დაუბრუნდა. პოსტმოდერნულმა ანტიმეტაფიზიკურმა ონტოლოგიამ, რომელიც მხოლოდ ზედაპირებს აღიარებს, შექმნა წარმოდგენა, რომ მხოლოდ ჩვენს გამოცდილებაში არსებული გარეგანულ მოვლენათა მიმართები მნიშვნელობს, ყველაფერი იმის მიმართ კი, რაც ამ გამოცდილების მიღმა - აგნოსტიკური პოზიცია დაიკავა. დღეს, ფილოსოფოსები იწყებენ იმის გაცნობიერებას, რომ აზროვნების დაყვანა „დისკურსის ანალიზზე“, თუ „დეკონსტრუქციაზე“, სინამდვილეში ეპისტემოლოგიური ჩიხია; შეუძლებელია სიკვდილი „სოციალურ კონსტრუქტად“ გამოაცხადო, ან გამოტყორცნილი ბირთვული ენერჯია სიმულაკრად აქციო მისი ლიტერატურული ირონიზებით.

ასე რომ, რეალობასთან შეჯახება, ჩიხური მდგომარეობიდან გამოსვლა აჩენს მეტაფიზიკის საჭიროებას, რაც ტრადიციონალისტური პარადიგმის გვერდის ავლით, ღებულობს სრულიად სხვაგვარ, სპეკულაციურ და მატერიალისტურ სახეს; სანამ უშუალოდ სპეკულაციური მატერიალიზმის წარმომადგენელთა ფილოსოფიების გარჩევაზე გადავიდოდეთ, აუცილებელია ჯერ თავად სპეკულაციური შემოხრუნების განმაპირობებელ, ბადიუს ფილოსოფიურ არგუმენტებს მივმართოთ.

ბადიუს მიხედვით, პოსტმოდერნიზმის კულტურულმა ლოგიკამ, ყოველგვარ შეხედულებათა თანაბარდებულობის მტკიცებამ, შეუძლებელი გახადა ფილოსოფიური აზროვნება. აზროვნება რომ დავიწყოთ, აუცილებელია, ამოსავალ წერტილად არა „აზრის თავისუფლება“, არამედ პოსტმოდერნიზმის მიერ რეპრესიულად შერაცხული ჭეშმარიტების რეაბილიტაცია მოვახდინოთ. ჭეშმარიტების ცნებასთან მიახლოება, მისი დაწმენდა შეხედულებათა მინარევებისაგან, ბადიუსთან პირველ რიგში, გულისხმობს აზროვნების ამოსავალი წერტილის, ყოფიერების შინაარსის დადგენას. აქამდე კი მაშინ მივალთ, თუ სიტყვებსა და საგნებს თვისება-პრედიკატებს ჩამოვაცილებთ და მათ მარტივ ყოფნაზე დავიყვანთ. ამ მარტივ ყოფნას, ბადიუს მიხედვით, თუ მათემატიკურად ჩავწერთ, არა სინგულარული 1, არამედ 0, სიცარიელე შეესაბამება. ბადიუს მათემატიკური ონტოლოგია ყოფიერების წმინდა ჰომოგენურ მრავლობითობად გაგებას გულისხმობს. მრავლობითობა რადგან „სიცარიელისგანაა მოქსოვილი“ იძლევა ყოფიერებაზე მათემატიკურად ლაპარაკის შესაძლებლობას [4: 29]. არსებობა არარას მოქმედების გვერდითი ეფექტია მათემატიკურად რომ ვთქვათ 1 არის 0-ების რაღაც სიმრავლე, რომელიც „ერთად ჩაითვალა“ და ამით ცარიელ სიმრავლეთა სხვა ჯგუფთა დაჯგუფებებს გამოეყო. შესაბამისად, ყოველი ლოკალურად არსებული მოვლენა, ობიექტურობის საფუძველი, ცარიელი გარკვეული ინტენსივობის მქონე მრავლობითობის განმხლოების შედეგი, სინგულარობაა [4: 45, 54].

რადგან მყოფი ცარიელია, მაშინ ჭეშმარიტების შემოტანას მხოლოდ იმ შემთხვევაში ექნება აზრი, თუ ეს ჭეშმარიტება მყოფი არ არის და ამ აზრით „გამონაკლისია“. „ჭეშმარიტების შემზღუდველი გამონაკლისობაში“ ბადიუ გულისხმობს არა ტრადიციონალისტურ „ობიექტურ ჭეშმარიტებას“, არამედ სამყაროს გამაერთიანებელ, იგივეობათა დამდგენ უნივერსალურ

ღირებულებას, რომელიც არც სიტყვების კატეგორიას ეკუთვნის და არც საგანთა მდგომარეობაა. ჭეშმარიტება სუბიექტურობასა და ობიექტურობას შორისაა და ამიტომაც „გამონაკლისის“ სახით არსებობს [4: 22, 25].

ბადიუ ეყრდნობა სიმრავლეთა თეორიის აქსიომას, რომ ყველა სიმრავლეთა სიმრავლე არ არსებობს, ანუ შეუძლებელია არსებობდეს ისეთი სიმრავლე, რომელიც ყველა შესაძლო მრავლობითობს მოიცავს. მრავლობითობის ვლენის ადგილი, სივრცე ან χ^2 ონტოლოგიურად არ შეიძლება ასევე ყოფიერება იყოს. თუმცა თავად ეს ვლენა არასოდროსაა ერთიანი და უცვლელი, ვინაიდან მის ცნებაში უკვე ნაგულისხმევია მრავალსახეობისა და ლოკალურობის შესაძლებლობა.

მრავლობითობის გამოსავლენად, აუცილებელი პირობა მასსა და ტრანსცენდენტურ მდგენელებს შორის მიმართების შეცვლა ანუ ხდომილებაა. ხდომილება გადააწყობს მის იდეათა კომბინაციებს და ლოკალურ მრავლობითობებს იმ „ფაქტის წინაშე“ აყენებს, რომ პოზიციის დაკავება ანუ ცვლილება მათ ინტენსივობაში, გარდაუვალია. რადგან ეს ხდომილება ტრანსცენდენტურია, ამიტომაც აკრძალულია ყოფიერებაში, მაგრამ ინკორპორაციის, სინამდვილის ფორსირების გზით მაინც იჭრება მასში, მეტაფიზიკური ორიენტირების შემცვლელი ჭეშმარიტების სახით და ობიექტებზე, ანუ სხვადასხვა ინტენსივობის მქონე ცარიელ სიმრავლეებზე თავისი დამდის დადებით, სტიგმატებით - სუბიექტების წარმოებას უზრუნველყოფს [4: 91]. იდეათა ასეთი კომბინაცია-რეკომბინაციები და მასზე სუბიექტის დაქვემდებარება აჩვენებს, რომ აზროვნება მოაზროვნეს არ ეკუთვნის, იმის მიუხედავად რომ ვერც ამ უკანასკნელის გარეშე იარსებებს. მაგრამ, განა აზროვნების ამ იმანენტურობიდან გამომდინარეობს, რომ ის აუცილებლად ადამიანური რეალობის იმანენტურიც იყოს? რა შეიძლება იყოს მოაზროვნე რეალობა, თუ საკითხს „ღვთაებრივის“ შესახებ, მატერიალისტური პოზიციიდან გამომდინარე, ფრჩხილებს გარეთ გავიტანთ? როგორ აზროვნებენ, როგორ გამოიყურებიან მანქანები, ცხოველები და მათი კომბინაციები თუ ადამიანური ფაქტორისგან დამოუკიდებლად გავიგებთ? ფილოსოფია, აქ, უარყოფს კანტიანურ გონების თვითშეზღუდვას და „ნივთი თავისთავადზე“ სპეკულაციებს იწყებს. სპეკულაციური რეალიზმიც ამგვარ არაადამიანურ რეალობაზე სპეკულაცია ანუ დეჰუმანიზირებული აზროვნებაა.

იან ჰამილტონ გრანტი - ტრანსცენდენტური მატერიალიზმი

გრანტი თვლის, რომ მცდარია ბინარული ოპოზიციების ამგები მოდერნისტული პარადიგმა, რომელიც აზროვნების სუბიექტ-ობიექტად დაყოფას არსისა და მოვლენის ონტოლოგიური განსხვავებით ხსნის. არ შეიძლება პროდუქტი, პროდუქციისგან, პროცესისგან დამოუკიდებლად გავიგოთ. გრძნობადი ფაქტები იზოლირებულად არ არსებობენ, ისინი მოუცილებელი პროდუქტებია წარმომქმნელი ბუნებისა (*natura naturans*), რაც თავისთავად არ არის გრძნობად-კონკრეტული [9: 43]; ეს წარმომქმნელი ბუნებაც ბუნებრივია, იმ შემთხვევითი განსხვავებით, რომ ადამიანს მასზე პირდაპირი წვდომა არა აქვს. ჩვენ ვხედვთ პროდუქტს, მაგრამ მისი დამზადების პროცესს უგულებელვყოფთ, ვაფიქსირებთ ფაქტებს, მაგრამ არა ამ ფაქტის ქმნადობას. ქმნადობა რომ ხილვადობით, გრძნობად-დაკვირვებადობით არ ამოიწურება, ნიშნავს ფენომენების გაგებაში ემპირიულ დაკვირვებებზე გადაბიჯებას [9: 44, 145]. ემპირიული მონაცემები არ შეიძლება იყოს რეალობაზე მსჯელობის ამოსავალი, ვინაიდან მათი აღქმა იმთავითვე სუბიექტურობის ფორმებითაა გამსჭვალული და განპირობებული. რაიმე ნივთის არსებობის პირობა კი მის მიერ განპირობებულ ობიექტსაც აღემატება. ანუ „მოაზროვნე რეალობა“, რომელიც ხდის შესაძლებელს ემპირიული პროცედურების განხორციელებას,

გიორგი სარიამაშვილი

თავად არაა ემპირიული. რადგან მისი ობიექტურად მოხელთება და დაკვირვება შეუძლებელია, მისი მიჩნევა ავტომატურად ადამიანის მსგავს სუბიექტურობად არის ნაჩქარევი და უსაფუძვლო, ანთროპომორფული ჰიპოთეზა.

სპეკულაციური შემობრუნების თეორეტიკოსთა საზიარო დებულებით, „თუ არ არსებობს მოაზროვნე რეალობა, მაშინ არც აზროვნებას უარსებია“ [8: 41]. პოსტმოდერნიზმი სწორედ ამ „მოაზროვნე რეალობას“ ვერ უხერხებდა რამეს, რადგან როცა კი მის გააზრებას ცდილობდა, მაშინვე ჩიხში ექცეოდა. მან ღმერთის სიკვდილით ადამიანიც მოაკვდინა, მაგრამ ვერ გაიგო, რომ აზროვნება შეიძლება სულაც არ უკავშირდებოდეს სუბიექტს, ანდა არ იყოს ანთროპომორფული. გამოდის, რომ დეჰუმანიზაციის ტენდენციები მან საკმარისად ბოლომდე ვერ მიიყვანა და „ლოგოცენტრულობასთან“ ბრძოლის მიუხედავად, ვერ დაუსხლტა ადამიანურ ჩარჩოს. ამდენად, ტრანსცენდენცია აქ უნდა გავიგოთ ადამიანური აზროვნების გადალახვად, ტანს-ადამიანური და არა-ადამიანური აზროვნების მიმართულებით. სინამდვილეში, მოაზროვნე რეალობა მეტაფიზიკური გონი კი არ არის, არამედ მატერიაა, რომლისთვისაც აზროვნება მატერიალიზაციის ყველა დონეზე, სხვადასხვანაირად დამახასიათებელი თვისებაა.

მაშ, რატომ ვერ ხედავს ადამიანის თვალი ამ წარმომქმნელ მოაზროვნე ბუნებას? გრანტი გვეტყვის: იმიტომ, რომ ადამიანის გონება გამსაგნებელია და მისი პროექციულობის შესაბამისად, მწარმოებლურობა (პროდუქტიულობა) დაჰყავს განყენებულ ნივთებზე, რაც ერთგვარი შემთხვევითად მოტივირებული პერსპექტივაა და პრინციპული განსხვავება „თავისთავად“ რეალობასა და ფენომენალურობას შორის არ არსებობს [9: 176];

ამით, კანტის ონტოლოგიური ნაპრალი თავისთავად ნივთსა და მოვლენას შორის იხურება. პროდუქტისა და მისი წარმომქმნელი პროცესის გამაერთიანებელი რეალობა - ძალთა დაუყოფელი, იმანენტური რეალობაა [8: 46]. ასე რომ, სპეკულაციური შემობრუნებისას, საბოლოოდ, ვაწყდებით განუწილველ მატერიას, რომლის შინაარსიც არაა აპოდიქტური, მასზე აზროვნებას მკაფიო სტრუქტურა რომ ჰქონდეს. მატერიას ვერ მივაგნებთ კვარკებსა და გრავიტაციულ ველებში; რაც უფრო სუბ-ატომურ ნაწილაკებად დავშლით ჩვენს ფიზიკურ გარემოს, მატერია მით უფრო ხელიდან გაგვისხლტება. ამრიგად, გრანტის კონცეფცია არის ფორმის უარყოფელი მატერიალიზმი, რომლის მიხედვითაც, არ არსებობს ობიექტურობის მყარი ქვედა ფენა, ანდა სუბსტანციური ფორმა, რაც ობიექტებისთვის საყრდენის ფუნქციას შეასრულებდა. ასეთი პოზიცია, ავტორს თანამედროვეობაში დელიოზიანელებთან, ელინისტურ ეპოქაში კი კინიკოსთა გვერდით აყენებს.

როგორც ვხედავთ, სპეკულაციური რეალიზმის მეტაფიზიკა, რომლის პრობლემებსაც გრანტი წამოაყენებს, წარმოადგენს არა ტრანსცენდენტური რეალობისადმი მჭვრეტელობით მიმართებას, არამედ ისეთ სპეკულაციურ აზროვნებას, რომელიც ჩვენი ანუ ადამიანური აზროვნების მიღმა გადის ისე, რომ მატერიალურ ჰორიზონტს არ სცდება.

კვენტინ მეიასუ - ანტიკორელაციონიზმი

კოპერნიკმა სამყაროს შემთხვევითობა, გალილეომ კი ცნებების ნომინალურობა, ცნობიერების შემთხვევითობა გამოაცხადა. თუმცა კანონზომიერებების მაძიებელმა განმანათლებლურმა სულმა პროცესები სხვა მიმართულებით წაიყვანა. ადამიანს ბუნების დამორჩილების ამოცანა ჰქონდა გადასაჭრელი, რაც მიულწეველი იქნებოდა უნივერსალურად განმეორებადი პროცესების დადგენისა და მათი აღმწერ-გამომთვლელი ფორმულების გარეშე.

მეიასუს კონცეფციით, დღევანდელი გადასახედიდან ირკვევა, რომ მოდერნის ასეთი „გადახვევა“ შეცდომა იყო; რეალობის საყრდენობაზე პრეტენზიის მქონე ტრანსცენდენტური

გარანტის: ღმერთის, წმინდა ცნობიერების, ინტერსუბიექტური კონსესუსის - დეკონსტრუქცია ვინაიდან შემდგარი ფაქტია, „რეალობა“ მეტაფიზიკური ეფემერა გამოდის.

ამდენად, ყოველგვარი ნივთის არსებობა შემთხვევითია, რადგან საკმაო საფუძვლის კანონი აბსურდული, რაიმეს თვითიგივეობაზე ლაპარაკი კი სუბიექტური ილუზიაა [11, 40-41]. რაიმეს აუცილებლობის ანდა კანონზომიერების მტკიცება გამომდინარეობს სუბიექტის პრაგმატული და ანთროპოცენტრული სურვილიდან - ყველაფერი მასთან კავშირში გაიაზროს. საკმარისია, ვდისტანცირდეთ სუბიექტისგან, ადამიანისგან, რომ გაქრება მასთან კორელაციაში მყოფი ობიექტურობაც.

კორელაციაში მეიასუ უპირველესად გულისხმობს სუბიექტისა და ობიექტის ეპისტემოლოგიურ ურთიერთ განპირობებულობას: კერძოდ იმას, რომ ჩვენ არ შეგვიძლია სუბიექტის მოაზრება ობიექტის გარეშე და პირუკუ. ობიექტზე ჩვენი წარმოდგენაც მუდამ სუბიექტურია, სუბიექტზე მსჯელობა კი აუცილებლად „ობიექტურ სამყაროს“, მოწესრიგებული, საზრისით დატვირთული კოსმოსის იდეას დაიწინამდგერებს. მაგრამ, ის რომ მე არ შემიძლია სიკვდილის შესახებ რაიმე მეცნიერულად ვიცოდე, განა სიკვდილის ობიექტურ არარსებობას ამტკიცებს? გამოდის, რომ ცოდნის შეუძლებლობა თუ ყოფიერების დესემანტიზაცია არ ყოფილა კორელაციაში რაიმეს ყოფნა-არყოფნის თემასთან. მეიასუ სვამს კითხვას, რა პირობებში შეიძლება X გავიაზროთ სუბიექტურობისგან იზოლირებულად? [11: 43]. როგორ გამოიყურება ბუნება უადამიანოდ დარჩენილი სამყაროს პირობებში? რა არის ფერი თვალის გარეშე? როგორ შეიძლება ვიაზროთ დროის ის მონაკვეთი, რომლის შიგნითაც გაჩნდა სუბიექტურობის ყველა ფორმა?

პრობლემა ის არის, რომ ობიექტურ ცოდნაზე პრეტენზიის მქონე კარტეზიანული აზროვნება, ცოდნის რეალობასთან შესაბამისობის და კორელაციის ისეთ ხარისხს ითხოვს, რომელსაც საყოველთაოდ გაზიარებადი და აუცილებელი ხასიათი ექნება [11, 50-53]. თუმცა, კარტეზიანული „კორელაციის ფაქტობრიობა“ არ ნიშნავს იმას, რომ ჭეშმარიტება ისაა, რაზეც ყველანი ვთანხმდებით და ამით ჩვენს სუბიექტურ აზრებს ობიექტურობას ვანიჭებთ; მეცნიერულ აზრს აუცილებლობისა და საყოველთაობის მოთხოვნა ნივთებთან მიმართებაში აქვს იმიტომ, რომ ამას, საკმაო საფუძვლის პრინციპის სახით ნივთების მხარეს იგულვებს. რამე მოვლენა ან ნივთი ფაქტია იმიტომ, რომ მისი ფაქტობრიობა თავად გამომდინარეობს მყარი აზრობრივი საფუძვლიდან;

თუმცა, როცა ვამბობთ „სიკვდილის ფაქტი დადგა“, „უბედურება თავს დაატყდა“, საფუძველშივე ვგულისხმობთ არა აუცილებლობას, არამედ მრავალ, ერთმანეთთან დაუკავშირებელ ფაქტორთა ურთიერთდამთხვევას. გამოდის, რომ შემთხვევათა მრავლობითობა განაპირობებს იმას, რასაც შემდგომში ენიჭება აუცილებლობისა და ფაქტობრიობის კვალიფიკაცია.

რადგან აუცილებლობა, ერთხელ და სამუდამოდ დადგენილი კანონზომიერებები ილუზიაა, გამოდის რომ „სამყარო“ ცარიელი აღმნიშვნელი ყოფილა. მეიასუს მიდის დასკვნამდე, რომ აბსოლიტურად შემთხვევითი ნივთების უაზრო თავყრილობა, რასაც ნარცისული განწყობიდან გამომდინარე, სამყაროს ვეძახით, სულაც არაა მყარი არსებობის სივრცე. ამ სამყარომდექაოსში, არამც თუ რაიმე კორელაცია არ არსებობს სუბიექტებსა და ობიექტებს შორის, არამედ ობიექტებს შორისი კორელაციაც გამორიცხებულია: ერთმანეთისგან სრულიად იზოლირებული ნივთები აუცილებელ კავშირს საკუთარ თავთანაც კი არ კრავენ, რაკი ცარიელ სიმრავლეს უბრალოდ არა აქვს იმის უნარი რაიმესთან იდენტიფიცირება მოახდინოს, საკუთარი თავთან თვითიგივეობის დადგენის ჩათვლით [11: 60]. ყველაფერი, ობიექტი იქნება ეს, ობიექტთა

გიორგი ხარინაშვილი

შორისი მიმართება თუ რაიმე პროცესი, შემთხვევითია; მხოლოდ შემთხვევითობაა აუცილებელი. რაღაც იმიტომ ხდება აუცილებელი და გარდაუვალი, რომ ქაოსში შემთხვევითობა ტოტალურია და მას შეუძლია თვითშეზღუდვით წმინდა ქმნადობაც დაასრულოს და „მუდმივად“ აქციოს, განვითარების პროცესი მოულოდნელად შეწყვიტოს და ამით, რაც პათოლოგიად, ნორმიდან გადახრად და სიმახინჯედ ითვლებოდა არსებობისა და ქცევის ახალ სტანდარტად დაადგინოს [11: 66-67].

იგივე შეგვიძლია ვთქვათ დროსთან დაკავშირებითაც. კორელაციონიზმი, რადგან არ შეუძლია გავიდეს ჰუსერლიანური ფენომენოლოგიის გამოცდილების მიღმა, წინარე-ისტორიულ ეპოქასაც თანამედროვეობის ანალოგიურად განიხილავს, ანუ წარსული დაჰყავს ამჟამინდელი სუბიექტისგან დროში დაშორებაზე. როგორ შეიძლება გვქონდეს მეცნიერული ცოდნა „ადამიანის წარმოშობაზე“, თუ შემეცნების ტრანსცენდენტური სუბიექტი მხოლოდ ადამიანური ცნობიერების ინვარიანტული სტრუქტურაა? გამოდის, რომ ასეთი ცოდნა არაა მეცნიერულად ჭეშმარიტი; რასაც მეცნიერულ ცოდნას ვუწოდებთ, რეალურად კორელაციონისტური აზროვნებით მიღებული „თვალსაზრისია“. აქედან მეიასუ აკეთებს დასკვნას, რომ ტრანსცენდენტური სუბიექტს არ შეუძლია გადააბიჯოს იმ საზღვრებს, რომელიც მას ემპირიულმა სუბიექტმა დაუწესა. ტრანსცენდენტური აზრი ფენომენალური ჩიხიდან ვერ გადის, მეტაფიზიკური თუ მეცნიერული ჭეშმარიტების წიაღში, შემთხვევითი გადაწყვეტილებები და გარემოებებით განპირობებული დათქმები ბუდობს.

თუ სუბიექტურობის კვალს სამყაროში დაფუძნების შეუძლებლობის მიუხედავად მაინც ვპოულობთ, უნდა ვიფიქროთ, რომ მისი ყოფნა შემთხვევითია. გამომდინარე იქიდან, რომ სუბიექტურობის სწორედ შემთხვევითი ფორმები ქმნიან ფენომენტა ჩენისთვის პირობებს, ყოველგვარი მტკიცება აუცილებელ არსებობაზე ალოგიკურად და უსაფუძვლოდ უნდა ჩაითვალოს. „აუცილებლობა“ და „უნივერსალურობა“ შემთხვევით აწმყოში აღმოჩენილი ემპირიული სუბიექტის რეტროსპექტული აზრია, რომელსაც პრეტენზია პროცესების მხოლოდ ზედაპირულ აღწერაზე შეიძლება ჰქონდეს.

რეი ბრასიე - ტრანსცენდენტური ნიჰილიზმი

დერიდასთვის პოსტსტრუქტურალისტური, პოსტმოდერნისტული ცნობიერება „დასასრულის დასასრულით“, აპოკალიფსის შეუძლებლობით განისაზღვრება [1: 133], რაც ინდივიდუალურ სუბიექტს, განსხვავებებით თამაშის სივრცეს უტოვებს. პოსტმოდერნისტი თავს უფლებას აძლევს ყველაფრისადმი ირონიული იყოს, რადგან საწყისის პრობლემა მოხსნილია და უაზრობაა ცხოვრება ესქატოლოგიური მომავლის შიშით. თუმცა, რა დაემართება იმედს, თუ ამოსავალ წერტილად არა საწყისს, არამედ დასასრულს ავიღებთ და აღმოვაჩინოთ, რომ სწორედ ეს უკანასკნელია არსებობის გააზრების საფუძველი, მით უფრო მაშინ, თუ გასაგები ხდება რომ მისი შინაარსი გარდაუვალი დალუპვა და სრული არარობაა?

ბადიუს დებულებამ, რომ ონტოლოგია მათემატიკაა, ყოფიერება კი - ცარიელ სიმრავლეთა არაკონსისტენციური მრავლობითობა, ბოლომდე მიიყვანა სამყაროს განჯადობის მოდერნისტული პროცესი. მარქსის ცნობილი პერიფრაზი რომ მოვახდინოთ, ფილოსოფოსები აქამდე რაციონალურად განმარტავდნენ ფენომენტა სამყაროს, საქმე კი ისაა, რომ ჩვენ ის შევცვალოთ - არა მისი ონტოლოგიური საყრდენის პოსტმოდერნისტული დეკონსტრუქციით, არამედ სრულიად დესაკრალიზებული, ნეგატიური, ცარიელი საწყისის აფირმაციით. თუ ბადიუს აქედან ოპტიმისტური დასკვნა გამოაქვს, რომ თითქოს ამ პარადოქსული სიცარიელის ყოფიერებაში შემოჭრა, ხდომილება სათავეს უდებს სუბიექტის ჩამოყალიბებას, ბრასიეს დასკვნები

რადიკალურად ნიჰილისტურია. დელიოზიანურად წაკითხული ნიცშეს „ნება ძალაუფლებისკენ“ არის „ნება არარასკენ“. არარა კი, როგორც განუსაზღვრელი უარყოფა, ერთმანეთისგან განურჩევლს ხდის ყოფიერებასა და ქმნადობას, ჭეშმარიტებასა და მცდარობას. გამოდის, რომ ქმნადობა, მატერია, სული, ყოფიერება - ყველაფერი ერთ სიბრტყეში ექცევა და შესაბამისად, რაც ემართება მატერიას, ის დაემართება სულსაც, ასეთი რამე რომც არსებობდეს [6: 216].

ბრასიე ნიცშეს უკანასკნელ იმედს, „მარადიულ დაბრუნებასაც“ უარყოფს, რითაც ღირებულებების გადაფასების თუ შეფასების ძალით ქმნადობაზე ყოფიერების აღბეჭდვას გამორიცხავს [6: 218]. მარადიული დაბრუნება იგივესი გულისხმობს რაღაც ისეთის კვლავ განმეორებას, რასაც ადგილი ჰქონდა ჩვენამდე, განუსაზღვრელ წარსულში, თუნდაც ეს „რაღაც“ სრულიად კატასტროფული ყოფილიყო. გაუგებარია, რა აზრი აქვს ნების ძალისხმევას, ქმნადობაში ყოფიერების ვლენის პირობები შექმნას, თუ მოვლენილი იმთავითვე ნეგატიურ შინაარსს ატარებს?

მას შემდეგ, რაც ნიცშეს მიერ ნიჰილიზმის ვერგადალახვაში დარწმუნდება, ლიოტარზე დაყრდნობით, ბრასიე ტრანსცენდენტურ ნიჰილიზმს მიადგება. კაცობრიობა აცნობიერებს, რომ მთავარი ხდომილება, კოსმოლოგიური კატასტროფა, რაც სრული აუცილებლობაა - მომავალში უკვე მოხდა [6: 223, 228]. ჩვენ ვიცით, რომ შორეულ მომავალში მზე თეთრ ჯუჯად გადაიქცევა და ჩაქრება, ზემასიური ვარსკვლავები - შავ ხვრელებად იქცევა, ელემენტარულ ნაწილაკებად დაშლილი სამყაროს ტემპერატურა კი - კელვინის შკალაზე აბსოლიტურ ნულს მიუახლოვდება. ასეთი მომავალი, რამდენადაც სრულიად პროგნოზირებადია და რომელიც პრინციპის თვალსაზრისით, უკვე დადგა კიდევ, რეტროსპექტულად აუქმებს არა უბრალოდ რაიმე იმედს, ან პროგრესის იდეისადმი რწმენას, არამედ ყოველგვარ კორელაციას ლიცი-სა და ფსიცი-ს შორის. „ცისფერი პლანეტა“ ჯერ კიდევ კოსმიური მტერის სტადიაზე იყო განწირული დასაღუპად და „ყოველი იმპრისი, რაც კი დედამიწაზე დახობავს“, ადამიანის, „შემოქმედების გვირგვინის“ ჩათვლით, რამდენადაც მომავალი კოსმიური კატასტროფის ნეგატიური სახეებია, უაზრო არსებობაზე დაიყვანება; საყოველთაო ანიჰილიაცია ნივთთან ერთად აზრსას აქრობს და გვაუწყებს, რომ აზრიც ნივთია და ნივთთან ერთად სრულ განულებას ექვემდებარება [6: 2007, 224].

ლევია ბრაიანტისა და გრემ ჰარმანის ობიექტზე ორიენტირებული ონტოლოგია

ობიექტზე ორიენტირებული ონტოლოგია წარმოადგენს სპეკულაციური რეალიზმის რადიკალურ მოდიფიკაციას, იმ თვალსაზრისით, რომ მასში სუბიექტურობის ყოველგვარი ფორმა გაუქმებულია და მთელი ყურადღება ობიექტებზეა მიპყრობილი. აქ არ იგულისხმება ჩვენთვის ნაცნობი ობიექტი, რომელსაც სუბიექტურად დადგენილ, კლასიფიკაციურ ჯაჭვში ჩასმულ და ნაწილებისგან შემდგარ მთლიანობად გავიაზრებთ. სპეკულაციური რეალიზმის გადასახედიდან, ეს მხოლოდ ანთროპომორფული წარმოდგენაა და არაფერს გვეუბნება ნამდვილად ობიექტური, უსუბიექტოდ, უადამიანოდ დარჩენილი სამყაროს შესახებ.

ობიექტში ჰარმანი გულისხმობს სპეციფიურ ერთეულებს, რომლებიც ავტონომიურები არიან, როგორც ჩვენთან ასევე ერთმანეთთან მიმართებაშიც; ჰაიდეგერს მიაჩნდა, რომ ყოფიერების ზოგადი პრობლემების კვლევა შესაძლებელია ადამიანის არსებობასთან, ეკზისტენციურობასთან კავშირში. მის საპირისპიროდ კი, ჰარმანი „წმინდა საგნობრიობის“ ანალიზს ეწევა და ამით უარს ამბობს საგანთა ადამიანური ასპექტით განხილვაზე. აზროვნების დეჰუმანიზაცია, თავის ლოგიკურ განვითარებაში ანთროპოცენტრული სამყაროს უარყოფიდან, ზოგადად ცენტრირებულობის, ყველაფრის რაიმე ერთ საფუძველზე დაყვანის თეზისის უკუგდებად მიდის, თუნდაც ეს საფუძველი „მატერია“ ან „არარა“ იყოს. ამრიგად, გრანტი მიდის დასკვნამდე რომ დეჰუმანიზირებული აზროვნება არა მხოლოდ „სულიერი“, არამედ „მატერიალური“ საწყისისგანაც უნდა გათავისუფლდეს. ობიექტებს არ გააჩნიათ არავითარი

საერთო საფუძველი, რაც მათი ქცევის უცნაურობას განაპირობებს [8: 22, 24]. გრანტისგან განსხვავებით, ჰარმანი ფენომენთა საყრდენად უწყვეტ პროცესუალურ მატერიას კი არ აცხადებს, არამედ სუბსტანციათა მრავლობითობას, რაიმე გამაერთიანებელი ნიშნის გარეშე.

მოდერნის მეცნიერებამ, საგანი მოვლენად გაიგო და ობიექტი მცდარად უწოდა იმას, რაც სუბიექტს ევლინება ანუ იმ თვისებებსა და მიმართებებს რაც პროცესებსა და საგნებს „ახასიათებს“. ასეთ ვითარებაში საქმე გვაქვს არა ობიექტებთან, არამედ ობიექტურობასთან, რომელიც სუბიექტს უზრუნველყოფს ტექნიკურად გამოთვლადი და მაშასადამე ინსტრუმენტალიზებადი გარემოთი. გამომდინარე იქიდან, რომ „გასაგნებული“ „საგნის“ იგივეობრივი არ არის, ჰარმანი წმინდა ცნების მოსაცემად, ობიექტს წმენდს ინტერსუბიექტური მიმართებებისა და სუბიექტური „სადი აზრის“ მიერ მიწერილი თვისებებისგან. უთვისებო ობიექტთა მრავლობითობა შეუძლებელს ხდის მათ დალაგებას რაიმე იერარქიული პრინციპის მიხედვით და განურჩევლად ყველას, თანაბარი ყურადღების ღირსად მიიჩნევს [10: 6, 37].

ჰარმანის ბრტყელ ონტოლოგიაში ობიექტებს არ აქვთ აზრი, რადგან საგანს დაკარგული აქვს კავშირი მის კორელატთან, არსთან. გარდა ამისა, მათ მნიშვნელობაც არ აქვთ, რადგან არ არსებობს რაიმე სისტემა, ან სტრუქტურა, რაც მათ სემანტიკურობას შესძენდა ელემენტთა თანრიგში დაკავებული ადგილიდან გამომდინარე. მათი თანაარსებობა არანაირი კანონზომიერი კავშირით არაა უზრუნველყოფილი, იზოლაციურია და სპობს აუცილებელ-სინთეზური კავშირების დამყარების შესაძლებლობას [10: 12].

როცა ფიზიკურ, კულტურულ თუ გამოგონილ ობიექტთან შეხების გამოცდილებას აღწერთ, ამ დროს საქმე გვაქვს არა რეალურ ობიექტებთან, არამედ სუბიექტურ წარმოდგენებთან, რასაც გრძნობად ობიექტებს ვუწოდებთ. ამ „გრძნობადი ობიექტებისგან“ განსხვავებით რეალურ ობიექტებს საკუთარი შინაგანობა გააჩნიათ [11: 78]. მათთან მიახლოება, მხოლოდ არაპირდაპირი გზით, სუბიექტურად მიწერილი, გამაშუალებელი „მახასიათებლების“ უკან დახვევის შემთხვევაში შეიძლება [11: 62].

ობიექტების იზოლირებულება იმას ნიშნავს, რომ მათი უშუალო კონტაქტში შესვლა არ ხდება არა მარტო სივრცეში, არამედ დროშიც. არსებობენ მხოლოდ ობიექტები, დრო კი ცარიელი, არაონტოლოგიური და აბსტრაქტულია. მისი შემოტანის საჭიროების საკითხი დგება მხოლოდ მოხერხებულობიდან, სიმარტივიდან გამომდინარე, თორემ მისი სტატუსი ოპციონალური დამატების იქით არ მიდის.

შესაძლოა გვეფიქრა, რომ ეს წმინდა მრავლობითობა, როგორც იგივეობის პრინციპს მოკლებული სრული არარა, მოიხსნება ნეგატიური სამუშაოს ძალით, რაც დიალექტიკური გზის გავლით საფუძველს მოუშაადებს ახალი ტიპის ნეგატიურ სუბიექტურობას. თუმცა, სპეკულაციური შემობრუნება სუბიექტურობის, როგორც პრივილეგირებული განსხვავებული ფორმის პრიმატისთვის ნებისმიერი საფუძვლის გამოცლას გულისხმობს, ნეგატიურის ჩათვლით. ნეგატიურობა ვერ ჩაეწერება ყოფიერებაში იმ მიზეზით, რომ ჯერ ერთი, არანაირი ყოფიერება თავისთავად არ არსებობს, მეორეც ამ მრავლობითობის ერთადერთი მახასიათებელი, განსხვავება, არა ნეგატიური, არამედ პოზიტიური და აფირმატიულია [8: 265-266]. ეს განსხვავება არის არა მიმართება მყოფთა შორის(სულ ერთია ეს შორისობა მოუდის სუბიექტ-ობიექტს, ობიექტ-ობიექტს თუ სუბიექტ-სუბიექტს), არამედ ყოველივეს ერთ სიბრტყეზე დამტვევი ონტიური პრინციპია [8: 267-268]. განსხვავებებისა და ობიექტების ერთმანეთში გადასვლა მეზიუსის ლენტზე მოძრაობას ჰგავს: ობიექტი სხვა არაფერია თუ არა სტრუქტურირებული განსხვავებები, თუმცა რადგან ეს ობიექტები არ არიან თვითიგივეობრივნი, მათი სტრუქტურებიც მხოლოდ ამ განსხვავებებით უნდა იყოს აგებული.

იუჯინ ტაკერი და დილან ტრიგი - საშინელების ფილოსოფია

თუ სპეკულაციურ რეალიზმში აქამდე „ნივთი თავისთავადისა“ და „ნივთი ჩვენთვის“ შორის ონტოლოგიური ნაპრაღის მოხსნის მცდელობებს ვხედავდით, - იუჯინ ტაკერი პოსტ-ადამიანურ ფილოსოფიას ურჩევს ყურადღება მიაქციოს აქამდე ჩრდილში მდგარ „სამყაროს ჩვენს გარეშე“, რასაც ის შემოკლებით „პლანეტას“ უწოდებს [13: 13]. სწორედ ეს უცნაური და მოუაზრებელი „უჩვენო სამყარო, ჩვენში რომ ლავკრაფტიანული „კოსმიური საშინელების“ განცდებს იწვევს [13: 15]. ის რომ სამყარო ჩვენს გარეშე იარსებებს, ხაზს უსვამს ჩვენი არსებობის, როგორც სახეობად ყოფნის შემთხვევითობას. სამყარო ჩვენს გარეშე მოგვაგონებს ჟიულ ლაფორგის პლანეტა დედამიწას, ცისფერ უსასრულობაში გადაგდებულ უმწეო ბირთვის, სადაც აწმყო საშინელებაა, „ბუნება შემზარავია. ყველაფერი ჭუჭყიანია და ყვითელი. მზე ხან სისხლს ანთხევს, ხან კი დუქნის დახლზე მიმხმარ ფურთხს ემსგავსება“ [2: 42]. ლაფორგისა და ლავკრაფტის მწერლური ინტუცია ხვდება, რომ უადამიანოდ დარჩენილი სამყარო არ ექვემდებარება ადამიანური ენით აღწერას. რეპრეზენტაციის მიღმა გასულ სინამდვილეზე ლაპარაკი მხოლოდ ცნობიერების მიერ რეპრესირებული საშინელებათა ხატებით შეიძლება [13: 93].

ტაკერის მიერ განხილული ლავკრაფტიანული საშინელებები ჰგავს სუბიექტურობის უარყოფელ და სამყაროს ობიექტური სტრუქტურის დამანაწევრებელ სიურეალისტურ ობიექტებს, რომლებიც „აუცილებლად სახეცვალებადია, რადგან ასახავს სამყაროს გადაბრუნებულ მოწყობას და შეიცავს საკუთარ წინააღმდეგობრიობას“ [3: 304].

როცა სუბიექტის მხერა კარგავს პრივილეგირებულ მდგომარეობას, ცნობიერებას ეჩვენება რომ სარკეში თვითონ კი არ იყურება, არამედ თვითონაა საგანი რომელსაც სარკის მიღმური რეალობიდან უყურებენ. ასეთი განცდა გვეუფლება, როცა ჩვენი ეგო ვედარ უძლებს არაცნობიერი ლტოლვების მოწოლას და იშლება. „ობიექტები, რომლებიც აქამდე ჩვენი ცხოვრების უწყინარი ფონი გვეგონა, უცნაურ აურას იძენს. სუბიექტური პროექციებისგან დაცლილ, უადამიანო ნანგრევებში რაც რჩება, არის „მატერიის ცხოველურობა“, „უსახელო მასა,“ რომელზეც დარწმუნებით მხოლოდ ის შეგვიძლია ვთქვათ, რომ „ის ცოცხლობს“ (Trigg 2014, 28). ყოფიერებასთან კავშირგაწყვეტილი სხეულები შეუძლებელია არ იყვნენ „უფორმო და უსახური“, რადგან ფორმა და სახე არსის ატრიბუტებია და არა მარად მედინი ქმნადობისა. ასეთი „სხეული ორგანოების გარეშე“, არ შეესაბამება მატერიალურობის რაციონალურ მოთხოვნას; მისი ნაპირებიდან მუდამ იღვრება მატერია, ლორწოვანია და იმისკენ ილტვის, რომ ყველაფერი თავის მასაში მოაქციოს. ის საშინელია, რადგან მუდამ ჭარბადაა, ყველა პირობაში ადაპტირებადია და უფორმობის მიუხედავად ნებისმიერ ფორმას იმიტირებს. ცხადია, საქმე გვაქვს მატერიალურობის ემპირიულად დაუკვირვებად, არასიმბოლიზებულ რეალობასთან, რომლის მიმართაც ჩვენი უუნარობა - ჩაწეროთ და ადგილი მივუჩინოთ, ზრდის მის ზემოქმედების ეფექტს. ეს ის რეალობაა, რასაც ჰალუციანაციებისას ვხედავთ, ანუ რაც აქტუალური ხდება ცნობიერების დაბინდვის შემთხვევაში. ამავე რეალობას ეკუთვნის, ბავშვის მიერ სამყაროს და მისი სხეულის არადიფერენცირებული აღქმა. თუ პირველ შემთხვევაში სუბიექტურობის გაუქმება ააქტიურებს რეპრესირებულ, რაღაც წინარე-სუბიექტურს. მეორე შემთხვევაში, საქმე გვაქვს აქტიური ქმნადობის ფაზაში მყოფ სხეულთან, რომელსაც ჯერ სუბიექტივაცია არ განუცდია. საკითხს რომ მეტი ნათელი მოვფინოთ, სიცოცხლის ევოლუციას უნდა გავადევნოთ თვალი. ადამიანის გაჩენას წინ უძღვის სხეულის ფორმათქმნადობის უზარმაზარი პერიოდი, დაწყებული ერთუჯრედიანი ორგანიზმებიდან, ტრილობიტების, ცარცული პერიოდის ურჩხულების გავლით, ვიდრე დღევანდელ, ტექნოლოგიურ მოდიფიციკაციებს გამოვლილ, კიბორგს დამგვანებულ ადამიანის სხეულამდე. დღევანდელი ადამიანი,

არა მარტო მათი გენების, არამედ მათი ინსტინქტებისა და ლტოლვების მატარებელია. ცალკეული ხმალებილა ვეფხვის სიკვდილი, თუ დინოზავრების მთელი რიგი სახეობების გადაშენება არ ნიშნავს იმას, რომ მათ სხეულთა მატერიალური საფუძველი, ვიტალური ენერგიების რეზერვუარი ანუ სხეულებრიობა, უკვალოდ გაქრა. პირიქით, ის მუდამ აქ იყო და მაშინაც კი როცა თავს უნივერსალურ რაციონალურ სუბიექტად წარმოვიდგენ, ხელსაყრელ მომენტს ელის, ცნობიერების ნაპრალებიდან და ბრმა ხალებიდან შემოსაჭრელად.

მერლო-პონტი სუბიექტურობამდელ სხეულს, რომელიც მე არ მეკუთვნის, მაგრამ ყოველთვის აქ იყო, როგორც ჩემი სუბიექტურობის გაჩენის წინაპირობა, ხორცს უწოდებს. საკმარისია ჩემს სხეულს ესთეტიკური თვალსაზრისით არაოპტიმალური მანძილით, ახლოდან შევხედო, რომ „მოხდენილობის“ უკან ხელში ხორცი შემრჩება [14, 101-102]. ეს ხორცი ცალკეული ნივთი არაა, გამოცდილებაში რომ მომეცეს. მე კი არ ვხედავ მას, არამედ ზღვრულ სიტუაციებში, როცა არადამიანურ სინამდვილეს ვეჯახები, თავად იჩენს თავს, როგორც ჩემს, ასევე სხვათა სხეულებში ღრმად გამჯდარი რეალობა და მუდამ იმ „უხსოვარი წარსულის“ დაბრუნებით იმუქრება, როცა სუბიექტურობა არ იყო და ირგვლივ მხოლოდ „განუწილველ“ ქაოსს დაესადგურებინა.

არარას გატოტალურება ყოველგვარ მუნყოფიერს მარტივ ყოფნაზე დაიყვანს, უბრალოდ არსებობაზე და იმასაც ვერ ვიტყვით რომ ეს „რადაც“ მატერიალურია, რადგან აზროვნების დეჰუმანიზაციის მთავარი პირობა, რაიმეს ნებისმიერ ერთ საწყისზე დაყვანის შეუძლებლობაა. ყოფნის ასეთი, უსასრულოდ საკუთარ თავში ჩაკეტილი მდგომარეობა, ზრდის გაურკვეველობას. ამ გაურკვეველი „რადაცის“ შესახებ ვერ ვიტყვით როგორია, რამდენ განზომილებიანია, რატომაა რომ თავისი უცნაურობით, კიდევ მნუსხავს და კიდევ მზარავს. მედუზა გორგონას მსგავსად მისი მხერით გამოწვეული აფექტი იმდენად ძლიერია, რომ მის წინაშე მდგომი პარალიზდება და ლოტის ცოლის მსგავსად „მარილის სვეტად“ იქცევა. ამ თავს დამტყდარი საშინელების წყარო არის სტიქიათა ისეთი ხლართი, რომელიც არ იმყოფება სტრუქტურულ მდგომარეობაში ან ჯერ კიდევ არ მიუღწევია განსაზღვრული ფორმისთვის; ვიღებთ მახინჯ, საშინელ ფიგურაციებს, რომლებიც ონტოლოგიური თვალსაზრისით, ყოფიერებაში შემოჭრილი არსებობის წმინდა პოტენციალობებია [14, 133]; მათი დაუნდობლობა და სისასტიკე, არა მეტაფიზიკური ბოროტებიდან ან სუბიექტური მიზანშეწონილობიდან, არამედ ძალთა სტიქიურობიდან და ადამიანური ექსისტენციალობის არმცოდნე გულგრილობიდან გამომდინარეობს.

ტაკერი გვაფრთხილებს, რომ ნამდვილი კოსმიური საშინელება რაიმეს შიშში ან სიკვდილისადმი ძრწოლაში არ ავურიოთ. ნამდვილი საშინელება, პირიქით, სიკვდილის შეუძლებლობაა. ბიოპოლიტიკის ანალიზს ტაკერი [12] მიჰყავს დასკვნამდე, რომ დეჰუმანიზაციის ტენდენციები, სიცოცხლის ხრწნაში, სოციალურ კონტექსტში კი საზოგადოების პოლიტიკური სხეულის ჩამოშლასა და მდუმარე უმრავლესობის ბიომასად გადაქცევაში ვლინდება. ბიომასას, რამდენადაც გამოცლილი აქვს სუბიექტურობის მახასიათებლები, ინდივიდუალურობის ჩათვლით, მეტაფორულად ზომბი გამოხატავს. „შიშველი სიცოცხლე“, იმ პირობებში, როცა აღარაფერია მყარი და გასაგები, რაიმე ერთ არსზე დაუყვანადობის გამო, ხდება „მოსიარულე მკვდარი“, რადგან საწყისთა აღრევა, სიკვდილის სიცოცხლისგან განურჩევლობას, კოსმიური საშინელების დადგომას განაპირობებს.

დასკვნა

თუ მოდერნმა ყოველგვარ თვისებრიობის რაოდენობრიობაზე დაყვანა და მათემატიკის ენაზე მოთარგმნა დაიწყო, პოსტმოდერნმა ასეთი რედუქცია რეპრესიულად მიიჩნია და მოდერნის მიერ უგულებელყოფილი სემანტიკური ერთეულების დაუსრულებელ რეპლიკაციას მიჰყო ხელი. შედეგად მივიღეთ სიმულირებული რეალობა, სადაც რაიმეს დათვლა და

აზროვნებას მნიშვნელობა ეკარგება. ამიტომ ბადიუს ერთადერთ გამოსავლად მიაჩნია, მივუბრუნდეთ მოდერნის ფუნდამენტურ პარადიგმას და $\mu\alpha\theta\eta\sigma\iota\varsigma$ -ის რეაბილიტაცია მოვახდინოთ. ოღონდ, განსხვავებით გალილეოსაგან, არა მოვლენების და მთელი ფიზიკის ანუ ონტიურის, არამედ ყოფიერების და ონტოლოგიის მათემატიზება უნდა მოვახდინოთ. გრანტი შორდება კანტს, განმანათლებლობას და ბრუნოსა და სპინოზას სუბსტანციონალიზმს უბრუნდება, რომლის მიხედვითაც ნებისმიერი ფორმა, იქნება ეს სული, სუბიექტი თუ ობიექტი, ერთადერთი ჰიპოთეტური სუბსტანციის, მატერიის შემთხვევითი არსებობაა [8: 39]; მეიასუს ანტიკორელაციონიზმი ზურგს აქცევს განმანათლებლობის უტოპისტურ პროექტებს, cogito-ს, მაგრამ გალილეოსა და კოპერნიკის შემთხვევითობის კონცეფციების რადიკალიზებას ახდენს. ჰარმანი და ბრაიანტი, უარყოფენ ჭეშმარიტების ცნებას, თუმცა, პოსტმოდერნისტებისგან განსხვავებით, მათი აგნოსტიციზმი არა რეალობის უარყოფას, არამედ მის სიჭარბეს ემყარება [10: 192]. ამ სიჭარბეს კი იზოლირებულ ობიექტთა სიმრავლე ქმნის. როგორც ვხედავთ პოსტმოდერნისტების ჰიპურ-ეპიკურელობას პანკ-ფილოსოფოსთა დემოკრიტეს ატომიზმი ცვლის, ვისთვისაც ყველაფერი მხოლოდ ატომები(აქ: ობიექტები) და სიცარიელეა. ტრიგთან და ტაკერთან დეკუმანიზირებულ სამყაროში ჩვენს გარეშე, ინიციატივა ობიექტების ხელში გადადის, იწყება კოსმიური საშინელების ეპოქა, მკვდრეთით აღმსდგარი ხორცითა და ზოგების ცხოველურობით.

სპეკულაციური რეალიზმის მიზანი სუბიექტის და სუბიექტურობისთვის ყოველგვარი საფუძვლის გამოცლაა. განსხვავების ონტოლოგიური პრიმატი აქ მეტაფიზიკურ სიმადლეზე აიყვანება: ნივთი არსებობს, რადგან ის განსხვავებულია და არანაირი მნიშვნელობა არ აქვს რისგან არის ის განსხვავებული. ონტოლოგიური ნაპრალი, რამდენადაც აბსოლიტური ნულია, სრულიად განურჩეველია როგორც კონტექსტის ასევე მასთან შეხებაში მყოფი ნივთების მიმართ. არარას იზოტროპულობა ერთ სიბრტყეზე აყენებს „ღმერთი-ადამიანის“, „სუბიექტ-ობიექტის“, „შინაგანი-გარეგანი“-ს და „ინფუზორიასა და სამართლიანობას“ შორის განსხვავებებს. თუმცა, „ობიექტთა დემოკრატიის“ პროექტი, ტრიგის და ტაკერი საშინელების ფილოსოფიაში კრახით სრულდება. აზროვნების დეკუმანიზაცია თანაბარ ურთიერთობებათა მაგიერ ობიექტთა საშინელ აღზევებასა და პირამიდის ამოყირავებას იწვევს, სადაც მზის ადგილს შავი ხვრელების მრავლობითობა იკავებს. სპეკულაციური რეალიზმი, რასაც ნიადაგი ბადიუს ფილოსოფიამ მოუმზადა ჯდება მატერიალისტური და მოდერნისტული პარადიგმის ფარგლებში, რაც იმას ნიშნავს, რომ პოსტმოდერნიზმის გადალახვა აქ მოდერნის ალტერნატიულ გაგებას გულისხმობს. სპეკულაციური რეალიზმი, უარყოფს ტრადიციულ მეტაფიზიკას, პოსტმოდერნიზმის ანტი-მეტაფიზიკას და მთელ განმანათლებლობას. თუმცა, რაც აქ ვერ გადაილახა, ეს მოდერნის პარადიგმაა და ამ თვალსაზრისით, ეს „ტრენდული“ მიმდინარეობა უბრუნდება XVI-XVII საუკუნეთა სპეკულაციურ და მექანიცისტურ აზროვნებას, თავისი საინტერესო, თუმცა ოდიოზური „ვიზიონებით“.

*PHILOSOPHICAL THINKING IN THE 21ST CENTURY
ETHNOS-SOCIETY-HISTORY-MODERN CHALLENGES*

**SPECULATIVE TURN - A PHILOSOPHICAL TREND OF THE 21ST
CENTURY**

GIORGI KHARIBEGASHVILI

e-mail: kharibegashviligiorgi@gmail.com

Doctor of Philosophy, Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ABSTRACT:

Speculative realism arises from the assertion of a pure multiplicity as the only and universal existence, although due to the uncountable, irrational and non-structural nature of that only reality, speculations on it are impossible to convey as a unified conception.

Under the "speculative turn" in continental philosophy, such philosophical theories (the object-oriented ontology of Harman, the anti-correlationism of Meillassoux, the transcendental materialism of Grant, and the transcendental nihilism of Brassier) are united; Beside that, the philosophy of horror of Thaker and Trigg shares the spirit of the same trend. The aim of the present study is to outline the common features and fundamental differences in this new speculative, materialist trend in order to prepare the ground for their adequate understanding and critique. This will help us avoid carrying away by another "fashionable" theory and copying it based on a superficial acquaintance with it.

The "Democracy of Objects" project culminates in a crash in the philosophy of horror. Dehumanization of thinking leads to the terrible rise of objects instead of equal relations. Speculative realism rejects traditional metaphysics, the anti-metaphysics of postmodernism, and the entire Enlightenment. However, what has not been overcome here is the paradigm of modernity, and in this sense, this "new trend" returns to the speculative and mechanistic thinking of the XVI-XVII centuries, with its interesting, though the odious "visions".

KEYWORDS:

postmodernism, speculative realism, speculative turn, nihilism, materialism, philosophy of horror

ბიბლიოგრაფია:

1. გროსი, ბორის. სტალინიზმის ტოტალური ხელოვნება, გამომცემლობა, GCU Press 2017.
2. კვესელავა, მიხეილ. პოეტური ინტეგრაციები, „საბჭოთა საქართველო“, თბილისი 1977.
3. სარტრი, ჟან-პოლ. რა არის ლიტერატურა? აგორა, თბილისი 2022.
4. Badiou, Alain. Second Manifesto for Philosophy, Polity Press 2011.
5. Brassier, Ray. The Enigma of Realism: On Quentin Meillassoux's After Finitude, (Collapse V 2. P.15-54), 2012.
6. Brassier, Ray. Nihil Unbound: Enlightenment and Extinction, London: Palgrave Macmillan 2007.
7. Bryant, Levi R. The Democracy of Objects. Series: New Metaphysics. Open Humanities Press. An imprint of Michigan Publishing, University of Michigan Library, Ann Arbor 2011.

-
8. Bryant, Levi R., Srnicek N., Harman G. The Speculative Turn. Continental Materialism and Realism. Re.press Melbourne 2011.
 9. Grant, Iain Hamilton. Philosophies of Nature After Schelling, London, Continuum 2006.
 10. Harman, Graham. Object-Oriented Ontology: A New Theory of Everything, Pelican 2018.
 11. Meillassoux, Quentin. After Finitude: An Essay on the Necessity of Contingency, Continuum 2008.
 12. Thaker, Eugen. Nomos, nosos and bios in the body politic. Culture Machine, Vol 7 (2005).
 13. Thaker, Eugen. In the Dust of This Planet (Horror of Philosophy Vol. 1), Zero Books 2011.
 14. Trigg, Dylan. The Thing. A Phenomenology of Horror, Zero Books, 2014.

21-ე საუკუნის ფილოსოფიური აზროვნება ეთნოსი - საზოგადოება - ისტორია - თანამედროვე გამოწვევები

ტერიტორიული გაფართოების სომხური გეგმები (სომხეთის ცენტრალურ სახელმწიფო არქივში დაცული დოკუმენტების მიხედვით)

თამაზ ფუტყარაძე

ელ-ფოსტა: txil1968@gmail.com

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
პროფესორი ეთნოლოგიის მიმართულებით

აბსტრაქტი:

კავკასიის დამოუკიდებელი სახელმწიფოების ჩამოყალიბების შემდეგ მთელი სიმწვავით დადგა ტერიტორიული საზღვრების გამიჯნვის საკითხი. მხარეთა შორის კომპრომისის უნარის არქონამ განაპირობა სომხეთ-საქართველოს საომარი კონფლიქტი, თუმცა ვერც ამ ომმა გადაწყვიტა სასაზღვრო დავეების პრობლემა. ლორე ნეიტრალურ ზონად გამოცხადდა, ხოლო ახალქალაქი დარჩა საქართველოს შემადგენლობაში.

კავკასიის რესპუბლიკებს შორის არსებულ პრობლემებს 1920 წლის ოქტომბრიდან დაემატა თურქეთის აგრესიული პოლიტიკით განპირობებული სირთულეები. სომხეთ-თურქეთის დაპირისპირება ახალ ფაზაში შევიდა. საფრთხე შეექმნა ლორეს ნეიტრალური ზონის ტერიტორიას. ამან განაპირობა საქართველოსა და სომხეთს შორის ხელშეკრულების გაფორმება 1920 წ. 13 ნოემბერს, რომლის საფუძველზე ქართული ჯარის ნაწილებმა დაიკავეს ლორე. წინამდებარე ნაშრომის მიზანია სომხეთის ცენტრალურ სახელმწიფო არქივში დაცული დოკუმენტების (ეს დოკუმენტები ადრე საიდუმლო ფონდებში იყო დაცული. დღეისათვის იგი ხელმისაწვდომია მკვლევარებისათვის) და სამეცნიერო ლიტერატურული მონაცემების საფუძველზე წარმოაჩინოს რეგიონში ჯარის შეყვანის კანონიერება და ზღვაზე გასასვლელის მოპოვებისათვის სომხეთის პოლიტიკურ წრეებში შემუშავებული პროექტების (ხატისიანის პროექტი) უსაფუძლოება. ნაშრომში წარმოდგენილი მასალების სახით სამეცნიერო ბრუნვაში შემოვა ახალი საარქივო დოკუმენტები.

კვლევის მეთოდოლოგიური საფუძველია ობიექტურობის, ყოვლმხრივობის და სისტემურობის უნივერსალური მეცნიერული პრინციპები, ისტორიულ-შედარებითი და ისტორიულ-ტიპოლოგიური მეთოდები.

საკვანძო სიტყვები:

საქართველო, სომხეთი, ზღვაზე გასასვლელი, ხელშეკრულება, დაშნაკური მთავრობა, ლორე, ტერიტორია, საზღვრების გამიჯნვა, კავკასია, ნეიტრალური ზონა.

კავკასიის დამოუკიდებელი სახელმწიფოების ჩამოყალიბების შემდეგ მთელი სიმწვავით დადგა ტერიტორიული საზღვრების გამიჯნვის საკითხი. მხარეთა შორის კომპრომისის უნარის არქონამ განაპირობა სომხეთ-საქართველოს საომარი კონფლიქტი, თუმცა ვერც ამ ომმა გადაწყვიტა სასაზღვრო დავეების პრობლემა. ლორე ნეიტრალურ ზონად გამოცხადდა, ხოლო ახალქალაქი დარჩა საქართველოს შემადგენლობაში.

კავკასიის რესპუბლიკებს შორის არსებულ პრობლემებს 1920 წლის ოქტომბრიდან დაემატა თურქეთის აგრესიული პოლიტიკით განპირობებული სირთულეები. სომხეთ-თურქეთის

დაპირისპირება ახალ ფაზაში შევიდა. 28 ოქტომბერს ოსმალებმა გატეხეს სომხების თავდაცვითი ზღუდე და არტაანის ოლქის ნაწილი მოაქციეს საკუთარი გავლენის ქვეშ. ორიოდე დღეში დაიკავეს ყარსი და ალექსანდროპოლსაც შეუქმნეს საფრთხე. სომხები უმძიმეს მდგომარეობაში აღმოჩნდნენ, ამიტომ დათანხმდნენ საბრძოლო მოქმედებების შეწყვეტას და 3 ნოემბერს ოსმალებს მიმართეს მოლაპარაკებების დაწყების თხოვნით. ოსმალებმა მოლაპარაკებების პირობად ალექსანდროპოლის (გიუმრი) დაცლა მოითხოვეს. სომხეთის არმიის დემორალიზებისა და დეზერტირობის ფონზე სომხეთი იძულებული გახდა მიეღო ოსმალთა ეს პირობაც. ოსმალებმა დაიკავეს ალექსანდროპოლი და სომხებს მთელი შეიარაღების ჩაბარება მოთხოვეს. ფაქტობრივად ისინი ითხოვდნენ სომხეთის სრულ კაპიტულაციას. სომხებმა უარი განაცხადეს იარაღის გადაცემაზე. 11 ნოემბერს ოსმალებმა კვლავ გააგრძელეს შეტევა და დაიკავეს სომხეთის მთლიანი ტერიტორია ერევნის და სევანის ტბის გარდა (მიხეილ ბასილაძე, 1920 წლის ნოემბერი, <http://qronikaplus.ge/?p=18692>)

ოსმალთა გაუგონარმა აგრესიამ საფრთხე შეუქმნა საქართველოსაც. მენშევიკურმა ხელისუფლებამ გამოაცხადა საყოველთაო მობილიზაცია. გაზეთმა „საქართველომ“ 1920 წ. 16 ნოემბერს გამოაქვეყნა დამფუძნებელი კრების მიმართვა, რომელშიც მოსახლეობას აფრთხილებდა მოსალოდნელი საფრთხის შესახებ. მასში ვკითხულობთ: „დაეცა ყარსი, სომხეთის საუკეთესო სიმაგრე. ოსმალებმა დაიჭირეს გიუმრი (ალექსანდროპოლი). სომხეთის უბედურება საფრთხეს უმზადებს საქართველოს თავისუფალ არსებობას.“

ქართველო ხალხო! შენი თავისუფალი, დემოკრატიული სამშობლო ისევ განსაცდელშია და შენგან არჩეული დამფუძნებელი კრება კვლავ თავდაცვისათვის მოგიწოდებს“ (გაზ. საქართველო, 1920 წ. 16 ნოემბერი).

ოსმალთა შეტევამ კვლავ გააცოცხლა ნეიტრალური ლორეს რეგიონის კუთვნილებასთან დაკავშირებული პრობლემები. რეგიონს ოკუპაციის საფრთხე შეექმნა. შესაბამისად გადაწყდა ნეიტრალურ ზონაში ქართული ჯარის შეყვანის აუცილებლობის საკითხი. 1920 წ. 8 ნოემბერს, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროდან სომხეთის ხელისუფლებას გაეგზავნა საპასუხო წერილი, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ საჭირო იყო ნეიტრალური ზონის ჩრდილოეთის საზღვრების გაძლიერებისა და ოსმალთა აგრესიისაგან დაცვის აუცილებლობა, რისთვისაც საჭირო იყო მოლაპარაკებების გამართვა ქართული ჯარის მიერ ნეიტრალური ზონის დაკავების საკითხებთან დაკავშირებით. წერილში უარყოფილი იყო უსაფუძვლოდ გავრცელებული ხმები „თითქოსდა საქართველომ გადაწყვიტა დაიკავოს ნეიტრალური ზონა სომხეთთან მოლაპარაკების გარეშე“ (სომხეთის ცსა, ფ. 114, ს. 11, ფურც. 2)

ქართული მხარე მიზანშეწონილად თვლიდა ჩაბმულიყო ოსმალებთან საბრძოლო ოპერაციებში იმ შემთხვევაში, თუ კი ისინი შეიჭრებოდნენ ნეიტრალური ზონის ტერიტორიაზე. საკითხისადმი ასეთი დამოკიდებულება შედიოდა სომხეთის ინტერესებში. 1920 წლის 9 ნოემბერს ბორჩალოს ნეიტრალური ზონის საუბნო კომისრებს კომისარ ლლონტის ხელმოწერით გაეგზავნა შემდეგი შეტყობინება:

„სომხეთის საზღვრებში თურქეთის შეტევის გათვალისწინებით ნეიტრალურ ზონაში შევა ქართული ჯარი თურქეთისათვის წინააღმდეგობის გასაწევად იმ შემთხვევაში, თუ ისინი გეზს აიღებენ ნეიტრალური ზონისაკენ. ასევე მიზნად ვისახავთ ადგილობრივი მოსახლეობის დაცვას. წინადადებას გაძლევთ იმოქმედოთ ქართულ ჯართან ერთად. თქვენდამი რწმუნებულ უბნებში მოსახლეობას აუხსენით, რომ ნეიტრალური ზონის მმართველობა რჩება იგივე, უფრო

თავაზ ფუტკარაძე

ზუსტად სომხეთისა და საქართველოს რესპუბლიკების მთავარი კომისარიატის სახით. ნეიტრალური ზონის კომისარი გ. ლლონტი (სომხეთის ცსა, ფონდი 114, ანაწ. 2ს, საქმე 56).

ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარემ სპირიდონ კედიამ სომხებს მოუწოდა დათანხმებულიყვნენ საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებას: „თუ სომხეთს არ სურს საქართველოს დამხობა, მან თანხმობა უნდა მოგვცეს“- წერდა იგი (გაზ. „საქართველო“, 1920 წ. 13 ნოემბერი)

სომხებს გადაჭარბებული იმედი ჰქონდათ ვილსონის და დასავლეთის ქვეყნების სხვა ლიდერების მხარდაჭერაზე (მაშინ ხომ სომხეთზე ამერიკის მანდატის საკითხი განიხილებოდა). ამიტომ იყო, რომ დაშნაკები თავიდან არც ერთ მეზობელს აღარ უწევდნენ ანგარიშს და ყველა საერთაშორისო კონფერენციაზე საქართველოს უყენებდნენ ტერიტორიულ პრეტენზიებს (ლ. სარალიძე, სომხეთ-საქართველოს ხელშეკრულება 1919 წელს.

<http://www.nplg.gov.ge/wikidict/index.php/%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A5%E1%>).

შავ ზღვაზე გასასვლელის მოპოვებისათვის ხან საზღვრის მდ. ჭოროხზე გატარების მოთხოვნით გამოდიოდნენ (ხატისიანის პროექტი), (გ. ხატისიანი ჩანაწერი, სომხეთის ცსა, საქმე 12, ან. 2ს., ფურც. 15), ხან კიდევ ბათუმის ნავსადგურის ნაწილის მისაკუთრებას ცდილობდნენ (სცსა, ფ. 1969, აღწ. 4, საქ. 12). ფუჭი აღმოჩნდა იმ ეტაპზე დასავლეთზე მოიმედებოდა. სომხეთის ისტორიის სასკოლო სახელმძღვანელოებში ავტორები ამ ფაქტს „ანტანტის სახელმწიფოების ვერაგული პლიტიკით“ ხსნიან, რომლებმაც „გამარცხეს ისედაც არაფრის მქონე“, მათ მიერვე „სუვერენულ და დამოუკიდებელ სახელმწიფოდ აღიარებული სომხეთი“, მაგრამ არ შეასრულეს დანაპირები და არ გადაუდგამთ არც ერთი პრაქტიკული ნაბიჯი“ სევრის ხელშეკრულების „ცხოვრებაში გატარებისათვის“ (Ц. Агаян, Ш. Арутюнян, А. Мнацаканян, 1988: 69). სახელმძღვანელოს ავტორები რატომღაც გვერდს უვლიან სევრის ხელშეკრულების სხვა პირობებს, რომელიც ითვალისწინებდა ე.წ. დიდი სომხეთის შექმნას მეზობელი სახელმწიფოების მიწების ხარჯზე, რომლის შემადგენლობაში ხვდებოდა ტრაპიზონი და ბათუმი.

ახლად ჩამოყალიბებულმა ქემალისტურმა თურქეთმა არ ცნო სევრის ხელშეკრულება და 1920 წ. ნოემბერში განაახლა საბრძოლო მოქმედებები. სევრის ხელშეკრულება დარჩა ქალაქ-ზე. იგი სომხებისათვის გაცილებით უფრო მეტი უზედურების მომტანი აღმოჩნდა (Ц. Агаян, Ш. Арутюнян, А. Мнацаканян, 1988: 69). თურქეთმა დაასამარა აგრეთვე კილიკიის სომხური სახელმწიფოს შექმნის მცდელობა (Ц. Агаян, Ш. Арутюнян, А. Мнацаканян, 1988: 69).

სომხეთი მარტო აღმოჩნდა მტრის პირისპირ. დამარცხებულმა სომხებმა იკადრეს ეთხოვათ ქართველებისათვის დაეკავებინათ ლორე, რათა დაშნაკებს იქ შეეფარებინათ თავი (სანაცვლოდ, კი სამი თვის შემდეგ სომხებმა ლორესა და შულავერში მოაწყეს აჯანყება და გზა გაუხსნეს საბჭოთა ოკუპაციას).

1920 წ. 13 ნოემბერს საქართველოსა და სომხეთს შორის გაფორმდა ხელშეკრულება, რომლის მიხედვით ლორეს რეგიონში შევიდოდა ქართული ჯარი (ს. კილაძე, 1994:8-9) თუ კი სამი თვის განმავლობაში ვერ მოხერხდებოდა სადავო ტერიტორიის კუთვნილებაზე შეთანხმება, ქართული ჯარი დატოვებდა ნეიტრალური ზონის ტერიტორიას და აღდგებოდა სომხურ-ქართული ადმინისტრაცია. სომხეთის ცენტრალურ სახელმწიფო არქივში დაცულ 114-ე ფონდში საქართველო-სომხეთის სასაზღვრო დავის შესახებ არსებული დოკუმენტებია წარმოდგენილი. ეს დოკუმენტები ადრე საიდუმლო ფონდს განეკუთვნებოდა, მაგრამ მოხდა მათი გამო-საიდუმლება და იგი ხელმისაწვდომი გახდა ყველა დაინტერესებული პირისათვის. ამ ფონდში

დაცულია 1920 წლის 13 ნოემბრის ხელშეკრულება რუსულ ენაზე, რომლის თარგმანსაც ვთავაზობთ მკითხველს:

**„შეთანხმება საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკასა და სომხეთის რესპუბლიკას შორის
ბორჩალოს უეზდის ნეიტრალურ ზონაში ქართული ჯარის
დროებითი შეყვანის თაობაზე**


სომხეთში ანგორის მთავრობის თურქული ჯარების შეტევის გათვალისწინებით, ნეიტრალურ ზონაში შექმნილი საფრთხეებიდან, ასევე საქართველოს უსაფრთხოების ინტერესებიდან გამომდინარე, საქართველოს მთავრობის წინადადებით და ზემოთხსენებული მთავრობების უფლებამოსილებით - საქართველოს მხრიდან: სამხედრო მინისტრის გ. ს. ლორთქიფანიძის და საგარეო საქმეთა მინისტრის ამხანაგის კ. საბახტარაშვილის, ხოლო სომხეთის რესპუბლიკიდან - დელეგაციის თავმჯდომარის ს. მამიკონიანის სახით და ტ. ბეკზადიანის, ს. ხაჩატურიანის მონაწილეობით ვთანხმდებით შემდეგზე:

1. საქართველოს მთავრობის წინადადებით სომხეთის მთავრობა იძლევა თანხმობას ნეიტრალურ ზონაში ქართული ჯარების შეყვანის შესახებ;
2. ქართული ჯარების ყოფნა ნეიტრალური ზონის ტერიტორიაზე არ იძლევა არავითარ უფლებას ამ ტერიტორიების კუთვნილებაზე;
3. ადმინისტრაცია რჩება უცვლელი;
4. ჯარებისათვის საჭირო პროდუქტები შესყიდული იქნება თავისუფალ ფასებში რეკვიზიციის გამოყენების გარეშე;
5. აუცილებლობის შემთხვევაში ნეიტრალურ ზონაში სომხეთიდან შეშვებული იქნებიან ლტოლვილები დაახლოებით 10 000 კაცამდე;
6. სომხეთის მთავრობის სახელმწიფო საკუთრება დაუყოვნებლივ უნდა იქნას დაცული. ნეიტრალურ ზონაში. ეს ქონება ეკუთვნის სომხეთის მთავრობას და მოთხოვნის შემთხვევაში მას უნდა დაუბრუნდეს;
7. ამ შეთანხმების პირობების შესრულების კონტროლისათვის ნეიტრალურ ზონაში წარმოდგენილი იქნება სომხეთის მთავრობის განსაკუთრებული უფლებამოსილებით წარმოდგენილი პირი;
8. ეს ხელშეკრულება ფორმდება სამი თვით, რის შემდეგაც შესაძლებელია მისი გაგრძელება ორმხრივი შეთანხმების საფუძველზე. თუ არ შედგება ახალი შეთანხმება, მაშინ ძალას კარგავს ეს შეთანხმება, ქართული ჯარი გადის ნეიტრალური ზონიდან და აღდგება ძველი მდგომარეობა.
9. ხელშეკრულება ძალაშია ხელმოწერის მომენტიდან და დგება ორ ეგზემპლარად საერთო ხელმოწერით. 13 ნოემბერი, 1920 წელი, თბილისი (სომხეთის ცსა, ფონდი 114, ს. 56, ან. 2ს, ფურც. 47)

უნდა ვივარაუდოთ, რომ ქართული მხარე ცდილობდა შეექმნა წინაპირობები პერსპექტივაში ლორეს სადაო რეგიონის საქართველოსადმი კუთვნილების უზრუნველსაყოფად (ნ. ვაშაყმაძე, 2002:121). მოგვიანებით, მთავრობის თავმჯდომარე ნ. ჟორდანიამ ქართული ჯარის შესვლა ლორეს რეგიონში მიიჩნია ქართული მხარის შეცდომად (ნ. ვაშაყმაძე, 2002:121). ხელშეკრულების ხელმოწერისთანავე, 13 ნოემბერს ნეიტრალური ზონის უზნის ხელმძღვანელებს დაეგზავნათ კომისარ ლლონტის მორიგი შეტყობინება რეგიონში სამხედრო მდგომარეობის გამოცხადების შესახებ. ამავე დროს იქმნებოდა დროებითი გენერალ-გუბერნატორის ინსტიტუტი, რომელსაც უნდა დაქვემდებარებოდა ნეიტრალური ზონის ყველა უწყება (სომხეთის

თავაზ ფუტკარაძე

ცსა, ფ. 114, საქმე 12, ან. 2 ს. ფურც. 4). შესაბამის უწყებებს მიეცათ დავალება, რათა ზუსტად აღრიცხულიყო სომეხი ლტოლვილების რაოდენობა სოფლების მიხედვით. ეს სიები უნდა გადაგზავნილიყო ამერიკის კომიტეტში ლტოლვილების სურსათითა და პროდუქტებით უზრუნველყოფის მიზნით (სომხეთის ცსა, ფ. 114, ს. 56, ფურც.13).



ხელშეკრულების ხელმოწერიდან რამდენიმე დღეში საბჭოთა რუსეთმა სომხეთი დაიპყრო. დამნაკური ხელისუფლება დაემხო. უკვე 17 ნოემბერს, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში შევიდა შეტყობინება N 4874, რომლითაც სომხები პროტესტს აცხადებდნენ „სომხეთის უდავო ტერიტორიაზე“ ქართული ჯარის შეყვანასთან და „სომხეთის სუვერენიტეტის ხელყოფასთან“ დაკავშირებით. ქართული მხარის ამ ქმედებას ისინი „სომხეთისადმი მტრულ“

ნაბიჯად აცხადებენ (სომხეთის ცსა, ფ. 114, ს. 56, ფურც.1). და ეს მაშინ, როცა საქართველოს მთავრობისათვის ცნობილი გახდა, რომ სომხეთმა საქართველოსთან შეთანხმებლად მიიღო ოსმალეთის ულტიმატუმის პირობები, რომელიც ითვალისწინებდა თურქების მიერ ბორჩალოს სამხრეთ-დასავლეთი და სამხრეთი ნაწილების, „გაწმენდას“ ქართველებისაგან და სანაიანში თურქეთის საკონტროლო კომისიის დაშვებას. საქართველოს ხელისუფლების საპროტესტო წერილში ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ რეგიონში მესამე ძალის შემოსვლით (რომლის შესახებ სომხეთს არც კი უცნობებია ქართული მხარისათვის) ვითარება შეიცვალა და ქართული მხარე „იძულებულია მიიღოს ყველა საჭირო ზომა საკუთარი საზღვრების დასაცავად, ... რაც სომხეთის მთავრობის მიერ არ უნდა იქნას აღქმული როგორც მის წინააღმდეგ გადადგმული ნაბიჯი (სომხეთის ცსა, ფ. 114, ს. 11, ფურც. 3)

სომხებმა გენერალ-გუბერნატორის ინსტიტუტის შემოღება 13 ნოემბრის ხელშეკრულების დარღვევად ჩათვალეს და მოითხოვეს მისი გაუქმება (სომხეთის ცსა, ფ. 114, ან. 2ს., ს. 56, ფურც. 37). ამავე დროს, დეკემბრის დასაწყისში გადაწყვიტეს სომხეთში საქართველოს წარმომადგენლობის შინაპატიმრობაში აყვანა (სომხეთის ცსა, ფ. 114, ს. 23, ფ. 1). მართლაც, 7 დეკემბერს დააპატიმრეს გენერალი კარალოვი და მისი მდივანი პოლკოვნიკი მიქაბერიძე. (სომხეთის ცსა, ფ. 114, ან. 2ს., საქმე 12, ფურც. 5), რასაც მოყვა საქართველოს დიპლომატიური უწყების პროტესტი.

10 დეკემბერს თბილისიდან ერევანში, რეგკომის თავმჯდომარის კასიანის სახელზე გაგზავნილ საპასუხო წერილში, საქართველოს ხელისუფლება ადასტურებდა 13 ნოემბრის შეთანხმებისადმი ერთგულებას და შეახსენებდა სომხურ მხარეს, რომ ნეიტრალურ ზონაში ქართული ჯარი სწორედ ამ შეთანხმების საფუძველზე იყო შესული (სომხეთის ცსა, ც. 114, ან. 2ს, ს. 23, ფურც. 10)

სომხებმა დაიწყეს აქტიური მუშაობა ნეიტრალური ზონის სოფლებში ქართველების საწინააღმდეგო განწყობის ჩამოსაყალიბებლად, მათ წინააღმდეგ საბრძოლო ოპერაციებში ჩართვის მიზნით. ეს ჩანს კარაკლისის უეზდის რეგკომის წევრის ერვანდ აირაპეტიანის 17 დეკემბრის მოხსენებაში. ახასიათებს რა რეგიონში შექმნილ ვითარებას, ქართული შენაერთების რაოდენობასა და განლაგებას, აირაპეტიანი აღნიშნავს, რომ მოსახლეობა მათ მხარესაა და აჯანყების შემთხვევაში სომხებს პირდებოდნენ ყოველგვარ დახმარებას (ცოცხალი ძალა, სურსათი), რომ მათ გაუკეთეს ორგანიზება, ჩაატარეს ერთი პარტიული და ორი უპარტიო ყრილობა, ჩამოაყალიბეს კომუჯრედები და ორგანიზება გაუკეთეს „თავდაცვის ძალებს ყველა სოფელში 50-200 კაცის შემადგენლობით“ (სომხეთის ცსა, ფ. 114, ან. 2ს, ს. 26, ფურც. 1). მოხსენებაში ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ ისინი მზად არიან აჯანყებისათვის, „მაგრამ იმის გამო, რომ ყველა აგრესიული მოქმედება საქართველოსთან მიმართებაში შეთანხმებული უნდა იყოს ჩვენს საერთო პოლიტიკასთან, ველოდებით ინსტრუქციას სომხეთის რეგკომისაგან“ (სომხეთის ცსა, ფ. 114, ან. 2ს, ს. 26, ფურც. 2).

სომხეთის ახალმა ხელისუფლებამ მიუღებლად მიიჩნია 13 ნოემბრის ხელშეკრულება და ცალმხრივად გააუქმა იგი. საგარეო საქმეთა სახალხო კომისარმა ა. ბეკუადიანმა აღნიშნულის შესახებ 18 დეკემბერს გაუგზავნა შეტყობინება საქართველოს მთავრობას: „სომხეთის რეგკომს არ შეუძლია ცნოს საქართველო-სომხეთის 1920 წლის 13 ნოემბრის შეთანხმება. ჩვენს მიერ პირადად იქნა წამოყენებული წინადადებები კონკრეტული ღონისძიებების გასატარებლად დეკემბრის თვიდან ქართული ჯარის ნეიტრალური ზონიდან გაყვანის შესახებ.

თავაზ ფუტკარაჰი

ფორმალური კუთხით თქვენი მთავრობა აპელირებს შეთანხმებაზე, რომელიც თქვენვე დაარღვიეთ ქართული ჯარის მიერ ნეიტრალური ზონის საზღვრების გადალახვით, რომლებიც იმყოფებიან სომხეთის ტერიტორიაზე.

მეორე: მოხდა ნეიტრალური ზონის ადმინისტრაციულ წყობაში ჩარევა - სომეხი მოსამსახურეების დათხოვნისა და მათი ქართველებით ჩანაცვლების გზით.

მესამე - დამსჯელი ექსპედიციის გაგზავნა სომხური სოფლების წინააღმდეგ და სროლები, რასაც ჰქონდა ადგილი შინიხში.

13 ნოემბრის შეთანხმება თავისი არსით მოკლებულია ყოველგვარ იურიდიულ ძალას, რადგან იგი ატარებს სამხედრო-სტრატეგიულ ხასიათს. განსაზღვრულ მომენტში ჩვენი ურთიერთობის ინტერესებიდან გამომდინარე იგი მისაღები იყო დაშნაკების ხელისუფლებისათვის, მაგრამ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ეს შეთანხმება კარგავს ძალას. ამიტომ სომხეთის რევკომმა მოახდინა მისი ანულირება და მოითხოვს ნეიტრალური ზონიდან ქართული ჯარების გაყვანას“ (სომხეთის ცსა, ფ. 114, ან. 2ს, ს. 26, ფურც. 4).

წესრიგის დამყარებისათვის ქართული მხარის მიერ გატარებულ ღონისძიებებს სომხური მხარე აღიქვამდა როგორც დამსჯელ ექსპედიციას. ცხადია ისინი არაფერს ამბობდნენ იმის შესახებ, თუ როგორ ხდებოდა ზონის სოფლებში ქართველების საწინააღმდეგოდ 50-200 კაციანი საბრძოლო რაზმების ფორმირება (სომხეთის ცსა, ფ. 114, ან. 2ს, ს. 26, ფურც.1,2).

საქართველოსათვის მიუღებელი იყო სომხეთის ხელისუფლების პოზიცია 13 ნოემბრის ხელშეკრულების ცალმხრივად ანულირებისასთან დაკავშირებით. ეს გამოიხატა კიდევ სომხეთის საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის ა. ბეკუადიანისადმი საბახტარაშვილის მიერ გაგზავნილ წერილში. ქართულმა მხარემ კატეგორიულად მოითხოვა, რომ თუ სომხეთის ყოფილ ხელისუფლებასთან გაფორმებული 13 ნოემბრის ხელშეკრულება დგება ეჭვის ქვეშ, მაშინ ამავე საფუძველზე დამსჯურ ხელისუფლებასთან გაფორმებული სხვა ხელშეკრულებებიც უნდა გაუქმდესო. ამავე წერილში საქართველოს მთავრობამ კიდევ ერთხელ გამოხატა სადაო საკითხების მშვიდობიანი მოლაპარაკებების გზით გადაჭრისათვის მზადყოფნა (სომხეთის ცსა, ფ. 114, ან. 2ს, საქმე 26, ფურც. 5). საპასუხოდ კი სომხეთის მთავრობა საქართველოს მთავრობის მისამართით აგზავნიდა საპროტესტო ნოტებს (18, 27, დეკემბერი), რომლებშიც მოითხოვდა „სომხეთის უდავო მიწებიდან“ ქართული ჯარების დაუყოვნებლივ გაყვანას, ბრალს სდებდნენ ქართულ მხარეს სომეხი მოსამსახურეების გათავისუფლებასა და ქართველებით მათ ჩანაცვლებაში, ნეიტრალური ზონის ადმინისტრაციულ მმართველობაში ჩარევასა და სომხურ დასახლებებში დამსჯელი ექსპედიციების გაგზავნაში, კალაგერანის სადგურში კაბინეტის დაკავებასა და ტელეგრაფისტების: გარეგინ ტერ არუთინოვის, ამბარცუმ პეტროსიანის, არტაშეს შავერდოვის უსაფუძვლო დაპატიმრებაში (სომხეთის ცსა, ფ. 114, ან. 1, ს. 42, ფურც. 3, 4; საქმე 26, ფურც. 7).

ყველასათვის ცნობილი იყო, რომ სომხეთის იმჟამინდელ მთავრობასთან შეთანხმებით ქართველების მიერ რეგიონის დაკავება სრულიად უმტკივნეულოდ, ყოველგვარი ექსცესების გარეშე წარიმართა. არც ადგილობრივი მოსახლეობის მხრიდან შეხვედრია ქართულ ჯარს რაიმე წინააღმდეგობა, რადგან ქართული შენაერთების შესვლით შემცირდა ლტოლვილების ტალღა, დაცარიელებულ სოფლებს დაუბრუნდა უამრავი ადამიანი, განხორციელდა ყაჩაღობა-მარცვის საწინააღმდეგო ღონისძიებანი, დამნაშავეებს არაერთხელ დააბრუნებინეს უკან 11 და 15 დეკემბერს სოფელ არჩიკიდან გატაცებული საქონელი. რაც შეეხება სომეხი მოსამსახურეების ქართველებით ჩანაცვლებას, ესეც ზედაპირული შეფასებაა, რადგან შექმნილი ვითარების

ფონზე სომეხი მოსამსახურეები ყოველგვარი იძულების გარეშე ტოვებდნენ თავიანთ სამუშაო ადგილებს და ასეთ შემთხვევაში ცხადია საჭირო ხდებოდა ჩანაცვლება. ქართველებმა მართლაც დააპატიმრეს ტელეგრაფისტები, მაგრამ ეს იყო განპირობებული აგენტურულ საქმიანობაში მათი მონაწილეობით, რაზედაც ქართული მხარე თვალს ვერ დახუჭავდა (სომხეთის ცსა, ფ. 114, ან.2ს., ს. 11, ფურც. 16). სომხეთის საგარეო უწყებისადმი 1921 წ. 5 იანვარს გაგზავნილ წერილში საქართველომ კიდევ ერთხელ გამოხატა მოლაპარაკებებისათვის მზაობა (სომხეთის ცსა, ფ. 114, ან.2ს., ს. 11, ფურც. 16). იმავე წლის 31 ოქტომბერს, უკვე საბჭოთა საქართველოს ხელისუფლება კვლავ სთავაზობს სომხეთს მოლაპარაკებას: „საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო საჭიროდ თვლის გაირკვეს და საბოლოოდ გადაწყდეს საქართველო-სომხეთის სასაზღვრო საკითხები და ეს დაევალოს განსაკუთრებულ კომისიას, რომლის წარმომადგენლები საქართველომ უკვე დაასახელა. გთხოვთ თქვენც შექმნათ მსგავსი კომისია. იმედია თქვენი მხრიდან არ იქნება წინააღმდეგობა. საქართველოს სსრ საგარეო საქმეთა სახალხო კომისარი ა. სვანიძე, 31 ოქტომბერი, 1921 წელი“ (სომხეთის ცსა, ფ. 114, ს. 26, ფურც. 98)

სადაო ტერიტორიების საზღვრების გამიჯნვასთან დაკავშირებით სომხეთის პოლიტიკურ წრეებში 1921 წლის იანვრის დასაწყისში გაჩნდა სხვა მოსაზრებებიც. იგი უკავშირდება ნეიტრალურ ზონაში სომხეთის მთავრობის წარმომადგენლის გ. ხატისიანის სახელს. იგი მიზანშეწონილად მიიჩნევს ლორეს რეგიონის დათმობას ჭოროხის მარცხენა სანაპიროს სანაცვლოდ. სომხეთის ეროვნულ არქივში (ფონდი 114, ან. 2ს, ს. 12) დაცულია აღნიშნული დოკუმენტი როგორც ორიგინალი ხელნაწერის, ისე ნაბეჭდი სახით. პრობლემის მნიშვნელობიდან გამომდინარე, მიზანშეწონილად მიგვაჩნია მკითხველს წარმოვუდგინოთ ამ დოკუმენტის ქართული თარგმანი:

„გ. ხატისიანი ჩანაწერი

ჩვენთვის სასარგებლოა საქართველოსთან დავსვათ არა მარტო ნეიტრალურ ზონის, არამედ სასაზღვრო დავის ყველა სხვა საკითხი

ჩვენთვის კარდინალური საკითხია ზღვაზე გასასვლელი. ასეთად ითვლებოდა ადრე ალექსანდრეტა, შემდეგ ტრაპიზონი, რიზე და ბოლოს ბათუმი. ბათუმის გარდა სხვა ვარიანტები უნდა უარყოფოთ, რადგან ისინი განუხორციელებელია. ალექსანდრეტაზე არ ღირს საუბარი. რაც შეეხება შავი ზღვის პორტებს, ტრაპიზონი და რიზე უარყოფილ უნდა იქნას, როგორც განუხორციელებელი. ცხადია, რომ სომხეთს არ აქვს შესაძლებლობა გამონახოს კოლოსალური კაპიტალი ამ გზის მშენებლობისათვის.

კერძო კაპიტალი ააშენებს მხოლოდ შედარებით იაფ და შემოსავლიან გზებს. ჩვენს მოთხოვნებს აკმაყოფილებს აღმოსავლეთით მდებარე შავი ზღვის პორტი - ბათუმი. ეს პირველი. მეორეც - რკინიგზის გაყვანა ტრაპიზონიდან ან რიზედან ერზრუმში დაკავშირებულია დიდ სირთულეებთან და მოითხოვს კოლოსალურ ხარჯებს. ტრაპიზონიდან ერზრუმამდე - ოთხ მთაზე უნდა გაიჭრას 25 ვერსზე მეტი სიგრძის გვირაბები, ხეობების გადასალახად გაკეთდეს აკვადუკები. რიზედან მშენებლობის შემთხვევაში სირთულეებს ქმნის პონტოს ქედის კლდოვანი ქანები და საჭირო იქნება გვირაბების გაჭრა 6000 ფუტზე მეტ სიმაღლეზე, რაც ძალზე ძნელია.

თუ კი არსებულს ბათუმს მივუმატებთ, რიზესთან და ტრაპიზონთან შედარებით - ცხადია აქვს უპირატესობა. ეს არის ერთადერთი შესაძლო გასასვლელი ზღვაზე. ერთადერთი სარკინიგზო ხაზი სომხეთიდან გავა ჭოროხის ხეობის გავლით. ეს გზა მოკლეა ყველა სხვა ვარიანტთან შედარებით. გვირაბებისა და აკვადუკების გარეშე სომხეთი დაუკავშირდება ზღვას

თავაზ ფუტკარაჰი

არა ერზრუმის დაცარიელებული რაიონების, არამედ სომხებით დასახლებული ყარს-ალექ-სანდროპოლის გავლით. ეს გზა 200 ვერსით მოკლეა ტრაპიზონის და 100 ვერსით მოკლე ბათუმი-თბილისი-ჯულფის მიმართულებაზე. ამდენად ბათუმი-ყარსი-ჯულფას ხაზი იქნება მსოფლიო მნიშვნელობის მაგისტრალი შავი და ხმელთაშუა ზღვების აუზებიდან, ასევე რუსეთიდან - შუა აზიის, სპარსეთის ყურისა და ინდოეთისაკენ. ასეთ შემთხვევაში არავინ დაიწყებს ადგილობრივი მნიშვნელობის გზის მშენებლობას.

საქართველოსთან მოლაპარაკებისას საჭიროა უზრუნველყოთ ბათუმის პორტის ტექნიკურ საკითხებში მონაწილეობა და მივაღწიოთ ჭოროხის მარცხენა სანაპიროს, ე.ი. ართვინის რაიონის დათმობას, რომელიც წარმოადგენს დაახლოებით 400 კვ.ვერსს, ე.ი. უმნიშვნელო ნაწილს, მაგრამ იქ არის მეტად ფასეული სპილენძის საბადოები და ძანსულის სპილენძის ქარხანა.

დასაპროექტებელი გზა მიდის ჭოროხის ნაპირიდან ზევით ოლთი ჩაიამდე, შემდეგ პენიაკამდე. პენიაკთან მიმობნეული ცნობილი ქვანახშირის საბადოებიდან მდ. აგუნდიპკის გავლით მერდენევისაკენ და იქედან ყარსისაკენ. ამ ვარიანტის უდიდესი უპირატესობა ისაა, რომ ის გაივლის ქვანახშირით მდიდარი საბადოების ტერიტორიას, რაც შეამცირებს ბაქოსთან დამოკიდებულებას. გარდა ქვანახშირისა, იქ სპილენძის მდიდარი საბადოებიცაა.

ამ პროექტის განხორციელების შემთხვევაში მოგვიწევს თურქეთის ტერიტორიაზე 70 ვერსის გავლა, რომელიც მოიცავს 300-400 კვ. ვერსის ფართობის ტერიტორიას. ცხადია, გასათვალისწინებელია თურქების მიერ ყარსის დაკავების ფაქტი, მაგრამ სომხეთის არსებობა შეუძლებელია ყარსის დაბრუნებისა და ყარსიდან შავ ზღვამდე გზის გარეშე.

საქართველოსთან დავა არის საზღვრის ოთხ მონაკვეთზე. 1. ლორე 2. ახალქალაქი 3. ყარსის ოლქი 4. ართვინის რაიონი. ახლა დგას ლორეს საკითხი, მაგრამ ეს ტერიტორია ჩვენია. ეთნოგრაფიული რეალიები, რეალური მოსახლეობა, მოსახლეობის ნება ჩვენს სასარგებლოდაა.

ქართველები ცდილობენ ჩვენი მიწების დაკანონებას საკუთარი სახელმწიფოს სტრატეგიულ და ეკონომიკურ ინტერესებზე აპელირებით.

ართვინის საკითხზე ჩვენ უნდა ვიყოთ მოსარჩლის მდგომარეობაში - ჩვენი სახელმწიფო ინტერესების საფუძველზე. ქართველები იქნებიან მოპასუხეები, თუმცა უნდა ითქვას, რომ ართვინის რაიონში სომხების რაოდენობა არის 10-12 ათასი, ქართველი მუსულმანების რაოდენობა კი 20 ათასი.




აი ამიტომაც საჭირო ამ საკითხების ერთობლივი განხილვა.

შემდეგ ქართველები სვამენ საქართველოსათვის ლორის სამოვრებისა (რომელიც მნიშვნელოვანია მესაქონლეობისათვის) და ალავერდის ქარხნის მნიშვნელობის საკითხს. ჩვენ შეგვიძლია დავაკმაყოფილოთ სამოვრებზე ქართველების მოთხოვნები საზღვრის სხვა, კერძოდ ყარსის ოლქის ჩრდილოეთით - სამოვრებით მდიდარ მონაკვეთზე.

საკითხი ალავერდის ქარხანაზე ჩვენთვის კარგავს მნიშვნელობას - თუ კი მივიღებთ ართვინის რაიონში ძანსულის ქარხანას.

თუ კი ბორჩალოს მაზრის ნეიტრალურ ზონაზე დავას გადავწყვეტთ სეპარატიულად, ჩვენ დავკარგავთ მომგებიან პოზიციას მოლაპარაკებაზე ჩვენთვის მნიშვნელოვანი ჭოროხის მარცხენა სანაპიროსთან დაკავშირებით.

გ. ხატისიანი, თიფლისი, 1921 წელი, 10 იანვარი“ (სომხეთის ცსა, ფ. 114, ს. 12, ფურც. 13,14, 15)



ხატისიანის ჩანაწერი, სომხეთის ცსა, ფ. 114, ან. 2ს, ს. 12, ფურც. 14, 15, 16.

როგორც ითქვა, 1920 წელს ნოემბერში საბჭოთა რუსეთმა დაიპყრო სომხეთი. საფრთხე დაემუქრა საქართველოსაც. საქართველოს წინააღმდეგ ომის დაწყების საბაზად საბჭოთა ხელისუფლებამ გამოიყენა ლორეს (განაგებდა სომხურ-ქართული ადმინისტრაცია) სომხურ სოფლებში მათ მიერვე 1921 წ. 11-12 თებერვალს ორგანიზებული ე. წ. აჯანყება და სომხეთში დისლოცირებული მე-11 წითელმა არმიამ მოახდინა საქართველოს ოკუპაცია.

თამაზ ფუტკარაძე

1921 წლის 2 მაისს ბოლშევიკურმა ხელისუფლებამ კავკასიის რესპუბლიკებს შორის სასაზღვრო დავების გადასაჭრელად შექმნა საგანგებო კომისია. კომისიის პირველ სხდომაზე (1921 წ. 25-27 ივლისი) სიტყვით გამოვიდა სომხეთის წარმომადგენელი ბეკზადიანი. მან დაახასიათა ტერიტორიების დიდი ნაწილის დაკარგვით განპირობებული სომხეთის რთული მდგომარეობა. რუსო ჩარევიშვილს მოყავს ამონაწერი კომისიის სხდომის ოქმიდან, რომლის მიხედვითაც სომხეთის წარმომადგენელმა თხოვა ქართველებსა და აზერბაიჯანელებს „სოლიდარობის გულისათვის, ერთხელ და სამუდამოდ, უაღრესად გულწრფელი, მეგობრული ურთიერთდამოკიდებულების დამყარების გულისათვის“ დათანხმებულიყვნენ განსაზღვრული ტერიტორიების დათმობას“ (რუსო ჩარევიშვილი, როდის მოხდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დაპყრობა საბჭოთა რუსეთის მიერ? ცნობები ისტორიიდან.

<https://rb.gy/182id0>).

საბოლოოდ, კავბიუროს გადაწყვეტილებით (1921 წ. 7 ივლისი) ლორეს ოლქი (2,36 ათასი კვ. კმ) გადაეცა სომხეთს (საქართველოს მოთხოვნა ლორეში რეფერენდუმის გზით პრობლემის მოგვარების შესახებ არ იქნა გათვალისწინებული). ამიერკავკასიის კავბიუროს 1921 წ. 16 ივლისის გადაწყვეტილებით უარყოფილი იქნა სომხეთის წინადადება ახალქალაქის სომხეთისათვის გადაცემის თაობაზე. 1925 წელს სომხეთს კვლავ გადაეცა ბორჩალოს მაზრის ნაწილი 107,9 კვ. კმ. (რუსო ჩარევიშვილი, როდის მოხდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დაპყრობა საბჭოთა რუსეთის მიერ? ცნობები ისტორიიდან[12].

ამრიგად, სომხეთ-საქართველოს შორის სადავო ტერიტორიების საკითხი გადაწყდა სომხეთისათვის ლორეს ოლქის გადაცემით. ახალქალაქი დარჩა საქართველოს შემადგენლობაში.

PHILOSOPHICAL THINKING IN THE 21ST CENTURY ETHNOS-SOCIETY-HISTORY-MODERN CHALLENGES

ARMENIAN TERRITORIAL EXPANSION PLANS (ACCORDING TO DOCUMENTS PRESERVED IN THE CENTRAL STATE ARCHIVES OF ARMENIA)

TAMAZ PUTKARADZE

e-mail: txil1968@gmail.com

Shota Rustaveli State University of Batumi, professor in ethnology

ABSTRACT:

After the formation of the independent states of the Caucasus, the issue of separating the territorial borders arose with all intensity. The lack of ability to compromise between the parties led to the Armenian-Georgian war conflict, although even this war did not resolve the problem of border disputes. Lore was declared a neutral zone, while Akhalkalaki remained part of Georgia.

From October 1920, difficulties caused by the aggressive policy of Turkey were added to the existing problems between the republics of the Caucasus. The Armenia-Turkey conflict entered a new phase. The territory of Lore's neutral zone was threatened. This led to the signing of an agreement between Georgia and Armenia in 1920. On November 13, based on this agreement, units of the Georgian army

21-ე საუკუნის ფილოსოფიური აზროვნება ეთნოსი - საზოგადოება - ისტორია - თანამედროვე გამოწვევები

„ერდოლანიზმის“ პოლიტიკური დოქტრინა და მისი გავლენა 2023 წლის მაისის არჩევნებში

ემზარ მაკარაძე

ელ-ფოსტა: emzar.makaradze@bsu.edu.ge

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
პროფესორი მსოფლიო ისტორიის მიმართულებით

აბსტრაქტი:

თანამედროვე თურქეთის ორი ძირითადი პოლიტიკური დოქტრინის - „ქემალიზმის“ და „ერდოლანიზმის“ შესწავლა და მისი ანალიზი, იმ გარემოებამ განაპირობა, რომ ქართულ ისტორიო-გრაფიაში სათანადო ყურადღება არ ეთმობა ხსენებულ პრობლემას და არ მოგვეპოვება აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ფუნდამენტური სამეცნიერო შრომები.

წინამდებარე ნაშრომში, „ქემალიზმის“ და „ერდოლანიზმის“ ანალიზს უწყვეტ ჯაჭვში განვიხილავთ, რაც საშუალებას მოგვცემს, ნათლად წარმოვადგინოთ როგორც საკითხის ისტორიული ასპექტი, ისე მისი დღევანდელი რეალობა. ჩვენ შევეცადეთ მკვეთრი ზღვარი გაგვევლო იმ პრობლემებზე, რომლებმაც აქტიურად იჩინა თავი მათ ურთიერთობაში. მკითხველის განსასჯელია, თუ რამდენად შევძელით ეს.

სტატიაში კრიტიკული ანალიზის მეთოდით შესწავლილია თანამედროვე თურქეთის ორი ძირითადი პოლიტიკური დოქტრინის - „ქემალიზმის“ და „ერდოლანიზმის“ საკითხი. ნაშრომი დაფუძნებულია საკითხის ირგვლივ არსებულ სამეცნიერო ლიტერატურაზე.

თანამედროვე თურქეთის ორი ძირითადი პოლიტიკური დოქტრინის - „ქემალიზმის“ და „ერდოლანიზმის“ ანალიზმა და აღნიშნული საკითხების შესწავლამ, შესაძლებლობა მოგვცა, ნათლად გაგვეაზრებინა პრობლემის საკვანძო საკითხები და ისტორიული ასპექტები.

საკვანძო სიტყვები:

პოლიტიკური დოქტრინა, „ერდოლანიზმი“, თანამედროვე თურქეთი.

XXI საუკუნის პირველ ათწლეულში, თურქეთში მიმდინარე მოვლენებმა, გვაჩვენა, რომ ქვეყანაში ყალიბდება ახალი სახელმწიფო დოქტრინა. ისმება კითხვა, გააგრძელებს რესპუბლიკური თურქეთი დემოკრატიული და ევროპული ფასეულობებით სვლას და შეინარჩუნებს მუსტაფა ქემალ ათათურქის სახელმწიფო მმართველობას თუ მოგვევლინება როგორც ახალი, განსხვავებული სახელმწიფო ერთეული.

თურქეთისა და მისი ლიდერის რეჯეფ თაიფ ერდოღანისათვის, ისლამი ინსტრუმენტია, რომლითაც მას სურს პოლიტიკური სისტემის სტაბილიზაცია და თურქეთის ტრადიციულ, კონსერვატიულ საზოგადოებად ჩამოყალიბება, სადაც ნაკლები იქნება სოციალური, ეთნიკური და სხვა სამოქალაქო უფლებებთან დაკავშირებული პროტესტის გენერირების შესაძლებლობა.

უახლოესი ათწლეულები კი, პასუხს გასცემს კითხვას, შეიძლება თუ არა მუსლიმური კულტურის მატარებელი ქვეყნის ადაპტაცია დემოკრატიულ, დასავლურ ცივილიზაციასთან და როგორი იქნება მისი შედეგები.

ნებისმიერი ქვეყანას, რომელიც გადაწყვეტს დემოკრატიული განვითარების ღირებულებებზე ავიდეს, სჭირდება ძლიერი საზოგადოებრივი და პოლიტიკური ნება. ჯერ კიდევ თურქეთის რესპუბლიკის დამაარსებლის მუსტაფა ქემალ ათათურქის (1881-1938) გადაწყვეტილებით, მუსლიმური კულტურის მატარებელი ქვეყნის სახელმწიფოებრივი განვითარების გეზი დასავლეთისკენ იქნა მიმართული და ევროპეიზაციის გზა უცვლელ საგარეო პოლიტიკურ პრინციპად იქნა გამოცხადებული. მუსტაფა ქემალ ათათურქის მიერ შემუშავებული ექვსი პრინციპი, რომელიც „ქემალიზმის“ სახელითაა ცნობილი - რესპუბლიკანიზმი, ლაიციზმი, ნაციონალიზმი, ხალხოსნობა, ეტატიზმი, რევოლუციონიზმი, თურქეთის კონსტიტუციის პრემბულაშია ჩაწერილი და ისინი ამ ეტაპისათვის გადახედვას არ ექვემდებარებიან [2].

რესპუბლიკური თურქეთის დამაარსებელმა მუსტაფა ქემალ ათათურქმა სეკულარიზმისა და ევროპეიზმის პრინციპებზე „ახალი თურქეთი“ დააფუძნა. თანამედროვე თურქეთის პოლიტიკური ცხოვრება, მნიშვნელოვანწილად იქცა ამ პრინციპსა და რელიგიური ხასიათის მქონე ე.წ. თურქულ „ტრადიციონალიზმს“ შორის ბრძოლის მიზეზად [4].

არის თუ არა თანამედროვე თურქეთი მისი დამფუძნებელი რ. თ. ერდოღანი, მუსტაფა ქემალ ათათურქის იდეური მემკვიდრე?

ბოლო ოცდასამი წელია, დანარჩენ მსოფლიოსთან ერთად, ინტერესით ვადევნებთ თვალყურს რესპუბლიკურ თურქეთში მიმდინარე პოლიტიკურ მოვლენებს, მისი ქარიზმატული ლიდერის, პრეზიდენტ რეჯეფ თაიფ ერდოღანის და ისლამური ფასეულობის მქონე „სამართლიანობისა და განვითარების“ (Adalet ve Kalkınma Partisi (AKP) პარტიის საქმიანობას.

„სამართლიანობისა და განვითარების“ პარტიას ისლამური ფესვები გააჩნია. პოლიტიკურ ისლამს კი ქვეყანაში დიდი ისტორია აქვს ჯერ კიდევ XX საუკუნის 70-იან წლებში „ქემალიზმის“ დოქტრინის საწინააღმდეგოდ რომ აღმოცენდა.

ისლამური იდეოლოგიის მქონე პოლიტიკური პარტიები („ეროვნული ხსნის“ პარტია, „კეთილდღეობის“ პარტია) ეწინააღმდეგებოდნენ „ქემალიზმის“ პრინციპებს, მათ შორის, განსაკუთრებით სეკულარულ ნაციონალიზმს, ვესტერნიზაციას და მოდერნიზაციას. ერთ-ერთი ასეთი პარტია იყო „კეთილდღეობის“ პარტია (RF), რომლის მანდატით 1994 წელს რეჯეფ თაიფ ერდოღანმა გაიმარჯვა და გახდა სტამბოლის მერი.

ისლამური იდეოლოგიის „კეთილდღეობის“ პარტია ხელისუფლებაში 1995-1997 წლებში იყო. 1997 წლის 28 თებერვალს, პრეზიდენტმა სულეიმან დემირელმა მოიწვია ეროვნული უშიშროების საბჭოს სხდომა, რომელმაც თურქეთის პოლიტიკურ ცხოვრებაში, მნიშვნელოვანი ცვლილებები განახორციელა. რის შედეგადაც „კეთილდღეობის“ პარტიამ დაკარგა ძალაუფლება, თუმცა, თურქი ისლამისტების ახალგაზრდა რეფორმისტთა თაობამ მალევე განაცხადა, რომ შეიცვალა თავისი შეხედულებები დემოკრატიისა და სხვა დასავლური ფასეულობების სასარგებლოდ მათ შორის იყო ახალგაზრდა რ. თ. ერდოღანიც.

დემოკრატიულ ფასეულობებზე აპელირებით, 2001 წელს, რ. თ. ერდოღანის ხელშეწყობით დაარსდა „სამართლიანობისა და განვითარების“ პარტია, რომელმაც 2002 წლის საპარლამენტო არჩევნებში გაიმარჯვა და მოვიდა ხელისუფლებაში, რის შემდეგაც ევროკავშირში გაწევრიანება გამოცხადდა ქვეყნის საგარეო პოლიტიკის მთავარ პრიორიტეტად, მიუხედავად იმისა, რომ „სამართლიანობისა და განვითარების“ პარტიის მანიფესტად წოდებულ „სტრატეგიულ სიღრმეში“ ევროკავშირის წევრობა გამოცხადებულია თურქეთისთვის სასურველ, მაგრამ არა მთავარ სტრატეგიულ მიზნად.

მეზარ მაკარაძე

„სამართლიანობისა და განვითარების“ პარტიის მმართველობის მეორე პერიოდიდან (2007-წლიდან), ქვეყანაში გამოიკვეთა დემოკრატიული ინსტიტუტების დასუსტების და რეისლამიზაციის ზრდის პროცესი, რასაც პარტია ოფიციალურად უარყოფდა (ქალების მიერ ბურჯის ტარების აგრძელების გაუქმება, ალკოჰოლური სასმელების მოხმარებაზე შეზღუდვების დაწესება, რელიგიური მიმართულების სკოლების გახსნა, საჯარო სკოლებში და უმაღლეს სასწავლებლებში, მათ შორის სამხედრო აკადემიაში, ისლამის სავალდებულო საგნად შეტანა და სხვა).

2011 წლიდან, მას შემდეგ, რაც „სამართლიანობისა და განვითარების“ პარტია მესამედ ჩაუდგა სათავეში სახელმწიფო მმართველობას.

მიუხედავად იმისა, რომ რესპუბლიკურ თურქეთში არასდროს ყოფილა დამკვიდრებული ლიბერალური დემოკრატია, 1950-იანი წლების შემდეგ ქვეყანაში ყოველთვის ტარდებოდა თავისუფალი არჩევნები. წაგების შემთხვევაში ხელისუფლებები მშვიდობიანად ტოვებდნენ მმართველ პოზიციებს. მაგრამ 2015 წლის ივნისის და ნოემბრის არჩევნებმა და, განსაკუთრებით, 2017 წლის რეფერენდუმმა აჩვენა, რომ ეს საარჩევნო ტრადიცია წარსულს ჩაბარდა.

„ერდოღანიზმისთვის“ დამახასიათებელი მნიშვნელოვანი ფაქტორია „ნეოპატრიმონიალიზმი“, ნეოპატრიმონიალური სისტემის პირობებში მმართველებსა და მართულებს შორის ნებისმიერი სახის ურთიერთობა, მათ შორის პოლიტიკური და ადმინისტრაციული, დაიყვანება პიროვნულ ურთიერთობამდე [5].

„ერდოღანიზმის“ კიდევ ერთი მახასიათებელია ანტიელიტიზმი/პოპულიზმი, რომელიც წარმოადგენს პოლიტიკის ერთგვარ მორალისტურ აღქმას, როდესაც საზოგადოება იყოფა მორალურად „წმინდა“ და „სხვა“ ნაწილებად.

რ. თ. ერდოღანი, როგორც „ქარიზმატული“ ლიდერი, აქტიურია ნაციონალისტური რიტორიკით, რომელიც ცდილობს უტოპიური პოლიტიკური მიზნების მიღწევას როგორც საშინაო, ისე საგარეო პოლიტიკაში (მაგ., 1923 წლის ლოზანის ხელშეკრულების გადახედვა და თურქეთის მიერ ოტომანთა იმპერიის ზოგიერთი ტერიტორიის დაბრუნება, რომლებიც ამჟამად სხვა სუვერენული სახელმწიფოების ფარგლებშია).

რ. თ. ერდოღანის პოლიტიკური პოპულიზმის ნაწილია ასევე დასავლეთის და განსაკუთრებით აშშ-ს არაერთგზის დადანაშაულება სხვადასხვა კონსპირაციულ შეთქმულებებში. რ. თ. ერდოღანის ანტიდასავლური რიტორიკის მიზეზია დასავლეთისაგან მტრის ხატის შექმნა, ის ცდა რასაც წარმატებით იყენებს შიდა-პოლიტიკურ ასპარეზზე საკუთარი პოზიციების განმტკიცებისა და ქვეყნის რეალური პრობლემებიდან მოსახლეობის ყურადღების გადანისათვის.

ისლამიზმი წარმოადგენს ისლამის ინსტრუმენტალიზების ფორმას იმ ინდივიდების, ჯგუფების თუ ორგანიზაციების მხრიდან, რომლებსაც აქვთ პოლიტიკური მიზნები. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ისლამისტები არიან ცალსახად რაციონალური აქტორები, რომლებიც თეოლოგიურ იდეალებს „ცვლიან“ პოლიტიკურ ქულებში. ისინი იყენებენ იდეოლოგიას საარჩევნო ხმების მოპოვებისა და ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ თავიანთი პოლიტიკის გასამართლებლად.

„ქემალიზმის“ იდეოლოგიით, თურქეთი, კონსტიტუციურ და სეკულარულ რესპუბლიკას წარმოადგენდა, სადაც ისლამის როლი საზოგადოებაში მინიმუმამდე იყო დაყვანილი. მიუხედავად ამისა, ისლამი თურქული საზოგადოებიდან არსად წასულა. თურქეთში ისლამმა ფართული გაძლიერება 1980 წლის 12 სექტემბრის სახელმწიფო გადატრიალების შემდეგ დაიწყო [2].

თვალსაჩინო გაძლიერება კი ისლამმა 2002 წლიდან დაიწყო, როდესაც ქვეყნის ხელისუფლებაში ისლამური ორიენტაციის მქონე „სამართლიანობისა და განვითარების“ პარტია და მისი ლიდერი რეჯეფ თაიფ ერდოღანი მოვიდა [3]. სწორედ ამ პერიოდიდან თურქეთში 17 ათასი ახალი მეჩეთი აშენდა. დღეისათვის თურქეთში ორჯერ მეტი მეჩეთია, ვიდრე ირანის ისლამურ რესპუბლიკაში.

2007 წლიდან რ. თ. ერდოღანისა და „სამართლიანობისა და განვითარების“ პარტიის ხედვა გახდა მხოლოდ ისლამისტური, ხოლო 2011 წელს ხელისუფლების კონსოლიდირების შემდეგ პარტიამ დაიწყო თურქული საზოგადოებისა და პოლიტიკის ისლამიზაციის ამბიციური გეგმის განხორციელება. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ეს პროცესი არ ნიშნავს იმას, რომ თურქეთი გახდა თეოკრატიული სახელმწიფო, რადგან ქვეყნის რელიგიური ისტებლიშმენტი მთლიანად პოლიტიკოსებისადმია დაქვემდებარებული და არ გააჩნია დამოუკიდებელი პოლიტიკური პოზიციები. ამასთან, ისლამისტები თავიანთ დოქტრინებს აყალიბებენ უმეტესად ნაციონალური კონტექსტიდან გამომდინარე, რის გამოც მათთვის მმართველობის იდეალური ფორმაა ან ოტომანური სასულთნო, ან სუნიტური ხალიფატი ანდა შიიტური იმამატი შესაბამისი ეროვნული იდენტობიდან გამომდინარე. სწორედ ამით აიხსნება ა. დავითოღლუს „სტრატეგიულ სიდრემში“ ოტომანური წარსულისთვის ასეთი დიდი მნიშვნელობის მინიჭება როგორც საშინაო, ისე საგარეო პოლიტიკის ფორმირებისას და ამით აიხსნება ზოგადად, ნეოოტომანიზმის ქვეყნის „ახალ იდენტობად“ ჩამოყალიბების ფაქტი.

ისლამიზმა, ისე როგორც მისმა პოპულიზმმა „ახალი თურქეთის“ იდეოლოგიაში თავი იჩინა ქვეყნის საგარეო პოლიტიკურ ქმედებებშიც. 2016 წელს თურქეთში არშემდგარი სახელმწიფო გადატრიალების შემდეგ რ. თ. ერდოღანის ანტიდასავლური რიტორიკა იმდენად შორს წავიდა, რომ დაპირისპირება გადაიტანა მუსლიმურ თურქეთსა და ქრისტიანულ დასავლეთს შორის რელიგიურ-ცივილიზაციურ ჭრილში, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს მისი ხელისუფლების მიერ რელიგიის პოლიტიკური მიზნებისათვის გამოყენების ფაქტს [1].

ქვეყანაში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა „თურქული ეროვნული იდენტობის“ ჩამოყალიბების ფაქტს. რ. თ. ერდოღანის მმართვეობამ რევოლუციური დარტყმა მიაყენა მ. ქ. ათათურქის მიერ შექმნილ თურქი ერის იდენტობას, რაც თურქული საზოგადოების ნაწილისათვის შოკის მომგვრელი აღმოჩნდა.

ოსმალეთის იმპერიის დაშლის შემდეგ, რომელიც მულტიეთნიკური წარმონაქმნი იყო, მ. ქ. ათათურქმა, დასუსტებული თურქეთის კიდევ უფრო დაშლა თავიდან რომ აეცილებინა, „ახალი თურქი“ ერის მშენებლობა დაიწყო. ნებისმიერი, ვინც თურქეთის რესპუბლიკის ტერიტორიაზე ცხოვრობდა და ამ ქვეყნისათვის იღვწოდა იყო, თურქი. ასწლეულების განმავლობაში ამ პარადიგმას ემყარებოდა თურქული ნაციონალიზმი, თურქეთის ერის მონოლითურად ქვეყნის პროცესს ფარულად ეწირებოდა სხვადასხვა ეთნიკური უმცირესობები და მათი წარმომავლობის საკითხი ნელ-ნელა ტაბუირებული ხდებოდა. ამ მხრივ საინტერესოა თურქეთის პრეზიდენტის მიერ წარმოთქმული მოსაზრება. რ. თ. ერდოღანი ერთ-ერთ ინტერვიუში დასძენდა: „კითხულობდნენ თუ საიდან ვიყავი, ერთმა ქართველიაო, მეორემ ბოდიში და უფრო საშინელი რამ თქვა - სომეხიო, მაგრამ მე მამით და ბაბუით, ყოველმხრივ თურქი ვარ“.

თურქეთის პრეზიდენტმა, ქვეყნის სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მოქალაქეთა რეგისტრაციის საიდუმლო საინფორმაციო ბაზა საჯარო და ყველასათვის მისაწვდომი გახდა. თურქეთის ნებისმიერ მოქალაქეს შესაძლებლობა მიეცა, გაერკვია მისი წინაპრების წარმომავლობა XIX საუკუნის შუა პერიოდიდან მოყოლებული დღემდე. ბაზის გახსნიდან,

მეზარ მაკარაძე

მხოლოდ რამდენიმე დღეში 8 მილიონმა თურქმა გამოიკვლია საკუთარი გენეალოგიური შტო. აღმოჩნდა, რომ აქამდე ეროვნებით თურქთა ნაწილს სომხური, ბერძნული, ებრაული, ლაზური და არაბული წარმომავლობა ჰქონდა.

ამ მოვლენამ თავდაყირა დააყენა ათათურქის დროიდან არსებული, ერთიანი თურქი ერის იდენტობის შექმნის პოლიტიკა.

რ. თ. ერდოღანი დღეს განმათავისუფლებელ მოძრაობას ახორციელებს, რომელმაც თურქეთი დასავლეთის ჩრდილიდან უნდა გამოიყვანოს და დასაბამი მისცეს ახალ, სუვერენულ რესპუბლიკურ თურქეთს, რომელსაც საკუთარი, დამოუკიდებელი ინტერესები ამოძრავებს.

„ქემალიზმის“ პრინციპებიდან გადახვევის მაგალითი იყო 2017 წლის 16 აპრილს, მმართველი „სამართლიანობისა და განვითარების“ პარტიის და მისი დამფუძნებლის, პრეზიდენტ რ. თ. ერდოღანის მიერ თურქეთში ჩატარებული საკონსტიტუციო რეფერენდუმი. ამომრჩევლებმა ხმა მისცეს თურქეთის კონსტიტუციაში 18 ცვლილებას. რომელიც მოიცავდა ქვეყნის საპარლამენტო სისტემიდან საპრეზიდენტოზე გადასვლას, პრემიერ-მინისტრის თანამდებობის გაუქმებას, ასევე საპარლამენტო მანდატთა რაოდენობის 550-დან 600-მდე გაზრდას და თურქეთის უზენაესი სასამართლოსა და პროკურორების კოლეგიის (HSYK) რეფორმირებას [6].

რეფერენდუმის შემდეგ პრეზიდენტი გახდა, როგორც სახელმწიფოს, ისე მთავრობის მეთაური. მას მიეცა უფლება, დანიშნოს მინისტრები და ვიცე-პრეზიდენტი. პრეზიდენტს შეუძლია გასცეს აღმასრულებელი განკარგულებები.

ფაქტობრივად, ამ რეფერენდუმის შემდეგ „ქემალისტური“ თურქეთი დიდი გამოწვევების წინაშე დადგა. თურქულ საზოგადოებაზეა დამოკიდებული, თუ რა გზას აირჩევს მომავალში რესპუბლიკური თურქეთი.

თურქეთის მოვლენებმა, XXI საუკუნის პირველი ათწლეულის ჩათვლით, გვაჩვენა, რომ ქვეყანა ყალიბდება ძლიერ სახელმწიფოდ. ისმება კითხვა, რამდენად გააგრძელებს ის დემოკრატიული ფასეულობებით სიარულს და რამდენად შეინარჩუნებს „ქემალიზმის“ ევროპული ღირებულების სახელმწიფო მმართველობას.

„ერდოღანიზმის“ მთავარი მიზანი ნეოსმალური სახელმწიფოს შექმნაა. იმისდა მიუხედავად, რომ თანამედროვე თურქეთი თავს ოსმალეთის იმპერიის სამართალმემკვიდრედ არ მიიჩნევს, მას სურს სახელმწიფოს ოსმალეთის დროინდელი ძლიერება დაუბრუნოს, რაც „ქემალიზმის“ გზის შეცვლის ტოლფასია.

შეიძლება ითქვას, რომ ერდოღანის მთავარი პრობლემა, განსხვავებით ქემალ ათათურქისაგან, გახლავთ ის, რომ ათათურქი, ხელისუფლების სათავეში სამხედრო პირის, გენერლის რანგში მოვიდა, ხოლო რ. თ. ერდოღანი არჩევნების, დემოკრატიული მანდატის გზით. შესაბამისად, ის საკუთარი რევოლუციური განზრახვების უდიდეს წინააღმდეგობას აქ აწყდება. თურქეთში კრიზისიც სწორედ ამ მოცემულობის გამოა შექმნილი. შეგვიძლია ვთქვათ, რომ თურქული საზოგადოება ორ: პროერდოღანულ და ანტიერდოღანულ ჯგუფებადაა დაყოფილი. ხოლო იქიდან გამომდინარე, რომ თურქეთში დემოკრატია ჯერ კიდევ დიდი პოპულარობით სარგებლობს, რ. თ. ერდოღანის იდეების განხორციელებას ეს ფაქტორი ხელს უშლის. რაც, თავის მხრივ, გახდა მიზეზი ერდოღანის ანტილიბერალური მიდგომებისა. მან დემოკრატია და ლიბერალიზმი უკიდურესად შეზღუდა საკუთარი მიზნების მისაღწევად და ნაცვლად იმისა, რომ მრავალფეროვანი, პლურალისტური საზოგადოების განვითარებისათვის ეზრუნა, მან საკუთარი მოწინააღმდეგეების დაკავებები დაიწყო და მათ დისიდენტების სტატუსიც მიანიჭა.

„ქემალიზმის“ და „ერდოღანიზმის“ შედარებისას გამოიკვეთა, რომ ამ ორ პოლიტიკურ დოქტრინას შორის არსებობს როგორც მსგავსებები, ისე მნიშვნელოვანი განსხვავებებიც. მათ შორის მსგავსებაა ავტორიტარიზმის, ნეოპატრიმონიალური სისტემის და პოპულიზმის ნაწილში, ისევე როგორც ნაციონალისტური რიტორიკის საკითხში. მათ შორის არსებული პრინციპული განსხვავებები კი ძირითადად გამოიხატება ქემალიზმისთვის დამახასიათებელი სეკულარიზმის ისლამიზმით ჩანაცვლებით. ამასთან, „ქემალიზმის“ ვესტერნიზაციის პრინციპმა შეცვალა „ერდოღანიზმის“ დასავლეთისაგან გამოქცენის და მასთან დაპირისპირების პოლიტიკამ, რამაც მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა ქვეყნის ახალი პოლიტიკური კურსის ფორმირებაზე.

2023 წელი, რესპუბლიკური თურქეთის ისტორიაში გადამწყვეტია, რადგან ქვეყანას დაარსებიდან 100 წელი უსრულდება. ამის ნათელი მაგალითია 2023 წლის 14 და 28 (განმეორებითი) მაისის ჩატარებული საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნებშიც, სადაც მესამე ვადით გამარჯვება მოიპოვა რეჯეფ თაიფ ერდოღანმა, რომელმაც კიდევ ხუთი წლით განსაზღვრა 85 მილიონიანი ქვეყნის მომავალი და თურქი ერის წინაშე ფიცი დადო და აღნიშნა, რომ როგორც პრეზიდენტი დაიცავდა თავის ღირსებას და პატიოსნებას თურქი ერის, ისტორიის, სახელმწიფოს დამოუკიდებლობის და სუვერენიტეტის წინაშე.

საინტერესოა, როგორ განვითარდება მოვლენები ქვეყანაში და რა ადგილს დაიკავებს თანამედროვე თურქეთში ორი ძირითადი პოლიტიკური დოქტრინა - „ქემალიზმი“ და „ერდოღანიზმი“ გრძელვადიან პერსპექტივაში.

PHILOSOPHICAL THINKING IN THE 21ST CENTURY ETHNOS-SOCIETY-HISTORY-MODERN CHALLENGES

THE POLITICAL DOCTRINE OF "ERDOGANISM" AND ITS IMPACT ON THE MAY 2023 ELECTIONS

EMZAR MAKARADZE

e-mail: emzar.makaradze@bsu.edu.ge

Batumi Shota Rustaveli State University, Professor in the world history direction.

ABSTRACT:

After the formation of the independent states of the Caucasus, the issue of separating the territorial borders arose with all intensity. The lack of ability to compromise between the parties led to the Armenian-Georgian war conflict, although even this war did not resolve the problem of border disputes. Lore was declared a neutral zone, while Akhalkalaki remained part of Georgia.

From October 1920, difficulties caused by the aggressive policy of Turkey were added to the existing problems between the republics of the Caucasus. The Armenia-Turkey conflict entered a new phase. The territory of Lore's neutral zone was threatened. This led to the signing of an agreement between Georgia and Armenia in 1920. On November 13, based on this agreement, units of the Georgian army occupied Lore.

The purpose of this paper is to demonstrate the legality of the entry of troops into the region and the groundlessness of the projects developed in the political circles of Armenia (the Khatisian project) based on the documents kept in the Central State Archives of Armenia (these documents were previously kept in secret

funds. Today they are available to researchers) and scientific literary data. New archival documents will enter the scientific circulation in the form of materials presented in the paper.

The methodological basis of the research is the universal scientific principles of objectivity, comprehensiveness, and systematicity, as well as historical-comparative and historical-typological methods.

KEYWORDS:

political doctrine, "Erdoganism", modern Turkey.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ზოკუჩავა თ. ერდოღანიზმისთვის გაგებისთვის. ახლო აღმოსავლეთი და საქართველო, ტ. XII, თბილისი, 2020.
2. მაკარაძე ე. მუსტაფა ქემალ ათათურქის როლი რესპუბლიკურ თურქეთში. ბათუმი, 2009.
3. მაკარაძე ე. თურქეთის ისტორია 1918-2018 (სალექციო ჩანაწერები). თბილისი, 2019.
4. მანჩხაშვილი მ., მაკარაძე ე. ქემალიზმი და დემოკრატიზაცია თურქეთში. თბილისი, 2014.
5. „Erdoganizm ve üzerine oturduğu dört ana sütun“. (2021). Tr724. 27 Mart 2018. 30 Mart 2018 tarihinde kaynağından arşivlendi. Erişim tarihi: 12 Şubat.
6. Yilmaz, I., Bashirov G., (2018). The AKP after 15 Years: Emergence of Erdoganism in Turkey, Third World Quarterly. DOI:10.1080/01436597.2018. 1447371.

21-ე საუკუნის ფილოსოფიური აზროვნება ეთნოსი - საზოგადოება - ისტორია - თანამედროვე გამოწვევები

ციფრული სამყარო და კოლექტიური ფსიქოლოგიური რეალობის თავისებურებანი

გიორგი მასალკინი

ელ-ფოსტა: gimasalkin@yahoo.com

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
ასოცირებული პროფესორი ფილოსოფიის მიმართულებით

აბსტრაქტი:

ამა თუ იმ საზოგადოების სოციო-კულტურულ რაობას საზოგადოებაში არსებული კომუნიკაციის სისტემა, ცოდნის მიღებისა და გადაცემის სპეციფიკა განაპირობებს. შესაბამისად, ამ რაობებში ცვლილებებს, ხშირად კარდინალურს, სწორედ კომუნიკაციის სისტემებში მომხდარი ცვლილებები განაპირობებენ. ამჟამად, სამყარო იმყოფება კომუნიკაციური სისტემის ცვლილების საკმაოდ რთულ, წინააღმდეგობრივ და დრამატულ პროცესში, რომლის აღქმა და სათანადო ანალიზი რთულდება სწორედ იმით, რომ ჩვენ ამ პროცესის თანამონაწილენი ვართ ...

„ღმერთის სიკვდილის“ შემდეგ (და შედეგად) მეოცე საუკუნეში დაიწყო ფაქტის მოკვდინება, პროცესი, რომელიც პოსტმოდერნულ სამყაროში ფაქტის გარდაცვალებით დასრულდა. ეს სიკვდილიც თავის დროზე ნიცშემ იწინასწარმეტყველა, როგორც ისიც, რომ ფაქტის სიკვდილის შემდეგ ჩვენ ინტერპრეტაციების ტყვეობაში აღმოვჩნდით, ინტერპრეტაციებში ჩავიკარგეთ. ინტერპრეტაციების ნამდვილი ვაკუანალიის პირობებში სუბიექტივიზმის დემონს მეორე სუნთქვა გაეხსნა. მეტიც, ციფრული ტექნოლოგიების სახით სუბიექტივიზმის დემონმა ეფექტიანი იარაღით აღიჭურვა. სწორედ ციფრული ტექნოლოგია აჭედებს ბოლო ლურსმანს ფაქტის კუბოში.

შესაძლებელია თუ არა, ინტერპრეტაციული ვაკუანალია ადამიანის თავისუფლების შესაძლებლობად ვაქციოთ? შესაძლებელია თუ არა ციფრული სამყაროს სტიქიის დამორჩილება? ეს რთული შემეცნებითი, ტექნოლოგიური, ეკონომიკური, პოლიტიკური და სამართლებრივი ამოცანაა, რომლის გარკვეული მხარეების განხილვას შევხებით მოცემულ მოხსენებაში.

საკვანძო სიტყვები:

კომუნიკაციური სისტემა. ათენი და იერუსალიმი. ციფრული (ეკრანული) კომუნიკაციური სისტემა. სოციალური ქსელები. ფაქტის სიკვდილი. პოსტ-სიმართლე. ინფორმაციული ბარბაროსობა. მდუმარე უმრავლესობა. ვირტუალური რეალობა. გენერალური ინტერპრეტატორი.

ათენისა და იერუსალიმის ცნობილი დიქოტომია შეიძლება განხილული იყოს, მათ შორის, როგორც კომუნიკაციური სისტემების ბინარული ოპოზიცია. ათენი - აგორა, სიტყვა, მსჯელობა, დისპუტი, და იერუსალიმი - წიგნი, დოგმატი, არგუმენტირება და დამოწმება ტექსტით და ტექსტზე დაყრდნობით. ამ ფორმატში ქრისტიანული მოძღვრება უფრო ახლოსაა ათენთან... „თქვენ გსმენიათ წინაპართა მიმართ თქმული... ხოლო მე გეუბნებით თქვენ“. „წინაპართა მიმართ თქმული“ არსებობდა დაწერილი ტექსტის სახით. ეს ტექსტი განაპირობებდა ებრაელთა ცხოვრების ყველა გამოვლინებას. ქრისტე არ უარყოფს ამ ტექსტს, ის მოგვიწოდებს შევეცადოთ ნებისმიერ სიტუაციაში მოვიქცეთ შემოქმედებითად, რაც ახალი, უფრო მაღალი ზნეობრივი პრინციპების განპირობებელი იქნება. შეიძლება ითქვას, რომ ქრისტიანობა ათენისა

გიორგი გასალკინი

და იერუსალიმის უმაღლეს სინთეზს წარმოადგენს, თუმცა, აქვე უნდა შევნიშნო, რომ საუბარია ქვეყნის ქრისტიანულ მოძღვრებაზე და არა ისტორიულ ქრისტიანობაზე, სადაც გაიმარჯვა იერუსალიმმა (სადაც იუდეველობამ გაიმარჯვა ქრისტიანობაზე).

რა ხდება ამ მხრივ აღმოსავლეთში? აქაც შეიძლება ვილაპარაკოთ ათენისა და იერუსალიმის ერთგვარ აღმოსავლური ხასიათის დიქტომიაზე, მაგალითად - ლაო ძი versus კონფუცი. მსგავს დიქტომიებს ადგილი აქვს ასევე ინდურ ფილოსოფიაში. ზოგადად, აღმოსავლეთს ახასიათებს ერთგვარი უნდობლობა ტექსტისადმი, და მეტიც, ზოგადად სიტყვისადმი. ბუდა: “სიტყვები ვნებს აზრს, ყველაფერი გამოთქმული უცხად ხდება ოდნავ განსხვავებული, ოდნავ შეცვლილი, ოდნავ სულელური“ [1]. თუმცა, კონფუცისთან და, მაგალითად, ლევისტებთან ვხდებით მცდელობას ყველაფრის სწორედ დაწერილი ტექსტისადმი მისადაგებისა.

რეფორმაციის შედეგად ბიბლიის ევროპულ ენებზე თარგმნამ გაზარდა ინტერპრეტაციული სივრცე და მისი საშუალებები, რაც ათენის პარადიგმის განვითარებას უწყობდა ხელს. პრინციპში, იერუსალიმის პარადიგმაშიც (კათოლიციზმი?) არასდროს არ შეწყვეტილა დოგმატური განვითარების პროცესი. სიტყვა და ტექსტი ორივე კონფესიაში კონკურენტულ გარემოში თანაარსებობდა. საინტერესო იქნებოდა ამ მხრივ ტექსტისა და სიტყვის, იერუსალიმისა და ათენის შეფარდების ანალიზი მართლმადიდებლობაში და ისლამში, მაგრამ ეს ცალკე თემის საგანია.

ასე თუ ისე, საუკუნეების განმავლობაში, ინფორმაცია ინახებოდა და გადაიცემოდა წიგნის მეშვეობით და წიგნზე დაყრდნობით. ჯერ კიდევ მე-19 საუკუნეში, ტექსტობრივი კომუნიკაციური სისტემის გაბატონებულ მდგომარეობას არაფერი ემუქრებოდა... მეოცე საუკუნეში ტექსტს, წიგნს, დაუპირისპირდა რიგითობით, - ჯერ კინოთეატრის, შემდეგ ტელევიზორის, შემდეგ კომპიუტერის და ახლა უკვე მობილურის ეკრანი, თავისი ციფრული ტექნოლოგიებით.

ციფრული (ეკრანული) კომუნიკაციური სისტემის ერთ-ერთ დამახასიათებელ ნიშანს სოციალური ქსელების ფენომენი წარმოადგენს, რომელიც ახალი სოციალური და კომუნიკაციური კულტურის რაობას განსაზღვრავს. ჩამოვთვალოთ ამ ახალი კულტურის რამდენიმე დამახასიათებელი ნიშანი (ნიშნები გაცილებით მეტია, მაგრამ აქ ძირითადად ქართული შეფერილობის ნიშნებს ჩამოვთვლით, თუმცა არა მხოლოდ ქართული):

1. სოციალური ქსელი საჯარო სივრცეში ტიმოსური ამბიციების, ანუ აღიარების წყურვილის დაკმაყოფილებას უწყობს ხელს;
2. სოციალური ქსელი ქმნის „მეგობრების“ ვირტუალურ წრეს, რომელიც ჩვენ ატომიზირებულ საზოგადოებაში სოციალური კავშირების სუროგატად, შემცვლელად გვევლინება და ხელს უწყობს ასოციალიზაციის გაღრმავებას;
3. სოციალური ქსელი წარმოადგენს კვაზისაჯარო სივრცეს, საჯარო და პირადი სივრცის ერთგვარ ნაზავს. ის ინარჩუნებს გარკვეულ ანონიმურობას, პრივატულობას, თუმცა ის ვერ ჩაითვლება პირად სივრცედ;
4. სოციალური ქსელები ხელს უწყობენ საზოგადოების ეგალიტარიზაციას, რადგანაც ათანაბრებენ ყველას ინფორმაციისადმი წვდომის კუთხით. „სტალკერების“ (ინტელექტუალების) როლი ნიველირდება. სოციალური ქსელები წარმოგვიდგებიან ახალი აგორის როლში, მაგრამ დემოსთენების და პერიკლებების გარეშე;
5. სოციალური ქსელები მასობრივ და ამოუწურავ გასართობ საშუალებად ჩამოყალიბდა. ეს გარემოება ხელს უწყობს ან კიდევაც ახლებურად აპრობებს ისეთ ფენომენს, როგორცაა „პუერილიზმი“ - მასობრივი გასართობი სანახაობებისადმი ლტოლვა;
6. სოციალური ქსელი ცვლის სამოქალაქო პასუხისმგებლობის რაობას. იმის მაგივრად, რომ რეალურ ცხოვრებაში რეალური ქმედებებით გამოვხატოთ ჩვენი პოზიციები, გავაპროტესტოთ ჩვენთვის მიუღებელი, - ჩვენ გვიჩნდება ცდუნება და შესაბამისი

საშუალება რეალობიდან ვირტუალურ, სოციალური ქსელების სამყაროში გადასვლისა. სოციალური ქსელის ვირტუალური რეალობა ნოყიერ ნიადაგს წარმოადგენს ჩვენი პოლიტიკური კულტურის ისეთი გავრცელებული მანკიერებებისა, როგორცაა პოლიტიკური და სოციალური კონფორმიზმი, ინფანტილიზმი, აგრესია, რადიკალიზმი; 7. სოციალური ქსელები პოლიტიკური ელიტების მხრიდან პოლიტიკური მანიპულაციების ერთ-ერთ ყველაზე ეფექტიან საშუალებას წარმოადგენენ; 8. გლობალური საკომუნიკაციო ენა მიდრეკილია გამართივებისკენ, ორიენტირებულია მოკლე და დასამახსოვრებელ მესიჯებზე, რაც, ხშირად, არ ტოვებს ადგილს ღრმა ანალიზისთვის და მოწესრიგებული პოლემიკისთვის;

9. განათლების სისტემა, კერძოდ, საქართველოში, არ არის სრულყოფილად ადაპტირებული ახალ ციფრულ სამყაროსთან. ასე, მაგალითად, მეცნიერები ვარაუდობენ, რომ ადამიანის გონებრივი აქტივობის ნაყოფიერებას და განვითარებას ხელს უწყობს ტვინის ნახევარსფეროების ასიმეტრიულობის გაძლიერება. წიგნი, ტექსტი, ძირითადად მარცხენა ნახევარსფეროს სტრუქტურებს ავითარებს. ციფრული ინფორმაცია (იდეოგრამების ერთობა) - ძირითადად მარჯვენა ნახევარსფეროს. ტვინის შესაძლებლობების სრულყოფილი გამოყენებისთვის საჭიროა ორივეს - წიგნისა და ციფრული ტექნოლოგიების შესაძლებლობების სათანადო გამოყენება და ათვისება, რაც ჯერჯერობით არ და ვერ ხერხდება. ტვინის შესაძლებლობების მხოლოდ ცალმხრივი განვითარება, როდესაც ტვინის ნახევარსფეროების გონებრივი აქტივობა არასათანადოდ ვითარდება, აზარალებს, აღარბებს აზროვნებას. ზოგადი ინფორმაციულობა, რომელსაც უზრუნველყოფენ ციფრული ტექნოლოგიები, სიტუაციას არ შველის. სახეზეა ერთგვარი ახალი ტიპის „ერთგანზომილებიანი ადამიანის“ ჩამოყალიბების პროცესი.

„ღმერთის სიკვდილის“ შემდეგ (და შედეგად), მეოცე საუკუნეში დაიწყო ფაქტის მოკვდინება, პროცესი, რომელიც პოსტმოდერნულ სამყაროში ფაქტის გარდაცვალებით დასრულდა. ეს სიკვდილიც თავის დროზე ნიცშემ იწინასწარმეტყველა, როგორც ისიც, რომ ფაქტის სიკვდილის შემდეგ ჩვენ ინტერპრეტაციების ტყვეობაში აღმოვჩნდებით, ინტერპრეტაციებში ჩავიკარგებით. ინტერპრეტაციების ნამდვილი ვაკუანალიის პირობებში სუბიექტივიზმის დემონს მეორე სუნთქვა გაეხსნა. მეტიც, ციფრული ტექნოლოგიების სახით სუბიექტივიზმის დემონმა ეფექტიანი იარაღით აღიჭურვა. სწორედ ციფრული ტექნოლოგია აჭედებს ბოლო ლურსმანს ფაქტის კუბოში.

ფაქტი მოკვდა, მის ადგილს „ალტერნატიული ფაქტები“ იკავებენ. ფაქტი მოკვდა, შედგა „პოსტ-ფაქტის“, „პოსტ-სიმართლის“, „კამერის დიქტატურის“ ეპოქა (გავიხსენოთ, უინსტონ სმითის, ორუელის „1984“-ის მთავარი გმირის სამსახური პრაქტიკულად პოსტ-სიმართლის სამინისტროს ფუნქციებს ასრულებს!)

თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიები კოლექტიურ ფსიქიკურ ჰიპერრეალობას წარმოშობენ, რომელსაც „ჩვეულებრივი“, „ობიექტური“ რეალობის მსგავსი ქმედითი ზეგავლენა აქვს თითოეულ ადამიანზე. ახალი რეალობის ინტერპრეტატორის როლს, როგორც წესი, სხვადასხვა პოლიტიკური აქტორი ირგებს (ფუკუს იდეა გამონოპოლიზებულ ინტერპრეტატორზე), რაც ხშირად „საინფორმაციო ტექნოლოგიებზე დამყარებულ ავტორიტარიზმად“ გვევლინება (ზაზა ფირალიშვილი) [2]. ამ, ერთგვარი ნეო-ორუელისეული რეალობის პირობებში, სიმართლე პრაგმატული, სიტუაციური და „მომრავი“ («mobile truth») ხდება. სიმართლე მოძრაობს და იცვლება კონკრეტული ხელისუფლების, პარტიის, გავლენიანი ჯგუფის, კორპორაციის და ასე შემდეგ ინტერესებიდან გამომდინარე. არსებობს მოსაზრება, რომ ციფრულ სამყაროს უფრო ქმედითად სწორედ პოპულისტური ძალები იყენებენ. ციფრული

გიორგი მასალაძე

სამყარო და მასზე დაყრდნობილი კომუნიკაციური სისტემა შედარებით ნაკლებად მომთხოვნია გზავნილების სისწორესთან მიმართებაში და შედარებით ადვილად ეგუება კერძო და პრაგმატული ინტერესების მომსახურე ინფორმაციის გავრცელებას.

არასისტემური ინფორმაციის გიგანტური ნაკადის გადამუშავება და გადახარშვა ძალიან რთული და ხშირად შეუძლებელიც კი ხდება არა მარტო ობივატელისთვის, არამედ თვით აკადემიური სფეროს წარმომადგენლებისთვის. პოსტმოდერნის ეპოქაში „მთავარი ტექსტის“, „გაბატონებული ნარატივის“ არარსებობა არღვევს ობივატელის ფსიქოლოგიურ კომფორტს. ამ კომფორტის აღსადგენად ის ნაცნობ და აპრობირებულ ხერხს - აქტიურ მითოშემოქმედებას მიმართავს, რაც რეალობის „მოშინაურების“ მიზნით თანამედროვე საშუალებების, - პოსტ-მოდერნისტული, ინფორმაციული ეპოქის ახალი მითების გამოყენებას გულისხმობს.

„კლასიკურ“ ინტერპრეტატორებთან ერთად: ხელისუფლება, პარტიები და სხვადასხვა გავლენიანი ჯგუფები (თავისი მედია-საშუალებებით), დღეს ინტერპრეტატორად თვით ინტერპრეტაციების ობიექტი - მასა გვევლინება. ჟან ბოდრიარი აღნიშნავს, რომ მასა არ არის მხოლოდ უმანკო მსხვერპლი ცნობიერების ამ „კოლონიზაციისა“, მასას აწყობს ის რეალობა, რომელსაც მას თავს ახვევენ. ბოდრიარის აზრით, თანამედროვეობის მთავარ პრობლემას სიმულაციური აქტივობა წარმოადგენს, რომელიც მასების დუმის ფონზე მიმდინარეობს. სიმულაციური აქტივობის პირობებში მოდელი, ასლი, სიმულაკრი შთანთქავს რეალობას. რეალობა ინტერპრეტაციებში იკარგება, ის კარგავს თავისთავად ღირებულებას ადამიანისთვის და გადაიქცევა ელასტიურ, მოძრავ, სიტუაციურ ფენომენად [3].

ფაქტი აღარაა მნიშვნელოვანი, მნიშვნელოვანია ის, რაც იქმნება ფაქტის ადგილას ან მის მაგიერ (ან აღიქმება, როგორც ფაქტი). რეალურად მომხდარი შეიძლება ჩაანაცვლოს ყალბმა ვერსიამ (ინტერპრეტაციამ), ჩაანაცვლოს სიმულაკრმა, და თუ ეს სიმულაკრი უფრო ფართოდ და მოხერხებულად გავრცელდა, ამ შემთხვევაში სწორედ ის აღიქმება ფაქტად. არსებობს მხოლოდ ის, რაც არსებობს ეკრანზე ...

ახალ, ეკრანულ სამყაროში ადამიანს უკვე არ უწევს არსებობა ორ რეალობაში - ვირტუალურში და „ნამდვილში“. ეს უკვე გავლილი სტადიაა. ეკრანულ სამყაროში სიმულირებულ (ვირტუალურ) რეალობასა და „ნამდვილ“ რეალობას შორის განსხვავება გამქრალია. ვირტუალური რეალობა არ წარმოადგენს რეალობის დამატებით ფენას, რომელმაც შეიძლება „დაატყვევოს“ ადამიანი და დააკარგინოს კავშირი „ძირითად“ რეალობასთან. ვირტუალური რეალობა წარმოადგენს ერთადერთ რეალობას, რომელიც ხდება განმსაზღვრელი და დამდგენი ჩვენი სურვილებისა და წარმოდგენებისა. სამყარო ღებულობს სურათის სახეს, მაგრამ არა როგორც სამყაროს გამოსახულებისა, - ეს არის სამყარო, გაგებული როგორც სურათი. ორუელის „ორაზრის“ მსგავსად, ადამიანი არ ლაპარაკობს საწინააღმდეგოს იმისა, რასაც ფიქრობს. ის უკვე ფიქრობს სიმართლის საწინააღმდეგოს. კიოსტლერი „მზის დაბნელებაში“ წერს, რომ დილექტანტი ტირანები ქვეშევრდომებს ბრძანების შესაბამისად მოქმედებას აიძულებდნენ, ნამდვილი ტირანი კი მათ ბრძანების შესაბამისად ფიქრს ასწავლის [4].

თანამედროვეობის ერთერთი მთავარი გამოწვევა მდგომარეობს კითხვაში - ვის აქვს საშუალება, ნება და უფლება მონაწილეობდეს რეალობის ფორმირების პროცესში? ვინ ადგენს „სასურველი რეალობის“ კრიტერიუმებს? ინტელექტუალი? მაგრამ, მისი გავლენა პოსტმოდერნულ ეპოქაში დრამატულად მცირდება. მედიასაშუალებები? კარლ პოპერი, „ღია საზოგადოების“ ტერმინის ავტორი, თავის ერთ-ერთ ბოლო ინტერვიუში აკრიტიკებს, მისი განმარტებით, „კვაზილიბერალურ მითს“ უსაზღვრო თავისუფლებაზე, რომლითაც ვითომცდა

უნდა სარგებლობდნენ ტელევიზიები. მისი აზრით, ნებისმიერი ინფორმაცია ტენდენციურია, ნებისმიერი ფაქტების უკან დგას ინტერპრეტატორი. პოპერს მიაჩნია, რომ არაკონტროლირებად ტელევიზიას შეუძლია დაანგრის კულტურა, რომელსაც (კულტურას) ის განსაზღვრავს, როგორც ბრძოლას ძალადობასთან. ტელევიზიები არ კისრულობენ ამგვარ მისიას. მათ მუშაობაში დომინირებს პოლიტიკური ინტერესი ან (და) „რეიტინგის დიქტატურა“ [5].

პოპერის შემდეგ სიტუაცია მხოლოდ „დამძიმდა“, იმ კუთხით, რომ გაჩნდა ახალი, მძლავრი და ნაკლებად კონტროლირებადი ინფორმაციული სივრცე - ინტერნეტი და სოციალური ქსელები (აქვე: სატელიტური რუკები, თვალთვალის კამერები, მონაცემთა ერთიანი ელექტრონული ბაზები და ასე შემდეგ). ისმის ლეგიტიმური კითხვა, თუ რატომ ვეგუებით ციფრულ სივრცეში საზოგადოების სრულ პრივატიზებას ისეთი კერძო კორპორაციებით, როგორცაა Facebook და Google, და რატომ არ ვქმნით ამ კერძო პლატფორმებთან პარალელულად საჯარო-სამართლებრივ პლატფორმებს? [6].

ციფრული სამყაროს ალგორითმები ყალიბდება ან „სტიქიურად“, ან კერძო სტრუქტურების მიერ. ეს სტრუქტურები ძირითადად ანგაჟირებულია, - ან პოლიტიკურად ან ეკონომიკურად. საზოგადოებას არ გააჩნია კონტროლის მექანიზმები ამ ალგორითმებზე. ფეისბუქის და გუგლის ახალი ტექნოლოგიური გეგმების განხორციელების შემდეგ სახელმწიფოები დაკარგავენ ინტერნეტზე ყოველგვარ, მათ შორის ტექნიკურ კონტროლსაც. მარტივად რომ ვთქვათ, ვერ გამორთავენ ინტერნეტს. და პირიქით? შეძლებენ თუ არა იგივე ფეისბუქი და გუგლი „გამორთონ“ სახელმწიფოები და ცალკეული სახელმწიფო ინსტიტუტები? კარგია ეს თუ ცუდი? ეს საკითხი შესასწავლია...

ცალკე და დიდი თემაა ციფრული სამყაროს ისეთი წინააღმდეგობრივი ფენომენი, როგორცაა ხელოვნური ინტელექტი, - თუ რა როლს თამაშობს ის კოლექტიური ფსიქოლოგიური რეალობის ფორმირებაში. მაგრამ ამ თემის განხილვის საშუალებას, მისი მოცულობისა და მნიშვნელობის გათვალისწინებით, ამ მოხსენების ფორმატში უბრალოდ ვერ ვხედავ.

დასკვნის სახით: ცივილიზაცია არ არის მოცემულობა და თავისთავადობა. ის ხელოვნური ქმნილებაა და მუდმივ ზრუნვას საჭიროებს. სათანადო ზრუნვაზე მოთხოვნილება მკვეთრად იზრდება კომუნიკაციური სისტემების რადიკალური ცვლილებების დროს. ზრუნვის მოკლების შემთხვევაში, ცივილიზაციას ინფორმაციულ (ინტერპრეტაციულ) ჯუნგლებში დაკარგვა და ნეობარბაროსობის ახალი ფენომენი - ინფორმაციული ბარბაროსობა ემუქრება. ამ ვითარებაში იზრდება გარკვეული „ინტერპრეტატორების“ გავლენა, რომლებსაც ხშირად ვიწრო პოლიტიკური და ეკონომიკური მიზნები ამოძრავებთ, როდესაც ისინი (მიზნები) ყოველთვის არ ემსახურებიან ცალკეული საზოგადოებებისა და, მთლიანად, კაცობრიობის სწორი და ღირსეული გზით განვითარებას.

შესაძლებელია თუ არა, ინტერპრეტაციული ვაქხანალია ადამიანის თავისუფლების შესაძლებლობად ვაქციოთ. შესაძლებელია თუ არა ციფრული სამყაროს სტიქიის დამორჩილება? ეს რთული შემეცნებითი, ტექნოლოგიური, ეკონომიკური, პოლიტიკური და სამართლებრივი ამოცანაა, რომელიც აქტიურად უნდა იხილებოდეს ყველა შესაძლო პლატფორმაზე.

*PHILOSOPHICAL THINKING IN THE 21ST CENTURY
ETHNOS-SOCIETY-HISTORY-MODERN CHALLENGES*

THE DIGITAL WORLD AND THE PECULIARITIES OF THE COLLECTIVE
PSYCHOLOGICAL REALITY

GIORGI MASALKINI

e-mail: gimasalkin@yahoo.com

Batumi Shota Rustaveli State University,

Associate Professor in Philosophy

ABSTRACT:

The socio-cultural whatness of this or that society is determined by the communication system in the society, the specifics of receiving and transferring knowledge. Accordingly, the changes in these whatnesses, often cardinal, are determined by the changes in the communication systems. Currently, the world is in a rather complex, contradictory, and dramatic process of changing the communication system, the perception and proper analysis of which is complicated by the fact that we are complicit in this process.....

After (and as a result of) the “death of God,” the twentieth century witnessed the death of fact. All that remains are interpretations. Society is lost in interpretations. Under these conditions, the demon of subjectivism found a second wind. Moreover, in the form of digital technology, the demon of subjectivity has armed himself with an effective weapon. In fact, it is digital technology that is driving the final nail in the coffin of fact.

Is it possible or not to turn an interpretative bacchanalia into the possibility of human freedom? Is it possible to tame of the digital world? This is a complex cognitive, technological, economic, political and legal challenge.

KEYWORDS:

communication system. Athens and Jerusalem. Digital (screen) communication system. social networks. The death of fact. Post-truth. Information barbarism. the silent majority. virtual reality. General interpreter.

ლიტერატურა:

1. <https://www.livelib.ru/quote/91482-palomnichestvo-v-stranu-vostoka-g-gesse>
2. წერილები ქართულ იდენტობაზე: ქართული პოლიტიკის თეატრალური დიალექტიკა: წერილები/ლ. იაკობაშვილი–ფირალიშვილი, ზ. ფირალიშვილი; რედაქტორი: სესილი ძეგნიაური; კავკასიის საზოგადოებრივ სტრატეგიათა ინსტიტუტი (CISS); მერაბ მამარდაშვილის სახელობის ქართული კლუბი. თბილისი, 2007. გვ. 196.
<https://burusi.wordpress.com/2010/03/22/zaza-piralishvili/>
3. ნანა ზარდიაშვილი. “რეიტინგის დიქტატურა”. Posted by: burusi | 28/06/2010
<https://burusi.wordpress.com/2010/06/28/nana-zardiashvili-2/>
4. კოესტლერი არტურ. მზის დაბნელება. თბილისი, გამომცემლობა „ინტელექტი“, 1970.
5. Ю.В. Пущаев. Либерализм, квазилиберальные мифы и свобода СМИ (Карл Поппер о роли телевидения в обществе)//Вопросы философии. 2006, № 8, გვ. 3-14.
www.mediamente.rai.it/mmold/English/bibliote/intervis/p/popper.htm
6. <https://www.ipg-journal.io/intervju/statja/show/nam-nuzhen-brjusselskii-kartochnyi-domik-753.20.03.2019>).

21-ე საუკუნის ვილოსოფიური აზროვნება ეთნოსი - საზოგადოება - ისტორია - თანამედროვე გამოწვევები

ავსაზეთის სამთავრო ყირიმის ომის წლებში

ჯემალ კარალიძე

ელ-ფოსტა: jemal.karalidze@bsu.edu.ge

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

რევაზ ღიასაძე

ელ-ფოსტა: revazd@inbox.ru

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

მალხაზ ჩოხარაძე

ელ-ფოსტა: malkhaz.chokharadze@bsu.edu.ge

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

აბსტრაქტი:

კავკასია თავისი განსაკუთრებული სტრატეგიული მდებარეობის გამო ოდითგანვე იზიდავდა მსოფლიოში ჰეგემონობისათვის მებრძოლ დიდ სახელმწიფოებს - XVI საუკუნიდან მიმდინარე მძაფრი მეტოქეობა კავკასიაში გაბატონებისათვის სამ დიდ სახელმწიფოს შორის: ირანს, ოსმალეთსა და რუსეთს შორის, XIX საუკუნის დასაწყისიდან რუსეთის სასარგებლოდ გადაწყდა. ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმება-დაპყრობის შემდეგ რუსეთმა ირანთან და ოსმალეთთან წარმოებული წარმატებული ომების შედეგად მნიშვნელოვნად გაზარდა სამფლობელოები კავკასიასა და შავიზღვისპირეთში. იგი პარალელურად ატარებდა ისეთ პოლიტიკურ, ეკონომიკურ და კულტურულ ღონისძიებებს, რომელსაც უნდა უზრუნველყო მისი სრული და მუდმივი ბატონობა ამ რეგიონში. თუმცა რუსეთი მიღწეულით არ კმაყოფილდებოდა, გეგმავდა ოსმალეთის სრულ დანაწევრებას და ბოსფორსა და დარდანელზე საკუთარი კონტროლის დაწესებას. რუსეთის უკვე მიღწეული წარმატებები აშფოთებდა ევროპის ქვეყნებს, განსაკუთრებით ინგლისს. ამიტომ 1853 წელს რუსეთის მიერ დაწყებულ ომში ოსმალეთის წინააღმდეგ (1853-1856 წწ. ყირიმის ომი) ინგლისი და საფრანგეთი ომში ჩაებნენ რუსეთის წინააღმდეგ. ამან შეცვალა როგორც მიმდინარე ომში ძალთა ბალანსი, ისე განსაზღვრა ომის საბოლოო შედეგი - რუსეთის მარცხი.

ნაშრომში დოკუმენტური მასალაზე დაყრდნობითა და ისტორიოგრაფიული მონაცემების გათვალისწინებით განხილულია რუსეთის ქვეშევრდომობაში მყოფი აფხაზეთის სამთავროს მდგომარეობა ყირიმის ომის პერიოდში პოლიტიკური ელიტისა და საზოგადოების დამოკიდებულება ომისადმი. ომის შედეგები აფხაზეთის სამთავროსათვის.

საკვანძო სიტყვები:

კავკასია, საქართველო, აფხაზეთის სამთავრო, რუსეთი, ოსმალეთი, ინგლისი, მიხეილ შარვაშიძე.

კავკასია, როგორც ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი გეოსტრატეგიული რეგიონი, უძველესი დროიდან იყო მსოფლიოში გაბატონების მოსურნე ახლო თუ შორეული ქვეყნების პირველხარისხოვანი სამიზნე. XV-XVI საუკუნიდან კავკასიაში გაბატონებისათვის სამი დიდი სახელმწიფოს: ოსმალეთის, ირანისა და რუსეთის ინტერესები გადაიკვეთა.

რუსეთის გაძლიერების პარალელურად მისი ძირითადი მეტოქეები კავკასიაში - ირანი და ოსმალეთი -სუსტდებოდნენ. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო რუსეთის ძირითადი მეტოქის, შავიზღვისპირეთში პირველობისათვის ბრძოლაში ოსმალეთის დასუსტება. „XVIII-XIX საუკუნეთა მიჯნაზე ოსმალეთის იმპერია იმყოფებოდა უაღრესად მძიმე სოციალურ - ეკონომიკურ და პოლიტიკურ კრიზისში (სვანიძე, 2007: 260). ფაქტობრივად XVIII საუკუნის მანძილზე რუსეთი და ოსმალეთი ურთიერთსაპირისპირო მიმართულებით ვითარდებოდნენ. „რუსეთის სახელმწიფო მტკიცდებოდა და ფართოვდებოდა, ხოლო ოსმალეთის იმპერია სამხედრო- პოლიტიკური თვალსაზრისით სუსტდებოდა (Россия и восток ,2002:338)

რუსეთის მზარდი ძლიერება „გარდაუვალს ხდიდა „ძველის“ დარღვევას და „ახალი“ ბალანსის ჩამოყალიბებას კავკასიაში“ (Дегоев , 2001: 40) . ისახავდა რა მიზნად საქართველოზე დაყრდნობით ამიერკავკასიაში პოზიციების განმტკიცებას, რუსულმა დიპლომატიამ მოახერხა ერეკლე II დარწმუნება, რასაც 1783 წლის გეორგიევსკის ტრაქტატის გაფორმება მოჰყვა. ეს ფაქტი საგანგაშოდ მიიჩნის ირანსა და ოსმალეთში, რაც სავსებით ლოგიკური იყო. რუსეთი, რომელმაც ყირიმი და ჩრდილოეთ კავკასია შეიერთა „საქართველოს დაპატრონებით მთელ კავკასიასაც ჩაიგდებდა ხელში... ეს კი იმას ნიშნავდა, რომ რუსეთი მთელ კავკასიაში გაბატონდებოდა, ხოლო თუ იგი შეჩერებული არ იქნებოდა, შეიძლება სულაც ირანს დაპატრონებოდა (სოხვაძე, 1990 : 244)

რუსეთმა ისარგებლა XVIII – XIX საუკუნის მიჯნაზე შექმნილი ხელსაყრელი საერთაშორისო ვითარებით და რამდენიმესაუკუნოვანი მწვავე დაპირისპირება XIX საუკუნის დამდეგს რუსეთის გამარჯვებით დასრულდა. სამწუხაროდ, კავკასიის პოლიტიკური ერთეულები უფრო დიდი პოლიტიკის ობიექტები აღმოჩნდნენ, ვიდრე სუბიექტები (Дегоев 2001 : 50). ოსმალეთი და ირანი არ ურიგდებოდნენ შექმნილ ვითარებას და ევროპის ქვეყნების წაქეზებით მდგომარეობის გამოსწორებას ცდილობდნენ, თუმცა უშედეგოდ. 1804-1813, 1826-1828 წლების რუსეთ-ირანისა და 1806-1812, 1828-1829 წლების რუსეთ-თურქეთის ომების შედეგად რუსეთმა არათუ შეინარჩუნა , არამედ კიდევ უფრო გააფართოვა და განამტკიცა პოზიციები კავკასიაში.

XIX დასაწყისში რუსეთის პოზიციების განმტკიცებამ კავკასიაში აფხაზეთის მთავარს საგარეო პოლიტიკური ორიენტაციის შეცვლისაკენ უბიძგა. ოსმალეთის იმპერია ღრმა კრიზისში იმყოფებოდა, რუსეთი კი საქართველოში გავლენას აფართოებდა. ქელემ ბეგ შარვაშიძე ხვდებოდა, რომ ადრე თუ გვიან აფხაზეთის ჯერიც დადგებოდა (ქორთუა, 1964 : 109).1806 წ. მაისში ქელემ-ბეგმა რუსეთის ხელისუფლებას მფარველობაში მიღების თხოვნით მიმართა. იმავე დროს აფხაზეთის მთავარი დაუახლოვდა სამეგრელოს სამთავროს. ქელემ-ბეგის ვაჟი ,საფარ-ბეგი, მოინათლა (ნათლობის სახელი გიორგი) და გრიგოლ დადიანის და თამარი შეირთო. 1806 წ. ივნისში ქელემ-ბეგმა რუსეთის მფარველობაში შესვლის საკითხი ლიხნში მოწვეულ სახალხო ყრილობაზე განიხილა. ყრილობამ მთავარს მხარი დაუჭირა. 1806 წ. დეკემბერში სულთანმა სელიმ III რუსეთს ომი გამოუცხადა. აფხაზეთში ვითარება დაიძაბა. მთავრის ხელისუფლებისათვის ბრძოლა დაიწყო ქელემ-ბეგის ვაჟმა ასლან-ბეგმა, რომელმაც 1808 წელს მამა მოკლა. რუსეთი აქტიურად ჩაერია მთავრის ხელისუფლებისათვის ბრძოლაში და 1810 წელს ალექსანდრე I საფარ-ბეგ (გიორგი) შარვაშიძე დაამტკიცა აფხაზეთის მთავრად მემკვიდრეობის უფლებით, რუსეთის იმპერიის მმართველობის ქვეშ (Дзидзария, 1988:48-49).

1810 წლის 10 ივლისს რუსეთის დესანტმა მძაფრი ბრძოლების შემდეგ დაამარცხა სოხუმში განლაგებული ოსმალური გარნიზონი და ქალაქ დაეუფლა. იმავე წლის ოქტომბერში გიორგი შარვაშიძეს საზეიმოდ გადაეცა სამთავრო ნიშნები, მან დაიფიცა რუსეთის ერთგულებაზე.ამით

ოფიციალურად გაფორმდა აფხაზეთის სამთავროს რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში შესვლა (აფხაზეთის ასსრ ისტორიის ნარკვევები, 1960:140 ; დუმბაძე, 1957: 215-223).

ოსმალეთი დაჟინებით ცდილობდა აფხაზეთის დაბრუნებას, რაც კიდევ უფრო ამწვავებდა ისედაც რთულ ვითარებას. 1821 წ. მთავარი გიორგი შარვაშიძე გარდაიცვალა. რუსეთის მხარდაჭერით მთავრის ტახტი გიორგის არასრულწლოვანმა ვაჟმა დიმიტრიმ დაიკავა (1821-1822 წწ.), მაგრამ მცირე ხნით, იგი ბიძის, ასლან-ბეგის დავალებით მოწამლეს. რუსეთის მხარდაჭერით მთავარი გახდა გარდაცვლილი მთავრის ძმა მიხეილ შარვაშიძე(1823-1864 წწ.) მიხეილ შარვაშიძის ხელისუფლება მუდმივად განიცდიდა ოსმალური ორიენტაციის მომხრეთა თავდასხმებს, რომლებიც კარგად სარგებლობდნენ იმ სიძულვილით, რომელსაც ცარიზმის პოლიტიკა იწვევდა აფხაზ ხალხში (წურწუმია, 2012:116). კოლონიური პოლიტიკის წინააღმდეგ აფხაზებმა არაერთი აჯანყება მოაწყვეს 1821, 1824, 1837, 1841, 1842, 1846, 1850 წლებში. აქტიური გამოსვლები მოუწყო წებელდაში, დალში, გუმში, ჯგერდაში, ჭლოუში, ფსხუსა და სხვა ადგილებში. მხოლოდ 1846 წ. მთიულეებმა აფხაზეთის ზღისირეთში განლაგებულ რუსულ სიმაგრეებზე 88 თავდასხმა მოაწყვეს. (მიძარია, 1988:196). ანტირუსულ გამოსვლებში აფხაზებს აქტიურად უჭერდნენ მხარს ჩრდილო-დასავლეთ კავკასიის მთიელები. ჩრდილოეთ კავკასიის მთიელებს, რომლებიც რუსეთის წინააღმდეგ ხანგრძლივ ომს აწარმოებდნენ, აფხაზეთის სანაპირო და პორტები სასიცოცხლოდ სჭირდებოდათ გარე სამყაროსთან ურთიერთობისათვის. აფხაზეთის არისტოკრატისა და თავისუფალი მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილისთვის ოსმალური ორიენტაცია გამოწვეული იყო რუსეთის პოლიტიკით, რომელიც აფხაზეთში დამკვიდრებისათვის ხელს უწყობდა სამთავრო სახლისა და მასთან დაახლოებული არისტოკრატის გაძლიერებას, ასევე ცდილობდა მოსახლეობის ქრისტიანობაზე მოქცევას (წურწუმია, 2012:121).

XIX საუკუნის 40-იანი წლების მიწურულს კვლავ გამწვავდა „აღმოსავლეთის საკითხი“, რომელმაც ცენტრალური ადგილი დაიკავა რუსეთის საგარეო პოლიტიკურ პრობლემებს შორის. ასეთ ვითარებაში კიდევ უფრო გაიზარდა კავკასიის სტრატეგიული მნიშვნელობა. შეუძლებელი იყო რუსეთს ეფიქრა შავი და კასპიის ზღვების აუზში ფართომასშტაბიან ექსპანსიაზე კავკასიაში გაბატონების გარეშე.

რუსეთს განზრახული ჰქონდა ახლო აღმოსავლეთში გაბატონება დასუსტებული ოსმალეთის იმპერიის ხარჯვაზე. ახლო აღმოსავლეთში დიდი ეკონომიკური და პოლიტიკური ინტერესები ჰქონდათ ინგლისსა და საფრანგეთს. მათ ასევე სურდათ რუსეთის განდევნა ყირიმიდან და კავკასიიდან. ნიკოლოზ I აქტიურობამ ინგლისისა და საფრანგეთის დაახლოება გამოიწვია. რუსეთის ბალკანეთში გავლენის გამო უპირისპირდებოდა ავსტრია-უნგრეთიც. ამრიგად XIX საუკუნის 50-იანი წლების დასაწყისისთვის რუსეთი ფაქტობრივად პოლიტიკურ იზოლაციაში მოექცა. ნიკოლოზ I და მისი გარემოცვა კი დაჟინებით ცდილობდნენ ოსმალეთთან ომის დაწყებას. „წმინდა მიწების“ გამო გამწვავებულმა პრობლემამ და რუსეთის არადიპლომატიურმა მოქმედებებმა 1853 წლის ივნისში რუსეთ-ოსმალეთის ომი გამოიწვია.

1853 წლის 21 ივნისს რუსეთის ჯარებმა გადალახეს მდ. პრუტი და მოლდოვეთში შეიჭრნენ ისე, რომ ომი არ გამოუცხადებიათ. გარკვეული პერიოდი იყო იმედი, რომ კონფლიქტი მშვიდობიანად მოგვარდებოდა. ამ მიზნით 1853 წლის სექტემბერში ვენაში მოიწვიეს კონფერენცია ინგლისის, საფრანგეთის, ავსტრიისა და პრუსიის მონაწილეობით. შეიმუშავეს „ვენის ნოტა“, რომელიც ითვალისწინებდა რუსეთ-ოსმალეთის კონფლიქტის მშვიდობიანად მოგვარებას. რუსეთმა მიიღო აღნიშნული პროექტი, მაგრამ ოსმალეთმა ინგლის-საფრანგეთის ელჩების წაქეზებით უარი განაცხადა და მოითხოვა, რუსეთს გაეთავისუფლებინა ოკუპირებული

ტერიტორიები. 1 ოქტომბერს ოსმალეთმა გამოუცხადა ომი რუსეთს, ხოლო 20 ოქტომბერს რუსეთმა ოსმალეთს. დაიწყო რუსეთ-ოსმალეთის ომი, რომელშიც შემდეგ ჩაებნენ ევროპის ქვეყნები და იგი ისტორიაში შევიდა ყირიმის ომის სახელწოდებით, რომელიც 1856 წლის 18-60 მარტს პარიზის ზავით დასრულდა. საზავო პირობები მძიმე იყო რუსეთისთვის. იგი ოსმალეთს უბრუნებდა ყარსის ციხესიმაგრეს მიმდებარე ტერიტორიებით, ხელშეკრულების XI მუხლით შავი ზღვა ღია ზღვად ცხადდებოდა ყველა ქვეყნის გემებისათვის. რუსეთს ეკრძალებოდა სიმაგრეების აგება შავ ზღვაზე, მოკავშირეებს შეეძლოთ უფრო მძიმე დარტყმის მიყენება რუსეთისათვის, მაგრამ ვერ შეძლეს ხელსაყრელი სიტუაციის გამოყენება.

ყირიმის ომის პერიოდში საომარი მოქმედებების ზონაში მოექცა დასავლეთ საქართველო, მათ შორის აფხაზეთის სამთავროც.

ყირიმის ომის პერიოდში აფხაზეთის მთავარმა მიხეილ შარვაშიძემ რუსეთს დიდი სამსახური გაუწია, რისთვისაც იმპერატორმა იგი თეთრი არწივის ორდენით დააჯილდოვა, 1856 წელს კავკასიის მეფისნაცვალმა ნ. მურავიოვმა ყირიმის ომის დროს თითქოს მიხეილ შარვაშიძის ღალატის გამო აფხაზეთის სამთავროს გაუქმების საკითხი აღძრა, მაგრამ იმპერატორმა ეს შუამდგომლობა არ მიიღო. რადგან ომი ჩრდილოეთ კავკასიაში გრძელდებოდა, კავკასია დასაპყრობი იყო, ამიტომ ცარიზმს მიხეილ შარვაშიძე ჯერ კიდევ სჭირდებოდა. იმპერატორმა აფხაზეთის მთავრის ღალატი არ სცნო დამტკიცებულად და ეს საქმე კვლავ მიყუჩდა (ხორავა, 2004:46). მაგრამ დასავლეთის კავკასიის დაპყრობის შემდეგ ვითარება შეიცვალა. რუსეთის ხელისუფლებას უკვე ჰქონდა შემუშავებული კავკასიის კოლონიზაციის გეგმა, რომელიც შავი ზღვის აფხაზეთის სანაპიროზე კაზაკების დასახლებას ითვალისწინებდა. აღნიშნულის განხორციელება მთავრის ხელისუფლებისა და მიწისმფლობელი მკვიდრი მოსახლეობის პირობებში შეუძლებელი იქნებოდა (მიძარია, 1982:250-252) ამიტომ ალექსანდრე II მიიღო აფხაზეთის მთავრის განთავისუფლებისა და აფხაზეთში რუსული მმართველობის შემოღების გადაწყვეტილება (სცსსა, ფ. 416, ა. 3, ს. 177, ფურც. 48).

1864 წ. 12 ივლისს რუსეთმა აფხაზეთის სამთავრო გააუქმა. მთავარი მიხეილ შარვაშიძე, რომელმაც თავის დროზე რუსეთს დიდი სამსახური გაუწია აფხაზეთში ვორონეჟში გადასახლეს. იგი 1866 წ. გარდაიცვალა, ანდერძისამებრ აფხაზეთში ჩამოასვენეს და მოქვის ტაძარში დაკრძალეს (ხორავა, 2011:280-284).

აფხაზეთის სამთავროს გაუქმების შემდეგ შეიქმნა სოხუმის სამხედრო განყოფილება, რომელიც ქუთაისის გენერალ-გუბერნატორს დაექვემდებარა. მოხელეთა მხრიდან ადგილობრივთა თავისებურებისა და ინტერესების გაუთვალისწინებლობამ აფხაზი მოსახლეობის დიდი უკმაყოფილება გამოიწვია. ისინი აჯანყდნენ. აჯანყება 1866 წ. 26 ივლისს სოფ. ლიხნში დაიწყო. ხელისუფლებამ სასწრაფო ღონისძიებები მიიღო აჯანყების ჩასახშობად. აჯანყების შემდეგ გაჩნდა აფხაზთა თურქეთში გადასახლების დასაბუთება. ქუთაისის გენერალ-გუბერნატორი მიუთითებდა: „არსებობს მხოლოდ ერთი რადიკალური საშუალება სოხუმის განყოფილების მხრიდან ყოველგვარი საშიშროების აღმოსაფხვრელად. ესაა აფხაზეთის მოსახლეობის თურქეთში გაასახლება“ (სცსსა, ფ. 545, ა. 1, ს. 91, ფურც. 23).

ამრიგად ყირიმის ომში მარცხის მიუხედავად რუსეთმა კავკასიაში პოზიციები შეინარჩუნა, ხოლო მალე კავკასიური ომების დასრულების შემდეგ მთელი კავკასია და მათ შორის აფხაზეთის სამთავროც, იმპერიის ადმინისტრაციულ სისტემაში სრულად მოაქცია.

*PHILOSOPHICAL THINKING IN THE 21ST CENTURY
ETHNOS-SOCIETY-HISTORY-MODERN CHALLENGES*

PRINCIPALITY OF ABKHAZIA DURING THE CRIMEAN WAR

JEMAL KARALIDZE

e-mail: jemal.karalidze@bsu.edu.ge

Batumi Shota Rustaveli State University

REVAZ DIASAMIDZE

e-mail: revazd@inbox.ru

Batumi Shota Rustaveli State University

MALKHAZ CHOKHARADZE

e-mail: malkhaz.chokharadze@bsu.edu.ge

Batumi Shota Rustaveli State University

ABSTRACT:

Due to its special strategic location, the Caucasus has always attracted the great powers fighting for hegemony in the world - the intense rivalry between the three great powers: Iran, Ottomans and Russia, which has been going on since the 16th century for the dominance of the Caucasus, has been decided in favor of Russia since the beginning of the 19th century. After the abolition and conquest of the Kingdom of Kartli-Kakheti, Russia significantly increased its possessions in the Caucasus and the Black Sea as a result of successful wars with Iran and the Ottomans. At the same time, he was carrying out such political, economic and cultural measures that should ensure his complete and permanent domination in this region. However, Russia was not satisfied with what it had achieved, it planned to completely dismember the Ottoman Empire and establish its own control over the Bosphorus and Dardanelles. Russia's already achieved successes worried European countries, especially England. Therefore, in the war started by Russia against the Ottomans in 1853 (Crimean War of 1853-1856), England and France entered the war against Russia. This changed both the balance of power in the current war and determined the final outcome of the war - Russia's defeat.

Based on documentary material and taking into account historiographical data, the paper discusses the situation of the principality of Abkhazia under Russian rule during the Crimean War, the attitude of the political elite and society towards the war. The consequences of the war for the Principality of Abkhazia.

KEYWORDS:

Caucasus, Georgia, Principality of Abkhazia, Russia, Ottoman Empire, England, Mikheil Sharvashidze.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფონდი 416, საქმე 177
2. საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფონდი 545, საქმე 91 .
3. დუმბაძე მ. , დასავლეთ საქართველო მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში, თბილისი,1957
4. სვანიძე მ., თურქეთის ისტორია (1299-2000), თბილისი, 2007
5. სოხვაძე ბ., რუსეთი მეჩვიდმეტე საუკუნის დასასრულსა და მეთვრამეტე საუკუნეში, თბილისი,1996
6. ქორთუა ნ. , საქართველო 1806-1812 წწ. რუსეთ-თურქეთის ომში, თბილისი, 1964
7. წურწუმია ზ. , აფხაზეთი რუსეთ-ოსმალეთის ურთიერთობებში, თბილისი, 2012
8. ხორავა ბ. , აფხაზეთა 1867 წლის მუჰაჯირობა, თბილისი,2004
9. Дегоев В., Большая игра на Кавказе(история и современность) , Москва, 2001
10. Дзидзария Г. , присоединение Абхазии к России , Сухуми,1988
11. Очерки истории абхазской АССР , ч.1, Сухуми, 1960
12. Россия и Восток, СПб , 2002

21-ე საუკუნის ფილოსოფიური აზროვნება
ეთნოსი - საზოგადოება - ისტორია - თანამედროვე გამოწვევები

ქართულ-იაპონური დიპლომატიური ურთიერთობები
ლინგვისტურ ძრილში

ლავა ბოლქვაძე

ელ-ფოსტა: l.bolkvadze@hotmail.com

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
 დოქტორანტი

აბსტრაქტი:

ნებისმიერი ქვეყნების ურთიერთკავშირი იწყება დიალოგით, წარმატებული კულტურათშორისი კომუნიკაცია კი მოითხოვს მრავალფეროვანი ინფორმაციის გააზრებას. იაპონურ-ქართულ დიპლომატიური ურთიერთობების წყვეტილმა განვითარებამ (ოსმალური იმპერია, ცარისტული რუსეთი, საბჭოთა კავშირი) და იაპონიისა და საქართველოს შორის არსებული გეოგრაფიულმა სიშორემ და მრავალი სხვა ფაქტორმა გამოიწვია ინფორმაციის სიმცირე ორივე მხრიდან. შესაბამისად მნიშვნელოვანია ორივე ქვეყნის მთავარი სოციო-კულტურული კომპონენტების გამოკვეთა, კულტურული რეალიების გაანალიზება, შედარება-შეპირისპირება, რაც ხელს შეუწყობს საქმიანი დიალოგის გამართვას. თანამედროვე დამოუკიდებელი საქართველო დაინტერესებულია მაღალგანვითარებულ იაპონიასთან ურთიერთობაში, ეს კი მეტი ინფორმაციის მოპოვების შესაძლებლობას მოითხოვს, რაც წარმატებული დიპლომატიური დისკურსის განვითარების აუცილებელი პირობაა.

საკვანძო სიტყვები:

დიპლომატიური დისკურსი, კულტურათშორისი კომუნიკაცია, კულტურული რეალიები.

იაპონური კულტურა აზიური კულტურის ერთერთი თავისებური სამყაროა, რომელშიც დიდი მნიშვნელობა ენიჭება სწორ ეტიკეტს, ქვეყნის კულტურას, მას ახასიათებს თანამედროვე ტექნოლოგიებისა და მეცნიერების განვითარების მაღალი დონე. ამ პატარამ, მაგრამ ძალიან განვითარებულმა სახელმწიფომ, იმდენად დახვეწა სხვა ქვეყნებთან დიპლომატიური ურთიერთობის ხერხები, რომ შეძლო მსოფლიოში ჩამოყალიბებული ძველი სტერეოტიპის შეცვლა. იაპონელებმა მთელ მსოფლიოს შეაყვარეს მათი ეროვნული სამზარეულო (სუში, ვასაბი), თავისებური სასმელი (საკე), ხელოვნების განუმეორებელი ნიმუშები. მათ შეიმუშავეს და განახორციელეს „კულტურული დიპლომატიის“ ხერხები და ამით ახალი სტერეოტიპები გამოუმუშავეს მსოფლიოს ახალ თაობას (იაპონია არის სამშობლო სუშის, კაბუკის და სხვ.).

ეს გარემოება ზრდის იაპონური დიპლომატიის შესწავლის აუცილებლობას.

დიპლომატიური დისკურსის სფერო თემატურად ძალიან ფართო და მრავალფეროვანია, ჩვენ ვეცდებით ამჟამად გავაშუქოთ ორი მნიშვნელოვანი მიმართულება: ქართულ-იაპონური დიპლომატიური ურთიერთობათა მოკლე ისტორია და კულტურული დიპლომატიის ზოგიერთი სფეროები.

ქართულ იაპონური ურთიერთობის ისტორია ხანგრძლივი არ არის მაგრამ ამომავალი მზის ქვეყანა სულიერად ყოველთვის ახლოს იყო ქართველებთან ერთად. იაპონიისა და იაპონელებისადმი პატივისცემა, კეთილგანწყობა მრავალგზის გამოიხატება ქართულ საისტორიო

ლასა ბოლქვაძე

წყაროებსა და ლიტერატურაში. ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, თსუ-ს პროფესორი, ნიკო ჯავახიშვილი მის მონოგრაფიაში „ამომავალი მზის ქვეყანა ქართველთა თვალთ“ გვიზიარებს ქართულ იაპონური ურთიერთობათა ისტორიის საინტერესო ფაქტებს ([ისტორიანი](#) : ისტორიულ-შემეცნებითი ჟურნალი. - თბილისი, 2014. ივნისი. გვ.12-19).

როგორ აისახა იაპონია ქართულ საზოგადოებრივ აზროვნებაში? იაპონია ქართულ წყაროებში პირველად XVIII საუკუნის პირველ მესამედში გვხვდება. ბაგრატიონთა ათასწლოვანი სამეფო დინასტიის ერთ-ერთი სახელოვანი წარმომადგენლის, მეფის, ვახტანგ VI-ის (1675-1737) ნაშრომში იაპონია ჯაპანად იხსენიება. ამომავალი მზის სამეფო ქართველთაგან პირველმა მეფე ვახტანგ VI-მ მოიხსენია თავის ნაშრომში ის ხაზგასმით მიუთითებს იაპონური სპილენძის უმაღლეს ხარისხზე.

სულხან-საბა ორბელიანის (1658-1725) ქართულ ლექსიკონს (სიტყვის კონას) დართულ სიაში სხვა ქვეყნებს შორის იხსენიებს იაპონიასაც. ამ ქვეყნის შესახებ ცნობებს ვხვდებით ვახუშტი ბაგრატიონის (1696-1756) მიერ თარგმნილ თხზულებაში, რომელსაც სახელოვანმა მეცნიერმა კომენტარები დაურთო.

1889 წელს გაზეთ ივერიაში ილია ჭავჭავაძე წინასწარმეტყველურად წერდა, რომ დღეს, იაპონიას ბევრი ევროპულად განათლებული, ევროპაშივე სწავლამიღებული ახალგაზრდობა ჰყავს. ნიკო ნიკოლაძის დასკვნით, XIX საუკუნის 60-იანი წლების მიწურულიდან მოყოლებული, იაპონია თანდათანობით იმდენად დაწინაურდა, რომ გადაიქცა მძლავრ სახელმწიფოდ.

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, ჯაბა მესხიშვილი მის სტატიაში „რუსეთ-იაპონიის ომი და ქართველი მეომრები (1904-1905)“ გვიზიარებს რუსეთ იაპონიის ომში ქართველების როლს და მათ ქცევებს იაპონიისა და იაპონელებისადმი (მესხიშვილი :232).

ავტორი გვაცნობებს, რომ 1904 წლის 10 თებერვალს იაპონიამ რუსეთს ომი გამოუცხადა და რუსეთ-იაპონიის ომი მძიმე გამოდგა ადამიანი რესურსების დანაკარგის მიხედვით, მხოლოდ იაპონიამ დაჭრილ-დაღუპულების სახით 200 000-ზე მეტი ჯარისკაცი დაკარგა. არანაკლები მსხვერპლი ნახა რუსეთის იმპერიის არმიამაც. იმ პერიოდში საქართველო რუსეთის იმპერიის მიერ იყო ანექსირებული და როგორც იმპერიის შემადგენელი ნაწილიდან, საქართველოდანაც, გაიწვიეს ჯარისკაცები შორეულ აღმოსავლეთში მიმდინარე ომში. მაგრამ მათ საქართველოში არ ჰქონდათ საზოგადოებაში მხარდაჭერა და თანაგრძნობა, ქართულ პრესაში თითქმის არაფერი არ იწერებოდა. ის, რომ ქართველებს არ სურდათ იაპონიის წინააღმდეგ საომრად წასვლა გამოჩნდა 1904 წლის საშემოდგომო გაწვევის დროსაც. საქმე იმაშია, რომ ქართულ საზოგადოებაში იაპონიას არ თვლიდნენ მტრად და მის წინააღმდეგ ომში წასვლაც თითქმის არავის არ სურდა. იაპონია მათთვის მტერი კი არა, არამედ საერთო მტრის და დამპყრობელის რუსეთის იმპერიის მტერი და ერთგვარი მოკავშირე იყო.

1905 წლის მარტში იაპონიამ მუკდენთან სასტიკი მარცხი აგემა რუსეთის იმპერიის არმიას და აიძულა ჩრდილოეთით კიდევ უფრო დაეხია. ამით გახარებულმა ილია ჭავჭავაძემ 1905 წლის 30 მარტს გაზეთ „ივერიაში“ „მისალმება“ გამოაქვეყნა, სადაც უფრო ნათლად არის გამოხატული „გაზაფხულის“ ფარული მნიშვნელობა და ასევე იაპონიის მიმართ მხარდამჭერის ალეგორიული სიტყვები. ამ ლექსში „მზე“, რა თქმა უნდა, იაპონიის ალეგორიაა, რადგანაც ცნობილია რომ იაპონიას „ამომავალი მზის ქვეყანას“ უწოდებენ. „ბნელეთის ქვეყანა“ რუსეთის იმპერია არის. ფრინველებსა და მერცხლების გუნდში კი რუსეთის იმპერიის ოკუპაციის ქვეშ მყოფი ერები იგულისხმება, რომლებსაც ამ ომში რუსეთის იმპერია არის. ფრინველებსა და მერცხლების გუნდში კი რუსეთის იმპერიის ოკუპაციის ქვეშ მყოფი ერები იგულისხმება, რომლებსაც ამ ომში რუსეთის იმპერიის მარცხის შემთხვევაში თავისუფლების მოპოვების

იმედი გაუჩნდათ. „მნათობით მეფეში“ იაპონიის იმპერატორი მეიჯია იგულისხმება, რომლის მიმართაც ილია აღტაცებას გამოხატავს.

ჯაბა მესხიშვილი მის სტატიაში გვიზიარებს რუსეთ იაპონიის ომში ქართველების პოეტებისა და გამოჩენილი მოღვაწე პიროვნებების შეხედულებებს იაპონიისა და იაპონელებისადმი (მესხიშვილი, 2020 გვ: 58).

1905 წლის მაისში, იაპონიის ზღვაში მათი ეროვნულმა ფლოტმა ადმირალი ტოგოს მეთაურობით გამანადგურებელი მარცხი მიაყენა რუსეთის იმპერიის ფლოტს. ამით პრაქტიკულად დასრულდა ომი, რადგან ომის გაგრძელების რესურსი არც ერთ მხარეს აღარ ჰქონდა შერჩენილი. ამ საზღვაო ბრძოლამდე ცოტა ხნით ადრე, აკაკი წერეთელმა გაზეთ „ივერიაში“ გამოაქვეყნა ლექსი „გურული ნანინა“, რომელშიც იაპონიის არმიის გენშტაბის უფროსს ივანე ოიამას ხოტბას ასხამდა, თუმცა ეს ისე გააკეთა, რომ ვერც ერთი ცენზურა ვერ მოედევნოდა. ერთი შეხედვით ლექსი ეძღვნებოდა ჩვილს, რომელსაც ყოველი სტროფის შემდეგ „ოი, ამას ვენაცვალე-თი“ მიმართავს.

იაპონიის ფარული მხარდამჭერის მასალები ქართულ 1905 წლით თარიღდება. ისინი იაპონიის მხარდაჭერას რუსული ცენზურის გვერდის ავლით, ალევორიულად გამოხატავდნენ, თუმცა დაკვირვებული თვალი აუცილებლად შენიშნავდა პოეტების სულისკვეთებასა და შინაგან განწყობებს.

ოცდაათ წელზე მეტი გავიდა მას შემდეგ, რაც 1992 წლის 3 აგვისტოს იაპონიამ აღიარა საქართველოს დამოუკიდებლობა და ორ ქვეყანას შორის დიპლომატიური ურთიერთობები ჩამოყალიბდა (Embassy of Japan in Georgia 2022).

1991 წელს საბჭოთა კავშირის დაშლის შედეგად შექმნილმა რეალობამ გამოწვევის წინაშე დააყენა საერთაშორისო აქტორები, რომლებსაც ახალ გარემოსთან ადაპტირება სურდათ — მათ შორის იყო იაპონიაც. იაპონია ერთ-ერთი პირველი იყო, რომელმაც პოსტ-საბჭოთა ქვეყნების დამოუკიდებლობა აღიარა, მაგრამ ცალკეული რეგიონული მიდგომების შემუშავებას გარკვეული დრო დასჭირდა (ბიბილაშვილი, 2022).

1997 წელს, პრემიერ-მინისტრ რიუტარო ჰაშიმოტოს "ევრაზიული დიპლომატიის" შემოღების შემდეგ, იაპონიის მთავრობის წარმომადგენლებმა საქართველოში ვიზიტების გამართვა დაიწყეს, რასაც დემოკრატიული და ენერგეტიკული რეაბილიტაციის პროექტები მოჰყვა. იაპონიის საგარეო საქმეთა მინისტრების, ტარო ასოს "თავისუფლების და კეთილდღეობის რკალისა" და ტარო კონოს "კავკასიური ინიციატივის" შთაგონებით, 2006 წლის შემდგომი პერიოდი ხასიათდება უფრო მეტი მაღალი დონის ვიზიტით, მნიშვნელოვანი პროექტებისა და ორმხრივი შეთანხმებების წამოწყებით და ისეთი საერთო ღირებულებების პოლიტიკური მხარდაჭერით, როგორცაა თავისუფლება, კანონის უზენაესობა, დემოკრატია და საბაზრო ეკონომიკა (ბიბილაშვილი, 2022).

იაპონურ-ქართული ურთიერთობების დინამიკის ერთერთი მაჩვენებელია ქალაქ ბათუმში უკვე ტრადიციით ქცეული იაპონურ-ქართული კულტურის ფესტივალი, რომელიც 2024 წელს უკვე მესამედ ჩატარდა.

იაპონიისა და საქართველოს თანამშრომლობის გაზრდილი სურვილი მიუთითებს იაპონურ-ქართული ურთიერთობების განვითარების პოზიტიურ დინამიკაზე ეკონომიკური ჭრილში, მაგრამ, ამავდროულად მოითხოვს ინტენსიურ კვლევებს ლინგვოკულტუროლოგიურ ჭრილში, რასაც ემსახურება „კულტურული დიპლომატიის“ მრავალი ხერხი.

მე-20 საუკუნის მოვლენებმა განსაზღვრა ძალის გამოყენების მეთოდების ტრანსფორმაცია. ამ პერიოდში საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში ჩნდება ახალი ტერმინი - ეგრედ

ლასა ბოლქვაძე

წოდებული "რბილი ძალა". ეს კონცეფცია პირველად შემოიღო ამერიკელმა პოლიტოლოგმა ჯოზეფ ნაიმ უმცროსმა (Joseph S. Nye). რბილი ძალის კონცეფციაზე დაყრდნობილ სტრატეგიებს მიეკუთვნება: კულტურა, სპორტი, ეროვნული ენა, სამზარეულო და ა.შ. მათ შეუძლიათ დიდი გავლენა განახორციელონ საზოგადოებაზე.

ამასთან დაკავშირებით, საერთაშორისო პრაქტიკაში ჩნდება ურთიერთქმედების ახალი მეთოდი კულტურის მეშვეობით. სახელმწიფოს რბილი ძალის მნიშვნელოვან სტრუქტურულ ელემენტად კულტურული დიპლომატია გვევლინება. მისი განხორციელებისას მთავრობები ყურადღებას ამახვილებენ ეროვნული კულტურის ექსპორტზე პარტნიორული ურთიერთობების დამყარების გზით. საგარეო დიპლომატია არის ბოლოდროინდელი პოლიტიკური კომუნიკაციის კვლევების ნაწილი. ერთ-ერთი პოპულარული თემა არის. განსაკუთრებით საერთაშორისო პოლიტიკური კომუნიკაცია სამთავრობო და არასამთავრობო აქტორების პრეფერენციები მათ საქმიანობაში ამან გამოიწვია გაზრდილი ინტერესი საგარეო დიპლომატიის კვლევების მიმართ. მსოფლიოში განვითარებული მოვლენების პარალელურად საქართველოში უახლესი საგარეო დიპლომატიის კვლევების მნიშვნელობა ბოლო დროს უფრო აქტუალური გახდა. გაიზარდა სახალხო დიპლომატია, რომელსაც ფართო გამოყენების სფერო აქვს. ხოლო მისი ერთ-ერთი გამორჩეული ქვედარგია კულტურული დიპლომატია, რომლის მიზანია ხელი შეუწყოს საქართველოს კულტურული დიპლომატიის კვლევებს.

დღევანდელ ევროპაში ჩამოყალიბებული ვითარება კიდევ ერთხელ იმაზე მიუთითებს, რომ კულტურული დიპლომატია საგარეო პოლიტიკის ამოცანების ჩამონათვალში ნომერ პირველ ამოცანად უნდა იქცეს. ნებისმიერი სახელმწიფო ცდილობს თავისი კულტურის პოპულარიზაციას, უცხოეთში ენის შესწავლას, ქვეყნის მიღწევების გავრცელებას. კულტურული დიპლომატიის მიზანია სახელმწიფოს პოზიციის განმტკიცება, ასევე ქვეყნის საგარეო პოლიტიკასა და ეკონომიკასთან დაკავშირებული პრობლემების მოგვარება.

ამ მიზეზით, კულტურული დიპლომატიის ქმედებები და სტრატეგიები ქმნის მნიშვნელოვან შესაძლებლობებს ქვეყნებისთვის. განსაკუთრებით კულტურული დიპლომატიის პრაქტიკის წყალობით, ქვეყნებს საშუალება აქვთ გაავრცელონ და გაავრცელონ თავიანთი კულტურა. კულტურული დიპლომატიის პრაქტიკის მრავალი მაგალითი არსებობს. ქვეყნების პოპულარული კულტურის პროდუქცია, კულტურული დიპლომატიის ინსტიტუტები, საზღვარგარეთ მოგზაურობა, განათლება, ბიზნესი და ა.შ. ამ მიზნებისკენ მიმავალი მოქალაქეები ფასდებიან კულტურული დიპლომატიის მიდგომით.

კულტურული დიპლომატიის ინსტიტუტში ([Institute for Cultural Diplomacy](https://www.culturaldiplomacy.org/index.php?en_culturaldiplomacy)) ასე განსაზღვრავენ ამ ცნებას: **კულტურული დიპლომატია** შეიძლება განისაზღვროს, როგორც ქმედებების ერთობლიობა, რომელიც დაფუძნებულია იდეების, ღირებულებების, ტრადიციების და კულტურის სხვა ასპექტები გაცვლაზე, რაც გამოიყენება თანამშრომლობის გაძლიერებისა და გაფართოებისთვის, ასევე ეროვნული ინტერესების გასაძლიერებლად. (https://www.culturaldiplomacy.org/index.php?en_culturaldiplomacy).

დღევანდელი ძლიერი ქვეყნები ფართოდ იყენებენ ისეთ ინსტრუმენტებს, როგორცაა ენა, ლიტერატურა, მუსიკა, ფოლკლორი, სერიალები და კინოს პროდუქტები, კულინარული კულტურა და მოდა თავიანთი კულტურული დიპლომატიის მიზნების მისაღწევად. იაპონიის მთავრობამ მოახერხა კულტურული, ფილოსოფიური და მხატვრული ტრადიციების გააქტიურება, რომლებიც ხელი შეუწყვეს ახალი დიპლომატიური ურთიერთობების დამკვიდრებას. ამ სტრატეგიამ გაამართლა და 21-ე საუკუნეში იაპონიამ მსოფლიო საზოგადოებაში მაღალგან-

ვითარებული ქვეყნის იმიჯი შეიძინა, მძლავრი ტექნოლოგიებით და ორიგინალური ეროვნული კულტურით. თავის მხრივ, მზარდი პოპულარობა, იაპონური ანიმე, მანგა, ეროვნული სამზარეულო, ვიდეო თამაშები და მუსიკა გამოიწვია "Cool Japan" პროექტის შემუშავება.

2002 წლამდე ცნება "Cool Japan" (სიტყვასიტყვით „მაგარი იაპონია“/ Крутая Япония) არ არსებობდა არც სამეცნიერო და არც საჯარო დისკურსში. მხოლოდ დუგლას მაკგრეის სტატიაში „Japan's Gross National Cool“ ამ ტერმინის გამოყენების შემდეგ იყო სერიოზული საუბარი იაპონიის ექსპერტთა წრეებში. ამრიგად, 2004 წელს ჩამოყალიბდა კულტურული დიპლომატიის ხელშეწყობის მრჩეველთა საბჭო, რომელმაც დაიწყო მასობრივი კულტურის გავრცელების გზით იაპონიის „რბილი ძალის“ ხელშეწყობის ახალი კონცეფციის შემუშავება. მისმა 2005 წლის მოხსენებამ "მშვიდობიანი ერის კულტურული გაცვლა: იაპონიის მშენებლობა" გამოიყენა ტერმინი 「クール」 მნიშვნელობით 「かつこい」 (Cool, მაგარი, крутой), როგორც საკვანძო სიტყვა პოპ კულტურისთვის. (「クールジャパン戦略」 https://vk.com/@sakura_khrizantema-proekt-cool-japan წვდომის თარიღი: 25.05.2024)

2006 წელს საგარეო საქმეთა მინისტრმა ტარო ასომ საჯარო გამოსვლისას გამოაცხადა თავისი განზრახვა გააძლიეროს კულტურული დიპლომატია იაპონური პოპ-კულტურის პოპულარიზაციის გზით, რომელიც განკუთვნილია ახალგაზრდული აუდიტორიისთვის. 2008 წელს ამ კურსის ძირითადი პუნქტები სინთეზირებული იყო ტარო ასოს ორ გამოსვლაში: „ახალი შეხედულება კულტურულ დიპლომატიაზე“ და „იაპონიის ახალი სტრატეგია თანამედროვე ეპოქის პირობებში“. 2013 წელს მინისტრთა კაბინეტმა დააარსა Cool Japan Promotion Council და პროექტის განვითარებისთვის ეროვნული ბიუჯეტიდან გამოიყო 50 მილიარდი იენი. იმავე წელს Cool Japan Fund Inc. როგორც პროექტის განხორციელების უმნიშვნელოვანესი მექანიზმი.

პროექტის განხორციელების საბჭოს დოკუმენტებში აღნიშნულია, რომ „Cool Japan-ის მთავარი ჰუმანიტარული მიზანია იაპონური პოპ-კულტურისა და იაპონური ცხოვრების სტილის საგარეო კულტურული პოლიტიკის ფარგლებში ექსპორტი - ყველაფერი, რაც მიიზიდავს ხალხს სხვა ქვეყნებიდან: პროექტის ჩემ სლოგანს შეიძლება ეწოდოს ფრაზა 「日本の魅力を世界へ」 "იაპონური მიმზიდველობა - სამყაროს" (「クールジャパン戦略」 https://vk.com/@sakura_khrizantema-proekt-cool-japan წვდომის თარიღი: 25.05.2024)

ამ სლოგანის მიხედვით, იაპონური კულტურის მიმზიდველ და „მაგარ“ ელემენტებში შედის: ანიმე, იაპონური სამზარეულო, კომპიუტერული თამაშები, მანგა, კონტენტის სხვადასხვა ფორმა, მოდა, კომერციული პროდუქტები, ტრადიციული ხელნაკეთობა, გამოსახულებები, ბენტო-ბოქსი ან ტრადიციული იაპონური ჩიხები (路地裏の風景) და სხვ. რაც შეეხება ეკონომიკურ კომპონენტს, ამ შემთხვევაში მთავარი მიზანი იაპონური კრეატიული ინდუსტრიების პროდუქციის განვითარება და ექსპორტია. გარდა ამისა, პროექტის დახმარებით დაგეგმილია ტურისტული ნაკადის გაზრდა.

ერთი სტატიის ფარგლებში შეუძლებელია ამ უზარმაზარი კულტურული პლასტის დახასიათება, ამიტომ შემოგთავაზებთ იაპონური კულტურის ზოგიერთი ფენომენის მოკლე დახასიათებას გაეცნოთ (ანიმე, მანგა, კაბუკი, იაპონური ეტიკეტი, სამზარეულოს ლაკუნები და სხვ.) ჩვენი სადოქტორო ნაშრომის სრულ ვარიანტში.

PHILOSOPHICAL THINKING IN THE 21ST CENTURY
ETHNOS-SOCIETY-HISTORY-MODERN CHALLENGES

GEORGIAN-JAPANESE DIPLOMATIC RELATIONS

LASHA BOLKVDZE

e-mail: l.bolkvadze@hotmail.com

Batumi Shota Rustaveli State University, PhD student

ABSTRACT:

Any relationship between countries begins with dialogue, and successful cross-cultural communication requires the understanding of diverse information. The intermittent development of Japanese-Georgian diplomatic relations (Ottoman Empire, Tsarist Russia, Soviet Union) and the geographical distance between Japan and Georgia and many other factors led to a lack of information on both sides. Accordingly, it is important to outline, analyzing cultural realities, compare and contrast the main socio-cultural components of both countries, which will help to hold a business dialogue. Modern independent Georgia is interested in relations with highly developed Japan, and this requires the opportunity to obtain more information, which is a necessary condition for the development of a successful diplomatic discourse.

KEYWORDS:

diplomatic discourse, intercultural communication, cultural realities.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბიბილაშვილი მარიამ, "საქართველოსა და იაპონიას შორის დიპლომატიური ურთიერთობების 30 წელი: პარტნიორობის მიღწევები და პერსპექტივები," პოლიტიკის დოკუმენტი No. 30, საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი, სექტემბერი 2022.
2. Bibilashvili Mariam, 2021. "[Japan's South Caucasian diplomacy: the development of Japanese foreign policy towards Georgia](#)," [Asia Europe Journal](#), Springer, vol. 19(3), pages 309-328, September.
3. მესხიშვილი ჯაბა „რუსეთ იაპონიის ომი ქართულ პოეზიაში“ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის წერეთლის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ჟურნალი „ახლო აღმოსავლეთი და საქართველო“, 2020.
4. მესხიშვილი ჯაბა, „რუსეთ იაპონიის ომის (1904-1905) მიმართ განწყობები საქართველოში“. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის წერეთლის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ჟურნალი „ახლო აღმოსავლეთი და საქართველო“, 2021.
5. ჯავახიშვილი ნიკო ამომავალი მზის ქვეყანა ქართველთა თვალით / [ისტორიანი](#) : ისტორიულ-შემეცნებითი ჟურნალი. - თბილისი, 2014.
6. [クールジャパン戦略](https://vk.com/@sakura_khrizantema-proekt-cool-japan) (https://vk.com/@sakura_khrizantema-proekt-cool-japan წვდომის თარიღი: 25.05.2024).
7. https://www.culturaldiplomacy.org/index.php?en_culturaldiplomacy). წვდომის თარიღი: 25.05.2024).



პროფესორები დავით გოცირიძე და როლანდ კომახიძე



დავით გოცირიძე და მისი დოქტორანტები 2005



ჩინეთი, შანხაი - 2013



დავით გოცირიძე და ელენორა სულეიმანოვა, ტალინი 2016 წ.



პროფესორ დავით გოცირიძის რიგითი გამოსვლა



ესპანეთი, გრანადა - 2015



ხელმძღვანელი დოქტორანტ შოთა როდინაძესთან ერთად



აზერბაიჯანი, ბაქო - 2018



საქართველო, თბილისი - 2019



იაპონია, კიოტო - 2019



შვედეთი - 2020

კონფერენცია
ინტერდისციპლინარული კვლევების ახალი ჰორიზონტები - I
ფოტო გალერეა







ფოტო გალერეა

